კვირის პალიტრა

გზა

N51 ( ) ... ფასი 60

1168
2006

გაყრილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაუპირისპირდა...

„მე მეორე შვილი მინდოდა... „რქები" ვერ მოგტეხე"

„შენ ცოლიც გინდოდა და აქეთ-იქით ძროხიანიც..."

„გზის" რეალური შოუ

ნატალის ზურას ართმევენ...

თიკა კანდელაკის საბედისწერო კოცნა — ავარიის რეალური მიზეზი

ვინ გადაარჩინა გერმანიაში „მის ელეგანტი"...

ინ გამოსახა თბილისის ...ენოგებზე შავი გველები...

ცოლზე დამოკიდებული რაბი სამყურაშვილის სუსტი წერტილი...

...ურჩი შვილი და იატაკის ხეხვით დაწყებული კარიერა

იმიჯი — საქართველოში სოლარიუმში გარუჯვა საზიანოა...

საუკეთესო ევროპული სათამაშოები

«პეპელა» გთავაზობთ ასორტიმენტის ფართო არჩევანს*. ორი ათასზე მეტი დასახელების საქონელი შეესაბამება ევროპული ხარისხისა და უსაფრთხოების უმკაცრეს ნორმებს.

მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იტალიური სათამაშოები.

დღევანდელ სამყაროში, სადაც მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდება, ტრადიციული სათამაშოები თქვენს ბავშვებს შეუქმნის სითბოს, სტაბილურობისა და სიმყუდროვის შეგრძნებას.

კლასიკური ტიპის სათამაშოების გარდა «პეპელა» გთავაზობთ ევროპაში დიდი ხნის დამკვიდრებულ «განვითარების» თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის როგორც შემოქმედებითი, ასევე წარმოსახვითი უნარის გაღვივებას.

* დასავლეთ ევროპის ტრადიციული საუკეთესო სათამაშოების 15 ფირმასთან დადებული ექსკლუზიური დისტრიბუციის ხელშეკრულება

- ხის სათამაშოები
- რბილი სათამაშოები
- მინიატურული პერსონაჟები
- კრეატიული (შემოქმედებითი) საქმიანობა
- ექსტერიერის სათამაშოები
- «განვითარების» თამაშები
- საბავშვო აქსესუარები და ბიჟუტერია
- საკანცელარიო ნივთები
- იმიტაციის სათამაშოები
- წიგნები

კუპონის მფლობელი 31 იანვრამდე მიიღებს ფასდაკლებას მაღაზია "პეპელა" - ში

PEPELA

PEPELA

ფასდაკლება 10 %

თბილისი, აბაშიძის ქ. 2 (მრგვალ ბაღთან)
ტელ/ფაქსი : (+995 32) 25 30 55
ელ.ფოსტა : contact@pepela.ge

№51 (341)
21-27 დეკემბერი,
2006
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
დავაძლეთ და ვიღრუტუნოთ კმაყოფილებმა ანუ ახალი წელი ჩინურ-ქართულად 3
■ მასმედია
„ჯიხურში რომ არ ვმუშაობდე, გაზეთის საყიდლად ფულს ვერ გავიმეტებდი“... 4
■ დაიჯესტი
სადაც შესაძლებელია, უნდა მიეხმარო, სადაც აუცილებელი — უკან დაიხიო... ანუ რატომ არ ცნობს დიდი პოლიტიკა მუდმივ მეგობრობას? 5
■ ჟურნალისტის როლში
ყოფილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაუპირისპირდა 8
■ ეკრანს მიღმა
საახალწლო სიურპრიზები „რუსთავი 2“-ისგან, ოცნების ამსრულებელი „იმედის“ „კუკუშკა“ და კარნავალი „მზეზე“ 10
■ რაკურსი
ვის რჩევებს ითვალისწინებს რატი სამყურაშვილი 12
■ კრიმინალი
„...უთხრა — ყელს გამოგჭრიო!.. სიგარეტს სხეულის შიშველ ადგილებზე ვადებდით და ვწვავდით“ 15
■ გულშემატკივარი
„ნატალი და ზურა, თქვენ უნდა გამაგიქოთ?..“ 16
■ რეალური
ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი გაგრძელებებით 17
■ ანტიდეპრესანტი 20
■ მითი და სინამდვილე
რას ნიშნავს მასონიზმი და ვინ გამოსახა შავი გველები თბილისის შენობებზე 20
■ შოუ
„ჯეობარის“ ინტერნეტფორუმი 23
■ საპატარძლო
ზარმაცი ნატა თაყვანისმცემელთა მესიჯებს ელის 24
■ ადამიანი
უნიჭო 25

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი...

— ამ დროს, ჩემმა მობილურმა დარეკა. ზურა იყო.

— ალო, ნატალი ხართ?

— დიახ, — ვუპასუხე გაოცებულმა, რადგან ხმა არ მეცნო.

— ზურამ მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ დღეს აღარ დაურეკოთ და ნურც თქვენთან დაელოდებით.

— თვითონ სად არის? ალო, ალო, — ჩავძახე ყურმილში, მაგრამ იქიდან მხოლოდ წყვეტილი „ზუმერი“ ისმოდა.

17

ვინ გამოსახა შავი გველები თბილისის შენობებზე

„ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსის შენობაში, შიდაფასადზე 6 გველია გამოსახული. ეს შენობა ვორონცოვ-დაშკოვის დროს არის აგებული — იგი მასონი იყო და შენობაზეც ამიტომ გამოსახა მათი სიმბოლო“.

20

სოხუმელი ბიჭის მწარე მოგონებები

„ჩქარა, გაიქეცით, აფხაზებმა კოლორი უკვე გადმოლახესო. ბავშვები და ქალები მანქანებში შეგვყარეს და სვანეთში ავედით, ტყეში დავსახლდით. იქიდან 26 სექტემბერს წამოვედით, მეორე დღეს კი, სოხუმი დაეცა“.

29

გიორგი საკაძის სულით ანარქისტი შთამომავალი

„ჩემს დიდ წინაპრებზე დიდი ბებიისგან, ეკატერინე თარხნიშვილისგან გამიგონია. ის ჩემს მეხსიერებას ღრმად მოხუცებული და ყავარჯნიანი შემორჩა. იმ დროს ალბათ 6 თუ 7 წლის ვიქნებოდი“.

31

თეთრი სიკვდილი

— შენი ნაქები ჭელიძე დღეს დილით აიყვანეს!..

— რაზე?! — დაიძახა ნიკა.

— თავის ძმას წამალს უგზავნიდა ციხეში. აბრეშუხარ, რა „ნაგლია“?! „სპეცში“ „პერედაჩით“ გზავნიდა სუბუტექსს!..

— ვინ აიყვანა? მესხმა?..

— სწრაფად ჰკითხა ნიკამ.

— ბიჭო, შენ მესხი ჯეიმს ბონდი ან საქართველოს ნომერ პირველი „ოპერი“ ხომ არ გგონია?! — გაიკვირვა რომანმა.

50

■ გზავნილები
ასე მივაღწიე მიზანს 27
■ ტკივილი
სოხუმელი ბიჭის მწარე მოგონებები 29
■ ემიგრანტები
გიორგი საკაკაძის სულით ანარქისტი შთამომავალი
და მისი ბელგიური წარმატებები 31
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ქალური შარმი 33
✓ რა ვაჩუქოთ საყვარელ ადამიანს 2007 წელს 34
■ ჯანმრთელობა
✓ რა არის კიბერქონდრია? 35
✓ ზამთრის სეზონი და ალერგია 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
■ ვარსკვლავები
პამელა ანდერსონი
— ოჯახური ძალადობის მსხვერპლი?! 42
■ იმიჯი
ნინო ლეკავა: „სოლარიუმში გარუჯვა მარტო
საქართველოშია საზიანო“ 44
■ მოდის დედოფალი
„მადმუაზელ მაკრატელი“, რომელმაც ქალის
გათავისუფლება მოახერხა 46
■ სპეცსამსახურები
პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე. თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ წმინდანები
ჩვილობიდან მმარხველი ღვთაებრივი
ყრმა, გაქვავებული გოგონა და
უკვალოდ გამქრალი ჭრილობები 54
■ მსახიობი
სუფლიორის ნიქარაში დანახული ურჩი შვილი და
იატაკის ხეხვით დაწყებული სასცენო კარიერა 55
■ თინეიჯერული პონტები
ვინ გადაარჩინა მსოფლიოს „მის ელეგანტი“,
რომელიც ფუმფულა სათამაშოებით ერთობა... 57
■ მესიჯომანია
„ამდენ კოცნას გაუძლებ?“ 62
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ ჰოროსკოპი
კვირის (21-27 დეკემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66
■ ავტო 67
■ ფავორიტები
სერ ალექსი — უღვთო ტირანი თუ უბრალოდ,
საუკეთესო მწვრთნელი? 68
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავკია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

რა ვაჩუქოთ საყვარელ ადამიანს 2007 წელს

თუ ნივთის შერჩევა გიჭირთ, მაშინ ის ასტროლოგიური ნიშნების მიხედვით შეარჩიეთ და წარმატება გარანტირებული იქნება.

34

პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე

რუსეთის სპეცსამსახური გეგმავდა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის, წარსულში რუსეთის უშიშროების სამსახურის მდივნის მოადგილის და დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის ლიკვიდაციას!..

48

პამელა ანდერსონი — ოჯახური ძალადობის მსხვერპლი?!

სკანდალებით სახელგანთქმული, ორმოც წელს მიგანებული ქერათმიანი ლამაზმანი, ქმარს, კიდ როკს ქორწინებიდან 4 თვეში მორდება. პამელა ანდერსონმა და კიდ როკმა ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მიმართეს.

42

veluri wablis xeivani

— ვის უნდა ასწავლო, ბიჭო, შენ ჭკუა, შე კრეტინო?! ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული!.. — ხელი გამოყო სარკმელში მორიგემ.

— კრეტინი მამაშენია, გაიგე?! ვისაც მოგეპრიანებათ, მოჰკიდებთ ხელს და კამერაში აყუდებთ, არა?! სად არიან შენი უფროსები, რესტორნებში სხედან და ყანწები უჭირავთ, არა?! გრიალებენ ბიჭები, არა?! კაი პურის მჭამელი ბიჭები, არა?! — მიაყარა ვასიკომ.

38

დავძლეთ და ვიღრუტუნოთ კმაყოფილებმა

ანუ ახალი წელი ჩინურ-ქართულად

ნათქვამია, ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელიწადს ისე გაატარებო. მხოლოდ ამიტომ გადაწყვიტა ჩვენმა მთავრობამ გრანდიოზული ზეიმის მოწყობა, თორემ როდის იყო, დღესასწაულების პომპეზურად აღნიშვნა უყვარდა?! მე თუ მკითხავთ, ჯობდა, პარლამენტს 31 დეკემბერს მთელი დღე ემუშავა და ზუსტად ღამის 12 საათზე მიეღო კანონი პენსიისა და სახელფასო მინიმუმის გაზრდის შესახებ, რაც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ეს ზრდა მთელი წელი

გაგრძელდებოდა, ე.ი. ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდებოდა, მაგრამ სიტყვას როგორ დავასველებ ამაზე?! მით უმეტეს, ისეთი კანონის მიღებას აპირებთ ჟურნალისტთა ქცევის შესახებ, რომ შესაძლოა, მომავალი „პროვოკატორის“ დაწერამ ორთაჭალაში მომიწიოს. ამიტომ, ხმას არ ვიღებ. თქვენ ბრძანეთ, როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს და ჩვენ შევხვდებით; რიყეზე? კი, ბატონო, მტკვარში ნუ ჩაგვაყენებთ ამ შუა ზამთარში და რიყეზე დავდგებით, რა გვიჭირს. თანაც, ისეთი სიურპრიზები მზადდება თურმე, შემოქმედებითს თუ არა, გასტრონომიულ გემოვნებას მაინც დაგვიკმაყოფილებს: გიგანტური ხაჭაპური, საცივი და გოზინაყი.

გიგანტური ხაჭაპური გასაგებია და რა პრობლემაა: ყველის მეტს რას გვაძლევენ ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი საჯიშე ძროხები და ფქვილის მეტი რა შემოდის თურქეთიდან; გოზინაყიც ხელგეწიფება: ნიგოზი გვაქვს და არც ფუტკრები გვამადლიან ნაშრომს, მაგრამ ნეტავ, გამაგებინა, გიგანტური საცივი რისგან კეთდება?! ალბათ, თბილისის საავიაციო ქარხნის თვითმფრინავს დაკლავენ, ინდაურის ნაცვლად. ჰო, რა მოხდა?! ინდაურზე კარგად ვერც ის დაფრინავს და სხვათა შორის, არც კვერცხების დადებით იკლავს თავს, კურტუმო და ფრთები კი, მასაც აქვს.

მოკლედ, მიბრძანდი 31-ში რიყეზე და ჭამე, რამდენიც გინდა! იმ საწნახელში, შემოდგომაზე რომ ღვინო დავწურეთ, ღომს ჩაზელენ, უხდება საცივს; ღვინო კი გვაქვს და მეტი, რა გვინდა — ვიტაშფანდუროთ დილამდე. ესტრადის ვარსკვლავებიც გაგვართობენ: მე შენ გეტყვი, „მინუსზე“ არ იმღერონ და ხელი არ გაეყინოთ მიკროფონის დაჭერით. დავძღეთ და ვიღრუტუნოთ კმაყოფილებმა, წლის ჰოროსკოპი არ გვაქვს შესაბამისი, თუ რა?!

ერთი რამ მიკვირს მხოლოდ: შარშან იყო და, რკინის ნაძვის ხე „შეგვისვარკეს“, წელსაა და პლასტმასის ნაძვის ხე ჩამოიტანეს ჩინეთიდან. კი, მაგრამ მთელი მსოფლიო ნაძვს და ფიჭვს ეზიდება საქართველოდან, კანონიერად თუ უკანონოდ და ერთი ცოცხალი ნაძვის ხე გაგვიჭირდა?! რაში გადავიხადეთ 140 ათასი ლარი? მომავალ წელს, იგივე ნაძვის ხის დადგმელები ჩვენ არ ვართ და ნამდვილი ნაძვი რომ დაგვედგა, ძველით ახალი წლის შემდეგ, შეშად მაინც გამოიყენებდა ხალხი და გაზაფხულამდე გაატანდა როგორმე. ან დავდგათ ნაძვის ხის მონუმენტი ერთხელ და სამუდამოდ და მოვრთოთ ხოლმე ახალ წელს. სათამაშოებად ჩვენი მიღწევების სიმბოლოებს დავკიდებთ: მაგალითად — „კატოკს“, იმიტომ, რომ გზები დავაგეთ; „სასწრაფოს“ მანქანას, უფასო „03“ რომ გვაქვს; წყლის მსხვილ მილს, მოცეკვავე შადრევნების სიმბოლოდ; გაზის მრიცხველს, უგაზოდ რომ არ დავრჩით; იაპ დე ჰოოპ სხეფერის სურათს, ნატოში რომ მიგვიღებენ და ა.შ. მერე იქნებ, ისე აეწყოს ჩვენი საქმე, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ და ჩვენს ნაძვის ხეზე კოკოითი და ბაღაფშიც დავკიდოთ.

მანამდე კი, შევხვდეთ ქართულ ახალ წელს ჩინური ნაძვის ხით, ევროპული სათამაშოებით, თურქული ნათურებით, გერმანული სპირალებით და ლაპლანდიელი სანტა-კლაუსით...

P.S. თათბირი მერიაში:

— რიყეზე გიგანტურ ხაჭაპურს, გოზინაყს და საცივს რომ ვაკეთებთ, კარგია, მაგრამ ჩვენი ესტრადის ვარსკვლავების კონცერტი არ გვინდა?

— რად გვინდა, ბატონო გიგი? ხალხი რომ მოისმენს, გაიქცევა.

— მაგათი კონცერტი სწორედ მაგიტომ გვინდა, ჩვენ რომ დაგვრჩეს ხაჭაპური და საცივი...

პროვოკატორი

„ჯიხურში რომ არ ვმუშაობდე, გაზეთის საყიდლად ფულს ვერ გავიმეტებდი“...

ანუ გაუგრძელებენ თუ არა ბეჭდვით მედიას საგადასახადო შეღავათებს?

მედიისათვის გადასახადებზე დაწესებული შეღავათის ვადა, 2006 წლის დეკემბრის ბოლოს იწურება. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით და იმ მოტივით, რომ ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილი საზოგადოება გაზეთს ვერ იყიდდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბეჭდური მედია 2 წლის წინ, მოგების, საშემოსავლო და სოციალური გადასახადებისაგან გაათავისუფლა. კოდექსში მითითებულია, რომ შეღავათები 2007 წლის 1-ელ იანვრამდე ვრცელდება. შესაბამისად, თუ თვის ბოლომდე საკანონმდებლო ორგანომ ახალი გადაწყვეტილება არ მიიღო, პრესა ძველებურად — ეი. ისევე, როგორც ბიზნესის ნებისმიერი სფერო, დაიბეგრება.

ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, 2 წელი საკმარისი დრო იყო საიმისოდ, რომ პრესა მოძლიერებულიყო და თავის საქმიანობა, დახმარების გარეშე, მომგებიანად წარემართა. ისინი პრობლემას ვერც იმაში ხედავენ, რომ საგადასახადო შეღავათების გარეშე დარჩენილი პრესა იძულებული გახდება, მომხმარებელს გაძვირებული პროდუქცია შესთავაზოს და მიიჩნევენ, რომ საქართველოს მოსახლეობა ბოლო პერიოდში, მატერიალური თვალსაზრისით, ასევე მოძლიერდა და გაზეთის ყიდვა არ გაუჭირდება. სრულიად საპირისპირო მოსაზრებებს აფიქსირებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, ექსპერტები და ჟურნალ-გაზეთების გამყიდველები.

ხათუნა ბახტურიძე

ფიქრია ჩიხრაძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— პრეზიდენტმა ბეჭდურ მედიას გადასახადებზე შეღავათები სწორედ მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო დაუწესა. არა მგონია, ვინმეს ეჩვენებოდეს, რომ ორი წლის თავზე, ამ თვალსაზრისით, რაიმე შეიცვალა. ჩვენი მოსახლეობა ისევ ისეთი გაჭირვებულია და მყიდველუნარიანობაც ძველებურად დაბალია. როდესაც ადამიანს პურსა და გაზეთს შორის არჩევანის გაკეთება უწევს, პრესის დაბეგვრა არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. რამდენიმე დღის წინ, მემარჯვენეებმა ხელისუფლებას ამ შეღავათების გაგრძელების ინიციატივა შევთავაზეთ, მაგრამ გამოხმაურების სურვილი არავის გამოუხატავს. ახლა საკანონმდებლო ინიციატივა მოვამზადეთ და იმედი მაქვს, ჩვენი ჯიბრით მაინც გადადგამენ ქმედით ნაბიჯებს. ჩვენ ვითხოვთ, რომ ბეჭდური მედიისთვის დაწესებული შეღავათები 2010 წლამდე გავრცელდეს. ვფიქრობ, ყოველი საბიუჯეტო წლის დასასრულს ამაზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ. თუ ხელისუფლება ჟურნალისტიკის მიმართ მტრული დამოკიდებულების დაფიქსირებას არ აპირებს, ამ შეღავათებს არ გააუქმებს.

— როგორ ფიქრობთ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შეღავათები არ გაგრძელდება?

— ძალიან ბევრი მედიასაშუალება დახურვის პირას აღმოჩნდება. ეკონომიკური და დემოკრატიული თვალსაზრისით განვითარებულ ქვეყნებში ასეთი პრობლემა არ დგას, იქ სოლიდური ჟურნალ-გაზეთები ძალზე მომგებიან ბიზნესს აწარმოებენ. მაგრამ საქართველოში სხვა რეალობა გვაქვს და ჟურნალის, გაზეთის, გნებავთ — ტელევიზიის ბიზნესად განხილვა ძალზე სასაცილოა.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, საზოგადოების რამდენი პროცენტი კითხულობს გაზეთს?

— საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ბეჭდური მასმედია საქართველოში ძალზე დაბალმოხმარებადია, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მოსახლეობის 90% სერიოზულ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის. როდესაც ონში ვინმე ერთ გაზეთს ჩაიტანს, მის წასაკითხად მთელი სოფელი რიგში დგება. ქართველებს გაზეთების კითხვა უყვართ, მაგრამ მისი ყიდვის საშუალება არა აქვთ.

გია ხუხაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— დღეს არსებული სოციალური მდგომარეობა მოსახლეობას საშუალებას არ აძლევს, ბეჭდვითი მედია შეიძინოს ისეთი რაოდენობით, რომ ამ სეგმენტს განვითარების საშუალება მიეცეს. პრეზიდენტმა ძალზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც პრესა ყველა ძირითადი გადასახადისგან გაათავისუფლა და მოღონიერების შანსი მისცა. მაგრამ დროის ეს მონაკვეთი ამ სფეროს გაძლიერებისა და განვითარებისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის. ბაზარი ჯერ კიდევ ძალზე შეზღუდულია. გაზეთის ღირებულება ძვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ მომხმარებელს მაინც უჭირს მისი შეძენა. ამ მიმართებით დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე ორი ან სამი წლის წინ იყო. არსებობს კიდევ ერთი დიდი პრობლემა: დღეს ჟურნალისტის ჰონორარი ძალზე მცირეა და მისი გაზრდა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ თუ საგადასახადო რეჟიმი კიდევ უფრო გართულდა, პრე-

ძალიან ბევრი მედიასაშუალება დახურვის პირას აღმოჩნდება

სას ამის საშუალება არ ექნება და ჟურნალისტები იძულებული გახდებიან, სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი, შესაბამისად — ამ პროფესიიდან კადრების სერიოზული გადინება დაიწყება. იმისათვის, რომ ბეჭდვითმა მედიამ მინიმალური რესურსებით მაინც იფუნქციონიროს, შეღავათები — ობიექტური აუცილებლობაა. წინაღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ბევრი გამოცემა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადგება. თუ ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ამოცანა მართლაც არის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, მაშინ გაზეთებისთვის შეღავათიანი რეჟიმი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. გარდა ამისა, ეს თემა არ უნდა იყოს ყოველწლიური განსჯის საგანი. შეღავათები უნდა გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე ობიექტურად არ მოიხსნება ამის აუცილებლობა.

— შეიძლება თუ არა, რომ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, პრესა განვიხილოთ, როგორც ბიზნესი?

— სამწუხაროდ, დღევანდელ სიტუაციაში პრესა ვერანაირად ვერ იქნება განხილული ბიზნესად. შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი ადამიანები მართლაც, ახერხებენ ამ სფეროში ბიზნესის კეთებას, მაგრამ ეს ხდება გაყიდული და შეკვეთილი სტატიების წყალობით, რაც დემოკრატიული თვალსაზრისით, აბსოლუტურად გაუმართლებელია.

— თქვენი აზრით, არსებობს თუ არა შანსი, რომ ამ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღონ?

— თუ პარლამენტი საკითხს სახელწიფოებრივად მიუდგება, შეღავათები გაგრძელდება. მაგრამ ხელისუფლების მმართველობის სტილი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში პარადოქსულად ვითარდება მოვლენები და ვერ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტმა კარგ ხასიათზე გაიღვიძოს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს...

ბოლოს, ერთ-ერთი ჯიხურის გამყიდველსაც ვესაუბრე, რომელმაც მითხრა:

— შიშით ველოდები იმ დროს, როდესაც პრესაზე დაწესებული შეღავათები მოიხსნება. ალბათ, ჩვენც გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის კითხვის მსურველი ბევრია, მყიდველი მაინც არ გვყავს. ჩემი ვარაუდით, გაზეთებს დიდი ტირაჟი არ უნდა ჰქონდეთ, ყოველ შემთხვევაში, მე დღის განმავლობაში ძალიან ცოტას ვყიდი.

— როგორი შრომის ანაზღაურება გაქვთ?

— ძალიან მცირე. გაყიდული გაზეთის 3%-ს მიხდიან. იმისათვის, რომ 3 ლარი დამრჩეს, 100 გაზეთი უნდა გავყიდო. კითხვა ძალიან მიყვარს და ჩემი სამსახურის წყალობით, ბევრ ინფორმაციას ვეცნობი, მაგრამ მე რომ ჯიხურში არ ვმუშაობდე, გაზეთის საყიდლად ფულს ნამდვილად ვერ გავიმეტებდი. ■

საღამოს შესაძლებელია, უნდა მივესალმოთ, საღამოს პუსიღებელი - შჯანი დაიხიო...

ანუ ჩატოე ახ ცნოპას ღიღი პოლიტიკა შეღმივ ბეგოპჩოპპას?

იმიტომ, რომ ის არც მუდმივ მტრობას ცნობს, — მიპასუხებს ალბათ, მავანი და მართალიც იქნება. ჯერ კიდევ უინსტონ ჩერჩილი ამბობდა — „ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მეგობრები, მას აქვს მუდმივი ინტერესები“. დღეს, ამის მტკიცებაში, ინგლისელებს ამერიკელები ეცილებიან და სიტყვას საქმედაც მიზანმიმართულად აქცევენ. თუ როგორ, ამას ქვემოთ მოხმობილი და ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი პუბლიკაციიდანაც შეიტყობთ...

რუსუდან ლებანიძე

ამერიკის შავიზღვისპირული სტრატეგია

(The Heritage Foundation, აშშ)

ამერიკის ინტერესებმა შავი ზღვის რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ შეიძინა. შავი ზღვის აუზი ახლო აღმოსავლეთის მოსაზღვრე სტრატეგიული რეგიონია და კასპიური ნავთობის გადაქაჩვის საკვანძო ტრანზიტულ მარშრუტს წარმოადგენს. ამიტომაც, ამ რეგიონში სიტუაციის არცთუ ისე მარტივად განვითარების შემხედვარე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპლექსური რეგიონული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს.

სადღეისო მდგომარეობა

ფართო გაგებით, შავი ზღვის რეგიონი ერთმანეთში ჩახლართული პოლიტიკური ინტერესებისა და გავლენის სფეროების მოზაიკურ სურათს ქმნის. ბულგარეთი და რუმინეთი ნატოს წევრებიც არიან და მალე ევროკავშირშიც შევლენ. უკრაინა დასავლეთსა და რუსეთს შორის იჭყლიტება. საქართველო დასავლეთისკენ იხრება, მაგრამ რუსეთს უშუალოდ ესაზღვრება. თურქეთს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საბოლოო არჩევანი ვერა და ვერ გაუკეთებია, რადგან ნაციონალური ინტერესების დაცვასთან ერთად, ეროვნული სიამაყის გრძნობაც არ ასვენებს. რუსეთი, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი გზით მიდის. ასე და ამგვარად, შავი ზღვის ექვსი საზღვისპირა სახელმწიფო და ამ რეგიონის კუთვნილი ზოგიერთი სხვა ქვეყანაც, საკუთარ რეგიონულ იდენტურობას ნელ-ნელა შეიმეცნებენ და იმასაც აშკარად ხედავენ, ზესახელმწიფოები და სხვა გარეშე ძალები მათ „მოედანზე“ ფეხის მოკიდებას როგორი მონდომებით ცდილობენ.

სადღეისოდ, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობი და გაზი, ევროპასა და დასავლეთის სხვა პუნქტებისკენ შავი ზღვის საზღვაო კომუნიკაციებითა და ნავთობსადენებით მიედინება. ამავე სატრანსპორტო დერეფნებში მოძრაობს ნარკოტიკული ნივთიერებების, ადამიანების (მათ შორის ტერორისტების), ჩვეულებრივი და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უწყვეტი ნაკადიც.

შავი ზღვის რეგიონის გამოყენება მარტო ავღანეთსა და ერაყში (და იქნებ ირანშიც) წარმოებული საომარი, აღდგენითი და სამშვიდობო ოპერაციებისთვის კი არა, კასპიის რეგიონსა და დასავლეთის ბაზრებს შორის ენერგოპროდუქტების ტრანსპორტირების საზღვაო არხების დასაცავადაც შეიძლება.



ამერიკელები ქალი პრეზიდენტისთვის მზად არიან

ყოველკვირეულ ჟურნალ „ნიუსუიკ-ში“ გამოქვეყნებული, საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამერიკელთა 55% ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ქალის ხილვისთვის სავსებით მზადაა. საწინააღმდეგო აზრზე კი, გამოკითხულთა 35% რჩება.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველ, სუსტი სქესის წარმომადგენლებს შორის, ყველაზე ხშირად, ამერიკის ყოფილ პირველ ლედის — სენატორ ჰილარი კლინტონს ასახელებენ. არჩევნებზე დემოკრატიული პარტიის კანდიდატად მისი ხილვა გამოკითხულ ამერიკელთა ზუსტად ნახევარმა ისურვა. ხოლო მის თანაპარტიელსა და კოლეგას — ილინოისელ ფერადკანიან ქალ-სენატორ ბარაკა ობამას გამოკითხულთა 32% უცხადებს ნდობას. კითხვაზე — მზადაა თუ არა ქვეყანა თავის ისტორიაში პირველი, აფროამერიკული წარმომავლობის პრეზიდენტის ასარჩევად? — დადებითი პასუხი ამერიკელთა 56%-მა გასცა. საწინააღმდეგო აზრზეა ქვეყნის მოსახლეობის 30%. ■

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აშშ და ევროკავშირი აღნიშნული გზით, ზოგიერთი საქონლის გადატანა-არგადატანასთან ერთად, ამ რეგიონში ფეხის მტკიცედ მოკიდებითაც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი.

დაბრკოლებები

რუსეთი და თურქეთი ის ორი ზესახელმწიფოა, რომელიც შავი ზღვის აუზში ამერიკის ყოფნის გამო, ყველაზე მეტადაა შეშფოთებული. დასავლეთის ძველმა მოკავშირემ და ევროკავშირის წევრობაზე მეოცნებე თურქეთმა ბოლო ხანს, როგორც ამერიკისგან, ისე ნატოსგან განდგომა დაიწყო და ამერიკის შეერთებული შტატებითა და ევროკავშირით აშკარად თუ მოჩვენებითად განხიბლული, საკუთარი, უფრო მტკიცე პოზიციის ძებნას შეუდგა.

მისი მთავარი მიზანი საკუთარი გეოპოლიტიკური მდგომარეობის იმგვარად გამოყენებაა, რომ ენერგორესურსების დაგროვების ცენტრად, ასევე რუსეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ცენტრალური აზიიდან დასავლეთის ქვეყნებისთვის მათი მიწოდების ტრანზიტადაც თავად იქცეს. რაც შეეხება რუსეთს, ის დასავლეთს, თურქეთზე ბევრად უფრო სწრაფად შორდება და ძირითადად, საკუთარი რეგიონული ჰეგემონიის შენარჩუნებითა და ამ გზით საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევითაა დაკავებული. ამ მიზანთაგანაც უმთავრესი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე ნავთობისა და გაზის შესყიდვისა და ტრანსპორტირების პროცესებზე მკაცრი კონტროლის დაწესების გზით, მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ენერგომიმწოდებლად გადაქცევაა.

სხვა ფაქტორები

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემას იქ არსებული რეგიონული კონფლიქტებიც (საქართველოში — სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის, მოლდავეთში — დნესტრისპირეთისა) და აგრეთვე, სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირებაც ართულებს. ამასთან, დაკავშირებით, ორი ძალზე სერიოზული საფრთხე იქმნება: ჯერ ერთი, ეს კონფლიქტები, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება. ამ საფრთხის გათვალისწინებით კი, ძნელი აღარც იმის წარმოდგენა უნდა იყოს, თუ რა შეიძლება მოიმოქმედონ ამ ვითარებით წაქეზებულმა სეპარატისტებმა ჩეჩნეთში, დაღესტანში, ქურთისტანში, ხუზესტანში, ბულუჯისტანსა და თვით სინცზიანშიც კი; და მეორე — ასეთი მეამბოხე „სახელმწიფოების“ მთავრობები მხოლოდ საკუთარი „კანონებით“ მოქმედებენ, რაც კონტროლის შესუსტებას და დანაშაულის გავრცელებას უწყობს ხელს. მსგავსი უკანონო ანკლავები საერთაშორისო კონტრაბანდისა და სხვა არალეგალური საქმიანობისათვისაც ფრიად ნოყიერ ნიადაგს ქმნიან. სანამ ასეთი კონფლიქტები გაგრძელდება, ფსევდოსახელმწიფოების მმართველი ელიტები ყველანაირად შეუშლიან ხელს შავი ზღვის რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებასა და შესაბამისად, — მის სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ აყვავებას.

დასკვნები

რადგანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს შავი ზღვის რეგიონის თავისუფლად განკარგვა არ შეუძლია, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თვით ამ რეგიონში შემავალმა ქვეყნებმა იმოქმედონ ერთად ანუ წინ აღუდგნენ ტერორიზმს და საკუთარი საზღვაო თუ სანაპირო გზები დაიცვან. მაგრამ ჯერჯერობით, ეს ქვეყნები მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და საერთო უსაფრთხოებაზე ძალზე ნაკლებად ზრუნავენ.

რაც შეეხება აღნიშნულ რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების უფრო აქტიურ ყოფნას, ბულგარეთი და რუმინეთი ამას ცალსახად უჭერენ მხარს. რუსეთისა და თურქეთის შემთხვევაში, საქმე საკმაოდ რთულადაა. უკრაინამ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ, უფრო პრორუსული პოზიცია დაიკავა. საქართველო რუსეთის მკაცრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის და ძირითადად, შიდა კონფლიქტების მოგვარებითაა დაკავებული. ამიტომაც, ეს ქვეყანა ამერიკის მნიშვნელოვანი მოკავშირის როლის შესასრულებლად ცუდადაა მომზადებული.

ინტერესებისა და ალიანსების ესოდენი აღრევა და რუსეთისა და თურქეთის

ბოლოდროინდელი, ანტიამერიკული საფუძვლის მქონე დაახლოება, ამ ტერიტორიაზე აშშ-ის მოქმედებას საგრძნობლად ართულებას.

გამოსავალი

რეგიონში საკუთარი ყოფნის უზრუნველსაყოფად, ამერიკამ ისეთი რეალისტური სტრატეგია უნდა შეიმუშაოს, რომელიც უსაფრთხოებასა და სტაბილურობა შეუწყობს ხელს. კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა აღნიშნულ რეგიონთან დაკავშირებული პოლიტიკის კოორდინირება „ხმელთაშუა ზღვის სამეზობლო პოლიტიკის“ დებულებების გათვალისწინებით უნდა მოახდინოს...

შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ამერიკამ და ევროკავშირმა რუსეთს საქართველოსთვის სანქციების მოხსნა და „გაყინული კონფლიქტების“ მოგვარების მიზნით, მოლაპარაკებების განახლება უნდა იაძულონ. ეს ზომები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დსთ-ის ეგიდით მოქმედ რუს მშვიდობისმყოფელთა, საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტით შეცვლასაც, რომელიც ევროკავშირის, გაეროს ან ორივე მხარესთან შეთანხმებული რომელიღაც სხვა ეგიდით იმოქმედებს...

რუსეთთან და თურქეთთან ამჟამინდელი ურთიერთობის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს შავი ზღვის რეგიონში დასამაგრებლად, ერთადერთი გამოსავალი — საერთო ინტერესების მქონე საკითხების ფართო სპექტრში თანამშრომლობის გაფართოებაღა რჩება თუმცა, მან ამ მიმართულებითაც ძალზე ფრთხილად უნდა იმოქმედოს: სადაც შესაძლებელი იქნება, დახმარება შესთავაზოს, სადაც აუცილებელი გახდება, უკან დაიხიოს. მსგავსი ბალანსის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია. და თუ ის მართლაც შედგა, მიღწეული შედეგები სტრატეგიული მნიშვნელობის ბევრ სხვა რეგიონში (მაგალითად, ცენტრალურ აზიაში) ამერიკის ყოფნის ნიმუშადაც კი იქცევა...

დღეს აშშ-ისთვის შავი ზღვის რეგიონში კოორდინირებული მოქმედების დრო დადგა. მან ხომ ამ გზით, ბოლო ათწლეულის ისეთი მწვავე პრობლემების გადაჭრაში უნდა პოვოს მხარდაჭერა, როგორიცაა ირანის აღმავლობის, გლობალური ომის ტერორიზმთან შერწყმის ნეიტრალიზება და ენერგეტიკული უსაფრთხოების შენარჩუნება.

არიელ კოენი,
ფილოსოფიის დოქტორი, რუსეთისა და ევრაზიის პრობლემების წამყვანი მკვლევარი
კონვეი ირვინი,
სააგენტო Argus Media-ს ანალიტიკოსი

„ლონდონგრადი – მოსკოვქალაქი მდინარე ტემზაზე“

როგორც ამერიკული The New York Times იუწყება, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ნამდვილ რუსულ ფორპოსტად იქცა. მეტიც — თუ ადრე „შინნაზარდი“ მუსლიმანი ექსტრემისტების შიშით, ლონდონელები თავიანთ ქალაქს შეფარვით „ლონდონისტანს“ ეძახდნენ, ახლა, „კაგებეს“ ყოფილი აგენტის იდუმალი მოწამვლისა და სიკვდილის შემდეგ, „ყოველდღიურ ხმარებაში“ მისი სხვა სახელი — „ლონდონგრადი — მოსკოვი ტემზაზე“ შემოვიდა.

სხვადასხვა ცნობით, ამჟამად ლონდონში დაახლოებით 300000 ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობს (თანაც, მათი მესამედი, იქ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩავიდა). მათ შორის არიან: მოქმედი და ყოფილი ჯაშუშები, შეთქმულები და ექსდისიდენტები, მდიდარი ბიზნესმენები და აგრეთვე, განსაკუთრებით შეძლებული კლასის არაჩვეულებრივი წარმომადგენლები — ანუ ოლიგარქები.

როგორც ჩანს, ყველა ჯურის ფულიან გადამთიელს ასეთი ტრადიცია აქვს: ისინი, რატომღაც, მაინცდამაინც ლონდონში უნდა შეიკრიბონ და იქაურ რესტორნებში, ღამის კლუბებში, აზარტული თამაშებისა და სხვა მსგავს ადგილებში გართობით ბოლომდე ივჯერონ გული. არაბები ლონდონში, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მომრავლდნენ, იაპონელები — 80-იანი წლებიდან, ამერიკელები კი — ლონდონში ათწლეულების მანძილზე პერიოდულად ჩადიან. აი, 90-იანი წლებიდან კი, ლონდონში ყოფნის პირველობას რუსები უკვე აღარავის უთმობენ.

რუსეთიდან ჩამოსულები ლონდონში თავს ჩინებულად გრძნობენ. ზოგი მათგანი ხელოვნების ნიმუშებს იძენს, ზოგიც, უბრალოდ, ერთობა. არიან ისეთებიც, ვინც ლონდონში სახლებს ყიდულობს, იქ მთელი ოჯახით სახლდება და რუსეთში, სამუშაოზე თვითმფრინავით მიდი-მოდის — ლონდონიდან მოსკოვამდე ხომ სულ სამსაათ-ნახევრის სავალი, უფრო ზუსტად, საფრენია!

„გერმანია კარგია იმათთვის, ვინც ფულს ზოგავს, ლონდონი კი იმათთვის, ვინც მას ხარჯავს“, — ამბობს 48 წლის რუსი კინორეჟისორი ანდრეი ნეკრასოვი, რომელიც ლონდონში წლების მანძილზე ცხოვრობდა, შემდეგ კი ბერლინში გადავიდა. მისი თქმით, რუს ბიზნესმენებს ლონდონში მოქმედი მოქნილი საბანკო სისტემაც ძალზე იზიდავს.

„შარშან რუსებმა ყველაზე ძვირად ღირებული ლონდონური სახლების თითქმის ნახევარი შეიძინეს“, — ირწმუნება უძრავი ქონებით ვაჭრობის აგენტი ლაიამ ბეილი. „რუსების ასეთმა შემოსევამ ლონდონში უძრავი ქონების ფასები, მის რესტორნებში კი სიტუაცია მკვეთრად შეცვალა. ახლა იქ სულ სხვა ენაზე საუბარს გაიგონებთ“, — აცხადებს ჟურნალი Tatlez-ის გამომცემელი ლორდი გრეიგი. სწორედ გრეიგის დახმარებით შედგა გასულ წელს ის მაღალი საზოგადოების მიღებაც, რომელიც რუსმა ბიზნესმენმა და კორუფციის თავგადაკლულმა კრიტიკოსმა, ალექსანდრ ლებედევმა, უელსის პრინცესა დაიანას მშობლიურ სასახლეში გამართა. საღამოს ისეთი ცნობილი ადამიანებიც კი ესწრებოდნენ, როგორებიც ელ მაკფერსონი და ორლანდო ბლუმი არიან.

მდიდარი რუსები ლონდონურ თავისუფლებასა და ფინანსურ სისტემას ასხამენ ხოტბას. რუსი დისიდენტები და მხატვარი-ემიგრანტები კი ბრიტანეთის დედაქალაქის კანონმორჩილებასა და პოლიტიკურ თავისუფლებას ეთაყვანებიან. ასე მაგალითად, კრემლის მიერ ტერორისტად შერაცხული, დევნილობაში მყოფი ჩეჩნების მეამბოხე მთავრობის წარმომადგენელი ახმედ ძაკაევი „ლონდონგრადში“, პირველ რიგში, მიღებულია, როგორც წარსულში შექსპირის პიესებში მონაწილე მსახიობი. როგორც თავად ამბობს, თავშესაფარი სამი წლის წინ, „ინგლისური კანონების წყალობით“ მიიღო. „კაგებეს“ მაღალი თანამდებობის ჯაშუში ოლეგ გორდიევსკი დიდ ბრიტანეთში 21 წლის წინ დარჩა. ის ასევე „კაგებეს“ ყოფილი აგენტის — ლიტვინენკოს მკვლელობაში რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს და თან აცხადებს: „ლონდონი იმიტომაა მიმზიდველი, რომ ინგლისი ევროპის ყველაზე თავისუფალი ქვეყანაა“. გორდიევსკის სავსებით ეთანხმება ამ ქალაქში 12 წლის წინ ჩასული პიანისტი ეკატერინა ლებედევაც, რომელიც ირწმუნება, რომ „ლონდონი ყველას, დიდი მიღწევებისთვის არსებული უსაზღვრო შესაძლებლობებით, არტისტიზმის თავისებური შეგრძნებით ანცვიფრებს“.

ისე, ალბათ როგორც ნებისმიერ ახლად მონათლულ ქალაქში, „ლონდონგრადის“ მცხოვრებთა შორისაც არსებობს უთანხმოებანი, რომლებიც ზოგჯერ განხეთქილებაშიც გადაიზრდება ხოლმე. სწორედ ასე დაემართა რუსეთისა და ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ორ ადამიანს — რომან აბრამოვიჩსა და მასზე არანაკლებ მდიდარ რუს მილიარდერს, ბორის ბერეზოვსკის. ერთ დროს, ეს ორი ცნობილი ადამიანი „გადასკვნილი“ ბიზნესპარტნიორი იყო, ახლა კი მათი გზები თურმე, იმდენადაც კი „გაიყო“, რომ ბერეზოვსკის, აბრამოვიჩის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მთავარი მეტოქის — „არსენალის“ სტადიონზე, მთელი ლოჟა აქვს იჯარით აღებული...

ლალი ფაცია

ნათქვამია, ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო. თუმცა, მათ არასდროს უჩხუბიათ, ოთხი წლის წინ ისე გაშორდნენ ერთმანეთს და სიყვარულით შექმნილი ოჯახი დაანგრიეს. დღეს, ხატია შამუგიას და გურამ ლომიძეს, როგორც თანამედროვე ადამიანებს შეჰფერით, ერთმანეთთან ცივილიზებული ურთიერთობა აქვთ. ორივე თანაბრად არის დაინტერესებული საკუთარი შვილის, ნიკუშას ბედით და ზრუნავს მის აღზრდაზე. პატარა, უმეტეს დროს დედასთან ატარებს, მაგრამ მამასთანაც უწევს ყოფნა. ხატიასა და გურამის გაყრის შესახებ, თავის დროზე, ჩვენს ქალაქში ბევრს ჭორაობდნენ და მიზეზად ათასგვარ რაღაცას ასახელებდნენ...

ცოლქმრული ურთიერთობის გაწყვეტიდან ოთხი წლის შემდეგ, ჩვენს რუბრიკაში სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ურთიერთობა არა აქვთ, მათთვის საჯაროდ საუბარი არცთუ ისე კომფორტული აღმოჩნდა.

უოფილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაუპირისპირდა

ჟურნალისტი – გურამ ლომიძე
რესპონდენტი – ხატია შამუგია

— მოგესალმები და წინასწარ გილოცავ დამდეგ ახალ წელს! სად აპირებ ახალი წლის შეხვედრას?

— გაგიმარჯოს, გურამ! მეც გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. 2007 წელს „სითი ქლაბში“ შევხვდები, სადაც ძალიან ლამაზი საღამო გვაქვს დაგეგმილი.

— ვისთან ერთად აპირებ ღამის გატარებას? შენი პარტნიორი ვინ იქნება?

— პარტნიორი არ მეყოლება, რადგან საღამოს, სცენიდან მარტო წავუძღვები. ალბათ, მარტოობას არ მაგრძნობინებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები და ჩემი სამეგობრო, რომელიც იქ შეიკრიბება.

— როგორი განწყობილებით ხვდები ახალ წელს და რას ელოდები მისგან?

— 2007 წელი მინდა, რომ კიდევ უფრო ბედნიერი იყოს ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის. ჯანმრთელები ვყოფილიყავით, რადგან ჯანმრთელ ადამიანს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ქვეყანაში იყოს მშვიდობა და ყველამ თავისი საყვარელი საქმე აკეთოს.

— მომავალში პოლიტიკაში გადაბარგებას ხომ არ აპირებ? როგორც ვიცი, შენს სამეგობროს პოლიტიკოსებიც შეემატნენ.

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემს სამეგობროში ბევრი პოლიტიკოსია. რაც შეეხება პოლიტიკაში ჩემს გადაბარგებას, ვიტყვი, რომ ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან ჩემი დღევანდელი საქმიანობით სავსებით კმაყოფილი ვარ და პოლიტიკა არ მაინტერესებს.

— რა საჩუქარს გაუკეთებ საკუთარ თავს?

— საშუალება რომ მქონდეს, ახალ წელს სიამოვნებით შევხვდებოდი ევროპაში.

— ისე გიჭირს, რომ ამ ოცნებას ვერ აიხდენ? სულ რაღაც 1.000 დოლარია საჭირო.

— რა სისულელეა! მათხოვარივით კი არ მინდა იქ ახალი წლის შეხვედრა! ღირსეულად აღნიშვნას ვგულიხსმობ...

— რაც ჩვენ ერთად აღარ ვართ, მგონი, უფრო პოპულარული გახდი, ასეა?..

— ეს ხალხის გადასაწყვეტია. კარგად მახსოვს შენი სიტყვები, რომელსაც ერთად ყოფნისას მეუბნებოდი: ჩემი წყალობით გახდი პოპულარული, რომ გაგშორდე, დაიკარგები, ვერაფერს შეძლებო.

— მე შენთვის „ტრამპლინი“ ვიყავი, გენაცვალე... რასაც ახლა ამბობ, ამ სიტყვებს ვერ ვიხსენებ, მგონი, რაღაც გეშლება.

— სხვათა შორის, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადო, რადგან შენთან განშორება ჩემთვის სტიმულის მომცემი იყო — რომ ცხოვრებაში ბევრი რამ დამოუკიდებლად გამეკეთებინა, როგორც ჩემთვის, ისე ჩემი შვილისთვის. ის ხომ ჩემს ანაბარა დარჩა. ყველაფერში ღმერთი დამეხმარა.

— ერთმანეთს 1999 წლიდან ვიცნობთ. ერთად სამი წელი ვიყავით. ოთხი წელია, დავშორდით... ამ ხნის განმავლობაში, შენს დიდ მიღწევად რას მიიჩნევ?

— აუ, უკვე მერვე წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და წარმოგიდგენია, რა მაგრად გიცნობ?!. ალბათ, ჩემს დიდ მიღწევად „ისიპარიში“ სამსახურის დაწყება შეიძლება დავასახელო. იქ ყოველდღე ახალ-ახალ აღმოჩენას ვაკეთებ. პარფიუმერიულ-სურნელოვანი სამყარო ქალისთვის საოცრებაა და ამ ყველაფერში მთლიანად ვარ ჩაფლული.

— ჩვენი ერთად ყოფნისას, სამსახურებრივ წინსვლაში ხელს გიშლიდი?

— ხელს არ მიშლიდი. უბრალოდ, ბავშვი ახალი გაჩენილი მყავდა და ჯერ კიდევ არ ვიყავი ფორმაში...

— მეორე შვილი რომ მინდოდა, რატომ არ დამთანხმდი? თუ წინასწარ გქონდა განზრახული, რაც უნდა გაგეკეთებინა?..

— ახლა კარგად მომისმენე. ყველაფერს მე ნუ მაბრალებ. მეორე შვილის ყოლა რომ გინდოდა, უკვე გადაწყვეტილი და არჩეული გქონდა თავისუფალი ცხოვრება. გინდოდა, რომ ცოლიც გყოლოდა და პარალელურად, არაფერი დაგეკლო. ამ შემთხვევაში, ვერ გამოვდექი კარგი მეგზური. არა ვარ ის ტიპი, ვისაც შეუძლია, ქმრის აქით-იქეთ ძრომიალისა თუ სიარულის ატანა. ჩემთვის ეს მტკივნეული იქნებოდა. ამიტომაც მივიღეთ სწორი გადაწყვეტილება და დავშორდით.

— შენი აზრით, როგორია იდეალური დედა?

— იდეალური დედა, დედაჩემია.

— ასე რატომ ფიქრობ?

— ჩემთვის იდეალურია: მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სრულყოფილი აღვზრდილიყავი და ჩამოვყალიბებულიყავი. ამისთვის ბევრი რამ მომცა...

— ერის გასამრავლებლად, ერთი შვილი რომ არ კმარა, მგონი, დამეთანხმები, არა?

— არ დამცალდა, თორემ, სიამოვნებით ორსაც და სამსაც გავაჩენდი.

— მიმაჩნია, რომ ქალმა შვილები უნდა გაზარდოს და არ უნდა იმუშაოს.

— ვერ დაგეთანხმები. ქალს საზოგადოებაში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. ეს მისი ოჯახისთვისაც კარგია.

— ბავშვი ძიძამ რატომ უნდა გაზარდოს, როცა მას დედა ჰყავს?

— თუ საშუალება არსებობს, რომ ბავშვს ძიძა ჰყავდეს, რატომაც არა?!. ასეთ დროს, პატარას სითბო სულაც არ აკლდება. რატომ მისვამ ასეთ შეკითხვას? ეჭვი გეპარება იმაში, რომ სამაგალითო დედა ვარ?!

— არა, შენ მარტოხელა დედა ხარ და უნდა იმუშაო. ისე, სასურველია, დედა შვილებს სახლში ჰყავდეთ!..

— შენ „ქართველის დედა“ გნდომებია და არა ხატია შამუგია. თუმცა, მაპატიე, მაგრამ ვერც ერთ იმ მანდილოსანს, რომელთანაც ჩემთან დაშორების შემდეგ დადიხარ, „ქართველის დედად“ ვერ აღვიქვამ.

— მათ შორის, ოდესმე ღირსეულს ამოვარჩევ.

— ღმერთმა ქნას, მაგრამ მგონია, რომ შენ ცოლი კი არა, მონა გჭირდება, ქალი

„ავტომატის“ ფუნქციით: შვილებს აჩენს, ზრდის და მორჩა!

— **ეს არის ქართველი დედა, ჩემო კარგო.**

— ეჭვი მაქვს, ჩვენს სინამდვილეში ასეთი დედა ბევრი იყოს.

— **არიან, უბრალოდ, შენ არ ტრიალებ ისეთ წრეში, სადაც ასეთები არიან.**

— ასეთი აზრები არასდროს გქონია, ეს რაღაც ახალია. ეტყობა, ახალ წელს ახალი იდეებითა და აზრებით ხვდები! გამიხარდება, თუ შენი მომავალი ცოლი, წინამორბედს ღირსეულად შეცვლის. უპირველესად, ჩემს შვილზე ვფიქრობ — მინდა, ნიკუშას მასთან ყოფნა და ურთიერთობა არ გაუჭირდეს. ცოტა კი გაგიჭირდება ჩემი ღირსეული შემცვლელის პოვნა, მაგრამ მაინც, ეცადე...

— **ჩემს დაოჯახებაზე სერიოზულად ფიქრობ...**

— მე რომ რამეს ვაპირებდე, აუცილებლად გეტყოდი. მიმაჩნია, რომ შენ ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი გიკავია. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის, ნიკუშას მამა ხარ. ლამაზი წლები მაკავშირებს შენთან, ამიტომ, ჩემი მომავალი გადაწყვეტილება, რომელიც ოჯახის შექმნას შეეხება, სხვისგან არ უნდა შეიტყო.

— **შენს ქორწილში დამპატიჟებ?**

— შენ ჩემს ქორწილში უნდა იმღერო და მომიძღვნა სიმღერა: „მე შენი სიყვარული მამღერებს“...

— **ალბათ, ჩემს ქორწილში წამყვანი იქნები, არა?**

— სიამოვნებით... ისე, მინდა, რომ შენი გაბედნიერების ამბავიც წინასწარ შევიტყო...

— **ჩემი კითხვები თითქმის ამოწურულია. რას უსურვებ შენს თაყვანისმცემლებს და ჟურნალ „გზის“ მკითხველებს?**

— თაყვანისმცემლებს ბედნიერებას და ჯანმრთელობას ვუსურვებ. ჟურნალ „გზის“ მკითხველს კი იმას, რომ ყოველ ხუთშაბათს სულმოუთქმელად ელოდნენ...

ჟურნალისტი – ხატია შამუგია
რესპონდენტი – გურამ ლომიძე

— **სანამ კითხვებს დაგისვამდე, მიპასუხე — ტუჩზე ვინ გიკბინა?**

— მოგეხსენება, რომ ხანდახან ჰერპესი გამომდის.

— **ეგ ჰერპესი კი არა, ნაკბენია. ასეთი ველური გოგოები გყავს, რომ ტუჩებს გაგლეჯენ, თუ რაშია საქმე?**

— *(იღიმება).*

— **ისე, არავის დასაგლეჯად არ მემეტები... მას მერე, რაც ერთად აღარ ვართ, შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა? როგორი იყო შენთვის ოჯახური თანაცხოვრება?**

— ოჯახური იდილია საუკეთესოა, მაგრამ ასეთ დროს, თავადაც კარგად და მშვიდად უნდა გრძნობდე თავს. ჩვენი თანაცხოვრების ბოლო პერიოდში, ასეთი ატმოსფერო აღარ სუფევდა. დაშორების შემდეგ, უფრო მშვიდად და თავისუფლად ვგრძნობ თავს, თუმცა, ვერ ვიტყვი, ყველაფერმა აფორიაქების გარეშე ჩაიარა-მეთქი. ფორიაქი ახლაც გრძელდება. ჩვენი დაშორების შემდეგ, შენ მეტს მიაღწიე, მე სტაბილურად, იმავე რიტმში მიწევს ცხოვრება.

— **„მოგებული“ ალბათ, ცუდი სიტყვაა მაშინ, როცა ოჯახი ინგრევა, მაგრამ ახლა უნდა ვიხმარო: ჩვენი გაყრის შემდეგ, მოგებული მე დავრჩი, რადგან ჩემს შვილთან ერთად მიწევს ყოფნა. შენ ცოტა შეზღუდული ხარ, რადგან სხვაგან ცხოვრობ. არ გიჭირს, ერთადერთი შვილის გარეშე ყოფნა?**

— როცა მენატრება და ვახერხებ, ვნახულობ. თუმცა, რასაკვირველია, მასთან ერთად ცხოვრება უკეთესი იქნებოდა...

— **ჩემთან დაცილების შემდეგ არაერთი პარტნიორი გამოიცვალე. როდესაც ვილაცასთან რომანს აბამ, თუ ცდილობ, მასა და ჩემს შორის რაღაც მსგავსება იპოვო? შედარებებს აკეთებ?**

— შენთან? რა სისულელეა!..

— **ანუ ჩემთან მოახლოებული ქალი ვერ იპოვე?..**

— რას ამბობ?! შენთან მოახლოებული რომ მინდოდეს, შენთან ვივლიდი.

— **არა, მე სულ სხვა რაღაცას ვგულისხმობ: კულტურას, ინტელექტს, პიროვნულ შტრიხებს.**

— ღირსეული რომ მეპოვა, გავჩერდებოდი და ძებნას არ გავაგრძელებდი.

— **ხომ არ ფიქრობ, რომ ოჯახისთვის დაბადებული მამაკაცი არ ხარ?**

— პირიქით.

— **არ ფიქრობ, რომ მაჩოს იმიჯი მოსაბეზრებელია?**

— დიდი ხანია, ეს იმიჯი მობეზრებული მაქვს, მაგრამ რა ვქნა?.. საერთოდ, ასეთი არ ვარ. უბრალოდ, ვიღაცებს ხელს აძლევდა, რომ ჩემთვის ასეთი იმიჯი მოერგოთ...

— **ანუ სუსტი სქესის წარმომადგენლებმა გამოგიყენეს? ჭკვიანი კაცი ქალს თავს არ გამოაყენებინებს.**

შენ ჩემს ქორწილში უნდა იმღერო და მომიძღვნა სიმღერა: „მე შენი სიყვარული მამღერებს“...

— ჰოდა, მეც ვიყენებ ხოლმე სიტუაციებს.

— **ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენი ოჯახის დანგრევაზე. ერთ-ერთ მიზეზად, მომღერალ გოგონას ასახელებდნენ**

— **თითქოს, მის გამო გავიყარეთ. ახლა მინდა გკითხო, იყო თუ არა ჩვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი ის ქალი, ვისზეც ხმები გავრცელდა?**

— ჩვენი დაცილების მიზეზი რეალურად, ის იყო, რომ ჩვენ ვეღარ ვეწყობოდით ერთმანეთს, ერთად ცხოვრება აღარ გვსურდა და საბაბად, რაღაც ჭორები იქცა.

— **ეი. ეს მხოლოდ ჭორები იყო?**

— დიახ.

— **ჩემზე ჭორის სახით, რა ინფორმაციები აღწევს ხოლმე შენამდე?**

— შენგან განსხვავებით, ისეთ საზოგადოებაში არ ვტრიალებ, სადაც ჭორები ვრცელდება. თან, ცნობისმოყვარეც არ ვარ...

— **გემოვნება დაგეხვეწა თუ ისევ ისეთი გაქვს?**

— მაგ კუთხით ცვლილება შეინიშნება, რადგან ასაკი მემატება და შესაბამისად, შეხედულებებიც მეცვლება.

— **მართალია, მამაკაცს რაც უფრო ემატება ასაკი, მეტ გამოცდილებას იძენს, ბევრ რამეს აქცევს ყურადღებას, იხვეწება, პარტნიორის მიმართაც განსხვავებული პრეტენზიები უჩნდება... შენ სულ პატარა გოგონებთან ერთად გხედავ. არ გბეზრდებიან ისინი?**

— ბოლოს, როდის დამინახე?

— **რა მნიშვნელობა აქვს?**

— რაც უფრო გემატება ასაკი, უფრო ახალგაზრდები მოგწონს...

— **მათთან საერთო ენის გამონახვა არ გიჭირს?**

— არა.

— **მგონი, დიქტატორი და ტირანი ხარ.**

— დიქტატორიც ხარ და ტირანიც!.. 26 წლის ქალს ვეღარ შეცვლი. 17 წლის გოგონას კი, შენს გემოზე აღზრდი. თუ ამას ვერ შეძლებ — გაუშვებ.

— **მაოცებს დამოკიდებულება**

— **გაუშვებ. ვატყობ, რომ ეს შენთვის უმტკივნეულოა...**

— ერთი ჭირს, თორემ მერე, „გრიალ-გრიალით“ მიდის... რატომღაც ჰგონიათ, რომ ბევრ ქალთან ურთიერთობა ადვილია. ასე არ არის. ჩემთვის ყოველი დაშორება იმ ადამიანთან, ვისთანაც დრო გამიტარებია, მძიმეა. მით უმეტეს, რომ ჩემთან ნახევარწლიანი ან ერთწლიანი ურთიერთობა აქვთ ხოლმე.

— **„ქუჩის ბიჭების“ წევრები ნელ-ნელა დაოჯახდნენ. შენ გქონდა ოჯახი და დაანგრიე...**

— მათგან განსხვავებით, თავისუფალი ვარ...

— **შენი დაოჯახებული მეგობრები ოჯახის წევრებისგან დიდად შებოჭილები არ არიან... ჰო, მართლა, რას შვრებიან „ქუჩის ბიჭები“? ხომ არ ფიქრობთ, რომ სახელი უნდა გადაირქვათ?**

— „ქუჩის კაცები“ გავხდეთ?.. მართალია, ყმაწვილები აღარ ვართ,

მაგრამ 30 წლამდე, ისევ ბიჭები ვართ...

— მოდი, მითხარი, რა მოგწონს ჩემში და რა — არა. დამახასიათე.

— მომწონს, რომ ხარ ჭკვიანი, მომხიბვლელი, სურნელოვანი, მოხერხებული, კომუნიკაბელური, მეგობრული. შენი უარყოფითი თვისებებია: სიჯიუტე, ამბიციურობა, არაპუნქტუალურობა.

— ფიქრობ, რომ ამბიციურობა უარყოფითი თვისებაა?

— ვისთვის როგორ. „რქიანიც“ ხარ. დიდხანს გეხვეწებოდი, რომ „რქები“ მოგეტეხა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— მოდი, მეც გეტყვი შენს ნაკლსა და ღირსებას: შენში მომწონს ის, რომ მშვიდი, გაწონასწორებული ხარ, იცი საიდუმლოს შენახვა, კიდევ — კეთილი და ხელგაშლილი, ასევე — სიმპათიურიც ხარ *(იცინის)*.

—„კომფორტული“ არა ვარ?

— კი, ხარ. იცი შენი საქმე, კარგად მღერი, მაგრამ საშინლად ჯიუტი ბრაძანდები. ჰოროსკოპით კურო ხარ და შენი ნიშნისთვის დამახასიათებელია გულში ბოღმის დაგროვება. ჯობია, წვრილმანებზე ირგვლივ მყოფებს შენიშვნები მისცე ხოლმე და დაიცლები. ხარ მერყევი, ადვილად ექცევი სხვათა გავლენის ქვეშ. რბილი ხარ, სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. ეს თვისება ბევრ რამეში ხელს გიშლის. იფიქრე ამაზე... კითხვები მეც ამომეწურა. აბა, კარგად! ■

შენი უარყოფითი თვისებებია: სიჯიუტე, ამბიციურობა, არაპუნქტუალურობა

საახალწლო სიურპრიზები „რუსთავი 2“-ისგან, ოცნებების ამსრულებელი „იმედის“ „კუკუჭკა“ და კარნავალი „ეზეზე“

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წელი მალე მოგვიკაკუნებს, ჯერ-ჯერობით, განსაკუთრებული სამზადისი მხოლოდ ქართულ ტელევიზიებში იგრძნობა.

რა თქმა უნდა, ამ სფეროში დიდი კონკურენციაა და ყოველი მათგანის ხელმძღვანელობა ცდილობს, საახალწლოდ მაყურებელს საუკეთესო გადაცემები შესთავაზოს. ამ სამზადისში მთელი სატელევიზიო კოლექტივი ერთვება და მიუხედავად უძილო ღამეებისა, ისინი დროს მაინც მხიარულად ატარებენ.

ნათია ქივიძე

საუბარს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საახალწლო გადაცემებით დავიწყებთ. როგორც იცით, ახალი წლის დღეებში გაირკვევა, თუ ვინ გახდებიან „ჯეოსტარი 2006“-ის და „ჯეობარი 3“-ის გამარჯვებულები. გასულ ორშაბათს, „ჯეოსტარის“ ერთ-ერთმა ჟიურის წევრმა, მარინა ბერიძემ აღნიშნა, რომ „ჯეოლიდერი“, ნანა ჩიქავაა და მას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. თუმცა, ვნახოთ, რა მოხდება — „ჯეოსტარის“ ფინალს „რუსთავი 2“-ის ეთერით მაყურებელი 30 დეკემბერს იხილავს... რაც შეეხება „ჯეობარს“, — აქ წინასწარი პროგნოზის გაკეთება კიდევ უფრო ძნელია, თუმცა, როგორც წესი, ალბათ, გამარჯვებულად გოგონას ვერ ვიხილავთ. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი მარხულიას ძალზე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვლასმაც არაერთხელ დაამტკიცა, რომ ისიც საკმაოდ მაღალრეიტინგულია. სექსუალური ბიჭები უფრო მოსწონთ ქართველ თინეიჯერებს თუ ინტელექტუალური? — ეს ყველაფერი 31 დეკემბერს, „ჯეობარის“ ფინალში გამოვლინდება.

ვიდრე ამ ორი კონკურსის გამარჯვებულებს ვიხილავდეთ, 29 დეკემბერს, გადაცემა „ფარული კამერა“ კიდევ ერთი კონკურსის — „მოყვარულის“ გამარჯვებულს დაასახელებს. მოგეხსენებათ, „ფარული კამერის“ ამ ერთ-ერთი რუბრიკის თანახმად, ვისაც კარგი სამოყვარულო კადრები ჰქონდა გადაღებული, მათთან გზავნიდა და ყოველ გადაცემაში, სამი კანდიდატიდან ერთ გამარჯვებულს ასახელებდნენ. ახლა კი, წლის საუკეთესო სამოყვარულო რგოლის ავტორი დასაჩუქრდება. 2007 წლის პირველი იანვრიდან, მაყურებელი წლის საუკეთესო „ფარული კამერის“ ჩანაწერებს განმეორებით იხილავს...

ალბათ, საზოგადოებისთვის არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორ მიულოცავს მათ ახალ წელს დათო გოგიჩაიშვილის გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ წინასაახალწლო კონცერტებით ისინი ახლა საკმაოდ დაკავებულები არიან, „ცოცხალი შოუც“, „ღამის შოუცა“ და „შაბათის შოუც“ მაყურებელს ბევრ ახალ და სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება... ყველას ახსოვს, გასული წლის საახალწლო გადაცემა, რომელიც რადიო „უცნობისა“ და „რუსთავი 2“-ის მიერ ერთობლივად განხორციელდა — მათ ცნობილი მომღერლებისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა დუეტები ჩაწერეს. ისიც გემახსოვრებათ, რომ ყველაზე პოპულარული — ნინა წკრიალაშვილისა და კობა ხაბაზის ნა-

მუშევარი — „მოგეფერო მინდა“ — გახდა. „უცნობი“ და „რუსთავი 2“ წელსაც მსგავს პროექტს გვიმზადებენ და ახალი წლის ღამეს, ბევრ პოპულარულ ადამიანს ვიხილავთ მომღერლის ამპლუაში...

საახალწლოდ, ტელეკომპანია „იმედი“ გასული წლის გადაცემას — „ექსპრესს“ განახლებული და გაუმჯობესებული ვარიანტით გვთავაზობს. თუ როგორ ემზადებიან ისინი საახალწლოდ და ვინ მიიწვიეს სტუმრად გადაცემის უფრო კარგად და ხარისხიანად მოსამზადებლად, — ამის შესახებ დამდგმელი რეჟისორი, ***გოგა ჭყონია*** *გვიამბობს:*

— გადავწყვიტეთ, საახალწლოდ ორი გადაცემის სინთეზი გაგვეკეთებინა. 31 დეკემბერს, 11 საათიდან, ეთერში გადაცემა „იმედის ტალღა“ გავა და იქ საბოლოო გამარჯვებული გამოვლინდება. 12 საათზე ახალი წელი დადგება და „ნუცას სკოლელები“ „მრავალჟამიერს“ შეგვისრულებენ. მერე კი, არხის ცენტრალური საახალწლო გადაცემა დაიწყება, რომლისთვისაც სპეციალურად მოვიწვიეთ სახელგანთქმული რეჟისორი, მსოფლიო ვარსკვლავი ევგენი გინზბურგი. გადაცემის ფორმატი ასეთია: „კუკუშკა“ მატარებელი ხომ გინახავთ? დაახლოებით ასეთი „იმედის ექსპრესი“ გვყავს, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით დადის და დაჰყავს „თოვლის ბაბუები“ (მათ როლებს ჩვენი არხის ცნობილი ტელეწამყვანები ასრულებენ), რომლებიც ხალხს იმ ოცნებას უსრულებენ, რომლებიც ჩვენს არხს წერილობით გაუზიარეს. ამ სიუჟეტებს მთელი ღამის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ ვუჩვენებთ მაყურებელს... გადაცემის წამყვანები — სალომე არშბა და ალეკო მახარობლიშვილი იქნებიან. რაც შეეხება „იმედის ტალღას“, — იქ ცნობილი მომღერლები: მერაბ სეფაშვილი, გიო ხუციშვილი, ლელა წურწუმია და ა.შ. მიიღებენ მონაწილეობას; გარდა ამისა, გადაცემაში „ნუცას სკოლელებიც“ იმღერებენ. განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ მომღერლებმა სპეციალურად ამ გადაცემისთვის, ახალი სიმღერები ჩაწერეს. თუმცა, ხომ იცით, ყველაფერი ახალი — დავიწყებული ძველია: ისინი ქართულ, რუსულ და უცხოურ ჰიტებს იმღერებენ. საბჭოთა კავშირის დროს, საახალწლო გადაცემების გადაღებისას, სტუდიაში დგამდნენ მაგიდებს, რომლებთანაც მოწვეული სტუმრები ისხდნენ. ასეთივე ფორმა ექნება ჩვენს გადაცემასაც, ოღონდ — უფრო გათანამედროვებული. სტუმრად მოვიწვევთ ადამიანებს, რომლებმაც წელს რაღაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს; ასევე, იმ ბიზნესმენებს, ე.წ. „თოვლის ბაბუებს“, რომლებიც ხალხს ნატვრას აუსრულებენ: ზოგ სტუდენტს სწავლის ფულს უხდიან, ზოგს — სამოგზაუროდ წმინდა მიწაზე უშვებენ და ა.შ. სტუდიაში არა მარტო „თოვლის ბაბუები“, არამედ, „თოვლის ბებიებიც“ იქნებიან: ხომ არსებობენ წარმატებული მანდილოსნებიც, რომლებიც ხალხის სურვილების ასრულებაზე ზრუნავენ!..

— რა არის თქვენი საახალწლო სურვილი?

— ცოცხლები ვიყოთ და კარგად ვიქნებით *(იცინის).*

დამდგმელი რეჟისორის შემდეგ, გადაცემის პროდიუსერს, ***მაია ყიფშიანსაც*** *შევხვდით და რამდენიმე კითხვით მასაც მივმართეთ.*

— ჩემთვის ახალი წელი უკვე იყო და მას შამპანურით სავსე ჭიქით ხელში, ფეიერვერკებითა და სურვილებით შევხვდი *(იცინის).* ისე კი, 31-ში ვმუშაობთ და ალბათ, ნამდვილ ახალ წელს ტელევიზიაში შევხვდები... რაც შეეხება საახალწლო გადაცემას, — ჩვენი არხი უკვე მეორე წელია, წარმატებულად ახორციელებს პროექტს — „იმედის ექსპრესი“. ახალ წლამდე თვენახევრით ადრე, ვიღებთ ადამიანების ნატვრებს და მაქსიმალურად ვცდილობთ, ავუსრულოთ ოცნებები. ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ბიზნესმენები თვითონ გვიკავშირდებოდნენ და გვეკითხებოდნენ: რა სურვილები მოგწერეს, ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლიაო? ყველა თავად იყო დაინტერესებული, რომ ხალხისთვის რაღაც სიკეთე გაეკეთებინა. მათ ჩვენგან დამოუკიდებლად გადაწყვიტეს, პროექტში მონაწილეობა. სულ 14 „თოვლის ბაბუა“ გვყავს. ერთ-ერთი მათგანი, ჟურნალისტი დაჩი გრძელიშვილი ავსტრიიდან გვესტუმრება. ერთმა იქაურმა ბიზნესმენმა 12 სურვილი უნდა აასრულოს და საახალწლოდ, მის საჩუქრებს დაჩი ჩამოგვიტანს.

— რომელი სურვილი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად, თავისი ორიგინალურობით?

— ერთმა გოგონამ (იმერეთიდან) კვიცი მოითხოვა. ჩვენ მას პატარა და ლამაზი კვიცი ჩავუყვანეთ...

„ფარული კამერა“ კიდევ ერთი კონკურსის — „მოყვარულის“ გამარჯვებულს დაასახელებს

მაყურებლისთვის საახალწლო განწყობილების შექმნაზე გადაცემა „ეტალონმაც“ იზრუნა და სამი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული გადაცემა ჩაწერა. ***თამაზ არეშიძე,*** *გადაცემის რეჟისორი:*

— პირველი საახალწლო „ეტალონი“ ეთერში 30 დეკემბერს გავა. მასში, ბავშვების ნაცვლად, „მის საქართველოები“ მონაწილეობენ. სტუდიაში სულ 10 ლამაზმანი იყო. სხვათა შორის, მათ ამ თამაშს საკმაოდ კარგად გაართვეს თავი. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერ გაგიმხელთ, ვინ გახდა გამარჯვებული... ახალი წლის ღამეს დაბადებულ პირველ ბავშვს, გადაცემაში გამარჯვებული ლამაზმანი დაასაჩუქრებს საკუთარი სახელობის სტიპენდიით, რომელსაც პატარა, მთელი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად მიიღებს. მეორე „ეტალონი“ ეთერში 2007 წლის 6 იანვარს გავა. ამ შემთხვევაში, მოთამაშეები საქართველოში აკრედიტებული, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები იქნებიან. გადაცემის გადაღების დროს, მათ მშვენივრად მოილხინეს, ბავშვებივით ითამაშეს. სულ 10 ქვეყნის დიპლომატი თამაშობდა. საპატიო სტუმარი კი, აზერბაიჯანის „თავისუფლების ინსტიტუტის“ დირექტორი გახლდათ. სხვათა შორის, ამ დღეს ტრადიცია დავარღვიეთ და გოჩა ტყეშელაშვილთან ერთად, გადაცემის წამყვანი ამერიკელი მსახიობი, ტაილერ ევანსიც გახლდათ. გოჩას ალბათ, მისი

გოჩას ალბათ, მისი ამერიკული სახელი არ მოეწონა და ქართულად მიმართავდა — ტარიელს ეძახდა

ამერიკული სახელი არ მოეწონა და ქართულად მიმართავდა — ტარიელს ეძახდა. ამ შემთხვევაში, გამარჯვებულის სახელობის სტიპენდია, შობის ღამეს დაბადებულ პირველ ბავშვს გადაეცემა. მესამე „ეტალონი“ ეთერში 13 იანვარს გავა. მასში ცნობილი ქართველი ექიმები მონაწილეობენ. ჯანდაცვის მინისტრს, ლადო ჭიპაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა, თავადაც მიეღო მონაწილეობა ამ გადაცემაში, მაგრამ სწორედ ჩაწერის დღეს, იგი პრეზიდენტთან ერთად, რაღაც საქმეზე გახლდათ წასული. ექიმებს შორის ყველაზე იღბლიანიც კეთილ საქმეს ჩაიდენს და საკუთარი სახელობის სტიპენდიას ძველით ახალი წლის ღამეს დაბადებულ პირველ ბავშვს გადასცემს... როგორც ცნობილია, სტიპენდიები ქალაქის მერმა, გიგი უგულავამ დააწესა, ხოლო ლადო ჭიპაშვილის დახმარებით შევიტყობთ, თუ ვინ დაიბადება პირველი ამ ღირსშესანიშნავ დღეებში. ყველა სტუმარი ღვინით სავსე თასით მიულოცავს მაყურებელს ახალ წელს და მათ ბედნიერებას უსურვებს. სხვათა შორის, საფრანგეთის ელჩმა სცადა, რომ მაყურებლისთვის ქართულ ენაზე მიელოცა ახალი წელი...

ტელეკომპანია „მზეში“ სტუმრობისას, ჩემდა გასაოცრად, შევიტყვე, რომ იქ ჯერჯერობით არც ერთი საახალწლო გადაცემა არ ჩაუწერიათ და ამ ყველაფერზე მუშაობას მხოლოდ ახლა იწყებენ... მოგეხსენებათ, სულ რამდენიმე თვეა, რაც ნიკა ქავთარაძემ და მისმა მეგობრებმა ამ არხზე გადაინაცვლეს. „მზის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საახალწლო გადაცემების მომზადება სწორედ მათ მიანდვეს.

ნიკა ქავთარაძე:

— „მზე“ მხოლოდ ორი თვეა, რაც განახლებული პროგრამით გავიდა ეთერში. აქედან გამომდინარე, ჩვენი საახალწლო გადაცემებიც მოკრძალებული იქნება. თუმცა, იქნება ძალიან მხიარული, ხალისიანი და მუსიკალურად დატვირთული... ჩვენი სერიალი — „გოგოები და ბიჭები“ — გამონაკლისის სახით, ეთერში შაბათ-კვირასაც გავა და მაყურებელს საახალწლო სერიებს შევთავაზებთ... „ტელევიზორი“ ეთერში გავა, როგორც 29 დეკემბერს, ასევე 31 დეკემბერსაც, თუმცა ამ შემთხვევაში, მე და პაატა გულიაშვილი („მზის დარტყმის“ წამყვანი) ჩვენი გადაცემების სინთეზს გავაკეთებთ და ამით შევკრავთ საახალწლო საღამოს, რომელიც ღამის 12-დან 2 საათამდე გავა ეთერში. სტუმრად ბევრ მომღერალს მოვიწვევთ და ისინი სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილ სიმღერებს შეასრულებენ. 8-დან 10 საათამდე, ჩვენი არხის საინფორმაციო გადაცემა უწყვეტ რეჟიმში იმუშავებს. ამავე დროს, ჩვენს ტელევიზიას ექნება კარნავალი, ჩვენივე ტელეკომპანიის ეზოში, სადაც მოვლენ სტუმრები, მოგვილოცავენ ახალ წელს და რაც მთავარია, გვეყოლება ცოცხალი ბენდი. საინფორმაციო გადაცემაში იქნება პირდაპირი ჩართვები კარნავალიდან. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ახალი წლის ღამეს, ჩვენ მიერ ქართულად გახმოვანებული, ჩვენებური ინტერპრეტაციით ნათარგმნი ფილმი — „მარტო სახლში“ გავა ეთერში. ეს იქნება პრეზენტაცია და ამის შემდეგ, ასეთ ფილმებს „მზე“ თვეში ორჯერ უჩვენებს.

— ვინ იქნება თქვენი თოვლის ბაბუა?

— ეგ ჯერ არ ვიცი. ისე კი, ალბათ, უფრო სანტა-კლაუსი გვეყოლება და არა თოვლის ბაბუა; ეს უფრო ევროპულია...

— დაბოლოს, შენი საახალწლო სურვილიც გაგვიმხილე...

— მინდა, რომ ყველა ჩემი მეგობრისა და ახლობლისთვის ღორის წელი პროდუქტიული იყოს და შესაბამისად, ბედნიერი ადამიანების წრეში ვტრიალებდე...

მოკლედ, დაველოდოთ ახალ წელს და თუ ამ დღეს მეგობრებთან ერთად არ აღნიშნავთ, ჩემი რჩევა იქნება, დაძინების ნაცვლად, ტელევიზორს მიუსხდეთ და ყველა არხის საახალწლო ეთერი „გადაათვალიეროთ“... მერე კი, ერთად შევაფასოთ, თუ რომელმა არხმა იმუშავა უფრო მეტი დატვირთვითა და ფანტაზიით...

■

უფრო სანტა-კლაუსი გვეყოლება და არა თოვლის ბაბუა

ვის ჩჩევებს ითვალისწინებს ჩატი სამყოჩაშვილი

„ქუჩის სოლის გავლა ჯრიმინალობას და ქურდობას არ ნიშნავს“...

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, დეპუტატი რატი სამყურაშვილი მიიჩნევს, რომ საკუთარი პერსონის ობიექტურად შეფასება მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. ამ ერთეულებს შორის საკუთარ თავსაც მოიაზრებს და ამბობს, რომ მისი ერთ-ერთი უარყოფითი თვისება, ფეთქებადი ხასიათია. „ემოციური ხასიათი პოლიტიკოსისთვის გამართლებული არაა, ამიტომ ვცდილობ, ეს თვისება დავძლიო. კმაყოფილი ვარ იმით, რომ მიზანმიმართული გახლავართ და დასახული მიზნის მისაღწევად, შრომაც შემიძლია“, — თქვა მან ჩვენთან საუბრისას.

ხათუნა ბახტურიძე

— პოლიტიკაში მოსვლა თქვენთვის თვითმიზანი იყო თუ უბრალო შემთხვევითობა?

— ახალგაზრდულ პოლიტიკაში ადრეული ასაკიდან ჩავერთე, შესაბამისად, გამოცდილებაც მაქვს. როდესაც ნაციონალური მოძრაობა შეიქმნა, მასში მაშინვე გავწევრდი იმიტომ, რომ ამ მოძრაობის კურსს და იდეოლოგიას ბოლომდე ვეთანხმებოდი.

— „პროფესიული არჩევანი“ დამოუკიდებლად გააკეთეთ?

— რა თქმა უნდა. თუმცა, ჩემს აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაზე მშობლებთან ერთად, ბებიამ და ბაბუამაც იზრუნეს.

— პარლამენტში მწვავე განცხადებებს ძალიან ხშირად აკეთებთ. ამის შედეგად, ოპოზიციონერებთან ურთიერთობების დალაგება არ გიჭირთ?

— ზოგიერთ ოპოზიციონერთან ურთიერთობის დალაგებას დაულაგებლობა სჯობია. დიდი სურვილიც არა მაქვს, ყველა ადამიანთან ვიმეგობრო. მწვავე განცხადებების გაკეთება ჩემთვის თვითმიზანი არ არის, ეს ძირითადად, გარემოებებზეა დამოკიდებული.

— ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ თქვენ სხვის ინიციატივებს ახმოვანებთ...

— ვისაც როგორც უნდა, ისე იფიქროს, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ამას იმიტომ



ეკას პროფესიიდან გამომდინარე (ის ჟურნალისტია), მის რჩევებს ყურადღებით ვისმენ

ამბობენ, რომ მე კონკრეტულ პოლიტიკურ კურსს წარმოვადგენ და შესაბამისად, ჩემი განცხადებები ამ გუნდის შეხედულებებს ემთხვევა.

— პოლიტიკური ოპონირების დროს ლანძღვა-გინებას მართებულად მიიჩნევთ?

— ლანძღვა, როგორც ურთიერთობის ფორმა, მიუღებელია.

— წონასწორობიდან რას გამოჰყავხართ ხოლმე?

— უმადურობას და სიყალბეს.

— თქვენი გუნდის წარმომადგენლებს არასოდეს დაჰპირისპირებიხართ?

— ჩვენი გუნდის ძლიერება სწორედ იმაშია, რომ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, ყოველთვის ერთიანნი ვართ, წვრილმანი საკითხების გამო კი, დაპირისპირება არ ღირს.

— მეგობრებთან, კოლეგებისგან განსხვავებული ურთიერთობა გაქვთ?

— პოლიტიკურ ასპარეზზე ზედმეტად მკაცრი ვჩანვარ, სამეგობროში კი, ეს არ მჭირდება.

— როგორია თქვენი აპოლიტიკური ცხოვრება?

— მინდა, სპორტით ვიყო დაკავებული, თუმცა ამას ვერ ვახერხებ... დროდადრო ვცდილობ, ვნახო სპექტაკლი, მხატრული ფილმი, წავიკითხო მხატრული ლიტერატურა.

— ამჟამად, რას კითხულობთ?

— ბოლოს მაქს ფრიშის ერთ-ერთი ნაწარმოები წავიკითხე. ამჟამად, ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს და საშუალება არ მეძლევა, სხვა რამეებზე გადავერთო.

— ოჯახი სულ ახლახან შექმენით. როგორ გრძნობთ თავს მეუღლის ამპლუაში?

— ეს არის ურთიერთობა, სადაც მეუღლის აზრი უნდა გაითვალისწინო და მის მიმართ განსაკუთრებული თანაგრძნობა გამოხატო. ვცდილობ, მხარი დავუჭირო ყველა საკითხში და ეს წარმატებით გამომდის.

— ჩაცმულობაზე დამოუკიდებლად ზრუნავთ თუ მეუღლის აზრსაც ითვალისწინებთ?

— ჩემს ჩაცმულობაზე თავად ვზრუნავ, თუმცა მეუღლეს უფლება აქვს, გარკვეული კორექტივები შეიტანოს მასში. ეკას მიაჩნია, რომ შავ ფერს ზედმეტად ვიყენებ და ამ ფაქტს სერიოზულად აპროტესტებს.

— მისმა პროტესტმა შედეგი თუ გამოიღო?

— თავადაც ხედავთ, რომ ჩემს ჩაცმულობაში ისევ შავი ფერი დომინირებს. რომ ვთქვა, მეუღლის რჩევას ყოველთვის ვითვალისწინებ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, თუმცა, ვცდილობ.

— თქვენი მეუღლის აზრს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს თუ ითვალისწინებთ?

— ეკას პროფესიიდან გამომდინარე (ის ჟურნალისტია), მის რჩევებს ყურადღებით ვისმენ. პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას, ძირითადად, თანხვედრა გვაქვს.

— ობიექტურობის შენარჩუნებას რამდენად ახერხებს?

— სხვათა შორის, განსაკუთრებული თვისება აქვს — ჩემი პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, მას შეუძლია, ობიექტური იყოს.

— თქვენთვის ქართული ტრადიციები რამდენად მნიშვნელოვანია?

— ჩემთვის ფასეულია ის ტრადიციები, რაც ქართველებს გვაქვს და სხვებისგან განგვასხვავებს, მაგრამ შეიძლება, იყოს ისეთი რაღაცეები, რისი გადახედვაც საჭიროა. ჩვენ ფეხი უნდა ავუწყოთ იმ რიტმს, რომელსაც დღევანდელი ცხოვრება გვთავაზობს.

— ეკლესიური თუ ხართ?

— შეძლებისდაგვარად, კი. მარხვა არასოდეს შემინახავს, მაგრამ ვცდილობ, ასეთ დღეებში განსაკუთრებული აქტიურობა არ გამოვიჩინო იმ კერძების მიმართ, რომელთა მიღებაც დაუშვებელია. რელიგიურ დღესასწაულებზე ეკლესიაში შესვლას და სანთლის დანთებას ყოველთვის ვახერხებ.

— როგორც პოლიტიკოსს, ტყუილის თქმა ხშირად გიწევთ?

— საკმაოდ გავრცელებული მოსაზრებაა, რომ პოლიტიკოსები ხშირად იტყუებიან, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამას ანაქრონიზმული ბუნება აქვს და გადმონაშთს წარმოადგენს. პოლიტიკოსის სიძლიერე მის გაქნილობაში კი არა, მოქნილობაშია. ტყუილი არ გახლავთ ის იარაღი, რომელიც პოლიტიკოსმა თავის საქმიანობაში უნდა გამოიყენოს.

— ძველი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი „ქუჩის სკოლის“ გავლით ამაყობდა, ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლება კი, კრიმინალებს შეურიგებელ ომს უცხადებს. ამ საკითხთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— ნებისმიერი კრიმინალის მიმართ შეურიგებელი ვარ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ქუჩის სკოლა“ არ გამივლია. მინდა გითხრათ, რომ ეს კრიმინალობას და ქურდობას არ ნიშნავს. ხშირად, ქუჩაში ადამიანები ერთმანეთს საინტერესო შეხედულებებს უზიარებდნენ და ეს სულაც არ იყო ნეგატიური ელემენტი.

— საქმეების გარჩევაშიც მიგიღიათ მონაწილეობა?

— რა თქმა უნდა, მიმიღია. თუმცა, კრიმინალურ გარჩევას არ ვგულისხმობ.

— საქმეების გარჩევის დროს თუ გაულახიხართ?

— ადრეულ ასაკში ასეთ რაღაცეებს ჩხუბიც ახლდა თან და ამისგან დაზღვეული არავინ იყო.

— იარაღი გიყვართ?

— მიყვარს, მაგრამ არ მაქვს. უპირატესობას „ჰეკლერ კოხსა“ და „ბერეტას“ ვანიჭებ.

— ავტომობილებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

— გერმანული წარმოების მანქანები მიყვარს. განსაკუთრებით, „აუდისა“ და „მერსედესის“ მანქანები.

— საავარიო სიტუაციაში თუ მოხვედრილხართ?

— კი, მაგრამ გადავრჩენილვარ.

— ალკოჰოლური სასმელი გიყვართ?

— ალკოჰოლურ სასმელს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ვსვამ. მიყვარს ლუდი, ღვინო და კონიაკი. მხოლოდ ხარისხიან სასმელს ვსვამ.

— კოლექციონერი ხომ არა ხართ?

— ვიყავი. სუნამოების კოლექცია მქონდა — მათ ბოლომდე არ ვცლიდი და ვინახავდი. დიდი კოლექცია მქონდა.

— ახლა რომელი სუნამო მოგწონთ?

— სუნამო დღემდე, ჩემი სუსტი წერტილია. ჩემი საყვარელი სუნამოების რიგს მიეკუთვნება კლასიკური, ძველი გამოშვების „დოლჩე და გაბანა“, „ისემიაკი“ და არმანის „ჯიო“. ესენი ყოველთვის მაქვს, სხვა ახალ სუნამოებთან ერთად. ამწუთას მაქვს დავიდოვის „გეიმი“ და კელვინ კლაინის ახალი სუნამო.

— საკუთარი თავის მოვლა დამოუკიდებლად თუ შეგიძლიათ?

— გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო — ამ პრინციპით შევძლებ, მაგრამ ძირითადად, არ მიწევს. ადრე — დედაზე, ახლა კი, მეუღლეზე ვარ დამოკიდებული. ■

ადრე — დედაზე, ახლა კი, მეუღლეზე ვარ დამოკიდებული

„...უთხრა – ყელს გამოგჭრიო!.. სიგარეტს სხეულის შიშველ ადგილებზე ვაღებდით და ვწვავდით"

მრავალჯერ ნასამართლევმა კრიმინალმა მკვლელობის შემზარავი დეტალებით სავსე ჩვენება დაწერა

ბოლო წლებში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საშიში და სისხლიანი კრიმინალური ბანდა, მრავალჯერ ნასამართლევ ყაჩაღთა 7-კაციანი დაჯგუფება სასამართლოს წინაშე უმძიმესი მუხლებით წარდგა: ანგარებითა და სხვისი მოძრავი თუ უძრავი ქონების მისაკუთრების მიზნით ჩადენილი, არაერთგზის ყაჩაღობის, მოქალაქეებსა თუ ორგანიზაციებზე თავდასხმისა და ძარცვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გადაზიდვის, ასევე, ქურდობის გარდა, საშიშ ბოროტმოქმედთა ბანდის წევრებს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობაშიც დაედოთ ბრალი.

_ მეგი ცანავა

30-35 წლის განსასჯელებმა სასამართლოს წინაშე წარდგენილი ბრალდებები სრულად უარყვეს, თუმცა მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას თითოეულმა მათგანმა საკმაოდ დეტალური და თანაც, დამაჯერებელი აღიარებითი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს. ბანდის ლიდერმა — ჩხეტიანმა (გვარები შეცვლილია) სასამართლო პროცესზე, არც ჩადენილ სასტიკ მკვლელობაში ცნო თავი დამნაშავედ. მკვლელობის საზარელ დეტალებს კი, ყველაზე დაწვრილებით, სწორედ მის პირველ, აღიარებით ჩვენებაში ვკითხულობთ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, როცა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ბანდის ლიდერი — ჩხეტიანი რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში დაბრუნდა. ოფიციალური ცნობების თანახმად, რუსეთში ის ყაჩაღური თავდასხმის, სხეულის განზრახ, მძიმე დაზიანებისა და ხულიგნობისთვის იხდიდა სასჯელს. აღნიშნული დანაშაულები, განაჩენის მიხედვით, მან როსტოვში ჩაიდინა, სადაც იმ პერიოდში ცხოვრობდა. სასჯელის მოხდისგან რომ გათავისუფლდა, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. სენაკის რაიონში თავის ძველ მეგობარს — მურთაზ გამახარიას შეხვდა და აუხსნა, რომ რუსეთიდან ჩამოტანილი თანხა მთლიანად დაეხარჯა, ფული კი ძალიან სჭირდებოდა. გამახარია ძველ მეგობარს დაჰპირდა, რომ რამეს მოიფიქრებდა და მას ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა. გამახარიამ საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ „საჭირო ხალხს" დაუკავშირდებოდა. დაახლოებით ერთ კვირაში ასეც მოხდა. გამახარია უკვე თბილისში მყოფ ჩხეტიანს ტელეფონით დაუკავშირდა და აცნობა, რომ „საქმე" გამოჩნდა, რის გამოც მასთან შეხვედრა და დალაპარაკება სურდა. შეხვედრისას მეგობრებმა მოილაპარაკეს და პირველ რიგში, თავიანთ ნაცნობთან — კახა იაშვილთან დაკონტაქტება და მისი „საქმეში" ჩართვა გადაწყვიტეს, რადგან იცოდნენ, რომ იაშვილი ე.წ. შავი სამყაროს ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან ახლობლობდა და მათ განზრახვის განხორციელებასა და ცეცხლსასროლი იარაღით მომარაგებაში დაეხმარებოდა. იაშვილს სთხოვეს, მოეძებნა ისეთი სანდო პირები, რომლებიც მათთან ერთად, ყაჩაღურ თავდასხმებში მიიღებდნენ მონაწილეობას. სწორედ ასე შეუერთდნენ აღნიშნულ კრიმინალურ დაჯგუფებას კარლო კარტოზია, მერაბ ძოწენიძე და პაატა მინდაძე. როგორც საქმის მასალებში წერია, ბანდის ორგანიზებასა და დანაშაულებრივი გეგმების შემუშავებას ჩხეტიანი თავად ჩაუდგა სათავეში. ბანდაში მას ყველაზე გამოცდილად მიიჩნევდნენ...

პირველი იერიში ბოროტმოქმედებმა მონიავების ოჯახზე მიიტანეს. გამახარიას ინფორმაციით, ოჯახის ყველა წევრი ვაჭრობას მისდევდა და ისინი ყოველ ორშაბათს თბილისში, ლილოს ბაზრობაზე მიდიოდნენ, სახლში კი, მხოლოდ 80 წელს მიღწეული მოხუცი — კონსტანტინე მონიავა რჩებოდა. ამავე ინფორმაციით, ოჯახში იმ დროისთვის სოლიდური თანხაც — დაახლოებით 20 ათასი დოლარი უნდა ყოფილიყო შენახული, ასევე — ძვირფასეულობა და ძვირად ღირებული საოჯახო ტექნიკა თუ ნივთები. გამახარიამ ბანდის წევრებს წინასწარ უჩვენა მონიავების სახლი. შორიახლოს მყოფებმა, კარგად დაათვალიერეს აღნიშნული ტერიტორია, შეისწავლეს ეზოც და გეგმის შედგენასაც შეუდგნენ. შეთანხმდნენ, რომ თავდასხმა აუცილებლად ორშაბათს, ღამით უნდა განხორციელებინათ — მაშინ, როცა დარწმუნებული იქნებოდნენ, რომ სახლში, მოხუცის გარდა, მართლაც, არავინ იქნებოდა.

ღამის პირველი საათისთვის, ბოროტმოქმედები გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. შეიარაღდნენ ცეცხლსასროლი იარაღით — „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატებით, რევოლვერებით და „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტებით. საქმის მასალების მიხედვით, კარტოზიას ასაფეთქებელი ნივთიერება — ხელყუმბარაც ჰქონდა. გარდა ამისა, ბანდის წევრებმა წინასწარ მოიმარაგეს: სკოჩი, ბაწარი, ნიღბები, ფარნები და დანები. სწორედ ამ დროიდან ჩაერთო საქმეში ახალი თანამონაწილეც — კობა ნიჟარაძე. საქმის მასალების მიხედვით, საყაჩაღოდ მომზადებული ბოროტმოქმედები განზრახვის განსახორციელებლად, ნიჟარაძის კუთვნილი „ჟიგულის" მარკის ავტომანქანით წავიდნენ. მანქანას თავად ნიჟარაძე მართავდა. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ბანდის წევრებმა მას წინასწარ, დაუფარავად უთხრეს, თუ სად და რისთვის მიდიოდნენ.

დანიშნულების ადგილზე რომ მივიდნენ, მძღოლი მანქანაში დარჩა, დანარჩენები კი გადავიდნენ და შეიარაღებულები, მონიავების სახლის ეზოში შეცვივდნენ. თავად ბრალდებულთა ჩვენებების მიხედვით, თავდაპირველად ისინი ბეტონის მესერზე გადაძვრნენ და ჯერ ბაღის ნაკვეთში, იქიდან კი — ეზოში შეაღწიეს. წინასწარ განაწილებული როლების თანახმად, კარტოზია და მინდაძე იქვე, ეზოში დარჩნენ, დანარჩენები სახლში შეევიდნენ. იქ ბოროტმოქმედებს სიურპრიზი ელოდათ: 80 წლის მოხუცის, კონსტანტინე მონიავას ნაცვლად, შინ მისი ვაჟი — ტარიელ მონიავა დახვდათ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, წინა დღეებში მამამისი, ზუგდიდში მცხოვრებ მეორე შვილთან — უფროს ქალიშვილთან გაემგზავრა სტუმრად და სახლში, მის ნაცვლად, ტარიელი დარჩა. დაზარალებულის ნათესავების ჩვენებების მიხედვით, მან დარჩენა იმის გამოც გადაწყვიტა, რომ ბოლო დროს შეუძლოდ გრძნობდა თავს, იმ საღამოს კი, ძალიან ცუდად გახდა და ბაზრობაზე წასვლა ვეღარ შეძლო.

იმ მომენტში, როცა იარაღმომარჯვებული ყაჩაღები სახლში შეცვივდნენ, მონიავას ეძინა. ბოროტმოქმედები მას საძინებელ ოთახში, საწოლში დაადგნენ თავზე და ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. მოულოდნელობისგან ელდანაკრავი მონიავა საწოლიდან წამოვარდა, მაგრამ მას წინააღმდეგობის გაწევის საშუალება ამდენმა შეიარაღებულმა ყაჩაღმა, რა თქმა უნდა, არ მისცა. მისგან ფულისა და ძვირფასეულობის გადაცემაზე უარი რომ მიიღეს, მისი წამება და სასურველი მიზნის ამ გზით მიღწევა გადაწყვიტეს.

ჩხეტიანის აღიარებითი ჩვენებიდან:

„...მიზნისთვის რომ მიგვეღწია, დაზარალებულისთვის განსაკუთრებული ტკივილისა და ტანჯვა-წამების მიყენება დავიწყეთ. ის ჯერ იატაკზე დავაგდეთ და ხელები ზურგს უკან ბაწრით შევუკარით, მერე ფეხებიც გავუკოჭეთ. ამის შემდეგ, მე და გამახარიამ წიხლების რტყმა დაეუწყეთ გვერდებში. თან ვუმეორებდით — ეთქვა, თუ სად ინახავდა 20 ათას დოლარს. ტკივილისგან ყვიროდა და იმეორებდა, რომ ასეთი თანხა მას არ გააჩნდა. მისი ყვირილის ხმა რომ ჩაგვეხშო, ძოწენიძეს ვუთხარით, მისთვის პირი აეკრა. ძოწენიძემ სკოჩი გადააკრა... ვითხოვდით, მიეთითებინა ის ადგილი, სადაც ფულს ინახავდა, მაგრამ დაზარალებული მაინც უარის ნიშნად აქნევდა თავს. მაშინ, ანთებული სიგარეტი მივუტანეთ ცხვირწინ და დავემუქრეთ, რომ ვაწამებდით. მაინც რომ არ დაგვემორჩილა, სიგარეტს სხეულის შიშველ ადგილებზე ვადებდით და ვწვავდით, ხან — მე, ხან — გამახარია. ამის შემდეგ, მისი დანით დაშინება გადავწყვიტეთ.

გამახარიამ უთხრა — ყელს გამოგჭრიო!

— მაგრამ ის არაფერს პასუხობდა, არც ფულის ადგილმდებარეობა მიგვითითა. მაშინ, დანით დავუსერეთ სხეულის სხვადასხვა ადგილი. მე რამდენჯერმე რევოლვერის ტარიც ჩავარტყი თავში ძლიერად. მთლიანად დასისხლიანდა და ეტყობოდა, რომ ძლიერ ტკივილს განიცდიდა. ავუხსენით, რომ აღარ გავაწვალებდით, თუკი უხმოდ დაგვემორჩილებოდა და ფულს და ძვირფასეულობას გადმოგვცემდა. ამასობაში, ძოწენიძე ოთახებში ნივთებს აგროვებდა...“

სასტიკად ნაწამები, უკვე გონების დაკარგვამდე ნაცემი მონიავა, მტანჯველ ტკივილს რომ ვეღარ უძლებდა, იძულებული გახდა, გამხეცებულ კრიმინალებს დანებებოდა. მათ კარადაში შენახულ თეთრეულზე მიანიშნა, რომელშიც დაგროვილ თანხას ინახავდა. ბოროტმოქმედებმა ძვირფასეულობასაც მიაგნეს და სხვა საოჯახო ნივთებსაც მოუყარეს თავი. მიუხედავად ამისა, უსისხლოდ და უმსხვერპლოდ იქაურობის დატოვება მაინც ვერ გადაწყვიტეს. კრიმინალებმა არაადამიანური სისასტიკე გამოიჩინეს: ისედაც ნაცემ და დაუძლურებულ, იატაკზე დაგდებულ, ხელფეხშეკრულ მონიავას ფეხებითა და ხელებით ურტყეს. მთლად დასისხლიანებულს, ცოცხალ-მკვდარს, მუცლისა და გულმკერდის არეში დანით მიაყენეს ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები. იმის გამო, რომ პირი აკრული ჰქონდა, მონიავა საშველად ვერავის უხმობდა, გაკოჭილს, არც წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, თუმცა, საშინლად ნაწამებს, ამის უნარი აღარც შესწევდა. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაზარალებულის წამება დამნაშავეთა გეგმის ნაწილს შეადგენდა და მკვლელობის ჩადენა მათ ჯერ კიდევ სახლში შესვლამდე ჰქონდათ გადაწყვეტილი.

59 წლის მონიავას მათ ცემაში ამოხადეს სული. როცა დარწმუნდნენ, რომ ის აღარ სუნთქავდა, სახლის ჩხრეკას ყველანი ერთად შეუდგნენ. ფულის, ძვირფასეულობისა და იმ ნივთების გარდა, რომლებიც მანამდე ჰქონდათ მოგროვილი, დამატებით სხვა, ძვირად ღირებული საგნების ძებნა დაიწყეს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ყაჩაღებმა სახლიდან ძვირფასი ტანსაცმელიც წაიღეს — ნატურალური ბეწვის ქურქები და ტყავის ფეხსაცმელი. ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჩხეტიანმა იქვე მოირგო, შემდეგ, მიცვალებულს დახედა და თანამზრახველებს მისთვის ოქროს კბილების დაძრობის იდეა გაუზიარა. გარდაცვლილს კბილის პროთეზი მართლაც, ამოაძვრეს. სახლიდან ნივთები გაზიდეს, ყველაფერი ნიჟარაძის ავტომანქანაში მოათავსეს და შემთხვევის ადგილი დატოვეს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდაცვლილის სხეულზე მრავალი, მძიმე ხარისხის დაზიანება დაფიქსირდა. ექსპერტების თქმით, მონიავას სისხლჩაქცევები ორივე თვალბუდის არეში, სისხლნაღენთები და ჭრილობები კი — მთელ სხეულზე, მათ შორის, თავის არეშიც ეტყობოდა. დასკვნის მიხედვით, დაზიანებები მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის მრავალჯერადი მოქმედებით. სიკვდილის უშუალო მიზეზი — თავის ტვინის რბილ გარსებში განვითარებული სისხლჩაქცევა გახდა.

გატაცებული ქურქები ჩხეტიანმა მიითვისა, დანარჩენი ნივთები — გამახარიამ და ძოწენიძემ გაინაწილეს. ოქროს კბილები გადაადნეს და მისგან ჩხეტიანმა თავისთვის ოქროს ბეჭედი დაამზადებინა. რაც შეეხება კარტოზიასა და მინდაძეს, — მათ ყაჩაღობის შედეგად მოგროვილი ნადავლიდან, მხოლოდ მცირედი თანხა ხვდათ წილად. ამით უკმაყოფილოებმა და განაწყენებულებმა, თანამონაწილეებთან, მათ შორის — ჩხეტიანისა და გამახარიასთან შეხვედრა და საქმის გარჩევა მოითხოვეს. საქმეში არსებული ჩვენებების მიხედვით, უკმაყოფილო თანამონაწილეები გამახარიამ ასე დააწყნარა — ჯერ „ტრუპი“ გვაწევს კისერზე, ცოტა ხანი გვაცადეთ და გაგისწორდებითო.

გამოძიების მასალების მიხედვით, ამ დანაშაულის შემდეგ, ბანდის წევრები სხვადასხვა სოფელს აფარებდნენ თავს. მაგრამ, როგორც ჩანს, მიმალვაში ყოფნას მათთვის სხვა დანაშაულების — ყაჩაღური თავდასხმების განხორციელებაში ხელი არ შეუშლია. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მონიავების ოჯახში ჩადენილი შემზარავი მკვლელობის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა ზედიზედ 6 დანაშაული ჩაიდინეს, მათ შორის — ავტომანქანის ძარცვა და ქურდობა.

სასამართლო პროცესზე განსასჯელები ყველაფერს უარყოფდნენ და თავს უდანაშაულოებად აცხადებდნენ. მათი თქმით, დანაშაულებში მათ არათუ მონაწილეობა არ მიუღიათ, არამედ ამ ფაქტების შესახებ საერთოდ, დაკავების შემდეგ გაიგონეს პირველად. რაც შეეხება აღიარებით ჩვენებებს, რომელიც გამოძიებას თითოეულმა მათგანმა მისცა, — სამართალდამცველების მუქარითა და უკანონო ზემოქმედებით ახსნეს.

სხდომაზე დაიკითხა ნიჟარაძეც, რომელმაც თქვა, რომ ბოროტმოქმედთა მიერ დაგეგმილი დანაშაულის შესახებ არაფერი იცოდა. თუმცა, დაადასტურა, რომ შემთხვევის დღეს, საღამოს, დაახლოებით 11 საათისთვის, მართლაც შეხვდა გამახარიას და მასთან ერთად მყოფ მეორე პიროვნებას — ჩხეტიანს, რომელსაც ის, როგორც თავად ამბობს, მანამდე არ იცნობდა. *„გამახარიას მანქანა ჰყავდა გაფუჭებული. მითხრა — ხელოსანთან მივდივარ სახლში, უნდა მოველაპარაკოო, — და რახან მეც იქითკენ მივდიოდი, წაყვანა მთხოვა. მას თან ახლდა მეორეც. სახლში, რომელთან ახლოსაც გამაჩერებინეს, ორივენი ერთად შევიდნენ. მე იქიდან წავედი, მათ აღარ დავლოდებივარ“,* — აღნიშნა ნიჟარაძემ. ბოროტმოქმედებთან სხვა შეხვედრის თაობაზე მას არაფერი უთქვამს.

დაზარალებულმა მხარემ განსასჯელების უმკაცრესად დასჯა მოითხოვა. მოკლულის ნათესავების თქმით, ოჯახში დატრიალებულმა უბედურებამ მათ მოუშუშებელი სულიერი ტრავმა მიაყენა და ამ საშინელების დავიწყებას ისინი ვერასდროს შეძლებენ. ოჯახის წევრების თქმით, მათი ბევრს შურდა და მათ ქონებაზე, სრულიად უსაფუძვლოდ, გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ. თუ ვინ გასცა ინფორმაცია მათზე და ვინ გაწირა ისინი, ზუსტად არ იციან. ეჭვი ერთ-ერთ ახლობელზე აქვთ, მაგრამ ხელს მას, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ადებენ.

სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელები და მათი დამცველები ბრალის უარყოფას ყველანაირად შეეცადნენ, ბრალდების მხარის პოზიცია გაიზიარა და შვიდივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო. ყაჩაღთა ლიდერს, რომელიც გისოსებს მიღმა უკვე მეოთხედ აღმოჩნდა, სასჯელის ვადის შეკრების შედეგად, 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, პირველი 10 წლის, საყრობილის რეჟიმში მოხდით. ასევე მკაცრად დაისაჯა გამახარია, რომელსაც 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ყველაზე მსუბუქი სასჯელი ნიჟარაძეს ერგო: დანაშაულის დაფარვის გამო, მას 2 წელი და 6 თვე მიუსაჯეს. დანარჩენ განსასჯელებს კი, ჩადენილი არაერთი ქურდობისა და ყაჩაღობისთვის, 12 და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს — მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

მოკლულის მშობლები პატრულის მკაცრად დასჯას მოითხოვენ

19 წლის ვალერი ფხაკაძის მკვლელობისთვის დაკავებულ პატრულს სამართალდამცველებმა ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში წაუყენეს. სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლი 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამით უკმაყოფილო დაზარალებულის მხარე პროტესტს გამოთქვამს და ბრალდებულისთვის განზრახ მკვლელობის მუხლის წაყენებას მოითხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოკლულის ოჯახის წევრებთან შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციის — „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებიც აპირებენ. არ არის გამორიცხული, რომ ქუთაისში, სადაც დანაშაული მოხდა, მათ საპროტესტო აქციაც გამართონ. როგორც ცნობილია, მკვლელობა 7 დეკემბერს, გამთენიისას მოხდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ვალერი ფხაკაძე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა. მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში წაიყვანეს. ექიმების მცდელობის მიუხედავად, ვალერი ფხაკაძე შემთხვევიდან მეხუთე დღეს გარდაიცვალა.

„ნატალი და ზურა თქვენ უნდა გაამაგიჟოთ?“

რამდენიმე დღის წინ, ერთმა ქალბატონმა დამირეკა და დამადანაშაულა იმაში, რომ თურმე მე ახალგაზრდებს ცუდი საქციელისკენ ვუბიძგებ და ნატალისა და ზურას ამბავზე ნეგატიურ გამოხმაურებებს არ ვბეჭდავ. თუ „გზის“ წინა ნომრებს გადაავლებთ თვალს, მიხვდებით, რომ მისი ბრალდება აბსოლუტურად უსაფუძვლოა და მე თანაბრად გაცნობთ, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მესიჯებს. ქალი, რომელიც საყვარლის გაჩენაზე ფიქრობს, უკვე სრულწლოვანია და მას აქვს უფლება, აირჩიოს ცხოვრების წესი. ჩემი კარნახით კი, ალბათ, ვერაფერს მივაღწევ. აგერ — ამბავი, აგერ — თქვენი გამოხმაურებები და დასკვნები თავად გამოიტანონ ზრდასრულმა ადამიანებმა. თუ ნატალისა და ზურას ამბის შეწყვეტით, საქართველოში საყვარლობის „ინსტიტუტს“ მოვსპობთ და ცოლიანი მამაკაცები ოჯახის ერთგულები დარჩებიან, მზად ვარ, დღესვე გავითვალისწინო თქვენი თხოვნა, მაგრამ თქვენც იცით და მეც, რომ ნატალისა და ზურას ამბავი მხოლოდ 4 თვეა, რაც იბეჭდება, ხოლო საყვარლობის „ინსტიტუტი“ და ღალატი, სამყაროსავით ძველი მოვლენაა...

მარი ჯაფარიძე

„ნატალი, ბაჩომ რომ დაგირეკა და მაშინ რომ ჩავისუნთქე, მომდევნო ხუთშაბათს ძლივს ამოვისუნთქე... მინდა, რომ მსოფლიოში უბედნიერესი წყვილი იყოთ. მზია“.

„ზურაააა! სად ნახე ეგ „დიშოვკა“ ქალი, ჰა�ა?.. გაუფრთხილიდი ნატალის, გული არ ატკინო. ორივენი ძალიან მიყვარხართ“.

„ნატალი, ვინც ნამდვილი სიყვარულის ფასი არ იცის, ის შენს მდგომარეობას ვერაფრით გაიგებს. ზურა, ნატალი ბედნიერებას იმსახურებს. გაუფრთხილდი მას. ხათო“.

„ნატ, არ ვიცი, როგორ წარიმართება შენი ცხოვრება და არც წინასწარმეტყველებას დავიწყებ. იქნებ, გაგიმართლოს კიდეც და დაქორწინდეთ, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ამ ბედნიერი წუთებისთვის მაინც ღირს სიცოცხლე. მეც მიმატოვა საქმრომ, მაგრამ ალბათ, სათანადოდ არ ვუყვარდი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვის გამო არ მიმატოვებდა. ასე მგონია, სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ მესამე პირი ვერასოდეს ჩაერევა. მინდა, უსაზღვრო ბედნიერება გისურვო. მოკრძალებულ რჩევასაც მოგცემ: ბავშვი გააჩინე — მის „დასათრევად“ კი არა, საკუთარი მომავლისთვის. ქალის მთავარი მისია მაინც დედობაა. დიდი სიყვარულით, იაკო“.

„ჩემი და, „გზის“ გამოსვლას ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ელის ხოლმე. მერე, პანდორასა და ზურას ამბებს ამოხევს, ჩანთაში ჩაიდებს და დიდი ამბით ინახავს, თითქოს ვინმე მოსტაცებს. აი, ასეთი გულშემატკივარი ჰყავთ ნატალის და ზურას. გმადლობთ, რომ არსებობთ. გაიხარეეეთ“.

„ბევრ დროს არ წაგართმევთ. უბრალოდ, ნატალის მინდა ვუთხრა, რომ ზურას გაუფრთხილდეს. ხოლო იმ ცოლებს, ვინც გაიგებს, რომ მათ ქმრებს საყვარლები ჰყავთ, ნუ აეწვებათ ერთი ადგილი. ეს მათი ბრალია, რომ ქმრები ღალატობენ. ცოლებო, მიხედეთ თქვენს ქმრებს, როგორც საჭიროა ისე. გაიგეთ? ნატალი და ზურა, ბედნიერებას გისურვებთ! ნატო“.

„ვეხმაურები ნათელმხილველს. მაინტერესებს, სონა ნატალისთან თუ იცხოვრებს, ქმარ-შვილს რას უზამს? როდის ჩამოვა ამერიკიდან? ნატალი უმაგრესი ქალია. ისე, მეც ხომ ვერ მიწინასწარმეტყველებდი რამეს? თათია“.

„მარი, მართალი გითხრა, ვერ გავიგე, ნატალის რისი თქმა უნდა ამ ყველაფრით — ნახეთ, რა მაგარი ქალი ვარო?.. მარი, ფსიქოლოგი მასაც და შენც გჭირდებათ. რა მაგალითს აძლევთ ახალგაზრდობას? რომ საყვარლობა კარგია?! ყველა კარგს დაწერს თავის თავზე, როცა იცის, რომ მთელი საქართველო კითხულობს. ალბათ, ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, მაგრამ მინდა გითხრა, რომ მართლა კარგი ჟურნალისტი ხარ და სხვა თემაზე იმუშავე“.

„ნატალი და ზურა, რა გინდათ, თქვენ, უნდა გამაგიჟოთ?.. უთქვენოდ უკვე აღარ შემიძლია. დღეს „გზის“ ყველა ნომერი გადმოვიღე და თქვენი ამბავი კიდევ ერთხელ, თავიდან წავიკითხე. მგონი, ვიზეპირებ. ზურა, ძალიან გთხოვ, ნატალის სიყვარულს გაუფრთხილდი. მას მხოლოდ შენი სიყვარული და ყურადღება სჭირდება. არავის მისცე უფლება, რომ თქვენ შორის ჩადგეს. ხათუნასაც კი“.

„გამარჯობა, ნატალი. იცი, როგორ მშურს შენი?! როგორც იქნა, იპოვე შენი სიყვარული. მე კი, ჯერ ისევ ვეძებ და ღმერთმა იცის, ვიპოვი თუ არა. ზურასნაირი კაცები ასე არ „ყრია“ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვერ შეხვდები. ამიტომ, გაუფრთხილდი და ეცადე, ბოლომდე იბრძოლო მის შესანარჩუნებლად. ლიკასნაირ ქალებს ნუ დააჩაგვრინებ თავს“.

„ნატალის თუ ჰგონია, რომ ლიკაზე უკეთესია, ძალიან ცდება. რით არის მასზე უკეთესი? იმით, რომ კაცს თუ დაშორდება, მერე რემონტის დასამთავრებელ ფულს არ მოსთხოვს? ნურას უკაცრავად! დიახ, მე გამწარებული ცოლის პოზიციიდან გწერთ და ჩემი ქმარიც სწორედ სხვა ქალის გამო წავიდა შინიდან. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას ერთ დიდ ორმოში ჩავყრიდი და ჩავაბეტონებდი“.

„საქმე ისაა, რომ მეც ნატალისნაირ სიტუაციაში ვარ და ცოლიანი კაცი მიყვარს. დგას ის ქალი და მე მლანძღავს. რა ჩემი ბრალია, მან თუ ქმარი ვერ დააკავა და ღალატისკენ უბიძგა? ენა გააჩერეთ, ცოლებო! ჩვენ ძალით არავის „ვახტებით“. თქვენი ქმრები გვაბამენ თვითონ და თუ უარი მიიღეს, ათას შანტაჟს გვიწყობენ, რომ ხელში ჩაგვიგდონ. საყვარლის ცოლისგან გამწარებული მადონა“.

„მე მაინც მგონია, რომ ნატალისა და ზურას ამბავი კარგად არ დამთავრდება და ამაში არც ზურა იქნება დამნაშავე და არც ნატალი. ეს იქნება ცხოვრების ბრალი, რადგან „რეალში“ ყოველთვის ასე ხდება. რას იზამ? უნდა შეეგუო, ჩემო ნატო!“

„მე ცოტა განსხვავებულ სიტუაციაში ვარ. უცოლო კაცი ვარ და ქმრიანი ქალი მიყვარს. ისე ვეჭვიანობ, რომ ლამის გავგიჟდე. მეუბნება, ჩემს ქმართან არ ვწვებიო, მაგრამ გჯერათ ახლა თქვენ მაგის?.. ჰოდა, არც მე მჯერა. დიდი პრობლემაა ქმარი... ნეტავ, მოკვდეს“.

„მკითხავს მინდა ვკითხო: თუ იცი, რამდენი ხნის მერე შეუღლდებიან ნატალი და ზურა? არ შეგიძლია, რომ მათი ქორწინება დააჩქარო? ნეტავ, ქორწილში არ დამპატიჟებენ?..“

„მალე დაასრულეთ, რა, ეს ზღაპარი, თორემ, „გზას“ საერთოდ აღარ ვიყიდი. უკვე ნერვები მეშლება“.

„დაანებეთ, ხალხო, თავი საწყალ ნატალის! წაიკითხეთ თავიდან მათი ამბავი და ნახავთ, რომ ის არაფერ შუაშია და ზურამ სულ ძალით შეაბა. თავისი სადარდებელი არ ეყოფა? რა შეჭამეთ ეს გოგო?! ვინც აქ თავებს იგიჟებენ, რომ ცუდია მისი საქციელი, დარწმუნებული ვარ, თვითონ რომ შეუყვარდეთ ვინმე, უკან არ დაიხევენ და თვალებსაც კი „დაჰპოტნიან“, ვინც წინ გადაეღობებათ. მერწმუნეთ, თქვენ არასოდეს გამოგიცდიათ ნამდვილი სიყვარული და იმიტომ „ეღერით“ სხვანაირ „სიმღერას“. ნატა, მიდი, შეუბერე! ნაცუცუნა“.

„ახლა მე გეტყვით სიმართლეს. ცოლიანი კაცი ვარ და „გამწარებული“ ვეძებ საყვარელს. რატომ? იმიტომ, რომ ჩემი ცოლი ჩემს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. დღისით სულ წუწუნებს, რომ საქმე აქვს, სულ ჩხუბობს, თუ რომელიმე ნივთი გადაადგილებული დახვდება. დასვენების დღეს შინ ვერ გავჩერებულვარ, რადგან მომწყინდა მისი სისუფთავე და გაუთავებელი ჩხუბი. ღამით ახლოს ვერ გაეკარები, რადგან დაღლილია და თუ რამეს დააძალებ, ძაღლივით „მოგიგდებს“. არ გაგეცინოთ, მაგრამ ასეა და რა ვქნა?! ახლა ვეძებ საყვარელს, რომ თავისუფალი დრო მასთან გავატარო და თავი კარგად ვიგრძნო. მეც კაცი ვარ, ბოლოს და ბოლოს!..“

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. №35-50

ზურამ ნატალის სახლში თავისი და მიუყვანა. აღმოჩნდა, რომ გოგონებს ერთმანეთი წლების წინ გაუცნიათ. ზურა მათი ნაცნობობით კმაყოფილია, რადგან მიაჩნია, რომ ნინოს სახით ნატალის ძლიერი მოკავშირე ეყოლება და ვერავინ ვერაფერს დააკლებს. მისმა სიტყვებმა ნატას ბაჩო და ის დღე გაახსენა, როდესაც მათი ფიზიკური სიახლოვე მოხდა. წინა ნომერში თხრობა იქ შეგწყვიტეთ, როდესაც ნატალი ციხის უფროსმა დაიბარა.



მარი ჯაფარიძე

— მობრძანდით, ქალბატონო...

— ნატო... — შევახსენე ჩემი სახელი და ხელი ჩამოვართვი.

— თქვენ რა საკითხზე ხართ?

— დამიბარეთ და გეახელით, — ვუპასუხე და თვალი მაგიდასთან მჯდომ სამ მამაკაცს მოვავლე.

— ააა, თქვენ ის ფსიქოლოგი ხართ, ჩვენს პატიმარს რომ ემსახურებით, არა? — მომეჩვენა, რომ სიტყვა „ემსახურებით“ სულ სხვა მნიშვნელობით წარმოთქვა. თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ მომეჩვენა...

— დიახ, — ვთქვი წყნარად, მაგრამ ამ რამდენიმე ასოში ისეთი ტონი ჩავაქსოვე, რომლითაც ვეუბნებოდი, არაფერი შეგეშალოთ, ბატონო ციხის უფროსო, თორემ საკადრის პასუხს მიიღებთ-მეთქი.

— ჰოოო... — გაწელა, სკამის საზურგეს ნებიერად მიაწვა და თვალმოჭუტულმა მითხრა: მინდოდა თქვენთვის რამდენიმეწუთიანი დოკუმენტური ფილმი მეჩვენებინა, მაგრამ მანამდე, რამდენიმე კითხვა მაქვს... რასა იქმს ჩვენი პატიმარი?

— იქნებ, ჯერ სკამი შემომთავაზოთ?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, დაბრძანდით! — წამოდგა მაგიდასთან მჯდომი ერთ-ერთი მამაკაცი და თავისი სკამი დამითმო. მაგიდას შემოვუარე და თავისუფალ სკამზე დავჯექი.

— ახლა, გისმენთ! — ვთქვი და ხელები მაგიდაზე დავალაგე.

— პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, — ეს უკვე ის მამაკაცი გახლდათ, რომელიც ჩემ პირდაპირ იჯდა და აქამდე ხმა არ ამოუღია. — იმედია, გახსოვთ ის შეთანხმება, რომელიც მაშინ დავდეთ, როდესაც პატიმართან პირველად შეგიშვით.

— კონკრეტულად, რას გულისხმობთ? — აშკარად დავიძაბე და ეს სახეზეც შემეტყო.

— კონკრეტულად იმას, რომ თქვენ უნდა მიგეღოთ მისგან აღიარებითი ჩვენება და ეს დიქტოფონზეც ჩაგეწერათ.

— მართალია, უკვე დიდი ხანია, რაც ბაჩოსთან ვმუშაობ, მაგრამ მან ჯერ-ჯერობით, მხოლოდ წარსულზე ილაპარაკა. იმ კონკრეტულ დანაშაულზე კი, რის გამოც დააკავეთ, არაფერი უთქვამს.

— ძალიან დიდხანს ხომ არ გაგიგრძელდათ ჭუკჭუკი? — მკითხა ციხის შეფმა. — იქნებ, ცოტა დაგეჩქარებინათ?

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მას ეს დანაშაული არ ჩაუდენია. — ვთქვი მტკიცედ.

— ხელს ნუ დააფარებ, მაგას ისეთ საქმეს გავუხსნით, რომელიც ჩადენილი აქვს, მაგრამ მაშინ ვერ მოვიხელთეთ. ეგ არის, იმ საქმეზე პატარა „სროკი“ ექნება. „პაჟიზნენი“ უნდა მიიღოს იმ სასტიკი მკვლელობისთვის, რომელიც ჩაიდინა.

— მას ალიბი აქვს... — ვთქვი მტკიცედ. ჩემმა სიტყვებმა უფროსი აშკარად კარგ გუნებაზე დააყენა.

— გოგო, შენთვის ადვოკატობა არავის დაუვალებია. შენი მოვალეობაა, დაეხმარო მას იმ დეპრესიის დაძლევასა და კოშმარებისგან თავის დაღწევაში, რომელიც მკვლელობის ჩადენის შემდეგ უჩნდებათ ხოლმე ადამიანებს. ამასთან, დაწვრილებით მოაყოლო, როგორ ჩაიდინა დანაშაული... — ბოლო რამდენიმე სიტყვა გაღიზიანებული ტონით წარმოთქვა. ახლა მე დავდექი კარგ გუნებაზე:

— როგორ ზრუნავთ საკუთარ ტუსაღებზე, ბატონო ციხის უფროსო... ძალიან ჰუმანური ადამიანი ბრძანდებით...

— ჰმ... კარგი, მაშ, გადავიდეთ ჩვენი შეხვედრის ძირითად ნაწილზე...

— ანუ მეორე განყოფილებაზე? — ვთქვი და გავიღიმე.

— ნუ იქნებით ირონიული, ქალბატონო ნატო. დოკუმენტური ფილმი, რომელიც ახლა უნდა ვნახოთ, საკმაოდ ეროტიკულია. როგორ ინებებთ ყურებას? მარტო, ჩემთან ერთად თუ დამსწრე საზოგადოებაც დავტოვოთ? — გულმა რეჩხი მიყო. მუცელში თითქოს ცივმა გველმა გაისრიალა.

— როგორც გენებოთ, — აშკარად მოტეხილი ხმით წარმოვთქვი. მან პულტი მოიმარჯვა და ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე ბაჩოს საკანი გამოჩნდა. მერე, ისიც დავინახე. ოთახში ბნელოდა, მაგრამ თითოეული ნივთი და ბაჩოს სახის ნაკვთებიც მკვეთრად ჩანდა. მაგიდაზე მინდვრის ყვავილების თაიგული რომ გამოჩნდა, მივხვდი, კასეტაზე ჩემი და ბაჩოს ურთიერთობის ყველა ინტიმური დეტალი იყო ჩაწერილი. სახეზე სისხლი მომაწვა, ალმური მომედო.

— გამორთეთ... — ვთქვი ჩახლეჩილი ხმით. მონიტორი ჩაქრა.

— არ გინდოდათ, ბოლომდე გეყურებინათ?

— რისთვის გინდათ ეს ჩანაწერი? შანტაჟის მოწყობა არ გამოგივათ... ვერ ვხვდები, რაში უნდა გამოიყენოთ ეს კადრები.

— იმედი მაქვს, ამის განმარტება არ დამჭირდება და თვითონ მიხვდებით. ალბათ, იმასაც მიხვდებით, რომ თქვენმა ბაჩომ ეს ნაბიჯი გამიზნულად გადადგა. მან იცის, რომ შესაძლოა, თქვენ ჩვენთან თანამშრომლობთ და იმის შემდეგ, რაც მისი საყვარელი გახდით, მის წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებთ. თქვენ მის დაგებულ მახეში გაეცით და შეეგუეთ იმ აზრს, რომ გამოგიყენეს.

— ეს თქვენი საქმე არ არის. ჩემი პირადი ცხოვრება არ გეხებათ. თქვენთან თანამშრომლობაზე თანხმობა არც თავიდან მითქვამს და არც ახლა. — ვთქვი და ფეხზე წამოვდექი.

— ჩვენი საუბარი ჯერ არ დამთავრებულა. ერთ კვირას გაძლევთ, ქალბატონო ნატო, — გაღიზიანებული ხმით მითხრა უფროსმა და ჩემკენ გადმოიხარა.

— რისთვის მაძლევთ ერთ კვირას?

— იმისთვის, რომ პატიმარს დაწვრილებით მოაყოლოთ მკვლელობის დეტალები. იმედია, ხვდებით, რომ საკანში თქმული თქვენი თითოეული სიტყვა იწერება და იმდენ გონიერებას გამოიჩენთ, რომ ბაჩოს ამის შესახებ არაფერს ეტყვით.

— თუ არ დაგეზარებათ, იქნებ, ტექსტი დამიწეროთ, რომელსაც დავიზეპირებ და ბაჩოს ვეტყვი?

— თქვენი დამცინავი ტონი სრულიად უადგილოა. არასწორი რეაქცია გაქვთ ჩემს ნათქვამზე. სრულიად გაწონასწორებული ადამიანი მგონიხართ და იმედია, სწორ დასკვნებს გამოიტანთ.

— თქვენ სკოლაში ფიზიკას სწავლობდით? — სრულიად მოულოდნელი კითხვა დავსვი და მგონი, დავაბნიე ბატონი ციხის უფროსი.

— დიახ... ვსწავლობდი...

— მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ბუნებაში არსებობს 2 სახის წონასწორობა: როდესაც ბურთულა დევს ჩაღრმავებულ ზედაპირზე, ის ერთი წერტილით ეხება მას. ზედაპირის ნებისმიერი მოძრაობისას, ბურთულა ყოველთვის საწყის მდგომარეობას უბრუნდება — ამას მდგრადი წონასწორობა ჰქვია. ხოლო თუ ბურთულა დევს ამობურცულ ზედაპირზე, ამ შემთხვევაშიც, ის ერთი წერტილით ეხება მას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მის დასაგორებლად სულის შებერვაც საკმარისია და ის საწყის მდგომარეობას არასოდეს დაუბრუნდება. ეს კი, არამდგრადი წონასწორობა გახლავთ. ჩვენ შორის ის განსხვავებაა, ბატონო ჩემო, რომ მე, მდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში ვარ და ნებისმიერი „ცხოვრებისეული რყევის“ შემდეგ, კვლავ საწყის პოზიციას ვუბრუნდები. თქვენთვის კი სულის შებერვაც საკმარისია, რომ სამუდამოდ გამოეთხოვოთ თანამდებობას და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ვერასოდეს დაუბრუნდებით მას. ასე რომ, აწონ-დაწონეთ, გიღირთ თუ არა ჩემთან ბრძოლა.

— წონასწორობის შესახებ ლექციას რომ მიტარებთ, გასაგებია, მაგრამ მემუქრებით კიდეც? — გოცებისგან წარბები ისე ასწია, რომ ლამის შუბლს ააშორა და მის შემხედვარეს, გამეცინა.

— მე თქვენ აუცილებლად დაგხატავთ ისეთს, როგორიც ახლა წარმოგიდგინეთ. — ვთქვი და აშკარად გაოცებული საზოგადოება ნაზი ღიმილით დავტოვე...

ფიქრი აქ გავწყვიტე და ზურას შევხედე. ძალაუნებურად, ის და ბაჩო ერთმანეთს შევადარე. მიუხედავად იმისა, რომ ბაჩოც საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იყო, ზურა მას გარეგნობით აშკარად სჯობდა. ზურამ ჩემი დაჟინებული მზერა იგრძნო და თითქოს, ფიქრიც ამოიკითხაო:

— ნატ, ვინ არის ის ადამიანი, ვინც ცხოვრებაში ყველაზე მეტად გყვარებია?

— სონა.

— მამაკაცებს ვგულისხმობ.

— მხოლოდ ორჯერ მიყვარდა ცხოვრებაში და ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობდი, რომელი გრძნობა უფრო ძლიერია. რაღაც რომ გითხრა, გეწყინება?

— გინდა მითხრა, რომ ის უფრო მეტად გიყვარდა?

— არა, მაგის გაზომვა ალბათ, შეუძლებელია. იმის თქმა მინდოდა, რომ მის სიყვარულში გაცილებით მეტად ვიყავი დარწმუნებული. — ამას რომ ვამბობდი, სახეზე დაჟინებით ვუყურებდი. არ მინდოდა, მისი რეაქცია გამომპარვოდა.

— ჩემში ეჭვი გეპარება?

— ხანდახან მჯერა, რომ ქვეყნად ყველაზე მეტად გიყვარვარ, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ მხოლოდ გატაცებული ხარ ჩემით და დღეს თუ ხვალ, მოგბეზრდები...

— ამ ჭკვიანურ დასკვნებს როდის აკეთებ ხოლმე? დილაობით?

— ასეთ დასკვნებს მაშინ ვაკეთებ, როდესაც ლიკა მახსენდება. კაცს რომ წლების განმავლობაში ასეთ ქალთან

— გიყვარს თუ არა, ეს არის სიმართლე და თუ სირაქლემასავით თავს მიწაში ჩარგავ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საყვარელი არ ხარ... ახლა დავიძინებ, დავიღალე. — ვთქვი და ავდექი. ზურაც უკან მომყვა.

დილით, ვიდრე ის ადგებოდა, საუზმე გავაწყვე, სარეცხი მანქანიდან მისი პერანგი ამოვიღე და უთოობას შევუდექი. შემდეგ, შარვალი გავუწმინდე და ორივე, სკამზე გადავკიდე. ფეხსაცმელიც გავუპრიალე და ისიც იქვე დავდე. მერე კი აბაზანაში შევედი. კარგა ხანს ვინებივრე შხაპის ქვეშ. ამასობაში, ზურას ტანსაც-

— და რა ვუთხრა მათ? როგორ წარვუდგინო შენი პერსონა? ვუთხრა, რომ ჩემი საყვარელი ხარ?

ექნება ურთიერთობა, მისთვის მე დიდი მონაპოვარი ვარ, მაგრამ შესაძლოა, ეს მხოლოდ ახალი სათამაშოთი ბავშვის გატაცებას ჰგავდეს.

— მოდი, ნუ ვიფიქრებთ მომავალზე. ბოლომდე შევიგრძნოთ ის, რაც დღეს გვაქვს. კიდევ, რაზე ფიქრობ?

— კიდევ, იმაზე ვფიქრობ, რომ შენ ჩემთვის ის წიგნი ხარ, რომლის კითხვაც ახლა დავიწყე, მაგრამ ფინალი უკვე ვიცი. ამიტომ ვერ გავრკვეულვარ, განვაგრძო კითხვა თუ წიგნი დავხურო და სუუულ ზემო თაროზე შემოვდო. — ამ სიტყვებზე გული ამიჩუყდა და ბოლოს, ლამის ტირილიც დავიწყე.

— ბოლო თაროზე შემოსადები კაცი ვარ? შენ ასე ფიქრობ? ნატა, ნანობ, რომ ჩემთან ხარ? მიყვარხარ, პატარავ... ეს დაიმახსოვრე და ამ თემაზე არასოდეს ვისაუბროთ, კარგი? ალბათ აუცილებელია, რომ ყოველთვის ვილაპარაკო ჩემს განცდებზე და იმაზე, თუ რა ხდება ჩემს გულში. შენ გგონია, მამაკაცისთვის იოლია ყველაფრის გაძლება? გინდა, დავქორწინდეთ? — მართლაც მოულოდნელი იყო მისი წინადადება.

— ამაზე არ მიფიქრია. უცებ ვერ გიპასუხებ.

— და რომ გითხრა, ან ახლა, ან არასდროს-მეთქი?

— მაშინ გამოდის, რომ არასოდეს...

— მოსაფიქრებლად რამდენი ხანი გეყოფა? ისე, შენი ოჯახის წევრებს რატომ არ მაცნობ? დას, სიძეს, დისშვილს... მიგაჩნია, რომ არა ვარ ღირსი, მათ წარვუდგე? — ამ თემაზე ზურა პირველად ალაპარაკდა. წინათ არასოდეს გამოუთქვამს სურვილი, რომ ჩემი ოჯახის წევრები გაეცნო.

— და რა ვუთხრა მათ? როგორ წარვუდგინო შენი პერსონა? ვუთხრა, რომ ჩემი საყვარელი ხარ?

— ეგ სიტყვა არ მიყვარს... ჩემთან მიმართებაში ნუ გამოიყენებ, გთხოვ.

მელი ჩაუცვამს და უსაუზმია კიდეც. ყავა მოვიდუღე და სკამზე ჩამოვჯექი. ზურა წინ დამიჯდა.

— შენ კიდევ გიკვირს, რატომ მიყვარხარ? — გაკვირვებულმა შევხედე. — 2 დღის წინ ვთქვი, რომ თაფლი მიყვარს და დღეს, მაგიდაზე დამხვდა. რაც დედა გარდაიცვალა, პირველი შემთხვევაა, როცა ჩემი ტანისამოსი გამზადებული მხვდება და ქალის მზრუნველი ხელი ატყვია. გმადლობ, ნატა, მაგრამ დაიმახსოვრე, ამის შემდეგ არასოდეს გაბედო ჩემი ფეხსაცმლის გაწმენდა. თვითონ გავაკეთებ. გესმის, პატარავ? — თავი უსიტყვოდ დავუქნიე და წამოვდექი.

კიბეზე ჩასვლის დროს მეზობელი, მარინა შეგვხვდა და ძალზე დემონსტაციულად, თითქმის რევერანსით მიესალმა ზურას... ზურამ ჯერ მე მიმიყვანა სამსახურში. ვთხოვე, გზაზე გაეჩერებინა, მაგრამ პირდაპირ ეზოში შევიდა და მანქანა საავადმყოფოს ცენტრალურ შესასვლელთან გააჩერა. მეორე სართულის ფანჯარას თითქმის ყველა თანამშრომელი მოადგა. ვიცოდი, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა და უკვე დიდი ხანია, ამ თემაზე ჩურჩულებდნენ, მაგრამ მაინც, ძალიან მომერიდა. ამ დროს, მანქანას ვიღაც მამაკაცი მოუახლოვდა. ზურა მის დანახვაზე გადმოვიდა და გადაკოცნა. მე უსიტყვოდ შევედი შენობაში. უკან რომ მოვიხედე, დავინახე, ის კაცი ჩემს ადგილას დაჯდა და მანქანა უკუსვლით გავიდა ეზოდან. კაბინეტში შევედი თუ არა, თავი ელენემ შემოყო. ეს ის ელენე გახლდათ, მცხეთაში რომ მახლდა.

— გოგოოო... რა მაგარი ტიპი ყოფილა ეგ შენი ზურაااა, — თქვა და სკამზე ჩამოჯდა. მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და ჩემკენ გადმოიხარა. — იცი, სალომემ რა თქვა?

— ელენე, ნუ „დამგრუზავ“, რა...

— პირიქით, გოგო, პირიქით. სა-

ლომემ თქვა, ასეთ „კრასავჩიკზე“ ნატალი კი არა, მეც ვერ ვიტყოდი უარს. თანაც, რა ჯიპი ჰყავს, ეტყობა, ფულს კი არ თვლის, ზომავსო...

— ვინ ჰკითხავს სალომეს, ზურა ფულს დაითვლის თუ გაზომავს? თავის საქმეს მიხედოს! — შევუღრინე ელენეს.

— იცი, კიდევ რა თქვა? მანქანის ნომერი დავიმახსოვრე, ჩემს ძმას ვეტყვი და ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ მაგ კაცზეოოოო... მისი ძმა კი ხომ იცი, სადაც მუშაობს? აუცილებლად გაიგებს...

— მერე, რა? გაიგოს...

— მერე ის, რომ ისედაც შენი ბოღმა კლავს და არაფერი გავნოს... — თავი გადავაქნიე, ვითომ არც მაინტერესებდა, მაგრამ გულში შიში შემეპარა. ელენე კი არ ისვენებდა:

— გახსოვს, მაშინ რა „გიპოდლა“? — ის ამბავი შემახსენა, როდესაც ჩვენს ავადმყოფთან სანახავად მოსულ ერთ ქალბატონს თავისი მდიდარი და შეუხედავი შვილისთვის საცოლედ მოვეწონე. მან ჩემ შესახებ რაღაცები სალომეს ჰკითხა. მან კი დაუფარავად მოახსენა: ციხეში საყვარელი ჰყავს და თქვენს შვილზე არც იფიქრებსო. მაშინ არ აღვშფოთებულვარ იმის გამო, რომ სიმართლე თქვა. უბრალოდ, იმ ფაქტმა გამაოცა, რომ ეს არ დამალა. მე ხომ მის ადგილზე ასე არ მოვიქცეოდი.

— ჭორიკანა ხარ, — ვუთხარი ელენეს და უჯრიდან ამოღებულ სარკეში ჩავიხედე.

— ჰმ... სარკეე, სარკეე, მითხარი, ვინ არის ჩემზე ლამაზი? რაო, რა გითხრა სარკემ?

— რაო და თუ ელენე ენას არ გააჩერებს, მოხვდებაოოოოო...

— ნატ, არც ისე ბედნიერი სახე გაქვს. რატომ?

— ვერ მოვიცალე საიმისოდ, რომ დავტკბე ბედნიერებით, სადარდებელი არ დამელია. როგორ ფიქრობ, ზურას ცოლად უნდა გავყვე? — დავინახე, როგორ გაუფართოვდა თვალები ელენეს.

— მაგას კითხვა უნდა? შენ ჩემი რჩევა რაში გჭირდება? უნდა გაჰყვე, აბა, რა... არ დაიწყო ახლა იმაზე ლაპარაკი, რომ სინდისი გქენჯნის მისი ცოლისა და შვილის გამო, რომ სხვის უბედურებაზე შენს ბედნიერებას ვერ ააგებ: ეს არის გაცვეთილი ფრაზები, რომელიც შეყვარებულმა ადამიანმა არ უნდა გაიმეოროს. — მომეჩვენა, რომ ელენე სიმართლეს ამბობდა. — უკვე შემოგთავაზა? — დაასრულა და კითხვაზე პასუხის მოსასმენად მოემზადა, მაგრამ კარი პაციენტმა შემოაღო... დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხანდახან, გულში ავად გამკენწლავდა ხოლმე ის ამბავი, რომ სალომე ასე დაინტერესდა ზურას პიროვნებით. ვიცოდი, რომ შეეძლო, ჩვენი ურთიერთობისთვის ზიანი მოეტანა. არა მარტო სალომე, არამედ მისი ძმაც დღემდე ვერ მპატიობდა, რომ საყვარლობაზე უარი ვუთხარი და და-ძმა ხელიდან არ უშვებდა მომენტს, რომ ჩემთვის რაიმე ევნოთ. სამსახურიდან წამოსვლის წინ ზურას დავურეკე. ვერ მოვიცლი, შენ მიდი სახლში და მეც მალე მოვალო, — მითხრა. რადგან ზურა ჯერ არ მოდიოდა, მეც დამეზარა შინ მარტო ყოფნა და გადავწყვიტე, ჩემს დასთან შემევლო. თანაც, დიდი ხანია, მასთან საჭორაოდ არ მივსულვარ, მხოლოდ წუთით თუ შევირბენდი ხოლმე და ეგ იყო. თავს ვარიდებდი, რადგან ვიცოდი, აუცილებლად ჩამოაგდებდა ზურაზე ლაპარაკს და არ მინდოდა, მის მიერ კონკრეტულად დასმულ კითხვებზე კონკრეტული პასუხები გამეცა. ახლა კი, როცა ზურა მისი გაცნობის სურვილს გამოთქვამდა, ამისთვის წინასწარ უნდა შემემზადებინა. ტაქსის მძღოლს მისი მისამართი ვუთხარი და გზაში ის ტექსტიც მოვამზადე, რომელიც უნდა მეთქვა.

კარი ღია დამხვდა. შევედი თუ არა, ქეთინოს შვილიშვილმა, პატარა ნინუცამ დაიყვირა — ნატო მოვიდაო! თვითონ პატარა ლეკვივით მირბენდა გარშემო და იმის საშუალებას არ მაძლევდა, რომ ხელში ამეყვანა და მეკოცნა. როგორც იქნა, დავიჭირე და გაფუებული ლოყები დავუკოცნე. ბებიამისი სამზარეულოდან გამოვიდა, გადამკოცნა და მსუბუქად მისაყვედურა კიდეც:

— კიდევ კარგი, მისამართი გახსოვს... სად დაგვეკარგე, გოგო?

— ხომ ხედავ, არ დავიკარგე და მოვედი, — ბავშვი დავსვი და ქეთინოს სამზარეულოში შევყევი. — მარტო ხართ?

— ჰო, მარტო ვართ, მაგრამ ახლა უკვე ყველანი მოვლენ. როგორ ხარ, არ იტყვი? — ამხედ-დამხედა დოინჯშემოყრილმა.

— კარგად.

— ჩვენც კარგად. გშია? — ჯერ უარის თქმას ვაპირებდი, მაგრამ შემოსვლისას შემწვარი კარტოფილის სუნი მეცა და გამახსენდა, როგორ გემრიელად წვავდა კარტოფილს ქეთინო. თავპატიჟი აღარ დავიდე და წინასწარ ნერწყვიც კი გადავყლაპე.

— კი, მშია. — ქეთინომ წინ შემწვარი კარტოფილი დამიდო და თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

— მოყევი, რა ხდება შენს თავს. სანამ დანარჩენები მოვლენ, მოვასწროთ, თორემ მერე ლაპარაკს აღარ დაგვაცდიან.

— ზურაზე მეკითხები? — მის პირდაპირ შეხედვას მოვერიდე და სადღაც, მის თავს ზემოთ გავიხედე.

— რა თქმა უნდა, ზურაზე. სხვაც თუ ვინმეა, ეგეც თქვი, არ დამიმალო... — ხმაში ბრაზი და ირონია ერთად გაურია. როგორც ჩანს, თვეების განმავლობაში დაგროვილ სიბრაზეს გზა მისცა.

— ქეთო, ნუ ბრაზობ, რااა...

— როგორ ფიქრობ, ახლა თამაშისა და გართობის ასაკი გაქვს? ჭკუა ვერ ისწავლე. მერამდენედ უშვებ შეცდომას ამხელა გოგო? მსგავსი შეცდომები 19-20 წლის ასაკში არ დაგიშვია. რა გემართება, ნატო? — როცა ქეთინო ნატოს მეძახის, ვიცი, რომ მაშინ ძალიან გაბრაზებულია. ლუკმა ყელში გამეჩხირა. მისგან მხარდაჭერას ველოდი და პირიქით მოხდა.

— მეორედ ვუშვებ შეცდომას, — ალალად ვაღიარე დის წინაშე.

— ცოტაა, ხომ? თან იმასაც ხვდები, რომ შეცდომას უშვებ, მაგრამ მაინც არ იშლი და განგებ ვარდები უფსკრულში? სონა რას ამბობს?

— სონა არ მეჩხუბება...

— გადამრევთ მე თქვენ! — ხელები გაშალა აღშფოთების ნიშნად. ორი სულელი რომ ერთმანეთს ჭკუას დაარიგებს, უარესს უნდა ველოდეთ. ერთი, გამაცანი ის ვაჟბატონი, რომ აზრზე მოვიყვანო და 1-2 „სმეშნოი“ სიტყვა ვუთხრა.

— სხვათა შორის, მასაც უნდა შენი გაცნობა.

— ნებართვა უნდა? ეტყობა, ისე ყელში არ გადასდის მშრალი ლუკმა. ის მაინც რამ მოგაფიქრა, საკუთარი სისულელის შესახებ მთელ ქვეყანას რომ მოსდე და ჟურნალში გამოჭიმე შენი „ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო თავგადასავალი, გაგრძელებებით“?

— ნახე?

— მარტო მე ვნახე? ვინ აღარ დამირეკა, ეს ნატალი იქნება, მისი ბიოგრაფია ვიცანითო. სამკურნალო შენ თვითონ ხარ და სხვებს როგორ უნდა უმკურნალო? როდემდე აპირებ ასე გაგრძელებას? ის სონაც გამაგიჟებს. ერთი შეწვი, მეორე წაუსვი — ასე ხართ შენ და შენი დაქალი. — ამ დროს, ჩემმა მობილურმა დარეკა. ზურა იყო.

— ალო, ნატალი ხართ?

— დიახ, ვუპასუხე გაოცებულმა, რადგან ხმა არ მეცნო.

— ზურამ მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ დღეს აღარ დაურეკოთ და ნურც თქვენთან დაელოდებით.

— თვითონ სად არის? ალო, ალო, ჩავძახე ყურმილში, მაგრამ იქიდან მხოლოდ წყვეტილი „ზუმერი“ ისმოდა.

— ზურამ მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ დღეს აღარ დაურეკოთ და ნურც თქვენთან დაელოდებით

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ღადარი ნაკვერჩხლიანი ნაცარია.
2. „ქვითხურო“ და „კალატოზი“ სინონიმებია.
3. ეიფელის კოშკის სიმაღლე 307 მეტრია.
4. ჯეკ ლონდონმა 1916 წელს მოიკლა თავი.
5. „ლამაზი ქალები ორჯერ კვდებიან“, — ამბობდა პიერ ბუასტი.
6. ალექსანდრე დიუმა-უფროსი მეტრი და 93 სანტიმეტი იყო სიმაღლეში.
7. „ვსიო ვ რუკახ ჩელოვეკა, ა ჩელოვეკ ვრუკახ ჟენშინი,“ — ამბობენ რუსები.
8. „სუფრასთან მსხდომნი არ ბერდებიან“, — უყვართ თქმა გურმან იტალიელებს.
9. მხატვრულ ფილმში „ნათლია“ რობერტ დე ნირო მხოლოდ იტალიურად ლაპარაკობს.
10. არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ მოცარტი სალიერის ინტრიგების გამო დაიღუპა.

11. ამჟამად მსოფლიოში ანტონიო სტრადივარის მიერ დამზადებული 600-მდე ვიოლინო არსებობს.
12. „უსამართლობა რომ არა, ადამიანებს სამართლიანობისა არა ეცოდინებოდათ რა“, — ამბობდა ჰერაკლიტე.
13. ყველა პისტოლეტს თავისებური უკუცემა აქვს. 45 კალიბრის პისტოლეტი მარცხნივ და ზევით იძლევა უკუცემას.
14. 1992 წლიდან კანადელებმა სილამაზის კონკურსებზე აიღეს ხელი, რათა თავიდან აეცილებინათ სქესობრივი დისკრიმინაცია.
15. შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონი ითვალისწინებს გაკოტრებული ბიზნესმენისათვის ყველა ძვირფასი ნივთის ჩამორთმევას, საქორწინო ბეჭდის გარდა.
16. რუსები ამბობენ: „მგელივით მშიერი“, გერმანელები ამბობენ: „დათვივით მშიერი“, ინგლისელები კი — „მონადირესავით მშიერი“.
17. გვატემალა, პანამა, სან-მარინო, ლუქსემბურგი, ანდორა, მონაკო, ბრაზილია — ამ ქვეყნების სახელწოდებანი მათი დედაქალაქების სახელწოდებებს ემთხვევა.
18. ახლახან ფირმა „ომეგამ“ მოსკოვში საკუთარი მაღაზია გახსნა და ამასთან დაკავშირებით ახალი საათიც გამოუშვა, სახელწოდებით „წითელი მოედანი“.
19. საშუალო იაპონელი დღეს საცხოვრებელზე უფრო უკეთესად საკვებით, საკვებზე უკეთესად — ტანსაცმლით და ტანსაცმელზე უკეთესად საყოფაცხოვრე-

რას ნიშნავს მასონიზმი და ვინ გამოსაცხა შავი გვერლები თბილისის შენობებზე

„მასონი“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად „თავისუფალ ქვისმთლელს“ ნიშნავს. შუა საუკუნეებში ქვისმთლელები ამქრულ გილდიებში (საძმოებში) ერთიანდებოდნენ და ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას უზიარებდნენ. მოგვიანებით ამქართა გილდიების ნამდვილი მნიშვნელობა დაიკარგა. XVII საუკუნეში გილდიებში თავი მოიყარეს სასულიერო წრის, თავად-აზნაურთა, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებმა. თანამედროვე მასონთა სამშობლოდ ინგლისი იქცა. 1717 წელს დაარსდა ლონდონური ლოჟა, მცირე ხნის შემდეგ კი, მასონური ლოჟები შეიქმნა: ესპანეთში, თურქეთში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში. მასონური ლოჟებისა და საიდუმლო ორგანიზაციის არქივები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

თამუნა კვინიკაძე

მსოფლიო ომის დროს ეს დოკუმენტები ჰიტლერს ჩაუვარდა ხელში, მაგრამ ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, მასალები, როგორც ძვირად ღირებული ნადავლი, საბჭოთა კავშირის უშიშროების ხელში აღმოჩნდა. იმპერიის ნგრევის კვალდაკვალ, ბევრისთვის ის ხელმისაწვდომი გახდა. სამწუხაროდ, მასონური საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა სიაში ქართველებიც აღმოჩნდნენ. საიდუმლო გრიფით დაღდასმულ დოკუმენტურ მასალებზე აქტიურად მუშაობდა და დღესაც მუშაობს აკადემიკოსი იაკობ ახუაშვილი. დღეს იგი, მომხიბლავი იდეალების საბურველში გახვეული მასონიზმის შესახებ მოგვითხრობს:

— მასონებს მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაპყრობა სურთ. ამის დასტურია მათი ლოჟების საქმიანობის ამსახველი ათასობით დოკუმენტი. მასონობა კაცობრიობის წინააღმდეგ ფარული შეთქმულებაა.

— როგორ და სად წარმოიშვა მასონური ორგანიზაციები?

— ამაზე ბევრი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, მასონობა არის ქალდეველ, ინდიელ და ეგვიპტელ ქურუმთა ზნეობრივი მოძღვრება, რომელიც მათ თავიანთ მიმდევრებში გაავრცელეს. მეორე ლეგენდის მიხედვით, მასონობა სათავეს იღებს ტამპლიერთა ორდენიდან, ეს რაინდული ორდენი დაფუძნდა 1118 წელს იერუსალიმში, ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთა მიერ. იერუსალიმში ჯვაროსნებს აჩუქეს სახლი, რომელიც სოლომონის ტაძრის ადგილას იდგა. მათი მიზანი, უფლის სამარხის მოძიება იყო. დიდძალი შეწირულობების შედეგად გამდიდრდნენ და მსოფლიოს დაპყრობის ოლიგარქიული გეგმის შედგენა გადაწყვიტეს. ტამპლიერთა ორდენის წევრები მაგიურ, უსახო თილისმებს (ბაფომეტებს) ეთაყვანებოდნენ. 1311 წელს ეს ორდენი შეაჩვენეს და ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოში აიკრძალა. ორდენის ხელმძღვანელი ჟაკ დე მოლე კოცონზე დაწვეს, მაგრამ მან სიკვდილამდე, 4 ლოჟის დაარსება მოასწრო. დღეს მასონური ლოჟები არსებობს: ინგლისში, გერმანიაში, შოტლანდიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, რუსეთში და ა.შ. მათ ერთმანეთთან კავშირი აქვთ. მათი მთავარი მიზანი, ებრაელთა მიერ მსოფლიოს მართვა-გამგეობაა.

— როგორ მიაღწევენ ამ მიზანს?

— ცივილიზაციის მოსპობით, ეროვნებების შერწყმით, ზნეობის მოშლით, მსოფლიოს ერთიანი მთავრობის, ფულის, გერბის და სხვა სახელმწიფო ატრიბუტიკის დამკვიდრებით.

— რომელია მასონის უმაღლესი

მასონებს მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაპყრობა სურთ

ტიტული და რით განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ფერის ლოჟა?

— დიახ, არსებობს სხვადასხვა ფერის ლოჟა, მაგრამ ფერებს არანაირი დატვირთვა არა აქვს. მასონთა უმაღლესი ტიტული გახლავთ ბარონი. ნაპოლეონის იმპერიის დანგრევისთვის, ავსტრიის იმპერატორმა როტშილდები რაინდებად გამოაცხადა, ხოლო 1822 წლის 15 ოქტომბერს ყველა როტშილდი ბარონის ტიტულით დააჯილდოვა.



ამბობენ, ეშმაკების სახლიაო, მაგრამ მის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი

— ვინ არიან როტშილდები?

— როტშილდები მსოფლიო მნიშვნელობის მკვლელები არიან. მათი დინასტიის დამაარსებლები, ებრაელი ცოლ-ქმარი — ამშელ და გუტა მეიერები იყვნენ. ისინი ერთ უბრალო ხის ქოხში ცხოვრობდნენ. იქვე ჰქონდათ მაღაზია, სადაც მოსახლეობისგან ჩაბარებულ ძველმანებს მაღალ ფასებში ყიდდნენ. მაღაზიის ფასადზე გაკრული ჰქონდათ აბრა წარწერით: „წითელი ფერი“ — რაც გერმანულად ასე ჟღერს: „როტშილდი“. ამშელ მეიერი მოგვიანებით, ერთ ებრაელ მილიონერს — ფრიდრიხ ლანდგრავეს დაუახლოვდა. ამშელს ფრიდრიხმა თავისი საეჭვო ფინანსური ოპერაციების მოგვარება დაავალა. ჭკვიანმა ებრაელმა ბიჭმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულა. მალე მან იმ დროს ფრანკფურტში მოქმედ საიდუმლო ორგანიზაციასთან — „ებრაელთა მსოფლიო მთავრობასთან“ თანამშრომლობა დაიწყო. შემდგომში კი, მასონურ ლოჟებს აკონტროლებდა.

— როგორ ხდება მასონურ ორგანიზაციაში პიროვნების გაწევრება? შეგნებულად, საკუთარი ნებით ხდებიან მასონები თუ მათ ატყუებენ, სთავაზობენ მომხიბვლელ წინადადებებს?

— მასონებს თავიანთ საიდუმლო ორგანიზაციაში პიროვნების გასაწევრებლად, თავისებური მეთოდი აქვთ შემუშავებული: წინასწარ აკვირდებიან ადამიანებს, სწავლობენ მათ პიროვნულ თვისებებს, ხასიათის სუსტ და ძლიერ მხარეებს. როგორც კი შეამჩნევენ, რომ იგი მათთვის საჭირო ბევრი თვისებით გამოირჩევა, იმ ადამიანთან ინდივიდუალურ მუშაობას იწყებენ. ასე მოხდა ედუარდ შევარდნაძის გაწევრების დროსაც. 1991 წელს ამაში დიდი როლი ითამაშა ასევე მასონმა ალექსანდრე იაკოვლევმა *(საკავშირო ცეკას მდივანი, „პერესტროიკის“ ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგად მიჩნეული. — ავტ.)*

— ამ ბრალდებას შევარდნაძე არასოდეს გამოხმაურებია? როგორია მისი რეაქცია, როცა ეუბნებიან, რომ მასონია?

— არასოდეს ამ თემაზე არ რეაგირებს. მისი პრეზიდენტობის პერიოდში, — მასონი ხარო, — პირდაპირ უთხრა პარლამენტის სხდომაზე ერთ-ერთმა დეპუტატმა. მისთვის პასუხი არ გაუცია. შემდეგ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში უთხრა — თქვენ მასონად მოგიხსენიებენო. პასუხი არც მას გასცა, სახეშეცვლილმა ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა. შემდეგ მე დავწერე ვრცელი სტატია, სადაც აღვნიშნავდი: „დღეისთვის დადგენილია, რომ ედუარდ შევარდნაძე მასონური კლუბის — „მაგისტერიუმის“ ხელმძღვანელია“. მას არც ამ სტატიაზე ჰქონია რეაქცია. შევარდნაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში „მსოფლიო წესრიგის“ დამყარებაში. ამიტომ იგი მასონური „მალტის ორდენით“ დააჯილდოეს.

— „მალტის ორდენით“ დაჯილდებულია მიხეილ სააკაშვილიც. თქვენ ამბობთ, რომ ის მასონია?

— მიხეილ სააკაშვილი 2005 წლის იანვრიდან მასონური ორგანიზაციის წევრია, რამდენიმე წლის წინ, მალტაში შეიკრიბნენ მასონური კლუბებისა და ორგანიზაციების მეთაურები და დააწესეს „მალტის ორდენი“ მათ საქმიანობაში გამორჩეულ მოღვაწეთათვის. შევარდნაძე, სააკაშვილი, ელცინი, გორბაჩოვი — ამ ორდენის მფლობელნი არიან, მასონთა გამოქვეყნებულ სიაში სულ 60 ქართველია მოხსენიებული.

— რომელ სიებს გულისხმობთ ან ვინ გამოაქვეყნა იგი?

— 2000 წელს რუსმა ოლეგ პლატინოვმა გამოსცა წიგნი „რუსეთი მასონური მმართველობის ქვეშ“. ამ წიგნში მოცემულია მასონთა სია. ქართველებიდან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებებისა, შეყვანილნი არიან: კახა ბენდუქიძე (1993 წელს), ბულატ ოკუჯავა (1992), ზურაბ წერეთელი (1993), ოლეგ ბასილაშვილი (1995)... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— ხდება თუ არა მასონთა ორგანიზაციაში ქალების გაწევრება?

— ხდება, მაგრამ იშვიათად.

— კვლევის დროს თუ შეხვედრიხართ ისეთ ფაქტს, რომ პიროვნებამ აღარ მოისურვა მასონური ორგანიზაციის წევრობა და დატოვა იგი?

— დიახ. ალექსანდრე პუშკინის მაგალითს გავიხსენებ. იგი მიიტყუეს მასონთა ორგანიზაციაში. როდესაც მის ჩათრევას ცდილობდნენ, პუშკინი შეეწინააღმდეგა. მასონთა უფროსმა დოლგორუკოვმა დუელისა და მისი მოკვლის გეგმა შეადგინა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალიშ უბის წიგნაკიდან:

ბო ელექტროტექნიკით არის უზრუნველყოფილი.

20. 1979 წელს ახალზელანდიელმა პოლ უილსონმა ასმეტრიანი დისტანცია 14,4 წამში გაირბინა. ეს რეკორდი დღესაც არ მოხსნილა. მიზეზი მარტივია: ეს დისტანცია სპორტსმენმა ფინიშისაკენ ზურგით შებრუნებულმა დაფარა.

21. „ნა რაბოტუ იდიოტ, კაკ ჯორდანო ბრუნო ზა დრავამი“, — ლანძღავდა ვიღაც თანამშრომელს ევგენი პეტროსიანი.

22. ცელიბატს, დაუქორწინებლობის აღთქმას, რომის არაერთი პაპი არღვევდა. 939 წელს სექსუალური აქტის დროს გული გაუსკდა რომის პაპ ლეონ VII-ეს. 964 წელს იოანე VII საყვარლის ქმარმა დაიმარტოხელა და ცემით ამოხადა სული. მსგავს ვითარებაში დაიღუპა იოანე IX-ც. 1471 წელს სასიყვარულო აქტის დროს გარდაიცვალა პაპი პავლე. ამ უკანასკნელის პარტნიორი, ყმაწვილი კაცი გახლდათ.

23. პლინიუსის გადმოცემით, ანტონიუსის სტუმრობისას კლეოპატრამ უძვირფასესი საყურეები, რომელიც მსხლის ფორმის მარგალიტებისაგან იყო დამზადებული, რომელი სტუმრის თვალწინ ღვინით სავსე თასში გახსნა და მისი საღღეგრძელო შესვა. დღევანდელ მეცნიერთა მტკიცებით კი, კლეოპატრა ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა, რადგანაც ბრილიანტის გახსნას მინიმუმ 48 საათი სჭირდება და თანაც ეს ძმარშია შესაძლებელი და არა ღვინოში.

24. ჟურნალისტ იაროსლავ გოლოვანოვის თქმით, ჩინელთა ორმა გამოგონებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარებაში. ერთის დახმარებით, კაცობრიობამ გამოიკვლია საკუთარი პლანეტა, მეორის დახმარებით კი გაყო იგი. ეს ორი გამოგონება კომპასი და დენთი გახლავთ.

25. 1913 წლის შემოდგომაზე ინდოელი პოეტი რაბინდრანატ თაგორი თავის მეგობარს სწერდა: „ეს ჩემთვის უდიდესი გამოცდა იყო. ამ ღონისძიებით გამოწვეულმა საზოგადოებრივი ვნებათაღელვის ქარიშხალმა შემაძრწუნა და ლამის წამლეკა. ეს ისეთივე ცუდი რამაა, როგორიც ძაღლისათვის კუდზე კონსერვის ქილის მიბმა, როცა გამწარებული ცხოველი ნაბიჯს ვეღარ დგამს ისე, რომ გზადაგზა ცნობისმოყვარე მოსეირეთა ბრბო არ შეყაროს.“ იმ წელს თაგორს ნობელის პრემია მიანიჭეს.

და იგი ცნობილ მასონს — დანტესს მოაკვლევინა... ლენინი მასონებმა მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში და მერე თვითონვე მოკლეს.

— რატომ?

— მან ბევრი რამ იცოდა, აღარ სჭირდებოდათ. ლიმონივით გამოწურეს. მის გამო შესაძლო იყო, საფრთხე შეჰქმნოდათ. ყველაფერი წინასწარ გათვალეს და მოკლეს... საერთოდ, ქვეყნის მეთაურებს მასონები ირჩევენ.

— ზვიადიც გამსახურდია ხომ არ მოუყვანიათ მასონებს ხელისუფლებაში!..

— სწორი შენიშვნაა, ზვიადის გაპრეზიდენტება მასონებისგან დამოუკიდებლად, შემთხვევით მოხდა. ისევე, როგორც სტალინის. იგი მართალია, მასონებმა მოიყვანეს, მაგრამ იმ მოტივით, რომ უნიჭო, გაუნათლებელი ადამიანი იყო. თანამდებობაზე დროებით უნდა დარჩენილიყო, შემდეგ კი სხვა პიროვნებით ჩაანაცვლებდნენ. მას მაკონტროლებლად კაგანოვიჩი დაუნიშნეს. იგი ებრაელი მასონი იყო და მათი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. საბჭოთა კავშირი მასონების მიერ იმართებოდა და ბუნებრივია, რომ სტალინზეც ახდენდნენ გავლენას.

— მასონურ სიმბოლოებზე რას გვეტყვით?

— მასონიზმის მთავარი სიმბოლო „იერუსალიმური გველია“. იგი გამოცდა იერუსალიმიდან და მასონთა გეგმის მიხედვით, მსოფლიოს გარშემო დაიწყო მოძრაობა. გველს კუდი პირთან აქვს მიტანილი. როცა მთელ მსოფლიოს მოიცავს, შეერთდება და დამყარდება ახალი მსოფლიო წესრიგი. ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსის შენობაში, შიდაფასადზე 6 გველია გამოსახული. ეს შენობა ვორონცოვ-დაშკოვის დროს არის აგებული — იგი მასონი იყო და შენობაზეც ამიტომ გამოსახა მათი სიმბოლო. მასონურია ინგოროყვას ქუჩაზე №6-ში მდებარე სახლი, მაგრამ იმ სახლის ისტორიას ვერ გიამბობთ... მასონიზმის თემაზე ადრე ღიად არავინ ლაპარაკობდა. დღეს გათამამებულნი არიან — მათ თავიანთი გეგმა



მასონიზმის მთავარი სიმბოლო „იერუსალიმური გველია“

თითქმის შეასრულეს და ჰგონიათ, რომ მთელი მსოფლიო ხელთ უპყრიათ. რა სამწუხაროა, რომ დღეს მასონური ორგანიზაციები თბილისშიც არის და ქუთაისშიც.

— თქვენთან საუბარი მაშინებს — თითქოს უომედოდ ხართ განწყობილი...

— მე მთელი სისრულით მაქვს გააზრებული ამ მეტისმეტად დიდი საშიშროების მნიშვნელობა: ქართველთა ეროვნულობას, კულტურას, ძირძველ ტრადიციებს, სარწმუნოებას საფრთხე ემუქრება.

ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსის შენობაში, შიდაფასადზე 6 გველია გამოსახული

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— საჭიროა, გონიერებას მოვუხმოთ, თითოეულმა ჩვენგანმა, არ დავივიწყოთ, როგორ გვიცხოვრია; წინ აღვუდგეთ გლობალიზაციას, რომ არ გაგვანადგუროს, არ გაგვრყვნას, არ წაგვლეკოს ამერიკანიზმმა.

იაკობ ახუაშვილთან შეხვედრის შემდეგ თბილისში არსებული მასონური შენობების მონახულებას მივყავი ხელი ფოტოკორესპონდენტთან ერთად და ეროვნული ბიბლიოთეკის 1 კორპუსს მივაშურე. მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობის ხშირი სტუმარი ვარ, საგამოფენო დარბაზის ფასადზე გამოსახული შავი გველები არასოდეს შემინიშნავს. ფოტოების გადაღების შემდეგ, ინგოროყვას ქუჩაზე გადავინაცვლეთ. ეს სახლი, დაცულ ძეგლთა სიაშია შეტანილი, მაგრამ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში დაცული სახლის „პასპორტში“ არც არქიტექტორის ვინაობაა მითითებული და არც აშენების თარიღია აღნიშნული. ამ სახლის ფასადზე გამოსახული ქალთევზები და ენაგადმოგდებული ეშმაკის ფიგურები გამვლელთა ყურადღებას იქცევს... გადაღების დროს, ერთი პიროვნება მომიახლოვდა და მკითხა — ამ სახლით რატომ დაინტერესდითო?; ვუპასუხე, რომ ჟურნალისტი ვარ და შენობის ისტორია მაინტერესებს. მან ვინაობის გამხელა არ ისურვა, მაგრამ მითხრა — ამ ქუჩის მცხოვრები ვარო, — და თხრობა დაიწყო:

— ამბობენ, ეშმაკების სახლიაო, მაგრამ მის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი, ისიც — ბებიებისა და ბაბუების თაობიდან გადმოცემით.

— რას ჰყვებოდნენ ისინი?

— ეს სახლი ორი ნაწილისგან შედგება. აქვს ორი შესასვლელი. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ერთ-ერთი (მგონი, მარჯვენა მხარე) არქიტექტორ იუზბაშის მიერ ყოფილა აგებული. მას კავშირი ჰქონია რუსეთის დუმის წარმომადგენლებთან, რომლებიც მასონები ყოფილან, ალბათ ამიტომ გამოსახა ეს ფიგურები. მეორე სახლს უფრო საინტერესო ისტორია აქვს, მასზე მრავალ ვერსიას ჰყვებოდნენ, ერთ-ერთი დამამახსოვრდა. იგი იუნკევიჩის მიერ ყოფილა აგებული. მას სუსტი ყოფაქცევის გოგო ჰყოლია, ამბობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც სახლის ფასადზე ენაგადმოგდებული ეშმაკი გამოსახა, მასთან არც ერთი მამაკაცი აღარ მისულაო. სულ ეს არის, რაც ამ სახლის შესახებ ვიცი.

სახლის ფასადის ფოტოების გადაღების შემდეგ ეზოში შევედი და სახლის მკვიდრს — **შალვა ხიდაშელს** *გავესაუბრე. მან სრულიად განსხვავებული ამბავი მომითხრო:*

— გადმოცემით ვიცი, რომ ეს სახლი 1900-იან წლების დასაწყისშია აგებული. იგი ერთ-ერთი მდიდარი სომეხი კაცის საკუთრებას წარმოადგენდა. საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ, ეს კაცი ოჯახთან ერთად, ამერიკაში წასულა, სახლი კი მთავრობას დარჩენია. მე აქ 1970 წლიდან ვცხოვრობ. როცა გადმოვედი, ბევრი მოხუცი ცხოვრობდა. მათთან არაერთხელ მქონია ლაპარაკი ამ თემაზე, მაგრამ ზუსტი ისტორია უცნობია. ერთ-ერთ ოჯახში სომეხი გაუთხოვარი დები ცხოვრობდნენ. მათ მითხრეს, რომ 1960-იან წლებში, ამ სახლის მფლობელის მემკვიდრე, როგორც ტურისტი, ისე ჩამოსულა საქართველოში, ეს ქუჩა ძველი სახელწოდებით მოუკითხავს *(თავდაპირველად, მას პეტრე I-ის ქუჩა ერქვა, შემდეგ — ფელიქს ძერჟინსკის. — ავტ.).* ამ სახლში, იმ დებთან მოუყვანიათ. ძალიან მინდოდა, რომ ეს სახლი ერთხელ კიდევ მენახა. მიუხედავად იმისა, რომ აქედან მცირეწლოვანი წამიყვანეს, ბუნდოვნად მაინც მახსოვსო, — უთქვამს მას. ეს ოჯახი ამერიკაში დამკვიდრდა. დღეს ჰყავთ თუ არა მემკვიდრეები, უცნობია.

— ამ სახლის ფასადზე გამოკვეთილ ფიგურებზე რას გვეტყვით?

— რა უნდა გითხრათ? ამბობენ, მასონური სახლიაო. მე არ მჯერა. უბრალოდ, გაფორმება აქვს ასეთი, მაგრამ რა მიზნით აკეთებდნენ ან რა დატვირთვა უნდა ჰქონდეს ამ ფიგურებს — არ ვიცი.

სულ ეს იყო, რისი გაგებაც ამ სახლის შესახებ შევძელი. არის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები, წინაპართა მონათხრობი და — მეტი არაფერი. იმასაც ამბობენ — რადგან ამ სახლის ფასადზე დემონია გამოსახული, მის შესახებ ნამდვილ ისტორიას ვერავინ გაიგებსო... ■

„ᲯᲔᲝᲑᲐᲠᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲤᲝᲠᲣᲛᲘ *ᲐᲜᲐ* „ᲕᲘᲡ ᲬᲣᲬᲣᲜᲖᲔ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲑᲐᲠᲘᲡ „ᲪᲐᲠᲔᲕᲜᲐ ᲜᲔᲡᲛᲘᲐᲜᲐ“?“

„ჯეობარში“ სიტუაცია ყოველდღიურად უფრო და უფრო იძაბება. წინა კვირაში ირაკლი „გაპლუსდა“, კოსტა კი, როგორც იქნა, „გამინუსდა“. ირაკლიმ კოსტას გვერდით, აუტსაიდერის სკამზე ვლასი დასვა. ვლასმა კოსტას მოუგო და პროექტში დარჩა. თუმცა, კოსტას ფანები ვლასის გამარჯვებას ირაკლის მომხრეებს მიაწერენ და მიაჩნიათ, რომ ირაკლის ფანებმა ვლასს იმიტომ დაუმესიჯეს, რომ თუ ის ფინალში გავა, ირაკლის მოგების გაცილებით მეტი შანსი ექნება. ამჯერად, ირაკლის „ანტიფანები“ ჟურნალისტებზეც აქტიურად ლაპარაკობდნენ. ყოფილი „ჯეობარელი“ ვანოც კვლავ აქტიურად ერთვება ინტერნეტფორუმში და ირაკლის მომხრეების სიაში ყველაზე აქტიური ფანის ადგილს იკავებს. ახლა კი, ჯერ პლუსკანდიდატის შესახებ გავიგოთ ხალხის აზრი, შემდეგ კი — ორივე მინუსკანდიდატის შესახებ. მაშ ასე:

მარი ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ირაკლი

— ირაკლი? ამას აქ რა უნდა? დოლიძელებმა იციან, აქ რომ ხარ?

— ვაიმეეე... იკუუუშ! შენი ფანი ვაააარ! კევი ჩამიღეჭე, რაა... რა ლამაზი ხააააარ! შენ გენაცვალე, ლოყებში...

— ვაიმე, მაგის პიროვნულობა და კაცობა არსად გაიშვა....

— ბარიდან რომ გამოვა, ლაპარაკი ასწავლეთ! ბოლოს და ბოლოს, ინტერვიუ ხომ უნდა მისცეს ჟურნალისტებს?

— აუ, შენც კიდევ, ჩვენს ჟურნალისტებს თუ გულისხმობ, ეყოფათ, ერთი დონეა...

— ჰო, „ნუ“, ჟურნალისტებთან საერთო ენას კი გამონახავს ბიჭი...

— აუ, მაგ სოფლელს ვინ უმესიჯებს?

— ვინ და თანასოფლელები!

— თუ მოიგებს, უეჭველად, ცხვირის ოპერაცის გაიკეთებს, მაგრამ მარტო ეგ ნაკლი რომ არა აქვს?

— კაცს რომ ცხვირი აქვს დიდი, ეგ არაფერი, ამბიციები არ უნდა ჰქონდეს დიდი.

— ირაკლიიი... ოეეე... „პარლამენტის“ გემო დეგევასა, ბიჭო? მანდედან რომ გამოხვალ, რა გეშველება მერე?

— გაიგეთ, ირაკლის ფანებო? თქვენ უფლება არ გაქვთ, რომ გააბრაზოთ „ჟორჟიკ-პროდაქშენი“. ყველანი კარგად დაფიქრდით, რომ არა ჟორჟიკა, ექნებოდა თქვენს ცხოვრებას აზრი? ვინ გაგიკეთათ ეს ფორუმი? ვინ ზრუნავს თქვენზე? ამიტომ ახლა პირი მოკუმეთ და ჟორჟიკასთვის „გრეკები“ გაამზადეთ.

— ფინალი ახლოსაა. ყველამ შევინახოთ ფინანსები. ირაკლის ვჭირდებით!

კოსტა

— ამ შაბათს კოსტა გაფრინდება. იცით, როგორ? პურს რომ დაღეჭავ, დაამრგვალებ და „ტრუპკაში“ რომ გაისვრი, აი, ისე...

— ვის წუწუნზე ლაპარაკობს ბარის „ცარევნა ნესმიანა“ (სოფო)? დედამიწის სამძიმარივით რომ დაჰქონდა ერთი კვირა მინუსი... პატარა ვლასიკო ყველაზე საყვარელი და ჭკვიანია.

— ეს ხალხი მაოცებს მე. კოსტა არის მაგარი კაცი!!!

— აქ ბოლოში კითხვის ნიშნები უნდა ეწეროს. კოსტა არის მაგარი კაცი??? აი, ასე...

— საახალწლო ნაძვის ხესავით იხუნძლება კოსტაია „მინუსებით“.

— კარგმა მოთამაშემ წაგებაც იცის და არ იბერება ბოლმისგან.

— ვისაც არ უყვარს კოსტა... რაც მე გულში გავიფიქრე, ის... აბა, გამოიცანით, რა გავიფიქრე?

— სასტიკად ცინიკოსი გახდა ამ ბოლო დროს. მოიცა, რა, სად არის კოსტას გასაბლატავებელი და რამე?

— დიდხანს გელოდით და ახლა ჩვენი დროა. კოსტა მოიგებს, დაწყნარდით, ხალხნო, რااა...

— არიქა, ნოსტრადამუსი მოვიდა!

— კოსტას „ანტისტებო“, მოდი, შევთანხმდეთ, რომ თუ კოსტა ამ შაბათს დარჩება, რაშიც პირადად მე ეჭვიც არ მეპარება, ფორუმიდან წახვალთ და აღარ დაბრუნდებით. ჩვენ კი გიმღერებთ — წადი, სულ წადი, იქნებ სულაც გადამავიწყდეეეე....

— კოსტას მიჰყოლიხართ ყველა, თუ ასე გინდათ.

— გიორგი არველაძემ თუ არ გადმოურიცხა თანხები, მაშინ წავა...

— გიორგი რა შუაშია? მეგობრები დავუდგებით გვერდით.

— ე, ბიჭო, ადრე დასდგომოდით გვერდით და არ გამოგეყვანათ ქვეყნის სამასხროდ „ჯეობარში“.

— ჩემო კოსტას „ანტისტებო“, ამ შაბათისთვის „კაპლები“ მზად გაქვთ? მოიმარაგეთ, დაგჭირდებათ! ამ შაბათსაც და პროექტსაც კოსტა მოიგებს. თქვენ არ ინერვიულოთ და ნერვებს ნუ იშლით, რა იცით, რაში დაგჭირდებათ...

— ისე ჯიგრულად გამოსდიოდა შეტენვა „სასტავთან“, მაგრამ ხალხი რომ დაიშალა, სველი კნუტი გაიჩითა კოსტას ადგილზე.

— ხალხო, რა იყო? რა დღეში გაქვთ ნერვები? რით ვერ შეეგუეთ, რომ კოსტას ჰყავს „ანტები“? შეეგუეთ იმას, რომ არ მოგვწონს კოსტა და მასზე რასაც გვინდა, იმას დავწერთ. მხარს ვუჭერთ უფრო ღირსეულ ადამიანებს. გაქვთ კოსტას ფანკლუბი? გაქვთ! შემოვსულვარ იქ და დამიწერია რამე? არა! ჰოდა, დასხედით და იქ ილაპარაკეთ, როგორი კარგია თქვენი კოსტა!

— აუ, კოსტა გავარდა! ამას ნაღდად არ ველოდი... ისე, მაგრად გამიკვირდა. კარგი ბიჭია და შემეცოდა... თვითონაც გაოგნებული დარჩა. ცოტა აიჭრა, მაგრამ შეგნებული ადამიანია...

— კოსტა მაინც მოგებულია, არ იდარდოთ, ხალხნო... აბა, წავედი ახლა მე სოფოსკენ...

— ვაიმე, რა მაგარიაااა.... რა ეგონა, მოიგებდა? ასეც მოუხდება, როგორ გაბანძდა!

— არ აწყობდათ ირაკლის ფანებს კოსტა ფინალში და დაახარჯეს ვასკას ყველაფერი. დიდი უსამართლობა იყო, რაც შაბათს მოხდა. კოსტა მაინც მაგარია!

ვლასი

— ვლასის გულშემატკივარი არ ვარ და არც მომწონს ეგ ტიპი, მაგრამ ვაღიარებ, რომ მაგარი განათლებულია.

— იყო ერთი ძალიან დიდცხვირა კაცი, სახელად ერქვა სირანო. არ იყო ლამაზი, მაგრამ ისეთი ჭკვიანი იყოოო... გოგონები სულ — ტეტაااა... — ასთე გაიძახოდნენ... ჰოდა, ვლასს კი არ ვადრი სირანოს, ვლასი უფრო ლამაზია, უბრალოდ, როცა ჭკუა გაქვს თავში, თმის სიგრძეს, ცხვირის ზომასა და მშობლების „რადასლოვნაიას“ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ვლასი ყველაზე მაგარია „ჯეობარში“ და ეგ „ფულებიც“ ეკუთვნის“.

— ვერ წარმომიდგენია, ამ ადამიანზე ცუდი რამ როგორ უნდა დავწერო.

— ვლას, ამ შაბათს „პაკაااა“!

— ისე, ამ სამი ვაუისგან ერთ ნორმალურს ააწყობდა კაცი, ჰაააა? ირაკლის კუნთები, ვასკას ინტელექტი და კოსტას... კოსტას... რა?

— კოსტას ღიპიიი... ჰა-ჰა-ჰااااა....

— ვლასი დარჩა? „ურااა“... საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყოლია, რასაც ვერ წარმოვიდგენდი...

— ძლივს გაიმარჯვა იმან, ვინც იმსახურებდა. ვლასი მოგების ღირსია.

— საღოლ, ვასკა, მაგარი კაცი ხარ, გამიხარდა შენი დარჩენა. ■

ზარმაცი ნატა თაყვანისმცემელია მესიჯებს ლის

„ლობიოს ყერძის მომზადება და ძაღლის გასეირნება მეხერხება"...

სოფო ჭონიშვილი

რუბრიკა „საპატარძლოს" სტუმარი ყოფილი „ჯეობარელი", მომხიბვლელი ნატა ნუცუბიძეა, რომელმაც ჩვენთან საუბრისას აღიარა, რომ ძალიან ზარმაცია — უყვარს ძილი, გართობა და მეგობრები. ნატას თაყვანისმცემლები ინტერვიუდან შეიტყობენ, თუ როგორ უნდა მოაწონონ მას თავი.

— თავდაპირველად, შენი ოჯახი გაგვაცანი...

— მყავს მშობლები, ტყუპისცალი და, ძმა, 2 წლის შვილი და ორი ძაღლი — კრისა და კეი. ყველაზე კარგად თავს მათ გარემოცვაში ვგრძნობ.

— ახლა შენი თავი დაგვიხასიათე.

— მოდი, ცუდი თვისებებით დავიწყებ: ძალიან ჯიუტი და ზარმაცი ვარ (*იცინის*). სამაგიეროდ, არაჩვეულებრივი მეგობარი გახლავართ. მიყვარს ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები. ჩემს კარგ თვისებად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ კონტაქტური ვარ და ამით ვამაყობ.

— რას ვერ აპატიებ საყვარელ ადამიანს?

— საყვარელი ადამიანებისგან ძალიან ბევრს მოვითხოვ. მათ ვერ ვაპატიებ უპატივცემულობას და ტყუილს. უსაყვარლეს ადამიანსაც კი დავკარგავ.

— შენ თუ მოგიტყუებია ოდესმე ვინმე?

— ცხოვრებაში არის მომენტები, როცა გინდა თუ არა, ტყუილის თქმა გიწევს. მაგრამ ისეთ ტყუილს არასდროს ვამბობ, რომ ვინმე სერიოზულად დავაზარალო... სიმართლე გითხრა, ეს არც გამომდის, როცა ვიტყუები, სახეზე მეტყობა.

— რამდენი წლის ხარ?

— 20-ის.

— ბუტია ხარ?

— ჩემი გაბრაზება ძალიან ადვილია და შესაბამისად, ხშირად ვიბუტები.

— ხშირად ტირი?

— ამ ბოლო დროს, როცა მაწყენინებენ, ცრემლი ჩემდა უნებურად მომდის, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, ეს დავმალო და არავის დავანახვო. ისე, წყენას მალე ვივიწყებ, თუ მართლა რაღაც საშინელება არ გამიკეთეს.

— ნატა, ახლა ის გვითხარი, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— კარგი (*იცინის*). მოდი, ასე ვიტყვი, არ მომწონს ისეთი მამაკაცები, რომელმაც ძირს ფურთხებისა და გინების მეტი არაფერი იციან. ჩემს სიმპათიას განათლებული და ჭკვიანი მამაკაცები იმსახურებენ. მამაკაცს, რომელიც ჩემ გერდით იქნება, უნდა ვუყვარდე, პატივს მცემდეს და ჩემი საქმიანობა მოსწონდეს.

— ამჟამად რას საქმიანობ?

— დიზაინის ფაკულტეტზე ვსწავლობ, ბოლო კურსზე ვარ.

— შენი გული თავისუფალია?

— ეს ჩემი საიდუმლოა...

— ოჯახური საქმეების კეთება თუ გეხერხება — კერძის მომზადება, უთოობა და ა.შ. თუ შეგიძლია?

— უთოობას ვერ ვიტან. მახსოვს, ადრე დედაჩემი ფარდებს მაუთოებინებდა, რაც ნერვებს მიშლიდა... „სარროჩკებისა" და პიჯაკების უთოობა არ გამომდის. როცა ამის აუცილებლობაა, დახმარებას დედას ვთხოვ. რაც შეეხება რეცხვას, — სარეცხი მანქანა არაჩვეულებრივი საშუალებაა... საჭმელს ყოველთვის დედაჩემი ამზადებს, მე კი, მზამზარეულს მივირთმევ. თუმცა, ძალიან კარგი ლობიოს კერძის, სხვადასხვანაირი სალათის მომზადება მეხერხება. მიყვარს, ექსპერიმენტები და მსიამოვნებს, როცა ის მოწონებას იმსახურებს.

ცხოვრებაში არის მომენტები, როცა გინდა თუ არა, ტყუილის თქმა გიწევს

— ძილი გიყვარს?

— ჩემი ერთი დიდი მინუსი ის არის, რომ ძალიან მიყვარს ძილი. ამ ბოლო დროს, შედარებით ადრე ვიღვიძებ იმის გამო, რომ ჩემი ძაღლი უნდა გავასეირნო. თუ არავინ გამაღვიძა, შემიძლია, 4 საათამდე ვიძინო.

— ბედისწერის გჯერა?

— კი, მჯერა. როცა ადამიანი იბადება, ბედისწერის წიგნში მისი ცხოვრება უკვე დაწერილია.

— მკითხავებთან თუ დადიხარ?

— არა, არ დავდივარ, რადგან მკითხავების და მისნების ძალიან მეშინია. ერთადერთხელ, ჩემს ნათესავს გავყევი წინასწარმეტყველთან, მაშინ პატარა ვიყავი და არც კი მახსოვს, რას გველაპარაკებოდა.

— ეჭვიანი თუ ხარ?

— საშინლად ეჭვიანი ვარ. ეჭვიანი ვარ არა მარტო საყვარელი მამაკაცის, არამედ ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ჩემ ირგვლივ ტრიალებს. ეს შეიძლება, იყოს ჩემი და, ძმა, და ა.შ.

— ნატა, თუ საიდუმლო არ არის, მეუღლეს რატომ გაშორდი?

— ამ თემაზე საუბარი არ მსიამოვნებს.

ქეთი, *ნატას დედა:*

— მათი ოჯახის დანგრევის მიზეზი ის იყო, რომ არც ერთს არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ოჯახი ადამიანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. პატარები იყვნენ და ამდენი არ ესმოდათ.

— მზითვი თუ გაქვს გამზადებული?

ნატა:

— არა (*იცინის*). ჩემი მზითვი — ჩემი შვილი და ძაღლები არიან.

— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს. აბეზარ „პაკლონიკებს" როგორ იგერიებ?

— აბეზარი თაყვანისმცემლების მოსაგერიებლად, ყველაზე კარგი საშუალება, მობილური ტელეფონის ნომრის გამოცვლაა, რომელიც უკვე მეექვსედ გამოვიცვალე. როცა მირეკავენ, მათ ჩვეულებრივ, კულტურულად და ზრდილობიანად ვესაუბრები, მადლობას ვუხდი იმისთვის, რომ პატივს მცემენ, მაგრამ მეორედ, უკვე ვთხოვ, აღარ დამირეკონ.

— მამაკაცის გაცნობისას პირველ რიგში, მისი მატერიალური მდგომარეობით ინტერესდები?

— ჩემთვის მატერიალური მდგომარეობა მთავარი არ არის. უმჯობესია, მამაკაცს ვუყვარდე და მიყვარდეს. მომწონს ისეთი მამაკაცები, რომლებსაც საკუთარი შემოსავალი აქვთ და მშობლებზე არ არიან დამოკიდებულნი.

— ეი. მისი საბანკო ანგარიშით არ დაინტერესდები?

— არა, ამით ნამდვილად არ დავინტერესდები. მაგრამ თუ სიყვარულიც, სიმდიდრეც და ფულიც ერთად იქნება, ეს, რა თქმა უნდა, საუკეთესო ვარიანტია.

— ქალბატონო ქეთი, როგორ მეუღლეს ისურვებდით თქვენი შვილისთვის?

— ჭკვიანს, განათლებულს, ყურადღებიანს. პირველ რიგში, ის პატივს უნდა სცემდეს ჩემს შვილს და ძალიან უყვარდეს, რადგან ვფიქრობ, ნატა ამას იმსახურებს. ჩემი გოგონა ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერია. მართალია, ცოტა ზარმაცია, მაგრამ შეიძლება, ეს სიზარმაცე სიყვარულმა დააძლევინოს. ძალიან ბევრი რამ ეხერხება: მღერის, ცეკვავს, კერავს, ქსოვს...

— ნატა თავისუფალ დროს სად ატარებ ხოლმე?

— ჩემი ერთადერთი გატაცება — მანქანებია. კვირაობით რუსთავში მივდივარ და რალიში ვმონაწილეობ.

— ეი. პროფესიონალი მძღოლი ხარ?

— შემიძლია ვთქვა, რომ კარგი მძღოლი ვარ, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— ჩემი საიდუმლო რომ გაგიმხილო, პატრული გამაჩერებს და დამიჭერს.

— მართვის მოწმობა არა გაქვს?

— არა (*იცინის*).

— შენს სახელზე მოსულ SMS-ებს, თუ გაეცნობი?

— დიდი სიამოვნებით. ძალიან მაინტერესებს რას მომწერენ.

P.S. *ნატასთან დაკონტაქტების მსურველებს შეუძლიათ დამიმესიჯონ ტელეფონის ნომერზე 8(98) 23.09.21 წარმატებებს გისურვებთ!* ■

პირველად ეს სიტყვა, თავისი მისამართით, თეთრი, ფუმფულა, გემრიელი სურნელით გაჟღენთილი მასწავლებლისგან გაიგონა:

ლეა ცუცქირიძე

— ღმერთო, რა უნიჭოა ეს ბავშვი!..

ამ ფრაზაში სამწუხარო და საამური ერთად იყო. სამწუხარო, მისი უნიჭობა გახლდათ, საამური კი, ის დიდი სიტყვა, რომელიც ამ ფრაზას გულისტკივილით ავსებდა და არა იქედნური ღირღიტით...

მერე, როდესაც ადამიანები მის უნიჭობას გაღიზიანებით ხვდებოდნენ, აღარ იყო ძნელი შეგუება, რადგან სინანულშერეული თანაგრძნობა ერთხელ უკვე მიიღო...

ცოტა ჰყოფნიდა: ცოტა სითბო, ცოტა პური, ცოტა ადგილი, ცოტა სიყვარული. ჰო, ისეთებიც იყვნენ, რომელთაც უყვარდათ.

სიყვარული იყო, აბა რა — მისი დამრიგებლის გამოსამშვიდობებელი სიტყვა „ბოლო ზარზე“: ხიზანიშვილო, ვეღირსეთ სკოლის დამთავრებას, გილოცავო! ისიც სიყვარული იყო, დედის დასაფლავების დღეს, კოლმეურნეობის თავჯდომარემ რომ თქვა დანანებით — უბედურო მარო, ვის უტოვებ ამხელა ქონებასო?..

ადამიანები ასეთ სიყვარულს პერიოდულად გამოხატავენ, მაგრამ თავად ჰგონიათ, რომ ფაქტებს აღნიშნავენ მხოლოდ. კახა ხიზანიშვილმა კი, ზუსტად იცოდა, რომ ეს ადამიანები უყვარდა.

...არ გამოვიდა მისგან სწავლული. ვერც ის მოახერხა, მშობლების მიერ დატოვებული კარ-მიდამო აეყვავებინა და ერთი ასად გადაექცია.

უნიჭო იყო.

ან — ხელმოცარული.

იმ ზამთარს, სოფელში მაგრად ჩამოთოვა. ჩამოთოვა რა?! ომიდან ახალდაბრუნებულს, უამრავი გეგმა ჰქონდა. ჯერ, მის თვალწინ დაღუპული ბიჭების სისხლიანი სახეები უნდა დაეგიწყებინა, ისე, რომ მათზე ფიქრი ცოცხალ ადამიანზე ფიქრს დამსგავსებოდა... მერე კიდევ, თავისი მიტოვებული, გაპარტახებული კარ-მიდამოსთვის უნდა მიეხედა, მეზობლების გაზიდული ქონება ახლით შეევსო და ნანა მოეყვანა ცოლად (“ნანااااااااااااااااا! ნანიკ-ოოოოოოოოოო!“)...

ჰოდა, ჩამოთოვა. თოვლმა მანძილი ნანას სახლამდეც გაზარდა და ქალაქამდეც, მაგრამ 15 კილომეტრი რაა, ის რომ ვერ გაევლო კახა ხიზანიშვილს?! ორი-სამი დღეც და, მისი ნაშრომ-ნაღვაწი სათბურებიდან, ქალაქელები ბუნებისაგან უამრავფრად შელებილ მიხაკებს მიიღებდნენ კახასაგან... არა, ეს სათბური უნიჭო, ათასჯერ უაზროდ დაჭრილი მეომრის ხელით მოვლილ-ნასათუთარ წალკოტს არ ჰგავდა. აქ ყველაფერი იყო, უნიჭობის გარდა: მონდომება, სურვილი, შრომა, თავდადება...

სამი დღეღა და — გულის გასახეთქად გამზადებული მიხაკები, ფერებს გამოაჩენდნენ...

იმ დილას, სათბურში კახას ეგონა, რომ სასაფლაოზე მოვიდა.

ჩვენს ქვეყანას მაშინ პირველად უთხრეს, რომ თავისუფლება და გაზი შეუთავსებელი ცნებებია; რომ ომში დამარცხება დაჩოქებას ნიშნავს და რომ ძალა აღმართსაც ხნავს და თავდაღმართსაც... კახამ ამდენი ვერ გაიგო, მაგრამ იმას კი ზუსტად მიხვდა, რომ ნანასთვის შეთვალიერებულ ნიშნობის ბეჭედს ვერ იყიდდა...

— უნიჭო ვარ, დედა, ყვავილებიც ვერ ვახარე... — მიატირა საფლავს, ჩაალაგა ერთი-ორი თავისი ნივთი და იმ ქალაქს მიაშურა, რომელსაც ყვავილებით დაპყრობას უპირებდა...

ქალაქში სიცივე დახვდა.

ვინ ხარ და ვის დაჰკარგვიხარო?..

მაინც არ შეშინდა და ბაზრობაზე ტვირთის მზიდავად დაიწყო მუშაობა.

ძნელი იყო. მძიმე იყო ტვირთი და ძნელი — სხვის ბინძურ ოთახში დაძინება. ღამღამობით, ხან თავისი მკვდარი მეგობრები ესიზმრებოდა, ხანაც — უგა-

ზობით გაყინული წალკოტი. ბავშვობიდან მიწას შეჩვეული, ბაზრობის ტალახს ზელდა უხარისხო ფეხსაცმლით. არაფერს ჩიოდა და არაფერს დაეძებდა, ოღონდ „კაპიკი კაპიკს“ დამატებოდა და თავისი გაცივებული კერა გაეხარებინა... ეგ იყო მხოლოდ, მამასისხლად ნაშოვნი „კაპიკები“ ყოველ მზის ამოსვლასთან ერთად, უფასურდებოდა.

პირველმა ეროვნულმა ვალუტამ — კუპონმა ჩაილურის წყალი დალია...

ეს, თვეების მანძილზე ნაგროვები მილიონები ერთად ჩაუკუჭა ავტობუსის მძღოლს ხელში და გამოვიდა, რომ კახამ იმისთვის ათრია მთელი დუნიის ტვირთი, რომ სახლში დასაბრუნებელი ბილეთის ფული მოეგროვებინა...

სახლი ცარიელი დახვდა, მთლად ცარიელი — ნაგავი ეყარა მხოლოდ იატაკზე. ნაგავი და ოჯახის სურათები. სახლი — გაქურდული, სათბური — შუშებამოცლილი, ბეღელი — მიწასთან გასწორებული, ბოსელი... ეჰ, რა ბოსელი?! აღარც თოხი და ბარი, აღარც სალესავი და ნაჯახი, აღარაფერი და აღარავინ... აღარც იმედი და აღარც სიყვარული.

ნანასთან მიკარება ვერც კი გაბედა. რა უნდა ეთქვა?.. გულდაგულ გამოხვეტა ცარიელი ოთახები, ნაგავი ეზოში დაწვა, სურათები ერთად მოაგროვა... მთელი ღამე იტირა. დილით, ალიონზე გადახედა თავის დასახვნელ და დასათეს მიწას, მამულს, რომლისთვისაც მზად იყო, სისხლიც დაეღვარა და ოფლიც და გზას ამჯერად, ფეხით გაუყვა...

— კახაااა! რატომ დამტოვე, ბიჭოოოოოოოო?!

გულამოსკვნილი ქვითინებდა მისი რჩეული, ახალშერთული ქმრისთვის პერანგს რომ რეცხავდა... სიყვარული იყო ესეც?..

კახა ახლა მართლა გაემგზავრა. მაშინ ვერ გაიაზრა ამდენი, მაგრამ იმ წამოსვლასა და ამ წამოსვლას შორის რომ დიდი სხვაობა იყო, — ეს მისმა სხეულმა იგრძნო. პირველი წასვლა ჩქარა დაბრუნებას გულისხმობდა, მეორედ წასვლას მხოლოდ ერთ მხარეს გაფრენა ერქვა, უკან მობრუნების საოცრად ბუნდოვანი იმედით. თუმცა, იმედი ჯერ კიდევ იყო.

როგორ?

იფიქრა და მიხვდა — ისევ ტვირთის ზიდვა ხეირს არ დააყრიდა. ასე, ვერც ვერაფერს იშოვიდა და ვერც იპოვიდა.

საოცარი ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია, მართლაც, განსაკუთრებულია თავისი გულუხვობით. სამი დღის მშიერს, აქ აუცილებლად მოგაწვდის ვინმე მადლიან ლუკმას, მიუხედავად გაჭირვებისა, პურსაც მოგიტეხს და იქნებ, ისევ პურისგან დამზადებული, სურნელოვანი მწვანილით შეზავებული, ცხელი, ეგრეთ წოდებული, „ტყუილი კატლეტიც“ შემოგთავაზოს.

ეს „ეგრეთ წოდებული“, ყველაფერი ფარსია, მაგრამ შემცვლელად გამოდგება — განაყრებს კიდეც და ზოგჯერ ბრძანებასაც გაძლევს. ხარისხია მხოლოდ უმდაბლესი... რას იზამ, უნიჭო მეომრები კი არა, ახლა ნიჭიერებიც, ე.წ. მეომრები გახდნენ, არავინ უწოდებს, ოღონდ, ასე. რატომ? უნიჭო ადამიანმა რა უნდა ახსნას? ასეა და მორჩა!

მცირედით დაკმაყოფილდი და დაამთავრე ფიქრი!

როცა აღარაფერი გაქვს დასაკარგი, როცა საკუთარი კერაც „ეგრეთ წოდებულ სახლად“ გადაგექცა და საყვარელი გოგონაც სხვისი ცოლია, მაშინ გონება ან სამუდამოდ გიბნელდება და იღუპები, ან ხვდები, რომ ცოტა პურით, ცოტა ადგილით და ცოტა სიყვარულით ვერასდროს დაკმაყოფილდები...

ჰოდა, იწყებ...

ეს ამბავიც, თითქოს დასასრულისკენ

მოდი, ისე გაგხეხო, რომ მწვანე თვალების გარდა, აღარაფერი გიჩანდეს...

რომ უნდა მიდიოდეს, კახამ აქ დაიწყო. ჯარ რაღაც-რაღაცეებს მიხვდა:

მიხვდა, რომ მასწავლებელი, რომელმაც მისი უნიჭობა აღმოაჩინა, თავად იყო უნიჭო და ამიტომ ვერ ასწავლა წერა-კითხვა... ისიც გააცნობიერა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შური და სიხარბე ალაპარაკებდა, დედის დაკრძალვის დღეს... ეჭვი ნანას სიყვარულშიც შეეპარა, რადგანაც არ არსებობს სიყვარული იქ, სადაც ღალატია...

მიხვდა, რომ არც მიხაკების დაღუპვაში მიუძღოდა ბრალი, — ეს მისი სახელმწიფოს უსუსურობის ნიშანი გახლდათ...

მერე, სხვა რაღაცეებსაც მიხვდა: რატომ უყვარდათ ჯარისკაცებს უხეირო მსროლელი? ვითომ იმიტომ, რომ ვერავინ მოკლა?! თუ იმის გამო, რომ მკერდით გადაეფარა მეგობრისთვის ნასროლ ტყვიას?..

ან რატომ გაუქურდეს სახლი კარის მეზობლებმა? სიყვარულის ან სიბრალულის ნიშნად?..

არა, არ იყო კახა მათი მსგავსი. უნიჭო იყო, რადგან ეშმაკობის, ქვემძრომობის, ზიზღის უნარი არ ჰქონდა. ამიტომაც აუწიოკეს სახლ-კარი...

რა გამოდის? ბედნიერი მხოლოდ დედის მკლავებში მოქცეული იყო და მერე, ომში?.. დედასთან — ჰო, მაგრამ ომში ხომ სიკვდილს უყურებდა თვალებში!.. კი, ბატონო, ასე იყო, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ის მხოლოდ დედას და თანამებრძოლებს უყვარდათ...

ამოვიდა მზე. შე უნიჭო კაცო, რატომ ებღოტიალები ქიმერებს?! გაახილე თვალი და თითქმის სამათხოვროდ გაშვერილი ხელით, იმის ტელეფონის ნომერი აკრიბე, ვისაც შენი მკერდით შეუნარჩუნე სიცოცხლე!.. როცა ძალა აღარ გყოფნის, ითხოვე შეწყალება და — მიიღებ. ნურაფერს მოითხოვ, მხოლოდ ითხოვე და ყველაფერს მიხვდები.

— კახა, ძმაო!

გაშლილი ხელები, გაბრწყინებული სახე და ბედნიერება თვალებში!

— აკი, სოფელი უნდა ავაშენოო?! როგორ მაკლდი!..

ფართოდ გაღებული კარი და სითბო, გადმოღვრილი ამ სახლიდან...

— ვერ შემოვალ, სიბინძურეში ვდგავარ!

— შენი ხატოვანი აზროვნება სოფლის საღამოებისთვის შემოინახე, კაფიაობას რომ დაიწყებ... მოდი, ისე გაგხეხო, რომ მწვანე თვალების გარდა, აღარაფერი გიჩანდეს...

დამთავრდა უნიჭობა!

■

ბავშვობიდან მიწას შეჩვეული, ბაზრობის ტალახს ზელდა უხარისხო ფეხსაცმლით

ასე მივაღწიე მიზანს

სტუმრად ქათმებთან და ლიცენზირებული ყოცნა ანუ როდის მოუკვდება დედა?

ბავშვობაში ვოცნებობდი, რომ როცა გავიზრდებოდი, აუცილებლად მასწავლებელი „გამოვიდოდი“, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიე და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჟურნალისტი „გამოვედი“. ბავშვობის ოცნებას ახლა ავიხდენ და ჩემს მკითხველებს მათემატიკის გაკვეთილს ჩავუტარებ. როგორც წესი, მასწავლებელი გაკვეთილს სიის ამოკითხვით იწყებს ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ ყველანი აქ ხართ და ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. ჩაიწერეთ ამოცანის პირობა: „ერთი მესიჯი ღირს 6 თეთრი. მარი ჯაფარიძეს, კვირაში 1000 ადამიანი სთხოვს, გაუგზავნოს მესიჯი და განუმარტოს: რა თემაა „გზავნილებში“ მომავალ ხუთშაბათს; რა ნომერია ნინი ბადურაშვილის ტელეფონი; აქვს თუ არა ლიკა ქავჯაიას რესპონდენტს — გიორგი შაყულაშვილს მობილური და რა ნომერია ის; დაადასტუროს, რომ ნამდვილად ჟურნალისტია; უკვე გაიღვიძა თუ ჯერ კიდევ სძინავს?.. და ა.შ.“ ყურადღება! შეკითხვა: რამდენი ლარი უნდა გადაიხადოს მარიმ თვეში, რომ კვირაში 1000 ადამიანს მესიჯი გაუგზავნოს და მათი ინტერესი დააკმაყოფილოს? „ხუთოსან“ მოსწავლეებს ამ ამოცანის ამოხსნა არ გაუჭირდებათ. „ოროსანი“ მოსწავლეებისთვის გთავაზობთ სწორ პასუხს: 0,06X1000X4240. მაშ, გამოდის, ყოველთვე 240 ლარი მჭირდება საიმისოდ, რომ ყველა მსურველს მესიჯი გავუგზავნო... როგორ ფიქრობთ, ეს ცოტაა თუ ბევრი? ამ კითხვაზე შესაძლოა, რამდენიმე სწორი პასუხი არსებობდეს და მათემატიკის გაკვეთილი ფილოსოფიის გაკვეთილში გადაიზარდოს. გაკვეთილსა და გაკვეთილს შორის კი, როგორც წესი, შესვენებაა მიღებული და მეც, შესვენების დროს, პირველი მკითხველის მესიჯს შემოგთავაზებთ. იმედია, თქვენც ჩემსავით იხალისებთ.

მარი ჯაფარიძე

დედამთილიც ასეთი უნდაااა....

„გაინტერესებთ, როგორ მივაღწიე მიზანს? ახლავე გიამბობთ. 18 წლის ვიყავი, როდესაც პირველად შემიყვარდა. თაზო მაშინ 25 წლის იყო. ამიტომ, ჩემზე ჭკვიანმა და გამოცდილმა მამაკაცმა იოლად დამახვია თავბრუ და უზომოდ შემაყვარა თავი. ჩვენი სიყვარულობანა 5 წელი გრძელდებოდა. ამასობაში, ის ჩემმა ოჯახმა გაიცნო, მე მისი ოჯახი გავიცანი და ჩვენს ურთიერთობას ოფიციალური სახე მიეცა, მაგრამ ქორწინებას არა და არ დაადგა საშველი. ფიზიკური ურთიერთობა არ გვქონდა, ამიტომ ის ვნებებს, რა თქმა უნდა, სხვა ქალებთან იცხრობდა, თანაც ამას ისე აკეთებდა, რომ მე ვერაფერს ვხვდებოდი — ასე რომ, ეჭვიანობის საბაბს არასოდეს მაძლევდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, საფრთხის მოახლოება ვიგრძენი: თითქოს ჩემ მიმართ გაცივდა. თუ მე არ დავურეკავდი, თვითონ არც კი ვახსენდებოდი. ჩემი გასაჭირი დედამისს შევჩივლე. სადედამთილომ გამიმხილა, რომ თვითონაც ძალიან განიცდიდა იმ ამბავს, რომ თაზო ვიღაც შვილიან ქალს იყო გადაკიდებული, მაგრამ მე არ მიმხელდა, რადგან ჩემი განერვიულება არ უნდოდა. ამან, რა თქმა უნდა, დამაფიქრა. გადავწყვიტე, კარგად გავრკვეულიყავი საქმის არსში. დავტრიალდი და ყველაფერი დაწვრილებით გამოვიკითხე. აღმოჩნდა, რომ თურმე კვირაობით არ მიდიოდა შინ და მთელ თავისუფალ დროს იმ განათხოვარ ქალთან ატარებდა. შორიდანაც კი დავინახე ჩემი მეტოქე და ლამის გული გამისკდა, ისე ვინერვიულე. როდესაც თაზოს ამის შესახებ დაველაპარაკე, საერთოდ უარყო იმ ქალის არსებობა და ძმაკაცს გადააბრალა: ვითომ ის ქალი, მისი ცოლიანი ძმაკაცის საყვარელი იყო და ოჯახში პრობლემები რომ არ შეჰქმნოდა, თაზო იბრალებდა... რა თქმა უნდა, არ დავუჯერე და კონკრეტულად დავსვი საკითხი, — დაქორწინდეთ-მეთქი! მან კი ისევ გადადო ქორწილი. ბევრი ვიფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი და ბოლოს, ერთი ხერხი მოვიგონე. ერთ მშვენიერ დღეს, ჩავალაგე ჩემოდნებში ჩემი მზითვი და თაზოსთან „მივბარგდი“. შინ მხოლოდ დედამისი დამხვდა. რა თქმა უნდა, სიხარულით მიმიღო და ჩემი ნივთების გარდერობში დალაგებაშიც კი მომეხმარა. იმ ღამეს, თაზო სახლში არ მოსულა. მეორე დღეს, დილით გამოჩნდა, ტანისამოსი რომ გამოეცვალა და სამსახურში წასულიყო. კარი მე გავუღე. რომ დამინახა, თვალები დაჭყიტა. — აქ რას აკეთებ? — შენ გელოდები-მეთქი, — ვუპასუხე. მერე დედამისმა უთხრა, — მარტო ყოფნა მომბეზრდა და ვთხოვე, მოსულიყო; აწი, ნინო მაინც იქნება შინ და დამლაპარაკებელი მეყოლებაო... იმ დღის მერე, ცოლქმარი ვართ. იმ კახპისკენ გახედვის საშუალებაც აღარ მიმიცია. ის ქალი, ერთხანს რეკავდა, მლანძღავდა, მოძალადეს მეძახდა და უშვერი სიტყვებით მაგინებდა, მაგრამ დედამთილმა გადამატანინა ეს დღეები. მის მხარდაჭერას ვგრძნობდი და ყველაფერი კარგად დასრულდა. შემოვევლე ჩემს ლალი დედას... მისი დახმარებით მივაღწიე მიზანს და ახლა ბედნიერი ოჯახი მაქვს — 2 შვილიც მყავს, მოსიყვარულე მეუღლეც და გადასარევი დედამთილიც. ასე მივაღწიე მიზანს“.

ადამიანებს ხშირად უჩნდებათ ისეთი სურვილები, რომლის ახდენაც დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მეტროში მგზავრობის დროს არასოდეს გაგჩენიათ „სტოპ-კრანის“ ჩამოწევის სურვილი? ამ ქმედებამ შესაძლოა, მსხვერპლი გამოიწვიოს, ამიტომ უნდა გადაიფიქროთ. ხანდახან ალბათ მოგნდომებიათ, სხვისი წერილი ან მესიჯი წაგეკითხათ. არც ამის გაკეთება ღირს, რადგან თუ ავტორი ახლობელია, შესაძლოა, შთაბეჭდილება გაგიფუჭდეთ, ხოლო თუ უცხოა, მაშინ საინტერესოს მაინც ვერაფერს შეიტყობთ. ხანდახან კი შეიძლება, იმის სურვილი დაგებადოთ, რომ შეფს სიმართლე მიახალოთ და უთხრათ ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობთ... შედეგი შესაძლოა, გაცილებით ტრაგიკული აღმოჩნდეს, ვიდრე მეტროში „სტოპ-კრანის“ ჩამოწევისას. ამიტომ ამას სჯობს, სახლში სამიზნე დააყენოთ შეფის გამოსახულებით და სროლაში ივარჯიშოთ... ხანდახან იქნებ თმის შეღებვის სურვილიც მოგეძალოთ და ამაში საგანგაშო არაფერია — თუ თქვენ ქალი ხართ! რაც შეეხება მამაკაცებს, აღმოჩნდა, რომ შესაძლოა, თმის შეღებვა მიზნის მიღწევაშიც კი დაგეხმაროთ. ამის მშვენიერი მა-

გალითი შემდეგი რესპონდენტის მესიჯია.

მიზანი ამართლებს საშუალებას

„მე ცოლიანი მამაკაცი ვარ და ცოლიანი მამაკაცისა და გასათხოვარი ქალის ბანალური სიყვარულის ამბავს მოგიყვებით, ერთი განსხვავებული ნიუანსით. ჩვენი გაცნობაც საკმაოდ ბანალურად, ტელეფონით მოხდა. კარგა ხანს ვმესიჯობდით და ამ ქალით დიდად დავინტერესდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, მის გარეშე საერთოდ ვეღარ ვძლებდი. როდესაც ვკითხე, როგორი მამაკაცები მოგწონს-მეთქი? — მიპასუხა, — ქერა მამაკაცები მძულსო. გულზე ლახვარივით დამესო მისი სიტყვები, რადგან ქერა და მწვანეთვალება ვარ. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ქალები ასეთ მამაკაცებზე „ეცემიან“, ის კი გაიძახოდა, — ქერებს ვერ ვიტანო. ძალზე დიდი იყო მისი დაპყრობის სურვილი. როგორც იქნა, პაემანზეც დავითანხმე. წინადღეს კი, თმა შევიღებე ღია წაბლისფრად. ჩემი ცოლი გადაირია — ეს რა გიქნიაო! — მაგრამ მერე თვითონაც მოეწონა და გაჩუმდა. მეორე დღეს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩემს მტრედს ძალიან მოვეწონე, მეც მომეწონა და ურთიერთობა განვაგრძეთ. თუმცა იმაზე არც კი დავფიქრებულვარ — თმა რომ გამეზრდებოდა და ჩემი ბუნებრივი ფერი გამოჩნდებოდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მიმიხვდა, რომ თმა შეღებილი მქონდა და გაოგნებული დარჩა. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ასეთი მსხვერპლი მისი გულისთვის გავიღე, ძალიან გაუხარდა და ყველაფერი მაპატია. აი, ასე მივაღწიე მიზანს. კაცი თუ მოინდომებს, ყველაფერი გამოუვა“.

პატრული ჩვენი იმედია

„ერთი ბიჭი შემიყვარდა. ის საპატრულო პოლიციაში მუშაობდა და მისი დანახვა მაგიჟებდა. მან კი ჩემი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. აღარაფერს ვამბობ ჩემი გრძნობების შესახებ. მისი ნომერი გავიგე და დავუკავშირდი. კარგა ხანს ვმესიჯობდით. შეხვედრას მთხოვდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. ერთ ღამეს დავუმესიჯე და მივწერე — ჩემს უბანში საშინელი ჩხუბია-მეთქი და ჩემი მისამართი ვუთხარი. ამის მერე ტელეფონი გავთიშე. 5 წუთში ჩემს უბანში პატრული მოვარდა. გულმა არ მომითმინა და გარეთ გავედი. წარმოდგენაც არ ჰქონდა, მე რომ ვიყავი და მკითხა — უკაცრავად, გოგონა, ამ ქუჩაზე ხომ მშვიდობააო? გამეცინა და ვუთხარი — ამ ქუჩაზე კია მშვიდობა, მაგრამ ჩემს გულში ნამდვილი ომი გაქვს გაჩაღებული-მეთქი. — ნათ, ეს შენ ხარო? — წამოიძახა და გულში ჩამიკრა. მერე ბევრი ვიცინეთ ამ სიტუაციაზე. დღეს ერთად ვართ და ერთად ყოფნა გვსიამოვნებს. ვგიჟდები შენზე, პუსკუ! ნ.დ“.

ჯარგი მრჩეველი

„მე ერთი თავქარიანი ქალი ვარ. 18 წლის ასაკში გავთხოვდი და 2 თვეში ქმარს გავშორდი. მას შემდეგ გათხოვებაზე არც მიფიქრია. ის კი არა და, მთელი 7 წლის მანძილზე პაემანზეც არ ვყოფილვარ, რადგან არავინ მომწონებია. ამ 3 წლის წინ კი, ერთი ფრიად სიმპათიური და საინტერესო მამაკაცი გავიცანი, რომელიც ჩემზე 8 წლით უფროსი გახლდათ. უზომოდ შემაყვარა თავი და მის გვერდით მშვენივრად ვგრძნობდი თავს. საშინლად ეჭვიანი ვარ, ის კი ძალზე ფრთხილი გახლდათ და ყოველთვის ცდილობდა, ცოლისთვის ეჭვიანობის საბაბი არ მიეცა. მთელი წელი ისე ვხვდებოდით ერთმანეთს, რომ ჩვენ შორის ფიზიკური სიახლოვე არ ყოფილა. როცა როგორც იქნა, ერთად დავრჩით, ვიგრძენი, რომ სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. ძალიან მინდოდა, მის ცოლს ჩემ შესახებ რაიმე გაეგო და ეეჭვიანა, მაგრამ როგორ მომეხერხებინა? ვკითხე: — ცოლს ყვავილებს თუ უძღვნი-მეთქი? — არა, რაც ცოლად მოვიყვანე, მას შემდეგ, ყვავილები დაბადების დღეზეც კი არ მიჩუქებიაო. ავდექი და ჭკუა დავარიგე: — ვინაიდან ღალატის გამო სინდისი გაწუხებს, თანაც წუხელ შინ არ ყოფილხარ, ვერაფერს მიხვდება, თუკი ყვავილებით ხელდამშვენებული მიხვალ შინ-მეთქი (გულში კი გავიფიქრე, — თუ ჭკვიანი ქალია, ყველაფერს მიხვდება-მეთქი). დამიჯერა. და იქ ამბავი ატყდაააა... რა თქმა უნდა, ამ ჩემს კაცუნას ახსნა-განმარტებების მიცემა მოუხდა, მაგრამ ბოლომდე თავი ვერ დაიძვრინა. მე კი მიზანს მივაღწიე და ახლა მისი ცოლიც ისევე ეჭვიანობს და იტანჯება, როგორც მე. ზაზუნა“.

შემირიგდი, მაუგლი

„გამარჯობა, „გზის“ დედოფალო, მარი. 37 წლის გავხდები მალე. მე და ზურა სიყვარულით დავქორწინდით. 7 წლის თავზე გამომიცხადა, აღარ მიყვარხარ და ოჯახიდან წადიო. რა თქმა უნდა, მიზეზის გარკვევა დავიწყე და 3 თვის შემდეგ აღიარა, რომ თურმე სხვა შეუყვარდა. მე წინააღმდეგობა გავუწიე და მის გადაწყვეტილებას, რომ ოჯახიდან წავსულიყავი, არ დავემორჩილე. საბოლოოდ, თვითონ გაიქცა და იმ ქალს „ჩაესიძა“. წელიწადზე მეტი ველოდე მისსავე ოჯახში ისე, რომ ჩემებს არც კი გავაგებინე, ქმარმა რომ მიღალატა და სხვასთან წავიდა. უაზრო ლოდინით დავიღალე და რუსეთში გავემგზავრე. იქიდან 7 თვის შემდეგ დავბრუნდი. ჩემი ჩამოსვლის შესახებ რომ გაიგო, შერიგება მოინდომა და თვითონ რომ ვერაფერს გახდა, თავისი ოჯახის წევრებიც კი ჩარია. მე კი კატეგორიული უარი შევუთვალე. ამდენი დამცირებისა და შეურაცხყოფის შემდეგ, ღალატის პატიება გამიჭირდა. ოჯახის დანგრევიდან 4 წლის შემდეგ შევხვდი ჩემს პიკოს. მან ყველა ტკივილი დამავიწყა და დიდი სიყვარული მაჩუქა. მალე ოჯახიც გვექნება. ყველას დიდ სიყვარულს გისურვებთ. მაუგლი“.

ენაჩავარდნილი და უარყოფილი

„ბავშვობიდან პუტკუნა ვიყავი, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებდა. ერთხელ ერთ ბიჭს, ლექსოს შევუყვარდი. ძალიან მიკვირდა მეც და სხვებსაც, რადგან ის ჩემთან შედარებით ძალიან კარგი ტიპი იყო. ერთ მშვენიერ დღეს კი, მოულოდნელად გაქრა. დეპრესიაში ჩავვარდი. რაც კი რამ დიეტა ვიცოდი, ყველა ჩამოვწერე და მკაცრად შევზღუდე ჭამა. 4 თვეში 26 კილო დავიკელი. შემდეგ გარდერობი გავაახლე, ახალი ტანისამოსი ვიყიდე, თმის ფერი შევიცვალე და ცოტა ხანში უამრავი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა. ლექსოს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. გაოცებისგან ენა ჩაუვარდა. მე კი უბრალოდ, მოვიკითხე და მალე წამოვედი. იმ დღის შემდეგ, ყოველ წუთს მიმესიჯებს. დღემდე ასე გრძელდება. დანამდვილებით ვიცი, რომ სიგიჟემდე ვუყვარვარ, მაგრამ მე ის მართლა აღარ მაინტერესებს. ამ საქციელით საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ყველაფერი შემიძლია. პატივისცემით, ლანკა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

მშრომელი ახალგაზრდები

„მოკლედ, ეს „გზავნილები“ „სტიქიას“ ლექსებით იწყება და მთავრდება. მართლაც რამდენს შეაყვარა თავი, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ეს ჩვენი „სტიქია“ 50-ს მიღწეული პიროვნებაა. რამდენი ადამიანი გაწბილდება და რამდენს დაემსხვრევა ოცნება! მართლაც რომ საინტერესოა, რას გვეტყვი, „სტიქიავ“ მღალატობს თუ არა ჩემი ინტუიცია?“

„იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია და დანიშნულების ადგილამდე მივსულიყავი, საკუთარი ბიძაშვილი აუზში გადავუძახე“.

„ჩემმა ბასუსამ ძალიან გამამწარა. მიღალატა. თან ეგონა, რომ დარდით მოვკვდებოდი. მეც ავდექი და სხვასთან წავედი. ჩემს დებილს კი „აეწვა“ და სულ დაჩოქილმა მთხოვა პატიება. ჰოდა, ახლა ყველაზე ჭკვიანი, დამჯერი და პატიოსანი ბიჭი მყავს. ასე გამოვასწორე ეგ საზიზღარი და მიზანსაც მივაღწიე“.

„ბავშვობიდან სიმსუქნისკენ მქონდა მიდრეკილება. ამის გამო ყველა დამცინოდა. ვგრძნობდი, რომ ბიჭებს უტყდებოდათ მსუქან გოგოსთან ურთიერთობა, მაგრამ ეს დიდად არ მაწუხებდა.

გაგრძელება იხ. გვ. 60

14 წლის წინ, როცა აფხაზეთი დავკარგეთ, ის მხოლოდ 13-ის იყო. ბევრი საშინელების ნახვა და ტკივილის გადატანა მოუხდა. ვუსმენდი მას და ზოგჯერ გონებაში გამკრავდა — ნუთუ, ეს მართლაც, სინამდვილეში მოხდა, ნუთუ, ამ ყველაფრის გადალახვა ადამიანს ძალუძს-მეთქი?!. არაერთხელ მომიხდა, საკუთარი თავისთვის ძალა დამეტანებინა, რომ ცრემლი არ მომრეოდა... სოხუმიდან დევნილი, დღეს უკვე 27 წლის ლაშა ფოფხაძე ამჟამად „გეპეის“ თეატრის მსახიობია და თუმცა თეატრალური ინსტიტუტი არ დაუმთავრებია, წარმატებით გამოდის სცენაზე.

სოხუმელი ბიჭის მწარე მოგონებები და მტრობაზე ქცეული სიყვარული

„იარაღი აუღია ხელში და ქართველების წინააღმდეგ იბრძოლა“...

ნათია ქივიძე



ერთი თვის განმავლობაში მამა ომში არ წასულა — ხელოვანი კაცი იყო, მოქანდაკე და არ უნდოდა ხელში იარაღის აღება

— დედაც და მამაც რაჭველები იყვნენ. მაგრამ დედაჩემის მშობლები სოხუმში ცხოვრობდნენ. ჩემი დაბადებიდან ორი წლის განმავლობაში, რაჭაში ვცხოვრობდით, მერე კი სოხუმში გადავბარგდით, რადგან მამაჩემი ჩასიძებული გახლდათ. დედა — ფერიდე კიკვაძე სპორტის ქარხანაში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა. მამაჩემმა — ზურაბ ფოფხაძემაც იმავე ქარხანაში დაიწყო მუშაობა და სპორტი რუსეთში გაჰქონდა. ჩემი და, ლანა 1982 წელს, სოხუმში დაიბადა. 1990 წლამდე, ჩვეულებრივად ვცხოვრობდით, მერე კი არეულობა დაიწყო... იმ დღეს შინ ვიყავი. უეცრად, ისეთი ხმები მომესმა, მანამდე მხოლოდ კინოში რომ მსმენია — რაღაცები ფეთქდებოდა. ოჯახის ყველა წევრი გარეთ გავცვივიდით და შევიტყვეთ, რომ თურმე, ომი დაწყებულა... ერთი თვის განმავლობაში მამა ომში არ წასულა — ხელოვანი კაცი იყო, მოქანდაკე (ერთი პერიოდი, რუსთავის ანსამბლში დრამერადაც მუშაობდა) და არ უნდოდა ხელში იარაღის აღება. მაგრამ როდესაც სიტუაცია დაიძაბა, მერე წავიდა. მთელი ომის პერიოდი იქ გავატარეთ, რადგან დედა მამას არ ტოვებდა... მოგვიანებით, აფხაზეთი მაინც დავტოვეთ...

— ვიდრე არეულობა დაიწყებოდა, აფხაზებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— მამასაც და ბაბუასაც აფხაზი ნათლულები ჰყავდათ. მათ ოჯახებთან იმდენად ახლოს ვიყავით, რომ ბაბუამ თავის ნათლულს (ის გვარად სათოღლი იყო) ქორწილი გადაუხადა, ხოლო როცა იმ ბიჭს დედა გარდაეცვალა, დაკრძალვის ხარჯებიც იკისრა. ეს ერთი ოჯახი გვყავდა უბანში აფხაზური (მათ გადამირჩინეს ბაბუა, რომელიც სოხუმის დაცემის შემდეგაც იქ დარჩა და მერე, ბათუმში გააპარეს); სამი ოჯახი — სომხები იყვნენ, ორი — რუსები, დანარჩენი — ქართველები ვიყავით.

დედაც და მამაც რაჭველები იყვნენ

— თქვენი ახლობელი აფხაზები ამ ომზე რას ფიქრობდნენ?

— ბიძაჩემი, დევიკო კიკვაძე საკმაოდ გავლენიანი პირი იყო შავ სამყაროში. მის ყურამდე მიაღწია ინფორმაციამ, რომ ბესო სათოღლის ვიღაცები მოკვლას უპირებდნენ. ამიტომ, ჩუმად გააპარა ოჩამჩირეში, სადაც ბესოს და იყო გათხოვილი. ასე გადაარჩინა ის სიკვდილს. მათ სახლს კი, ჩვენ ვუვლიდით. მაშინ ომი ახალი დაწყებული იყო და ამ საკითხზე ლაპარაკი ვერც მოვასწარით. არ ვიცი, მაშინ ისინი რას ფიქრობდნენ ომზე, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ბესოსაც აუღია ხელში იარაღი და ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა. ბევრი ახლობელი დაეღუპა ომში და რა თქმა უნდა, გამწარდებოდა... ჩვენც ბევრი ნათესავი დავკარგეთ. დეიდაჩემი პურს აცხობდა თონეში, ამ დროს ყუმბარა ჩამოვარდა და დეიდა ადგილზევე გარდაიცვალა. ზუსტად ამ დროს მოკვდა ჩემი მეზობელი ქალიც, რომელსაც ბავშვი ეკავა ხელში; ყუმბარის ჩამოვარდნის შემდეგ, ქალს მხოლოდ ბავშვის ტანიღა შერჩა ხელში. საშინელი სანახაობა იყო... კიდევ, ბიძები მომიკვდნენ და ა.შ.

— როგორ მოახერხეთ აფხაზეთიდან გამოსვლა?

— ომი რომ დაიწყო, მალევე გამოცხადდა „პერემირიე“, რაც იმას ნიშნავდა, რომ რაღაც ხელშეკრულების შედეგად, ომი უნდა შეწყვეტილიყო. იმ დროს, მე და ჩემი და, რაჭაში ვიყავით, მაგრამ „პერემირიეს“ გამოცხადების შემდეგ, ისევ სოხუმში დავბრუნდით. ერთი თვის მერე, გამთენიისას, რაღაც გუგუნმა გამაღვიძა. თვალი რომ გავახილე, მამა დერეფანში დარბოდა. ვკითხე: რა მოხდა-მეთქი? — ისევ დაიწყო, შვილო, ომი, ალყაში ვართ, უკვე კოდორში არიანო, — მიპასუხა. მდინარე კოდორი ჩვენგან დაახლოებით 8 კილომეტრის მოშორებით იყო... მამა ისევ ომში წავიდა და ერთ კვირაში დაჭრილი მოგვიყვანეს... ერთ დღესაც, ერთი ქალბატონი, ნათელა ქირია უბანში შემოვარდა და იყვირა: ჩქარა, გაიქეცით, აფხაზებმა კოდორი უკვე გადმოლახესო. ბავშვები და ქალები მანქანებში შეგვყარეს და სვანეთში ავედით, ტყეში დავსახლდით. იქიდან 26 სექტემბერს წამოვედით, მეორე დღეს კი, სოხუმი დაეცა. ტყეში 4 დღე გავატარეთ. საჭმელი, რაც თან წამოვიღეთ, სულ შევჭამეთ, მაგრამ ადგილიდან მაინც არ ვიძროდით, რადგან გვეგონა, რომ სახლებში დავბრუნდებოდით. 4 დღის მერე ჩვენთან ჯაბა იოსელიანი მოვიდა, ჩვენი კაცები მას მისცვივდნენ და ჰკითხეს, აფხაზეთში დავბრუნდებითო? ჯაბამ უპასუხა: წინ

ლამა ფოფხაძე (ცენტრში) სცენაზე

წადით, სოხუმი უკვე დავკარგეთო... პირველი მიცვალებული, რომელიც გზაზე ვნახეთ, ქალი იყო (საცოდავი, გაყინულა). მას ქმარი ადგა თავზე და დასტიროდა. ჩვენებმა მიუსამძიმრეს, ქალებმა მიცვალებული დაიტირეს კიდეც, მაგრამ ბავშვებს თვალებზე ხელი აგვაფარეს — მკვდარს არ უყურეთო... 200 მეტრში კიდევ ერთი მიცვალებული იყო, მის ჭირისუფლებსაც მიუსამძიმრეს, მაგრამ ქალებს მათი დატირების თავი აღარ ჰქონდათ... მერე მესამე მიცვალებული ვნახეთ და ა.შ. პირველ დღეს, ბავშვებმა შიმშილს როგორღაც გავუძელით, მაგრამ მეორე დღეს, ტირილი დავიწყეთ. დედაჩემს შაქარი ჰქონდა წამოღებული, ბავშვებს ხელისგულზე გვიყრიდა და იმას ვჭამდით. მერე, სადღაც ერთი კილო ფქვილი იშოვეს. იპოვეს ჟანგიანი ქვაბი, რომელიც გამოფხიკეს, ცეცხლი აანთეს და ცომი მოგვიხარშეს, მაგრამ ქვაბი გადაყირავდა და კვერები ნაცარში ჩაცვივდა. მაინც ამოვიღეთ იქიდან, გავრეცხეთ და ვჭამეთ... სვანეთში დიდი თოვლი იყო და ყინავდა. ფეხით სიარული აღარ შემეძლო, ტანკი დავინახე და მშობლებს ვუთხარი: ამ ტანკს ცოტაზე ავყვები-მეთქი. მათ უფლება მომცეს და კარგა შორს წავედი. ამასობაში, ტანკი გაფუჭდა, დაღამდა კიდეც და ჩემი მშობლები ვეღარ ვიპოვე. ერთი ნაძვის ხე ვნახე, რომელსაც ტოტები კარავივით ჰქონდა გაშლილი და იმის ქვეშ შევაფარე თავი. ნაკვერჩხალი ვითხოვე და ცეცხლი დავანთე, მაგრამ წვიმა დაიწყო, ცეცხლიც ჩამიქრა და უკვე ვიყინებოდი, დიმა ჯაიანმა გადამარჩინა — გონი დაკარგული მქონდა, მაგრამ ვიგრძენი, ვიღაცამ წელზე ხელი შემომხვია და ხელში ამიტაცა. იქ მწყემსების კარვები იყო. იმათთან მიმიყვანა და ყურადღება არავინ რომ არ მომაქცია, იჩხუბა: ხომ ხედავთ, ბავშვი კვდება, გარეთ გამოდითო! — და ყვირილს ავტომატის ჯერიც მიაყოლა. იქიდან ოთხი კაცი გამოვიდა, შიგნით შემიყვანეს... დილით მშობლები ვიპოვე... იმ „პერევალიდან“ ლამაზი მოგონებაც დამრჩა: ერთხელ მამაჩემი სადღაც გაქრა, ცოტა ხანში მოვიდა, ძალიან ლამაზი, ყვითელი ყვავილებით ხელში. თაიგული დედაჩემს მიართვა და უთხრა: მერე არ თქვა, ჩემს ქმარს იალბუზზე ყვავილები არ უჩუქებია ჩემთვისო... როგორც იქნა, უღელტეხილიდან გადმოვედით და ის ღამე ზუგდიდში გავათენეთ, მერე რაჭაში წავედით. მამაჩემი ფიქრობდა — ნათესავები გვყავს, დაგვეხმარებიან, გვერდში ამოგვიდგებიან, გვაჭმევენ და გვასმევენო, მაგრამ რაჭაში უარესი გაჭირვება დაგვხვდა, მთელი რაჭა შიმშილით კვდებოდა... „პერევალზე“ გადასვლისას, დედა გაცივდა და მოგვიანებით, საშვილოსნოს კიბო აღმოაჩნდა. მკურნალობის საშუალება რომ არ გვქონდა, ამიტომ გვიმალავდა ამ ამბავს, მაგრამ მერე, გაუსაძლისი ტკივილები დაეწყო და სხვა რა გზა ჰქონდა? — გაგვიმხილა. თბილისში წამოვიყვანეთ, ოპერაცია გაუკეთეს. მაგრამ 11 თვეში გარდაიცვალა. მაშინ 16 წლის ვიყავი. მამას და დედას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ასეთი სიყვარული არც მინახავს და არც გამიგონია. მამა იმდენად ცუდად იყო მეუღლის დაკარგვის შემდეგ, რომ ორმოცი გადაუხადა თუ არა, თქვა: მე აქ ვეღარ გავჩერდებიო და წავიდა. შვილებიც კი მიგვატოვა...

— სად წავიდა?

— იყო ასეთი პარტიზანული ჯგუფი, რომელსაც „თეთრი ლეგიონი“ ერქვა. იმ ჯგუფის წევრი იყო მამაჩემი. 1997 წელს აფხაზებსა და პარტიზანებს შორის სერიოზული შეტაკება მომხდარა. „თეთრი ლეგიონის“ ერთ-ერთი წევრი, თემურ ლატარია გვიყვებოდა: ორ-ორად დავიქსაქსეთ, ზურა ბოლოს რომ დავინახე, დაჭრილი იყო, მერე აღარ მინახავსო. მამაჩემი დაიკარგა... პარტიზანობის დროს წერილები არასოდეს გამოუგზავნია, მხოლოდ სურათებს აგზავნიდა. ჯგუფში სულ 8 კაცი იყო და მხოლოდ სამი გადარჩა. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით გარდაიცვალა, ის ორი კი — ცხოვრებამ დააჩოქა...

— მამისგან თუ გსმენია იმის შესახებ, რომ იმ ომში ქართველები ქართველებსვე ძარცვავდნენ, აწამებდნენ და ა.შ.?

— ასეთი რაღაცები მართლა ხდებოდა, ეს საკუთარ თავზეც გამოვცადეთ. მამას ბატალიონიდან კვირაში ერთხელ უშვებდნენ. ერთხელაც, როცა ის სახლში იყო, ჭიშკრის ხმა მოგვესმა. ყველას შეგვეშინდა და ფეხზე წამოვცვივდით. მამამ ავტომატი გადატენა, კარი გამოაღო და მოსულს ლულა შუბლზე მიადო. ვა, ზურა, ეს შენი ოჯახიაო?! — წამოიძახა იმან. მამამ ის კაცი სცემა და მერე, მის ბატალიონში წაიყვანა. ჩვენ კი გადავურჩით გაძარცვას, მაგრამ ჩვენი მეზობლები რამდენჯერმე დააყაჩაღეს.

— დაობლების შემდეგ, როგორ წარიმართა შენი და შენი დის ცხოვრება, ვინ დაგაყენათ გზაზე?

— რაჭიდან გამოვიქეცი და თბილისში, დედაჩემის მეორე ძმასთან ჩამოვედი. სწორედ ამ ბიძამ მიმიყვანა „გეპეის“ თეატრის მთავარ რეჟისორ ნუგზარ ბუცხრიკიძესთან და სთხოვა: ბავშვი არ დაიღუპოს, იქნებ, რამეზე ჩავაბარებინოთო. ჩამაბარებინეს კიდეც, მაგრამ დღესაც სტუდენტი ვარ, ვერ დავუდე გული სწავლას, ცოტა ავურიე კიდეც, „ძველ ბიჭებში“ გავერიე, თუმცა, ეს შეცდომად არ მიმაჩნია, რადგან თუ გინდა, კარგი კაცი დადგე, „ქუჩის ინსტიტუტი“ აუცილებლად უნდა გაიარო. მოგვიანებით მივხვდი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა და გამოვსწორდი. იმ გადატანილი ტრაგედიის ზეგავლენა იყო, გზას რომ ავცდი. გულჩათხრობილი ადამიანი რომ ვყოფილიყავი, ცუდი პიროვნება ვიქნებოდი, მაგრამ საძმაკაცომ და ქუჩამ მიშველეს. ერთი პერიოდი, სიყვარულის გამო, გავლოთდი კიდეც, მაგრამ მერე ყველაფერი გადავლახე.

— შენი გავლენიანი ბიძა ახლა სად არის?

— ომის დაწყებამდე ვოლგოგრადში წავიდა. მერე გზები ჩაიკეტა და ვეღარ ჩამოვიდა. ცოცხალია, მაგრამ არ ვიცით, სად არის. არანაირად არ გვეხმარება, პირიქით — იქით უფრო ხშირად დასჭირვებია ჩვენი დახმარება...

— მართალია, პროფესიონალი მსახიობი არა ხარ, მაგრამ „გეპეის“ თეატრში წარმატებულად მოღვაწეობ. რატომ გადაწყვიტა ნუგზარმა, რომ მსახიობური ნიჭი გქონდა?

— არ ვიცი. თავიდან, თეატრში გასართობად დავდიოდი. მერე მითხრეს — არის ასეთი რეჟისორი, დიმა დევდარიანი, რომელიც ახალ სპექტაკლს დგამს და არ გინდა, იქ ითამაშოო? დავთანხმდი, მაგრამ იმ სპექტაკლს, რომელსაც „კვირია“ ერქვა, ჩემთვის წარმატება არ მოუტანია, რადგან მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და დაკისრებულ მოვალეობას ვერ გავართვი თავი. ყველაზე წარმატებული იყო „მე ვხედავ მზეს“, სადაც ბეჟანას როლი ვითამაშე და მაშინ მივხვდი, რომ

მსახიობობა ჩემი საქმე იყო. სპექტაკლზე ქ-ნი ნანული დუმბაძეც *(ნოდარ დუმბაძის ქვრივი. — ავტ.)* მოვიდა და მოეწონა ჩემი ბეჟანა, მერე პირადად გამიცნო და ოჯახშიც მიმიწვია... ახლა „თეატრში ათონელზე“ ახალი სპექტაკლი იდგმება. მალე, პრემიერა მექნება და მგონი, ახალი სიტყვა უნდა ვთქვათ ქართულ თეატრში. ამ სპექტაკლში სამი ადამიანი ვთამაშობთ. მე მთავარი როლი მაქვს — სატანას ვასახიერებ, რომელიც მაყურებელს ექვსნაირ სახეს უჩვენებს...

— გამოდის, რომ საკუთარი თავი თეატრში იპოვე. თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარებას ხომ არ აპირებ?

— რასაც დიპლომიანი მსახიობი აკეთებს, სამ იმდენს გავაკეთებ და რაღად მინდა სწავლა?.. ისე, თეატრზე მეტად, კინო მიზიდავს. ამ სფეროშიც მაქვს რაღაც შემოთავაზებები და ვნახოთ, რა გამოვა.

— ორიოდე სიტყვით შენს დაზეც მიამბე რაიმე.

— ჩემი და, ლანა ფოფხაძე ცოტა ხნის წინ გავათხოვე და ბავშვს ელოდება. რაც მე მის გამო მინერვიულია!.. იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი გოგოა. საბედნიეროდ, ახლა პატრონს ჩავაბარე და დავმშვიდდი... ბებია ისევ ცოცხალია და ერთად ვცხოვრობთ, ბაგების საერთო საცხოვრებელში. დაოჯახებას ჯერჯერობით არ ვაპირებ, საზღვარგარეთ მინდა წასვლა. იქ ბევრი ახლობელი მყავს და ცხოვრების მოწყობაში დამეხმარებიან.

— როგორ ფიქრობ, ოდესმე დავიბრუნებთ აფხაზეთს?

— რა თქმა უნდა, მაგის იმედით ვცოცხლობ. მართალია, როცა აფხაზებმა შეიტყვეს, რომ მამაჩემი პარტიზანი იყო, ჩვენი სახლი დაწვეს, მაგრამ ნასახლარი ხომ არის?! იქ ახალ სახლს ავაშენებ... ისე, შესაძლოა, მამაჩემი ცოცხალიც იყოს, აფხაზებს ხომ ბევრი ტყვე ჰყავთ... შეიძლება, ის 2007 წელს დამიბრუნდეს, ყოველ შემთხვევაში, იმედს მანამ არ დავკარგავ, სანამ დაზუსტებით არ მეცოდინება, რომ გარდაცვლილია... ■



ჩემი და, ლანა ფოფხაძე ცოტა ხნის წინ გავათხოვე და ბავშვს ელოდება

გიორგი სააკაძის სულით ანარქისტი შთამომავალი და მისი ბელგიური წარმატებები

„ისეთ ქვეყანაში დამაფასეს, სადაც ტიციანი და მიქელანჯელო მოღვაწეობდნენ“...

ის მხატვრებისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით გამოირჩევა. უყურებ და გრძნობ, რომ სხვა, ირეალურ განზომილებაში ცხოვრობს. გონებაში ალბათ სურათის მონახაზს ქმნის. რომელი სურათის? თბილისის, რა თქმა უნდა, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ დროის უმეტეს ნაწილს ბელგიაში ატარებს, სადაც პატარა სახელოსნო აქვს, თბილისი მის სულთან მაინც ყველაზე ახლოსაა. ეს მის ნამუშევრებშიც კარგად ჩანს.

მხატვარ მერაბ სურვილაძეს შინ ვესტუმრე, სადაც ჩვენი საუბარი ფრანგული კრუასანისა და ბელგიური ყავის „თანხლებით“ მიმდინარეობდა. ოთახის კედლიდან მხატვრის დიდი წინაპრების ლანდები გვადევნებდნენ თვალს, რაც განსაკუთრებულ აურას ქმნიდა...

გიორგი სააკაძისა და თარხნიშვილების შთამომავალი საკმაოდ თავმდაბალია და წინაპრებზე პატივისცემითა და რიდით ლაპარაკობს. ამბობს — როცა ასეთი წინაპრები გყავს, უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრიაო.

ქეთი ნიკოლაძე

წარსულის ლანდები

— ჩემს დიდ წინაპრებზე დიდი ბებისგან, ეკატერინე თარხნიშვილისგან გამიგონია. ის ჩემს მეხსიერებას ღრმად მოხუცებული და ყავარჯნიანი შემორჩა. იმ დროს ალბათ 6 თუ 7 წლის ვიქნებოდი. ბავშვს, მისი ნათქვამი არ მესმოდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ძალზე მნიშვნელოვან რაღაცებზე მელაპარაკებოდა... ბებია დიდებული ადამიანი გახლდათ. „გასაბჭოების“ შემდეგ, ბევრი ჩვენი ნათესავი ემიგრაციაში წავიდა. ის კი კასპში, საგვარეულო მამულში დარჩა და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. ბავშვებს ფრანგულ და გერმანულ ენებს ასწავლიდა. ჩვენი საგვარეულო სასახლე (იგულისხმება თარხნიშვილების სასახლე, რომელსაც აგრეთვე „მარშლიაანთ სასახლეს“ უწოდებენ) ჩემს დიდ პაპას — ვასილ თარხან-მოურავს აუშენებია XX საუკუნეში. ფინანსურად მეგობარი, მეფისნაცვალი ბოროდინსკი დახმარებია. ლეგენდის თანახმად, იმ დროს კავკასიას იმპერატორი ალექსანდრე სტუმრობდა. ამ ვიზიტისას ის ერთი დღით ამ სასახლეში უნდა გაჩერებულიყო. სწორედ იმპერატორის ჩამოსვლა გახდა მისი აშენების საბაბიც. ამბობენ, გზა მეტეხიდან სასახლემდე ხალიჩებით ყოფილა მოფენილი, რადგან ზედ მეფეს უნდა გაევლო, თავისი ამალითურთ. ზუსტი ინფორმაცია — გაჩერდა თუ არა იმპერატორი „მარშლიაანთ სასახლეში“, არავის მოეპოვება, მაგრამ სავარაუდოდ, მან იქ ერთი ღამე გაატარა. შემდგომში ეს სასახლე ხშირად გამხდარა არისტოკრატიული შეკრებების ცენტრი. იქ იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია იყრიდა თავს, მათ შორის — აკაკიც. დღეს სასახლე დიდად განსხვავდება იმ სასახლისგან, რომელიც წინაპრებმა ააშენეს: „წითლებმა“ ის გაანადგურეს და უამრავი ფასდაუდებელი ნივთი გაზიდეს. საბედნიეროდ, ახლახან ხელისუფლებამ სასახლე დაგვიბრუნა და ახლა რესტავრაცია უტარდება.

როგორ გვიპოვეს სუხიშვილების დახმარებით ბელგიელმა ნათესავებმა

— ნაციონალურ ბალეტთან ჩვენს ოჯახს განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებს: მამა და ბიძა — ოთარ და გივი სურვილაძეები სუხიშვილების ანსამბლის პირველი თაობის მოცეკვავეები იყვნენ. ამბობენ, რომ მამაჩემი კარგი მოცეკვავე იყო, მაგრამ ასევე ბევრი რამ მსმენია მის თავისებურ ხასიათზე, რომლის გამოც თურმე, ანსამბლიდან ხშირად მიდიოდა. საოცრად პრინციპული იყო. არ სურდა, რომ მისი შვილები მოცეკვავეები გამოსულიყვნენ, ამიტომაც, დედამ მისგან მალულად, თავის გვარით შემიყვანა პიონერთა სასახლესთან არსებულ ცეკვის წრეში. კონცერტის წინ კი გაუმხილა, რომ ცეკვაზე დავდიოდი და მამაც მოვიდა კონცერტზე. კონცერტის შემდეგ მომიახლოვდა და მითხრა, რა იციან,

მაქვს ჩემი პატარა სახელოსნო, სადაც ვქმნი ნამუშევრებს და ამით კმაყოფილი ვარ

შვილო, ამათ? წამოდი და მე გასწავლი ცეკვასო!.. აი, ასეთი ადამიანი იყო მამა... საბოლოოდ კი, მე მაინც მხატვრობა ვარჩიე. მამა აღფრთოვანებული იყო ნინო რამიშვილით, როგორც პერსონით: ნინო რომ არა, ანსამბლი არ იარსებებდაო, ამბობდა ხოლმე. ნინოს სიმკაცრესა და მის მიერ დამყარებულ დისციპლინაზე ხომ ლეგენდები დადიოდა და ზუსტად ეს იყო ის საძირკველი, რომელზეც ანსამბლი იდგა. მე ძალიან მომწონს ის, რასაც ილიკო-უმცროსი აკეთებს, პროგრესი ყველაფერს სჭირდება. მე ხშირად ვესწრები მათ კონცერტებს ევროპაში და მინდა გითხრათ, რომ საოცარი ენერგეტიკით ვიმუხტები, ამის აღწერა შეუძლებელია. სუხიშვილების ერთი-ერთი ტურნეს დროს, ჩვენს იქაურ ნათესავებს მათთვის ჩვენზე უკითხავთ და ასე გაუგიათ ჩვენ შესახებ. მათ მოცეკვავეებს ჩვენთან წერილი გამოატანეს. ვერ წარმოიდგინეთ, თუ რაოდენ დიდი იყო ბებიაჩემის სიხარული წერილის მიღებისას. აი, ასე აღდგა ჩვენი ურთიერთობა ემიგრაციაში მყოფ ნათესავებთან.

„Какая у тебя красивая одежда, да здравствует Ленин!“

— პირველად ბელგიაში ჩემი მეცხრეკლასელი და და ბიძა ჩავიდნენ. 1989 წელს კი, მე და დედაც გავემგზავრეთ. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, რომელიც საქართველოში გამოსამგზავრებელ ბილეთებს უკავშირდებოდა, 15 დღით წასულებს, ბელგიაში 2 თვის გატარება მოგვიხდა. თავისუფალმა დრომ და მიღებულმა შთაბეჭდილებებმა კი ხატვის სურვილი გამიღვივა. ამ დროს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსის სტუდენტი ვიყავი. 2 თვე უსაქმურად რომ არ ვყოფილიყავი, ბელგიის სამხატვრო სკოლაში მიმიყვანეს. ეს რომ თბილისში შეიტყვეს, შეეშინდათ და აკადემიიდან გამრიცხეს, რადგან მსგავსი ნაბიჯი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლისთვის დაუშვებელი იყო... მანამდე კარგა ხნის მანძილზე ველოდებოდი საბუთების გამოგზავნას თბილისიდან, რომ იქ ჩემი სწავლის პროცესი ოფიციალურად გაფორმებულიყო. მაგრამ საბუთები არა და არ ჩამოვიდა და მეც მშობლიურ თბილისს დავუბრუნდი, მაგრამ ამას წინ უძღოდა 7 თვე ბელგიური ცხოვრებისა. აკადემიაში თავისუფალ მსმენელად გამაფორმეს. რადგანაც სოციალისტური ქვეყნიდან ვიყავი, ევროპელებისთვის ერთგვარ ეგზოტიკურ პერსონას წარმოვადგენდი. ჯგუფში ერთი პანკი გოგონა გვყავდა, რომელიც თავისი ჩაცმულობით ჩემთვის მართლაც, უჩვეულო „სანახაობას“ წარმოადგენდა. ერთ დღეს ვზივარ ლექციაზე და ასეთ წერილს ვიღებ: „Какая у тебя красивая одежда, да здравствует Ленин!“ ასე გამოეხმაურა ის ჩემს ჩეკებით *(საბჭოთა კავშირში, ე.წ. სავალუტო მაღაზიები არსებობდა, სადაც პრივილეგირებულ მომხმარებელს სპეციალური ჩეკებით ნაწარმის შეძენა შეეძლო. — ავტ.)* ნაყიდ პულოვერს... შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით და ის გამომიტყდა, რომ ძალიან უნდოდა ჩემთან გამოლაპარაკება, ხოლო ეს ტექსტი მეგობარმა დაუწერა, რომელიც ცოტათი ფლობდა რუსულ ენას... მეორედ ბელგიაში უკვე 1991 წელს ჩავედი. ამ დროს თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო. მას შემდეგ იქ ვარ, მაგრამ როგორც ქართველ მხატვარს, ისე მიცნობენ. ახლა, ორმაგი მოქალაქეობის მიღებას ვაპირებ... 1991 წელს, ბელგიაში ბიძასთან, მსახიობ ალექსანდრ ფონ-სივერს აფხაზთან ჩავედი, რომელიც ჩემი გზამკვლევი გახდა ახალ, ევროპულ სამყაროში. „თუ გინდა, რომ ცხოვრებაში ბედნიერი იყო, აუცილებლად შენი საყვარელი საქმით უნდა იშოვო ფული“, — მითხრა მან და ეს დღემდე, ჩემი კრედოა, რომელსაც არ ვღალატობ. მაქვს ჩემი პატარა სახელოსნო, სადაც ვქმნი ნამუშევრებს და ამით კმაყოფილი ვარ. ბელგიაში პატარა სამეგობრო გვაქვს: მე, ხათუნა კოკოჩაშვილს, გიორგი მხეიძეს, დევი ხმალაძეს და სხვა მრავალ ქართველს. ვიკრიბებით ხოლმე და ეს ურთიერთობები გვიმსუბუქებს სამშობლოს ნოსტალგიას.

ევროპიდან დანახული ახალი საქართველო

— ვაღიარებ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. არ შეიძლება მხოლოდ კორპუსების გადაღებვითა და მოცეკვავე შადრევნების გახსნით იყო დაკავებული და ამ დროს, შენს ქვეყანაში ხელოვნება სულს ღაფავდეს. ხელოვნება ქვეყნის სახეა, ის წარმოაჩენს მის პოტენციალს და შესაძლებლობებს. პირველი სფერო, რომელშიც ჩამოსვლისთანავე პროგრესი შევნიშნე, პოლიციას უკავშირდებოდა. ადრე, ყოველ ჩამოსვლაზე, ხესთან მიყუდებულ „გაიშნიკთან“ მიწევდა საქმის გარჩევა. დღეს კი, პოლიციელისა და მოქალაქის ურთიერთობამ ცივილიზებული სახე მიიღო. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ბევრი მეუბნება — შენ იქ ხარ და სამშობლო არ გაინტერესებსო, — მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. წელიწადში რამდენჯერმე ჩამოვდივარ სამშობლოში. მის სიყვარულს ვერავინ დამიშლის. ჩემნაირი ადამიანისთვის, ცოტა არ იყოს ძნელია, ხელისუფლების გულშემატკივარი იყოს, იმიტომ, რომ სულით ანარქისტი ვარ... მიაქციონ ყურადღება ხელოვნებას და საზღვარგარეთ არავინ წავა. ამ სფეროში დიდი პოტენციალი გვაქვს. აბა მითხარით, რით უნდა დააინტერესო უცხოელი ტურისტი? მას ჩვენი კულტურა და ტრადიციები აინტერესებს... აღმოვაჩინე, რომ ბოლო დროს, ჩემი ნახატები მოსწონთ იტალიაში, რაც ძალიან მაკვირვებს. ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ისეთ ქვეყანაში დამაფასეს, სადაც დიდი მიქელანჯელო და ტიციანი მოღვაწეობდნენ... ■



აღმოვაჩინე, რომ ბოლო დროს, ჩემი ნახატები მოსწონთ იტალიაში, რაც ძალიან მაკვირვებს

ქალური ფარმი

ანუ როგორ მიგიგიდოთ მამაკაცები

რამდენიმე დღის წინ, კლუბ „მეიდანში“ რადიო „ახალმა ტალღამ“ ქართველ დიზაინერთა ექსტრავაგანტური კოლექციის ჩვენება (ფლეიტის თანხლებით) მოაწყო. დამსწრე საზოგადოებას 2007 წლისთვის აქტუალური საღამოს კაბები ორმა დიზაინერმა — ნანა სოხაძემ და შორენა დარაშვილმა წარუდგინეს.

მალე ახალი წელი მოგვიკაკუნებს. სუსტი სქესის წარმომადგენლები კი, უკვე ფიქრობენ იმაზე, თუ როგორი ტანისამოსით შეხვდნენ მას. ყიდულობენ მოდურ ჟურნალებს და მაღაზიების ვიტრინებს „დამშეული მგლებივით“ აკვირდებიან... ამ თავსატეხიდან გამოსავალს ადვილად იპოვით, თუ ნანასა და შორენას კოლექციას გადაავლებთ თვალს. მათ მიერ წარმოდგენილი საღამოს კაბები საკმაოდ თამამი იყო (რომლის ჩაცმის უფლებასაც ალბათ, თქვენი აზიატი მეუღლე ან შეყვარებული არ მოგცემთ) და ანდამატივით იზიდავდა მამაკაცებს, რომლებიც ოვაციებით აჯილდოებდნენ მოდელებს. მათ ნამუშევარში შავი ფერი ჭარბობდა (როგორც ამბობენ, ეს ფერი 2007 წელს უფრო აქტუალური იქნება, ვიდრე წინა წლებში იყო), მაგრამ მასთან ფერადი ქსოვილები და ბჭყვიალა აქსესუარები ისე იყო შეხამებული, რომ კოსტიუმის სიმუქე თვალს არ გჭრიდა. როგორც ამ „პაკაზიდან“ ჩანდა, მოდაში ისევ მასიური აქსესუარები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელია (სწორედ, ამ მაღალი ქუსლების წყალობით, მოდელებმა პოდიუმზე რამდენჯერმე კინაღამ კისერი მოიტეხეს. თუმცა, ამას არ იმჩნევდნენ და გზას ამაყად განაგრძობდნენ). ამბობენ, თუ ახალი წლის ღამეს თეთრსა და შავ ქსოვილს ერთმანეთს შეუხამებთ, სამსახურში წარმატება გარანტირებული გექნებათ, დღესასწაულის ღამეს კი, მამაკაცები თქვენზე ჭკუას დაკარგავენო, მაგრამ ეს ცრურწმენა წარმოდგენილმა კოსტიუმებმა გამიქარწყლა — რა ფერის კოსტიუმიც არ უნდა გეცვას, თუ ის ისეა შეკერილი, რომ ხაზგასმულია ქალის სილამაზე, მაშინ ძლიერი სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მაინც მიიპყრობ. ტანისამოსის ფერი კი ისე უნდა შეარჩიო, რომ შენი სახის კანის და თმის ფერს შეესაბამებოდეს, უხდებოდეს. ■

საუნა - წონაში დაკლების საუკეთესო მეთოდი

დღესდღეობით, საუნაში სიარული თითქოს მოდაშიც შემოვიდა, მაგრამ რატომღაც, ის მხოლოდ იმ მამაკაცებთან ასოცირდება, რომლებიც იქ არა მარტო დასასვენებლად, არამედ ნაშების „ასაგდებადაც“ მიდიან. სინამდვილეში, ის საკმაოდ ეფექტური საშუალებაა მათთვის, ვისაც წონაში დაკლება სურს. მაშ ასე, როგორ მოვიქცეთ საუნაში პირველი ვიზიტის დროს:

1. ამ შემთხვევაში, 5 წუთზე მეტხანს ნუ გაჩერდებით. ნურც ზედა იარუსზე აბობღდებით — ჯერ ქვემოთ მოთავსდით და სიცხეს შეეჩვიეთ. მთავარია, თავი არ გადაგიხურდეთ, ამიტომ ნაქსოვი ქუდი უნდა დაიხუროთ.

2. საუნიდან გამოსვლის შემდეგ აუზში ჩაყურყუმელავდით. თუ აუზი არ არის, მაშინ ცივი წყალი გადაივლეთ — არაჩვეულებრივი პროცედურაა სისხლძარღვებისთვის.

3. ახლა ჩაის დალევის დროა, რადგან ოფლის მოდენაა საჭირო. ჩაი ასე მოამზადეთ: 1 ლ მდუღარეში 1 ს/კ შავი ან მწვანე ჩაი ან კრაზანა, ცაცხვის ყვავილები, ჟოლოს გამხმარი ნაყოფი მოათავსეთ და 20 წუთი დააყოვნეთ. ჯობს, ის საუნიდან გამოსვლისთანავე უშაქროდ მიირთვათ.

4. ჩაის მირთმევამდე შეგიძლიათ, სხეულის ნიღაბი გაიკეთოთ. ცხიმიანი და ფოროვანი კანისთვის იდეალური პილინგია: ნახევარი ჭიქა ნაღებისა და 1 ჭ სუფრის მარილის ნარევი ტანზე წაისვით და ხუთი წუთის შემდეგ, ის თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ასევე, შეგიძლიათ შეიზილოთ ნებისმიერი კანისათვის მატონიზებელი ნიღაბი — თაფლს დამატებული სუფრის მარილი (თანაბარი რაოდენობით). პროცედურა წინას მსგავსია.

5. ჩაის მირთმევის შემდეგ, საუნაში მეორე სეანსის დროა. ამჯერად, შეგიძლიათ, ზედა იარუსზე აბრძანდეთ და 10-15 წუთი გაჩერდეთ.

6. ისევ აუზში ჩაყურყუმელავდით, შემდეგ, სხეული საპნით კარგად დაიბანეთ.

7. თუ მესამე ჯერზეც რისკავთ, ახლა შეგიძლიათ, სპეციალური ცოცხიც იტყაპუნოთ სხეულზე.

8. ისევ ცივი წყლის პროცედურა, რის შემდეგაც, ზეწარი უნდა შემოიხვიოთ და კვლავ ჩაი მიირთვით. ოღონდ, ამჯერად — ვიტამინიზებული. აურიეთ ერთმანეთში შავი ჩაი, პიტნა და ასკილი. დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ რამდენიმე წუთს. მიირთვით უშაქროდ. შეგიძლიათ, გარგარის ან სხვა ხილის ჩირიც მიაყოლოთ.

9. უზადო ჯანმრთელობის პატრონებს შეუძლიათ, საუნაში მეოთხედაც შებრუნდნენ, მაგრამ იქ მეხუთედ შესვლაზე, არც იოცნებოთ! ■

რა ვაჩუქოთ საყვარელ ადამიანს 2007 წელს

ადამიანისთვის ყველანაირი საჩუქარი სასიამოვნოა, მით უმეტეს — საახალწლო, მაგრამ თუ მას ყურადღებით შეარჩევთ და თან, სიმბოლურ დატვირთვასაც მიანიჭებთ, სიხარული გაორმაგდება. თუ ნივთის შერჩევა გიჭირთ, მაშინ ის ასტროლოგიური ნიშნების მიხედვით შეარჩიეთ და წარმატება გარანტირებული იქნება.

ვერძი: ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის ყველაზე კარგი საჩუქარი შეიძლება აღმოჩნდეს წიგნი, ასევე, რაიმე ისეთი ნივთი, რომელიც საზღვარგარეთაა დამზადებული.

კურო: მათ შეგიძლიათ აჩუქოთ ყულაბა, რათა კურომ 2007 წელს ხელი მიჰყოს ფულის დაგროვებას და არა — ხარჯვას (ყულაბა მასში შესაბამის ასოციაციას გამოიწვევს). მამაკაცებს აჩუქეთ საფულე, ქალებს კი — ჩანთა მიართვით.

ტყუბი: ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის ყველაზე კარგი საჩუქარი ტანსაცმელი იქნება. თუ სამოსის შერჩევა გაგიჭირდათ, მაშინ მათ ასევე გაახარებთ სპორტული ინვენტარი. აგრეთვე, შეგიძლიათ აჩუქოთ წიგნი ვარჯიშებისა და ჯანსაღი კვების რეჟიმზე.

კირჩხიბი: მათთვის შეგიძლიათ სხვადასხვანაირი საჩუქარი შეარჩიოთ. თუ ქალია, კარგი იქნება სამზარეულოს ინვენტარი მიართვათ, მამაკაცს კი ტანისამოსი ან რაიმე აქსესუარი — კაშნე, საათი და ა.შ. აჩუქეთ.

ლომი: ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს ყველაზე მეტად ძვირად ღირებული საჩუქარი გაახარებთ. თუკი ამის საშუალებას მატერიალური მდგომარეობა გაძლევთ, კარგი იქნება, თუ ოქროს სამკაულს აჩუქებთ. სხვა შემთხვევაში, ლომებს გაახარებთ ვიდეო ან დივიდის კასეტა, სადაც ჩაწერილი იქნება მათი საყვარელი ფილმი ან სიმღერები. ასევე, კარგი საჩუქარია რომელიმე ძვირად ღირებულ წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთები.

ქალწული: ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს აჩუქეთ ისეთი ნივთი, რომლის კედელზე დაკიდების შესაძლებლობაც ექნებათ. ამ შემთხვევაში, მათ თქვენი საჩუქრის არსებობა არ დაავიწყდებათ.

სასწორი: სასწორებისთვის ყველაზე კარგი საჩუქარია წიგნი. ასევე, ლამაზად ილუსტრირებული ალბომი. ძალიან კარგი იქნება, თუ მათ მობილურ ტელეფონს ან ისეთ ნივთს აჩუქებთ, რომელიც კომუნიკაციებთან იქნება დაკავშირებული, მათ შორის, შეგიძლიათ უსახსოვროთ კომპიუტერი ან ინტერნეტის ბარათი.

მორიელი: ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს უმჯობესია, აჩუქოთ ფული, თანხას მნიშვნელობა არა აქვს. ამით მათ ყველაზე მეტად გაახარებთ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ საჩუქარს თავიანთი თავისთვის ყველაზე უკეთ შეარჩევენ.

მშვილდოსანი: მათთვის შესაძლებელია ყველაფრის ჩუქება, რადგან თანაბარი სიხარულით მიიღებენ ნებისმიერ ნივთს. თუ იცით, რა სურს თქვენს მეგობარს, მაშინ ჯობია, მისი სურვილი გაითვალისწინოთ, თუ არადა, საჩუქრის შერჩევისას თავისუფლად იმოქმედეთ.

თხის რქა: მათთვის ყველაზე კარგი საჩუქარი პარფიუმერიაა. მამაკაცებს ოდეკოლონი, ქალებს კი — სუნამო მიართვით.

მერწყული: ყველაზე კარგი იქნება, თუ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს მიართმევთ რაიმე სახის ელექტრომოწყობილობას: — დაწყებული მიქსერით, დამთავრებული სარეცხი მანქანით. შესაძლებელია, მათ კალკულატორიც კი აჩუქოთ.

თევზები: თევზებისთვის საჩუქრის შერჩევისას ჯობია, მათი პროფესია გაითვალისწინოთ იმისთვის, რომ ეს ნივთი სამსახურში ატარონ. თუკი ადამიანი, რომელსაც საჩუქარს უმზადებთ, მძღოლია — ბრელოკი აჩუქეთ, თუ პედაგოგი — საწერი კალამი ან სხვა საკანცელარიო ნივთი და ა.შ.

■

საღლესასწაულო სალათა

მოსამზადებლად საჭიროა: 150 გ ინდაურის ხორცი, 2 საშუალო ზომის ბანანი, 2 პომიდორი, 200 გ მაიონეზი, სიმინდის მარცვლები, 100 გ ბრინჯი, 2 მოხარშული კვერცხი, 2 კიტრი (შესაძლებელია, დაკონსერვებულიც) და ოხრახუში.

მომზადების წესი: მოხარშეთ ინდაური, დააქუცმაცეთ და მოაყარეთ მარილი გემოვნებით. ბანანი კუბურებად დაჭერით და ხორცს შეურიეთ. პომიდორი და კიტრი დაჭერით მრგვლად, შეურიეთ მოხარშული სიმინდის მარცვლები, ბრინჯი, წვრილად დაჭრილი კვერცხი, მოასხით მაიონეზი, მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი. სანამ სუფრასთან მიიტანთ, სალათა მწვანილით მორთეთ.

■

ფორთოხალი წითელ ღვინოში

მოსამზადებლად საჭიროა: 60 გ მშრალი წითელი ღვინო, 40 გ ფორთოხლის წვენი, 20 გ შაქრის სიროფი, 1 ფორთოხალი, ყინული.

მომზადების წესი: წითელ ღვინოში ჩაასხით ფორთოხლის წვენი, შაქრისა და წყლისგან მომზადებული სიროფი (დასატკბობად) და კარგად მოურიეთ. ცალკე აიღეთ ერთი ფორთოხალი, დაჭერით თხლად და რამდენიმე ნაჭერი მოათავსეთ წვენში, დაამატეთ ყინული და მიირთვით.

■

რუბრიკა მოამზადა ლიკა ქაჯაია

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

რა არის კიბერქონდრია?

ბრიტანელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სამედიცინო ინტერნეტსაიტებით გატაცებამ შეიძლება დაგვმართოს ავადმყოფობა, რომელსაც „კიბერქონდრია“ ეწოდება. ამ დაავადების არსი შემდგომში მდგომარეობს: ადამიანი საკუთარ ორგანიზმში გამუდმებით პოულობს ისეთ პათოლოგიურ სიმპტომებს, რომელიც სინამდვილეში არ სჭირს.

დერბის უნივერსიტეტის მეცნიერები ფიქრობენ, რომ კიბერქონდრიის მიზეზი სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტირებასთან დაკავშირებულ რჩევათა სიმრავლეა. ადამიანი, რომელსაც არა აქვს სპეციალური სამედიცინო განათლება, დაავადებათა სიმპტომების სავსებით კორექციულ აღწერას ისე ვერ აღიქვამს, როგორც ექიმი. ეს კი, ჰიპერდიაგნოსტირებას იწვევს — სრულიად ჯანმრთელი კაცი უეცრად გადაწყვეტს, რომ ავადაა და იწყებს იმ ავადმყოფობის მკურნალობას, რომელიც მას იოტი-სოდენადაც არ აწუხებს.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან — სამედიცინო ლიტერატურიდან თუ ინტერნეტსაიტებიდან მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას სიფრთხილით მოვეკიდოთ. დიაგნოზის დასმა და მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ პროფესიონალ ექიმს შეუძლია. ხოლო თვითმკურნალობა, არამცთუ ვერ დაგვეხმარება, პირიქით შესაძლოა, გვავნოს კიდეც. ■

ზამთრის სეზონი და ალერგია

გრიპის სეზონი ალერგიით დაავადებულთათვის ნამდვილი წამებაა. ჯერ ერთი, მტანჯველი სურდო ერთიანად ურთულდებათ, მეორეც, გაცივების საწინააღმდეგო მედიკამენტების უმრავლესობა მათთვის აკრძალულია.

ცივი სეზონი წამებად რომ არ გექცეთ, რამდენიმე რჩევა დაიმახსოვრეთ. მათი წყალობით, გაცივებას თავს იოლად დააღწევთ:

● ერთ ჭიქა ანადუღარ თბილ წყალში 1 ჩ/კ ზღვის მარილი გახსენით. დადექით წყლის ნიჟარასთან და თავი გვერდულად დახარეთ. ზევითკენ მიმართულ ნესტოში ნელ-ნელა ჩაისხით მარილის წყალხსნარი. ამ დროს, პირით ისუნთქეთ. ხსნარმა უნდა გაიაროს ცხვირის სავალი გზები და მეორე ნესტოდან წვრილ ნაკადად გადმოიღვაროს. პროცედურა (ნესტოების შენაცვლებით) რამდენჯერმე ჩაიტარეთ.

● თუ ბალახებზე ალერგია გაქვთ, ინჰალაცია წყალში გახსნილი სოდითა და ერთი კოვზი ზეითუნის ზეთით შეგიძლიათ გაიკეთოთ. თუ გახველებთ, ხელები ცხელ აბაზანაში ჩაყავით. ამის წყალობით, ჩონჩხის ზედა ნაწილებს სისხლი უკეთ მიეწოდება, რაც ფილტვებსა და ბრონქებს ინფექციასთან ბრძოლას გაუადვილებს.

● თუ გაცივებისთანავე გაიკეთებთ ფეხების ცხელ, მდოგვიან აბაზანს, დაავადება ამაზე შორს აღარ წავა. ოღონდ, აბაზანის შემდეგ, შალის თბილი წინდები ჩაიცვით.

● თუ გახველებთ, ერთი ხახვი ერთ ჭიქა რძეში მოხარშეთ და ძილის წინ ცხელივე დალიეთ.

● ნახევარი ჭიქა შემთბარი ლუდი (შეიძლება, უალკოჰოლოც) ამოხველებაში დაგეხმარებათ. შეგიძლიათ, შემთბარი ლუდი ცხელ რძესთან ერთად მიირთვათ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ მაგარი კუჭი გაქვთ.

● თუ ბრონქიტი გაგიხანგრძლივდათ, საწოლიდან ერთბაშად ნუ წამოდგებით. ჯერ გვერდზე გადაბრუნდით, შემდეგ — ზურგზე და ბოლოს, მუცელზე. ასეთი მონაცვლეობა ბრონქების გაწმენდას უწყობს ხელს. ამოხველებისთვის კარგია, ზურგზე დარტყმითი მასაჟის გაკეთებაც.

დაიმახსოვრეთ:

● ანტიალერგიული პრეპარატები მანამდე უნდა სვათ, სანამ გაცივებისგან სრულიად არ განიკურნებით. მათი შეწყვეტა ან რიტმის დარღვევა არაფრის დიდებით არ შეიძლება.

● გაცივების პერიოდში უნდა ერიდოთ არა მარტო იმ ალერგენებს, რომლებზეც თქვენი ორგანიზმი რეაგირებს, არამედ ყველა პოტენციურად საშიშ ნივთიერებასა და საგანს:

√ ბუმბულის ბალიშები და ნატურალური შალის გადასაფარებლები სინთეზურით შეცვალეთ.

√ ოთახი დღეში ორჯერ სველი წესით დაალაგეთ.

√ თუ შინ აკვარიუმი გაქვთ, თევზები დროებით ცოცხალ საკვებზე გადაიყვანეთ — მშრალი საკვები ძლიერი ალერგენია.

√ სრულად გამოჯანმრთელებამდე არ გაეკაროთ თევზს, კვერცხს, ხორცის და სოკოს ბულიონს, ბოლოკსა და თალგამს, ღორის ხორცს, ეგზოტიკურ ხილს, ცხარე სანელებლებს, შოკოლადს, ციტრუსებს და მწნილეულს.

● გაცივების საწინააღმდეგო ყველა მედიკამენტი როდი გეკრძალებათ. ანტიბიოტიკები და ანტივირუსული პრეპარატები დასაშვებია, ოღონდ, ისინი ექიმის მეთვალყურეობით უნდა სვათ და ნაწლავის მიკროფლორის აღმდგენი საშუალებებიც უნდა მიაყოლოთ. ანტიჰისტამინური და ანტიმიკრობული პრეპარატების სწორი კომბინაცია ალერგიულ ადამიანს გაცივებისა და გრიპისაგან აუცილებლად იხსნის. ■

ეროვნების საკვანძოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ნიაზ დიასამიძე ცეკვის ანსამბლთან ერთად გასტროლებზე იმყოფებოდა. ამ გასტროლების დროს, მას ერთი სოლისტი ეხვეწებოდა, ჩემი გასვლის წინ რომ მეუბნები: „ერთი, ორი, სამი, ოთხი და ჰე!“, სწორედ ეგ „ჰე!“ არის, საქმეს რომ მიფუჭებსო; დათვალე და ამ ოხერ „ჰეს“ ნაცვლად, რამე სხვა სიტყვა, თუ გინდა, „ვაშლი“ მითხარი, ეგ „ჰე!“ კი, აღარ გამაგონოო. — კარგი, ბატონო, — დათანხმდა ნიაზი, — „ვაშლს“ გეტყვიო. დაიწყო კონცერტი, სოლისტის გასვლის დროც დადგა. ნიაზმაც არ დააყოვნა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ რით დაამთავრა თვლა ნიაზმა?

2. როდის და რა ვითარებაში გარდაიცვალა მელიტონ ქანთარია?

3. ბერნეს აზრით, მძულვარების დამალვა ადვილია, სიყვარულისა — ძნელი. რისი დამალვაა მისი აზრით, თითქმის შეუძლებელი?

4. რა არის აღჯანაბადი?

5. „დამასკოს აქებს, ვით სამოთხეს — ყურანის სურა,
აღმოსავლეთის პოეტებიც მას უმღერიან.
ჰოი, აშულნო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად,
.... ქვეყნად ყველაფერზე მშვენიერია,“ — წერდა არაბი პოეტი ნიზკალაჰ-ჰასუნი. ჩაწერეთ ქალაქის გამოტოვებული სახელი.

6. რა არის აშაღლარა?

7. რა პროფესიის იყვნენ თურქები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის ერთ-ერთ ქალაქში ფინური საუნების გახსნა გაფიცვით გააპროტესტეს?

8. როცა საინგილო აზერბაიჯანს მიაკუთვნეს, ქართველებმა სერგო ორჯონიკიძეს თხოვნით მიმართეს, ამ ძირძველ ქართულ კუთხეს ნუ გაასხვისებთო. ამიერკავკასიის გამგებელმა ძალზე გაიკვირვა: „რა მნიშვნელობა აქვს, ინგილოები მარქსს ქართულად წაიკითხავენ თუ თათრულადო?“ რა სიტყვებით დაემუქრა იგი ქართველი დელეგაციის წევრებს, რომლებიც შეეცადნენ აეხსნათ, ჰერეთი საქართველოს ისტორიული კუთხეაო.

9. ეს ატმოსფერული მოვლენა მექსიკაში ძალზე ხშირია, ეგვიპტეში 200 წელიწადში ერთხელ ხდება, ანტარქტიდაში კი — ჯერ არასდროს დაფიქსირებულა.

10. მონკორჟე ამ ფრანგი მსახიობი მამაკაცის ნამდვილი გვარია. დაასახელეთ იგი.

11. ამერიკაში მათ „არასრულ დოლარს“ ეძახიან.

ანეკდოტები

***

პარკში სკამზე შეყვარებულები სხედან. უცებ ვაჟი ხედავს, რომ უცხო მამაკაცი მის ქალს რაღაცას ანიშნებს.

— ეეე, თავის გატეხა ხომ არ მოგინდა! აბა, აახვიე აქედან!

— წავიდოდი, მაგრამ სახლში ვერ შევდივარ, ცოლსა აქვს ბინის გასაღები.

***

— რას შვრები, კაცო, მაგ მსახიობს ცუდი თამაშისთვის დამპალ ვაშლებს ესროდი და ახლა სცენაზე იხმობ?!

— ორი ვაშლი კიდევ დამრჩა.

***

— ექიმო, ჩემი ქმარი მთელი ღამე იძახდა, ტაქსი ვარო. ამ დილას კი — დააპიპინა.

— მოიყვანეთ.

— ვერ მომყავს, არ იქოქება.

***

ცოლი ვიოლინოზე უკრავს. ქმარი:

— კარგი, ჰო, გიყიდი იმ კაბას!

***

ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ოპერაციას აკეთებენ. პაციენტი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, ფეხს ხომ არ დავკარგავ?

— გააჩნია, სად შეინახავ.

***

დედა თავის გოგონებს ეკითხება:

— აბა, როგორ იდიასახლისეთ?

— კარგად, დედა, მე ჭურჭელი დავრეცხე.

— მე გავწმინდე.

— მე ნატეხები ავკრიფე.

***

— ხომ დამპირდი, სასჯელს გაგინახევრებო, რატომ მომატყუე? — უყვირის ელიკო თავის ადვოკატს.

— რა გიყო, ქალო, პროცესზე ხმა არ ამომაღებინე, სულ შენ ლაპარაკობდი!

***

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, დაეწერათ თხზულება — „რას ვიზამდი, მილიონი რომ მომეგო.“ ცოტა ხნის შემდეგ ერთი მოსწავლე წამოდგა და მასწავლებელს ეუბნება:

— მასწავლებელო, ერთ 100.000-ს ხომ ვერ დამიმატებდით?!

***

სვანს ინსპექტორი გააჩერებს. სვანი ეტყვის:

— „სარო#ჩკაზე“ სურათი რომ გიკიდია, მაგის სულს გაფიცებ, გამიშვი.

***

სვანი ტუალეტში შევიდა, უნიტაზზე დაჯდა და დააბოყინა:

— მგონი, უკულმა დავჯექი!

***

სატელეფონო ჯიხურთან:

— უკაცრავად, თქვენ ნახევარი საათია, ყურმილი გიჭირავთ და არ ლაპარაკობთ. იქნებ, დამარეკვინოთ.

— ხელს ნუ მიშლით, ცოლს ველაპარაკები.

***

— ბიჭო, ვასოიას ცოლი მოუყვანია და შემოგვითვალა, ამოდითო.

— თვითონ ვერაფერი მოუხერხა?!.

***

ბინა საერთო საცხოვრებლის მოპირდაპირე მხარეს. საუბარი ოთახში:

— მოშე, მოდი, ფარდები ვიყიდოთ.

— რად გვინდა ფარდები, სარა?

— ხომ ხედავ, ჩვენ მოპირდაპირე მხარეს სტუდენტების საერთო საცხოვრებელია. რომ ვიხდი, შეიძლება დამინახონ.

— ნუ გეშინია, სარა, დაგინახავენ და თვითონ გვიყიდიან ფარდებს.

***

სვანეთში მიცვალებულს მუსიკითა და ორკესტრით მარხავდნენ, მერე, იფიქრეს, ორკესტრი ზედმეტიაო და უკან ამოთხარეს.

***

— მამიიი, მშია

***

ქმარი მივლინებიდან ჩამოდის და კარზე აკაკუნებს. არავინ უღებს. ჩამოიღებს კარს ბრახუნით — მაინც არ უღებენ. ამ დროს, მეზობლის კარი იღება, გამოდის მოხუცი ქალი და ეუბნება:



— ეგრე ვერ გაიგონებენ, შვილო, რქებით დააკაკუნე, რქებით.

***

სვანი ეუბნება ცოლს:

— სიდონია, ხვალ ისა... ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილია... ხომ იცი, ისა, რა ჰქვია... ჯულია რობერტსი...

ცოლი აწყვეტინებს:

— მაიზერა, შე საძაგელო, რატომ დროზე არ მითხარი! რა უნდა ჩავიცვა ახლა მე?! ან რა უნდა მივუტანოთ საჩუქრად?!

— შე სულელო! ეს ფილმია — „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი“. ჯულია რობერტსი თამაშობს. რა ბნელი და გაუნათლებელი ხარ!

— შენს განათლებას მიხედე! შენ არ იყავი, „გედების ტბაზე“ ანკესები რომ წამოიღე?!.

***

— ძალიან მომრავლდა ქალაქში ქუდების ატელიეები.

— მადლობა ღმერთს, იქნებ, ნამუსიანი ხალხიც მომრავლდეს!

***

— რა აზრის ხართ თქვენს უფროსზე?

— სანამ არ მოხსნიან, ვერაფერს გეტყვით.

***

— რატომ აპობ შეშას დამჯდარი?

— წამოწოლილმა უკვე ვცადე და არაფერი გამომივიდა.

***

— შემოწმებამ ცხადყო, რომ ყველაფერი წესრიგში გაქვთ, მაგრამ რა ვქნა, ძმაო, აქტი რომ არ შევადგინო, ჩემზე იფიქრებენ, ქრთამი აიღოო.

***

— მაგარი ბიჭი გაუზრდია კოწიას, მამამისი ერთი დარტყმით დააგდო.

***

— ბატონო პროფესორო, დავიღუპე, დისერტაცია მომპარეს!

— მაგაზე უკეთესი არაფერი შევიდეს მაგის ოჯახში!

***

მატარებლის კუპეში მგზავრობენ ქალი და მამაკაცი. კაცი სთავაზობს ქალს:

— მოდით, გამოვიცნოთ ერთმანეთის პროფესია. ჩემი საქმიანობა მ-ზე იწყება და ე-ზე მთავრდება.

— მეშახტე.

— მართალია. თქვენი?

— ჩემი საქმიანობა ბ-ზე იწყება და ი-ზე მთავრდება.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე პროფესიით ბულალტერი ვარ, — ამბობს ქალი, — ხოლო ის, რაც თქვენ გაიფიქრეთ, ჩემი ჰობია.

***

— სალამი, ძმაო, ახლა სად მუშაობ?

— კილერი ვარ. შენ?

— ბანკირი გავხდი.

— ჰოო, აბა, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.



ჯორჯის საკანონმდებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „...და მსხალიო“ — უთხრა (ის კონცერტი, მგონი, მთლიანად ჩაიშალა).
2. ადამიანი, რომელმაც რაიხსტაგის თავზე საბჭოთა კავშირის დროშა აიტანა, რამდენიმე წლის წინათ, აფხაზეთიდან დევნილობაში გარდაიცვალა.
3. გულგრილობის.
4. გარგარის საუკეთესო ჯიში. მისი ნაყოფისაგან უმთავრესად ჩირს ამზადებენ.
5. თბილისი.
6. თავისუფალი ქცევის ქალი (ძველად).
7. მექსიკელები.
8. „თუ არ გაჩერდებით, მაგ თქვენი ისტორიული საქართველოს საზღვარს შეითან ბაზარში გადმოგიტანთო!“
9. ჭიქა-ქუხილი.
10. ჟან გაბენი.
11. სულით ავადმყოფებს.

***

სახანძროს ყალბი გამოძახებისთვის — 100 ლარი.

პოლიციის ყალბი გამოძახებისთვის — 200 ლარი.

სასწრაფოს ყალბი გამოძახებისთვის — 300 ლარი.

სამივე სამსახურის გამოძახების შემთხვევაში ფასდაკლება — 20%.

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-50

ზაზა ვაჩნაძე

გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ნებას დართავს ტელეჟურნალისტ ანი ბერიძესა და მის ოპერატორ ვასიკოს, დაღუპული ბიზნესმენის, ლევან იაშვილის ქვრივის — ეჭვმიტანილად დაკავებული ლალი იაშვილის დაკითხვას დაესწრონ და ეს პროცესი გადაიღონ კიდეც. ამას ქალბატონი ლალი და მისი ადვოკატი სასტიკად აპროტესტებენ და გამომძიებლის კაბინეტში ლამის ნამდვილი მუშტიკრივი გაიმართება. ბოლოს, ჟურნალისტებს წასვლას აიძულებენ, თუმცა, ვასიკო ფარულად გადაღებას მაინც მოახერხებს. შედეგით კმაყოფილი ანი, მურადს ეტყვის — შენთვის სიურპრიზი მაქვსო, — და „რომანტიკული საღამოს“ გასატარებლად, თავის თანამშრომელთან შინ წაიყვანს, სადაც მათ, მოღიავებულ სამოსში გამოწყობილი დიასახლისი დახვდება და ანის, კავალერს „აახლებს“...

ანის, გაიოზის გამო, ისევ პოლიციაში მოუწია მისვლამ. გადაღებაზე ვასიკოსთან ერთად იყო და პოლიციაშიც ერთად მივიდნენ. სამორიგეოში იმავე პოლიციელის დანახვაზე, რომელთანაც პირველად მისვლისას ჰქონდა საქმე, გულს შემოეყარა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა?..

— კიდევ უნდა დამეხმაროთ! — სთხოვა მან მორიგეს.

— ისევ თქვენ?! ვაჰ, მე გამიჩნდით?! რა ხდება, მაშინ ხომ წაიყვანეთ თქვენი მამამთილი? — გაუკვირდა პოლიციელს.

— მაშინ — კი, მაგრამ ისევ დაუჭერიათ... — მოკრძალებით მოახსენა ანიმ.

— ვინ არი, ტო, რეციდივისტია? — ჩაილაპარაკა მორიგემ.

— ჰო, როგორ მოვიქცე? — იკითხა ანიმ.

— აბა, რა გიშველო?.. არც უფროსი, არც მოადგილე — არც ერთი არ არის. მე კიდევ, რა შემიძლია?.. — თქვა მორიგემ.

— როგორ არ არიან?!. სად არიან? — იკითხა ვასიკომ.

— ეს ვინღაა? — შეეკითხა ანის პოლიციელი.

— მე-ე? ვასიკო ჟივიძე. შენ? — შეეკითხა ვასიკო.

— და რას მეჭიმები, მერე, ბიჭო?! — არ დაევასა ვასიკოს პასუხი მორიგეს.

— მე ვიჭიმები? მე კი არ ვიჭიმები, მაინტერესებს, სად არიან შენი უფროსები... როგორ?! კაცს იჭერთ და ვის იჭერთ და რატომ იჭერთ, არ უნდა იცოდეთ?!. — შეეკითხა ვასიკო.

— ჩემთანა გაქვს, ბიჭო, პრეტენზია, მერე? მე დავიჭირე? — შეეკითხა პოლიციელი.

— ვინ არი შენი „ბიჭო“, ბიჭო?! — არ დაუთმო ვასიკომ.

— ე, ვინა ხარ, ბიჭო, შენ?! — გაგიჟდა პოლიციელი.

— ვასიკო, რა ხდება?! მოიცა, მაცალე! — ხელი მოჰკიდა ვასიკოს ანიმ.

— ანი, შენ მაცალე ახლა მე! ამათ ჭკუა თუ არ ასწავლა კაცმა!..

— ვასიკო!! — გაგიჟდა ანი.

— ვის უნდა ასწავლო, ბიჭო, შენ ჭკუა, შე კრეტინო?! ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული!.. — ხელი გამოყო სარკმელში მორიგემ.

— კრეტინი მამაშენია, გაიგე?! ვისაც მოგეპრიანებათ, მოჰკიდებთ ხელს და კამერაში აყუდებთ, არა?! სად არიან შენი უფროსები, რესტორნებში სხედან და ყანწები უჭირავთ, არა?! გრიალებენ ბიჭები, არა?! კაი პურის მჭამელი ბიჭები, არა?!. — მიაყარა ვასიკომ.

— ვინა ხარ, შენ, ბიჭო, ეე?! არ გადამიხსნა ნერვი, ტო?! რა შენი ტრაკის საქმეა, მე ჩემს ფულს რესტორანში დავხარჯავ თუ ბოზების გიტარაში ჩავტენი?.. მომწყდი ახლა თავიდან, ძმაო, გადი აქედან, გამასწარი!

— სად უნდა წავიდე, ვის აგდებ, ბიჭო, შენ, ვინა გგონივარ?! დამიჭირე ეს, ანი!.. — ვასიკომ კამერა ანის შეაჩეჩა.

— მაცალე, ვასიკო, რა ხდება, რა ამბავში ხარ?! — გაგიჟდა ანი.

მორიგემ კი, ბიჭები გამოიძახა:

— ტოლიკ, კისო, შემოდით დროზე. დროზე!

— შენი კაცობა რა ვთქვი! მიჭეერ, სიმონ?! გამოდი მაგ გისოსებიდან გარეთ, თუ ტრაკი გაქვს, გამოდი! — გამწარდა ვასიკო.

სამორიგეოში პოლიციელები შემოცვივდნენ.

— მომაცილეთ, რა, ეს გიჟი, შემომაკვდება ეს ჩემალალა, ვინ არის, ტო?! — უბრძანა მორიგემ კოლეგებს.

— მარტო ეს? — იკითხა ტოლიკამ.

— ეს, ეს, ეს ახვარი, ჰო! — ხელი გაიშვირა მორიგემ.

პოლიციელები მშვიდად, საკუთარ თავში დარწმუნებულები, მიუახლოვდნენ ვასიკოს, რომელმაც ერთი წამით თავი მოისაწყლა და... სწორედ იმ დროს, როცა ტოლიკამ ხელის წავლება დაუპირა, რაღაც ილეთით, ერთი კედელზე მიანარცხა, მეორე კი — კისრულით წამოიღო და შუა ოთახში გაშოტა... მერე ანის კამერა ხელიდან გამოსტაცა და გაიქცა... კართან მისულმა კი, განცვიფრებულ ანის გამოსძახა:

— ანი მაპატიე, რა! — და გაქრა.

მორიგე, რომელიც გისოსებს იქით იყო, სკამზე დაენარცხა.

— აუ, რა გინდათ, თქვენ, ბიჭო, პოლიციაში?..

— „ჩორტ ვაზმი“! არ გამინგრია ყბა?! — კბილებს ისინჯავდა ტოლიკა.

— არ უნდა გვითხრა, ტო, ვინ არის?.. — ისევ იატაკზე იჯდა კისო.

— რავი... იმუქრებოდა, ჭიაყელას ჰგავდა... ქალბატონო, ტყუილად ელოდებით უფროსობას, ღევანიჩის იუბილეა და ყველა იქ არის. დილამდე — ტყუილია... რას მიყურებთ?.. ეგ კაცი კიდევ, ნაჯდომია, საერთოდ? — გაახსენდა მორიგეს ანი.

— არა, — უპასუხა ანიმ.

— რავი... კაი „რამკიანი“ ქურდივით კი იქცევა: მოეწყო ხოშიანად, დახუჭა თვალები და ხვრინავს... რა მოხდა ახლა, ერთი ღამე კაცისთვის საინტერესოც არის... მოიყვანენ სხვებსაც და ისეთ ვინმეს შევუგზავნი,

MK

არ მოიწყენს... წადით ახლა სახლში, თორემ, დამიჯერეთ, აქ მოგიწევთ ღამის თევა.

ანი იძულებული იყო, დაეჯერებინა მისთვის. დაემშვიდობა და წავიდა.

მეორე დილით, რედაქციის კარი პირველმა, ანიმ შეაღო. საზიზღარ ხასიათზე ბრძანდებოდა და ბანძურადაც ეცვა. ცოტა დაუვარცხნელიც კი იყო, ისე ჰქონდა თმა აწეწილი... ტელევიზორი ჩართო და უაზროდ მიაჩერდა. მერე ნიკო შემოვიდა და წარბშეკრული მიუჯდა მაგიდას. ეტყობოდა, რომ ისიც „მაგარ გატეხილში“ იყო.

— ამ ცხოვრების დედა ვატირე, რა!.. ათრევ, ათრევ ამ ჭაობიდან და რომ გგონია, ამოათრიე, გამოტყვრება ვიღაც მაჯლაჯუნა „კალდუნია“, გიკრავს წიხლს და ამ შენს ამოთრეულს ისე ღრმად გადაუძახებს უკანვე, ამ აქოთებულ ჭაობში, რომ ათასი სიცოცხლეც რომ გაჩუქონ, ვარიანტი არ არის, შეძლო და ყველაფერი თავიდან ამოსწიო.

— რას გულისხმობთ? — შეეკითხა ანი.

— ვერ გავიგე, რას მეკითხები... — მიუგო ნიკომ.

— რა ამოათრიეთ წელან ჭაობიდან? — დაუკონკრეტა ანიმ შეკითხვა.

— რა ამოვათრიე ჭაობიდან?.. — ჩაფიქრდა ნიკო. — ყველაფერი. ყველაფერიც ჭაობიდან ამოვათრიე, — უპასუხა მან ანის.

— მაინც? — დაინტერესდა ანი, თან, თავის მოწესრიგებას შეუდგა.

— ჯერ ჩემი თავი... საკუთარი...

— მერე?

— ...უდედოდ გავიზარდე. უმაღლესი კი მაინც დავამთავრე!.. — რატომღაც ჩხუბით თქვა ნიკომ.

— კარგით, რა! არ ამატიროთ, რა!.. მშრალ ხიდზე, იცით, რა ღირს დიპლომი? და, საერთოდ, რა?.. ჭაობში ყოფნა მილიონჯერ სჯობს მშრალზე ყოფნას, მე თუ მკითხავთ...

— ეგ — შენთვის, ალბათ... — მიუგო ნიკომ.

— იმიტომ, რომ დამღალა ამ პლარწკვა-პლურწკვამ... ჭაობში კიდევ, შენს ხოშზე ხარ, ყველაფრის უფლება გაქვს, ყველაფერი გკიდია... ზევით რა, ჭაობი არ არის? სად არ არის ჭაობი? ყველგანაც ჭაობია... იქნებ, უარესიც...

— მე არ მიყვარს ჭაობი... — ჩაილაპარაკა ნიკომ.

— მაშინ, ამოდით, ვინ გიშლით? — ურჩია ანიმ.

— ბედი... — მოკლედ მოჭრა ნიკომ.

— რა-ა? თქვენ თუ ბედს უყურეთ, ბატონო ნიკო, „ისე გაგთელავთ, როგორც დიდოელი ლეკი — ნაბადს“, — გადაიხარხარა ანიმ. — ბედი! რა კარგ ხასიათზე დამაყენეთ, იცით?..

კარი გაიღო და ვასიკო შემოვიდა.

— მოსული ხარ, ანი? რატომ არ ჩამოხვედი, ტო, სამონტაჟოში, აქ რას აკეთებ?

— აუ, სულ დამავიწყდა! მთლად ამომივარდა თავიდან, — მოუბოდიშა ანიმ.

— რას ჰქვია, თავიდან ამოგივარდა?! — ავარდა ვასიკო. — შენ ხომ არ აფრენ, გოგო?! შენი წამოწყებულია ეს მაიმუნობა!.. ის ქალი დააჭერინე, ის კაცი ჩაასმევინე და როცა ბოლოში ვართ გასულები, თავიდან ამოგივარდა?.. მიდი, რა, ტო!.. ბატონო ნიკო! გუშინ თავს იკლავდა ეს ჩემალალა, აი, ნახეთ, — ვასიკომ ნიკოს შეხვეული ხელი დაანახვა, — მეც კინაღამ დამიჭირეს... გუშინ ხომ გადამაღებინა დაკითხვა, იქ არ იყავით?.. დღეს უნდა დაგვემონტაჟებინა.

— კაი, კაი, გასაგებია... შევეშვი მე მაგ ამბავს, „ბასტა“, მორჩა! — იყვირა ანიმ.

— შევეშვიო, ტო! ე, ის ქალი რომ დააჭერინე?!

— მე კი არ დავაჭერინე, დასაჭერი იყო და დაიჭირეს, მე რა შუაში ვარ?!

ამ დროს, ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ... — უპასუხა ნიკომ. — დიახ, დიახ... კი, კი, ჩვენ... — ნიკომ ხელები გაასავსავა — არიქა, კალამიო! ანიმ კალამი მიაწოდა. — დიახ, დიახ, ბრძანეთ! ბარბაქაძის ქუჩა, კორპუსი 18, ბინა 3. მელხიორა?.. ჰო, მელხიორა — „კლიჩკა“, მაგრამ თავისი სახელი და გვარი?.. ვის ახსოვს?.. გელა რუსიშვილი? თქვენ ვინ ბრძანდებით, რომ? — ნიკოს ყურმილი დაუკიდეს. — დამიკიდეს...

— რა ხდება, ბატონო ნიკო? — მოუთმენლად იკითხა ანიმ.

— რა ხდება, გენაცვალე, და... შენ ყოფილხარ, გენაცვალე, მეგრეც, პრისტლიც და... დამავიწყდა ის, მესამე... ჰო — აგატა კრისტიც!..

— მოიცათ, რა! რა დროს აგატა კრისტია?!. ვინ არისო ეს მელხიორა?

— ვინ და — ის ბანდიტი, ვინც იაშვილი გაათრიაო. მაგრამ სხვა რომ იყოს? თავისი ვინაობა რომ არ მითხრა?!

— ვერ შევადარებთ, მერე? ეკრანზე არ გვყავს? — თქვა ვასიკომ.

— მაინც, დიდი სიფრთხილეა საჭირო. სხვას არ დავაბრალოთ, ხომ აგვწიეს ყველა!.. — თქვა ნიკომ.

— ახლა რომ ის დაიწერს ქულებს, ის დეგენერატი მურადი?.. — ჩაილაპარაკა ანიმ.

— ვა, როდიდან იქცა დეგენერატად? გუშინ ძაან მაგარი ტიპი არ იყო?.. — შეეკითხა ვასიკო.

— ეგ არ არის შენი საქმე! — შეუღრინა ანიმ.

— არ მითხრა ახლა, ცისფერი ყოფილაო... — იქიდნურად უთხრა ვასიკომ.

— პირიქით — მიღალატა!.. — თქვა ანიმ და ღამის მწარე პერიპეტიები გაახსენდა.

— ადექი და შენც ცოლთან ჩაუშვი. რა პრობლემაა?! — დაარიგა ვასიკომ.

— ვინა ხართ, რა დედამ გშობათ, ხალხო?! რა დროს ღალატი, ჩაშვება, ბოზობა და ჩათლახობაა?! როგორ მოვიქცეთ, ვენდოთ პოლიციას? — იკითხა ნიკომ.

— არა, ჯობს, ჩვენ თვითონ გავსკვანჩოთ და სამუდამო ჟურნალისტობა მივუსაჯოთ, — მოიფიქრა ვასიკომ.

— არა, მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ! — თქვა ნიკომ.

— როგორ? — იკითხა ანიმ.

— ფარული კამერით უნდა გადავიღოთ და „ვხიოთ“ ეთერში, — თქვა ნიკომ.

— გენიალურია! აი, დაიწერს მურადა ქულებს!.. წავედით! — გამოაცხადა ვასიკომ.

— სად არის რომ ბარბაქაძის ქუჩა, იცით? — იკითხა ნიკომ.

— „მა ინჩ, ტო“! „ჰავლაბარშია...“ წავალ, მივზვერ-მოვზვერავ. აუ, არ გავარტყით ცხრიანში?! — თქვა ვასიკომ.

კარი გაიღო და ლოლა შემოვიდა.

— აუ, ლოლა, დარეკეს, იცი?.. და გვარიც ვიცით და მისამართიც იმ ტიპის, იაშვილი რომ გაათრია ბანკეტიდან, — ახარა ვასიკომ.

— არა-ა!

— მართლა, მართლა, კი! — დაუდასტურა ანიმ.

— და რას აპირებთ, მერე? — იკითხა ლოლამ. — სამზე ვართ, ხომ, ტოპმოდელების გადასაღებად დაბარებული?

— თქვენ აზრობთ? გარისკა და დარეკა ვიღაცამ!.. მოდის ნელ-ნელა ხალხი აზრზე... არ მეგონა, რა! — თქვა ნიკომ.

— ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს... — თქვა ლოლამ. მერე ვასიკოს მიუბრუნდა: — მეც წამოვალ, რა!

— მოდელები?.. მე გადავიღო? — იკითხა ნიკომ.

— ვახ, ერთი-ორი ბანდიტი კიდევ მყოლოდა, რა, გადასაღები!.. — თქვა ვასიკომ.

— წესიერად დაგეგმეთ! ნუ გავაუქმებინებთ, რა, ამ რედაქციას, — სთხოვა თანამშრომლებს ნიკომ.

სულ მალე ანი და ვასიკო ბარბაქაძის ქუჩაზე, მელხიორას კორპუსს მიადგნენ. იქვე, ბაღში, პატარა ბავშვები თამაშობდნენ. ანი მათთან მივიდა.

— ბავშვებო, თქვენ ამ კორპუსში ცხოვრობთ?

— დიახ! — უპასუხეს ბავშვებმა.

— თქვენს კორპუსში ბევრი ბავშვი ცხოვრობს?

— დიახ.

— ვინ და ვინ? რა ჰქვიათ?

— დიდი მარი, პატარა მარი. ნინი, ელენე, სოფიკო, დათო, გიორგი... ბევრი, ბევრი ბავშვი ვართ, — აჭყლოპინდნენ ბავშვები.

— დიდი ბიჭიც ბევრია? — ჰკითხა ბოლოს ანიმ ის, რაც ნამდვილად აინტერესებდა.

— ბევრი, — უპასუხეს ბავშვებმა.

— მე ერთი ძმაკაცი მყავდა, მელხიორა ერქვა... — უთხრა მათ ვასიკომ.

ყველაზე უფროსმა ქვევით გაიშვირა ხელი.

— კი, კი... აი, იმ კორპუსის იქით რომ „ბუტკა“ დგას, იქა მუშაობს... ის მაგათია. იქ გოგია ბიძია მუშაობს, მაგისი მამა. თვითონ ეხმარება. წელანაც მანდ იდგა, სხვა ბიჭებთან ერთად. სუ მანდა დგანან ხოლმე ან — საბილიარდოში.

— აბა, კარგად იყავით! — დაემშვიდობა ბავშვებს ანი.

ჯიხურის გვერდზე მართლაც, იდგნენ ბიჭები და რაღაც ყუთებზე კარტს თამაშობდნენ. ანის დანახვაზე, ყველამ მისკენ მიიხედა. ვასიკოს კამერა იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ვერავინ მიხვდებოდა, რომ იღებდა... ანის ბიჭების ხმა ესმოდა: „წადი შენთვის“, „პას“, „ერთიც მინდა“, „აჩკო“, „ჭერი“ და სხვა. ანიმ „პეპსი“ იყიდა და ორივენი, საბილიარდოში ჩავიდნენ. მოთამაშეებმა ერთი კი მიიხედეს და თამაში განაგრძეს. ვასიკომ მაგიდებს გადახედა. „იგროკები“, როგორც ჩანს, „ამერიკანკას“, „პირამიდას“ და „ალაგიორს“ თამაშობდნენ. ვასიკომ და ანიმ მაგიდა აიღეს. „ცხრა კუთხეში“, „ცამეტი შუაში“, „დურაკი“, „ჩემთან შუაში“, — ისმოდა მოთამაშეთა

ხმები და ბურთების ტყლაშუნი.

ვასიკომ აუხსნა ანის, როგორ დაეჭირა ხელში კია და როგორ დაედო ცაცია მაგიდაზე. მათი ხელები ერთმანეთს შეეხო. ანიმ გვერდულად შეხედა. რატომღაც, ბურთების ჭახაჭუხი მიჩუმდა. ვასიკომ მიიხედა. სხვა მაგიდებთან მოთამაშე კაცები გაჩერებულიყვნენ და მაგიდაზე შორს გადაწოლილი ანის უკანალს მისჩერებოდნენ.

„ეს შარს გადამყრის, ნაღდად“, — გაიფიქრა ვასიკომ და რადგან იქ მყოფი ყველა „იგროკი“ უკვე გადაიღო, სასწრაფოდ გარეთ გამოათრია ანი.

ვასიკოს მიერ გადაღებულ ფირს ოთხეული დიდი ინტერესით უცქერდა. ჯერ ქუჩა გამოჩნდა კადრში, შემდეგ — ანი და მელხიორას კორპუსი. კარტის თამაშიც იყო გადაღებული, ბიჭები, რომლებიც ჯიხურის გვერდით თამაშობდნენ და საბილიარდოც.

— აი, აი, ხომ ის არის? — აკივლდა ანი, როგორც კი კადრში კიით ხელში, მელხიორა გამოჩნდა პროფილში.

— ბრავო! დედა ვატირე თქვენი! — გაუხარდა ნიკოს.

— პროფები ვართ, სიმონ, პროფები! — სიამაყით ამბობდა ვასიკო.

— შენ რას გაჩუმებულხარ? რაღაც ვერ გამჩნევ აღფრთოვანებას, — მიუბრუნდა ლოლა ანის.

— ხომ შეიძლება თქვას, რომ ძმაკაცი იყო და რესტორანში წავათრიეო, რანაირად დაუმტკიცებ?! — გამოთქვა თავისი ეჭვი ანიმ.

— ეგ რა ჩვენი საქმეა? მაგაზე პოლიციამ იმტვრიოს თავი... ჩვენ ჩვენი საქმე ხუთიანზე გავქაჩეთ, არა?! — ჩაერია ვასიკო.

— ახლა უკვე შეგვიძლია, პოლიციაშიც დავრეკოთ: სამხილი ხელთა გვაქვს. არ აიყვანენ? — დედას ვუტირებთ, რავარც გერმანელებს ვუქენით-თქვა, ასტეა ეს!.. — დაიქადნა ნიკო.

— მოხვედით, ბატონო ნიკო, ხასიათზე? — შეეკითხა ლოლა.

— ლოლა, ამ ბოლო დროს, მარჯვნივ და მარცხნივ, სულ მადლობებს ვარიგებ. ხომ არ ვკვდები, ნეტავ?..

— თქვე-ენ? თქვენ რა მოგკლავთ? თქვენ სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდს დაამყარებთ, ალბათ... — უპასუხა ლოლას ნაცვლად, ანიმ.

— კაი, ერთი, ენამ არ გიყივლოს. არ მაქცია უცბად ყვავად?!. ჰა, როგორ მოვიქცეთ, დავრეკოთ პოლიციაში? თუ იმ შენს გამომძიებელს დავურეკოთ, რომ ცოტა ქულები დაიწეროს?.. — ჰკითხა ანის ნიკომ.

— მე წავედი. როგორც თქვენ ჩათვალოთ საჭიროდ, ისე მოიქეცით! — ანიმ ჩანთა აიღო და გასვლა დააპირა.

— რაღაც, ვერ გამჩნევ მართლაც, სიხარულს, რას მივაწეროთ? — შეეკითხა ნიკო.

— რასაც გინდათ, იმას მიაწერეთ. კარგად!.. — და ანი ოთახიდან გავიდა.

— იმან ხომ „გაუტეხა“, იმ გამომძიებელმა, არ იცოდით? — ჰკიხა ნიკოს ვასიკომ.

— რაღაცას მაინც „ისკოლზკებს“, აი, ნახეთ, თუ არა! — თქვა ლოლამ.

— ახლა დაშოშმინდით ორივე, კისერიც უმტვრევია! პროკურატურაში ვრეკავ. — ნიკომ ტელეფონის ნომერს დაუწყო ძებნა. — დარჩიაშვილი... დარჩიაშვილი... აჰა! — იპოვა და ნომერი აკრიბა. — ბატონი ზაური მინდოდა... ბატონო ზაურ, ნიკო მიქაძე გაწუხებთ, „ელიტქრონიკის“ მთავარი რედაქტორი... კი, რა მიჭირს, ვითქვამ სულს, ზოგიერთების წყალობით... თქვენ რასა იქმთ? ვებრძვით ბოროტებას, მისაღები თუ მიუღებელი ხერხებით, ხომ?.. მხოლოდ მისაღები... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მჯერა, მჯერა... ახლა მინდა, პატარა სენსაციის მსგავსი ცნობა მოგაწოდოთ... კი, იქნებ, მართალიც ხართ, ჩვენ ყველაფერს სენსაციად ვნათლავთ, მაგრამ მომისმინეთ. დარეკეს ჩვენთან რედაქციაში და გვითხრეს — სახელიც, გვარიც, მისამართიც და მეტსახელიც — მელხიორა... ჩვენი ტელევიზია რომ უჩვენებდა დღეში ცხრაჯერ... დიახ, დიახ. ამოიცნეს და ჩვენდა გასაკვირად, დაგვირეკეს... არ გჯერათ?.. გადავიღეთ, ბატონო ზაურ, უკვე... უბანში, საბილიარდოში „შარებს“ უჭახუნებს ბიჭი!.. მართალია, ყველა გზა მოჭრილი გაქვთ... ბარბაქაძის ქუჩა, კორპუსი 18, ბინა 3. მელხიორა... ჰო, მელხიორა. პასპორტით — გელა რუსიშვილი... მელხიორა რატომ დაარქვეს, ჯერ მაგ თემაზე არ გვიმუშავია... კი, კი. ახლა ჯერი თქვენზეა... კარგად ბრძანდებოდეთ.

ნიკომ ყურმილი დაკიდა და ლოლასა და ვასიკოს შეხედა.

— აუ, მაგრად არ დაევასა, გაუტყდა... ვერ მივხვდი... რას იზამ, დანაშაულის რაოდენობა და სიმძიმე პირდაპირპროპორციულია პოლიციელთა კეთილდღეობასა და მუთაქებში ჩატენილი ფულის რაოდენობისა...

ანი ქუჩაში საქალაქთაშორისო ტელეფონის ჯიხურთან იდგა და კარგა ხანს იქექებოდა ჩანთაში. ბოლოს იპოვა ტალონი, ტელეფონის ღიავში ჩადო და ნომერი აკრიბა.

— მელხიორა ხარ? — იკითხა მან შეცვლილი ხმით. — მომისმინე! გაშიფრული ხარ! უნდა დაიმალო, გაიქცე... ჰო, თუ თავისუფლება გინდა... მე? ქველმოქმედი ვარ, გაწყობს?.. რა მნიშვნელი აქვს?!. ვერ გეტყვი. ალბათ, ათი... თხუთმეტი წუთი...

პოლიცია, მაშ — ვინ?!. ალბათ, გამოსულები არიან... არ გჯერა?.. ამ ჩემს შაშა და კოლას!.. — ანიმ ყურმილი დაკიდა, ტალონი გამოაძრო და ჩანთაში ჩააგდო, ჩანთა კი ზურგზე მოიგდო და გააბიჯა.

როცა ანი ფელიქსის კაბინეტში შევიდა, ფელიქსს ყურმილი ეჭირა და ზაურ დარჩიაშვილს ელაპარაკებოდა.

— ჩვენ რა შუაში ვართ, ზაურ, რატომ გიყვარს, ძმაო, ყველაფრის გადმობრალება, ამიხსენი!.. შენი ბრძანების გარეშე კაცს როგორ დავიჭერდი, გეკადრება?! აი, მიზის ახლა მისი რძალი, ანი ბერიძე, კაბინეტში... ჰო, ჰო, დიქტორი...

— ჟურნალისტი, — შეუსწორა ანიმ.

— დიქტორი-ჟურნალისტი და იძულებული ვარ, მოვუსმინო... საყვედურები კი არა, თავზე დამახურა და რა, არ არის მართალი?! შენ რას იზამდი ამის ადგილზე, სხვანაირად მოიქცეოდი? — და ფელიქსი აყვირდა: — არ დამაგინებინო ახლა, ვინ მოაწერა დაჭერის ბრძანებას ხელი — მე თუ შენ?.. ჰო, და მე კი არ უნდა ვიხდიდე ბოდიშებს ამ ქალბატონთან, ეგ შენი კრეტინი გამომძიებელი უნდა იხდიდეს, ყველაფერი თავდაყირა რომ დააყენა!.. კაი, რა, ზაურ, რა! პირველად ხომ არ ხდება, არა?!. კარგად, კარგად... — ფელიქსმა ყურმილი დაკიდა და ანის ალმაცერად გახედა. — ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო, — მოდი და ელაპარაკე. კაცი მთელი ღამე საკანში აყურყუტა!.. — და მიკროფონში ჩასძახა: — მოდებაძე, ახლა ჩემგან ქალბატონი გამოვა, გაიოზ კელაპტრიშვილს გაათავისუფლებ და გაატან... რომელია?.. ნიშა-ნიკორა!.. მოიცა, ბარემ ისიც მიაყოლე, ის ქალბატონი... ჰო, ჰო, მკვდარი და ცოცხალი რომ გვიტრიალა — ლალი იაშვილი. ოღონდ, ჩემთან არ მოუშვა, გაიგე?! — და ფელიქსი ანის მიუბრუნდა: — რამდენი კრეტინიც გაჩნდება, ყველა პოლიციაში მოდის სამუშაოდ... მიბრძანდით და იმედია, ყველაფერი დამთავრდა... ეგ კაი კაციც რა, ამ ნახევარმეტრიანი დანით რომ დაბრძანდება ამ გიჟების ქალაქში, ეკადრება?!.

— ნახვამდის! — დაემშვიდობა ანი პოლიციის უფროსს და მორიგესთან ერთად, იზოლატორში ჩავიდა. მორიგემ გაიოზის საკნის კარი გამოაღო.

— თავისუფალი ხართ! — უთხრა მან გაიოზს.

— მშვიდობით უნდა ვთქვა თუ — ნახვამდის?.. — შეეკითხა გაიოზი მორიგეს, როცა საკნიდან გამოვიდა.

— მე რა შუაში ვარ, თუ კაცი ხარ! — გულგრილად უპასუხა მორიგემ.

ანი და გაიოზი რომ გაისტუმრა, მოდებაძე ახლა, ლალი იაშვილის საკანთან მივიდა და კარი გაუღო.

— გამობრძანდით, თავისუფალი ხართ, — მიმართა მან ტუსაღს.

— არავითარ შემთხვევაში! — ცივი უარი სტკიცა ლალიმ.

— აუ, დაიწყება ახლა!.. გამოდით, რაა! — არ მოეწონა მორიგეს.

— როგორ გეკადრება, გენაცვალე! არ უნდა ვიცოდე, რატომ მათავისუფლებენ?.. — იკითხა ლალიმ ნერვიულად.

— როგორც მე ვიცი, ნამდვილ მკვლელზე გავიდნენ... — აუხსნა მორიგემ.

— ჰო, დაგიჯერე, ერთბაშად!.. მომიკეტე კარი, მომიკეტე! — ლალი შეეცადა, თავად მიეხურა კარი, მაგრამ მორიგემ არ დაანება.

— რას ნიშნავს, კარი მოგიკეტო, ქალო?! თავისუფალი ხარ, ვერ გაიგე, შენ? — აყვირდა მორიგე.

— არა, არავითარ შემთხვევაში! — გაჯიქდა ლალი. — ჩემი ადვოკატის გარეშე, ფეხს არ მოვიცვლი აქედან. ვირო!.. გგონიათ, შეგრჩებათ, არა, ხახვივით! არ გაპატიებთ, არა!.. გაუშვი კარს ხელი! გაუშვი!

— არ გინდა და — ნუ გინდა! — გამწარდა მოდებაძე და ლალის კარი მიუჯახუნა. — იყავი და ხეხე, დედაც გტირებია!.. ბიჭოს! არ გინდა ამდენი გიჟის გაძლება?!

და მოდებაძე ფელიქსთან გამოცხადდა.

— არ გამოდის... — მოახსენა მან ფელიქსს.

— რა-ა?! — გაუკვირდა „ძერჟინსკის“.

— რავი, ეს, ქალია თუ ქაჯია. ვიროო, — მეუბნება, — ადვოკატს თუ არ მომიყვანთ, ფეხს არ მოვიცვლიო...

— გიშვებთ, შე ქალო, და ადვოკატი რაღა ჩემ ფეხებად გინდა-თქო, არ უთხარი?!

— რავი, აბა... ქმარი აღარა ჰყავს და იქნებ, საბაბი უნდა „პროსტა“?.. — გამოთქვა თავისი ეჭვი მორიგემ.

— რას ამბობ, აბა?! ქალს ქმარი ლამის ხუთი ათას კილომეტრზე გამოექცა და... მიაოხრე თავისი ჩანთა და დაურეკოს თავისი მობილურით... თუნდაც, მთელი ქალაქის ადვოკატები მოუხვეტია და აქ მოუყრია, რა ფეხებს მომჭამენ, ნეტავ!

— რავი, იმუქრება, არ გაპატიებთო!..

— მაგისთანები დამმუქრებიან... ნეკი არავის მოაჭამოთ-თქო, ჩემ მაგიერ უთხარი!

— კი, ბატონო, — დაეთანხმა მოდებაძე და გავიდა.

— დაიჭერ — რას მიჭერო?! უშვებ — რას მიშვებო?!. — ჩაილაპარაკა პოლიციის უფროსმა.

ანის და გაიოზს კარი ბასამ გაულო და პაპას შეეკითხა:

— გაიოზ, ასე უცებ გაგითავდა „სროკი“?

— წესიერად ილაპარაკე, გაიგე შენ? ლაწირაკო! — კინაღამ ლოყაში სტკიცა ანიმ.

ბასამ კი, მაინც თვალი ჩაუკრა პაპას:

— მაგარი იყო?

— გეყოფა, ბასა, ახლა, თორემ!.. ჩემი ბედი, რა! — ჩაილაპარაკა გაიოზმა. — რას მიყურებ?! აბა, „კრუგომ“ და — არაფერი მკითხო პოლიციაზე, თორემ, ხომ იცი, ვინ იჭყლიტება ყველაზე მეტად ოჯახში?!

— ვინ იჭყლიტება? — ჰკითხა ბასამ.

— ვინ და ვინც ყველაზე პატარაა, ვისაც ყველაზე ნაკლები ღონე აქვს — თაგვი... ქმარი ურტყამს ცოლს, ცოლი ურტყამს შვილს, შვილი ურტყამს ძაღლს, ძაღლი ურტყამს კატას და კატა ჭამს თაგვს, გაიგე ახლა?.. ჰოდა, მარშ, სანამ მოგხვედრია!

ბასა თავის ოთახში შევიდა, გაიოზი — სააბაზანოში, ანი კი — ნუციკოსთან, რომელიც სამზარეულოში მაგიდასთან იჯდა, მობუზული. წინ კი რაღაც კონვერტი და ფურცელი ედო. ნუციკომ უაზრო თვალებით შეხედა ანის და რძალი მიხვდა, რომ კიდევ რაღაც ახალი უბედურება მოხდა. მუქლს არაფერი ჰკითხა, მაგიდაზე დაგდებული ფურცელი აიღო და უხმოდ წაიკითხა: „შენ შემეცოდე... მიამიტა“.

— მიამიტა?! — ლამის იყვირა ანიმ და კონვერტს დახედა, რომელზეც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „ნუციკოს“.

— საიდან გაჩნდა ეს კონვერტი აქ? — იკითხა ანიმ.

— შემოსასვლელში კარის ქვემოდან შემოაგდო ეტყობა, ვიღაცამ... — უპასუხა ნუციკომ.

— გამოდის, რომ ცოცხალია და თბილისშია?

ნუციკომ ხელები სახეზე აიფარა და თავი უკან გადასწია.

— ჰო, ანი, ის ცოცხალია თურმე... მისი ხელია.

— აი, თურმე, ვის მოუკლავს და ჩვენ კი!..

— მითხარი, რა ვქნა, ანი? მე ის თავს არასოდეს დამანებებს... სად წავიდე, ანი?.. — იკითხა სასოწარკვეთილი ხმით ნუციკომ.

— ურჩხული!.. — თქვა ანიმ.

ოთახში გაიოზი შემოვიდა. ქალებს ეჭვის თვალით შეხედა. მერე მანაც მაგიდაზე დაგდებული ფურცელი აიღო და წაიკითხა.

— მიამიტა?! აკი, მოკლესო?.. — იკითხა გაკვირვებულმა და სკამზე უღონოდ დაეშვა. — მგონი, ჩემი ჯერი დადგა...

— შენ რა შუაში ხარ?! შენ რაზე მოგკლავს, რა სისულელეს ჩმახავ?! — მიუბრუნდა განცვიფრებული ნუციკო მამას.

— მე უნდა მოვკლა ის, მე... იმან კი არა! — თქვა გაიოზმა.

— შენ იმას როგორ მიაგნებ, სად?! აუ, რა ბრიყვები არიან ეს კაცები, რა ბრიყვები!.. — ჩაილაპარაკა ნუციკომ.

— ბრიყვები?.. თუ — მხეცები?! — იკითხა ანიმ...

როცა მურადმა და სამმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა სპეცრაზმელმა მელხიორას ბინის კარი შეამტვრიეს, იქ აღარავინ დახვდათ. პოლიციელებმა ოროთახიანი ბინა უცებ გადაამოწმეს. სახლი მაგრად იყო არეული და პოლიციელები მიხვდნენ, რომ მელხიორა ხელიდან დაუსხლტათ. ეტყობოდა, რომ ახალი გასულები იყვნენ, რადგან ჩაიდანი, რომელიც გაზქურაზე იდგა, ჯერ კიდევ ცხელი იყო. ოჯახის წევრების სურათებს მიაგნეს და ესეც საქმე იყო.

— რას გვაპამპულავებენ, ტო?! — იკითხა ერთ-ერთმა ნიღბოსანმა.

— ჩაშვებულები ვართ, სხვა ვარიანტი არ არის, — თქვა მეორემ. — ბესო, შენ აქ დარჩი და ჩვენ ახლომახლო მოვჩხრიკავთ.

— კაი. უჩემოდ არ წახვიდეთ, ე! — დაეთანხმა ბესო.

მურადი და დანარჩენი ორი ისევ ეზოში გავიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. მურადმა მობილურზე ზარი გაუშვა.

— მე ვარ, მურადი ვარ... — მოახსენა უფროსს მურადმა. — სახლში არავინ დაგვხვდა. ბინა ცარიელია, არავინ არ არის. ახალი გამოსულია... არ ვიცი, გაზზე წყალი იდგა და ისევ ცხელი იყო... ჰო, დავუდარაჯდებით, აქ ახლომახლოც მოვჩხრიკავთ, მაგრამ არა მგონია, უფრო — გაქცეული უნდა იყოს: არეულია სახლში ყველაფერი... ჰო, ფოტოებს მივაგენით. ამ გელა რუსიშვილის, ჰო, მელხიორასი... რატომ, უფრო ადვილად არ ამოვიცნობთ?.. მე რა შუაში ვარ?! მე... — მურადმა მობილური დაკეცა. — დამიკიდა... შეეწირებიო... მიდი, რა, ჯუმბერ, იკითხე. ამ „ბუტკაში“ ვინ რას გეტყვის, მაგრამ იკითხე მაინც! — სთხოვა ერთ-ერთს მურადმა.

ჯუმბერი გადავიდა, სხვები კი მანქანიდან უყურებდნენ, როგორ ელაპარაკებოდა ჯუმბერი გამყიდველს. გამყიდველი გოგია, მელხიორას მამა, ჯიხურიდან გამოვიდა და ის და ჯუმბერი მანქანისკენ წამოვიდნენ.

— ბიჭებო, რაშია საქმე? მელხიორა ჩემი ბიჭია... — შეეკითხა მანქანაში მსხდომთ გოგია.

— სად დადის მერე, არ იცი? — შეეკითხა მკაცრად მურადი.

— შინ დავტოვე, კაცო! — გაუკვირდა გოგიას.

— შინ რომ არ არის?!. ეს არის, ხომ? — მურადმა ფოტო უჩვენა.

— ჰო, შენ ეგ ფოტო საიდან? — გაუკვირდა გოგიას.

— „ტუმბოჩკიდან“... — უპასუხა მურადმა. — სად წავიდოდა, სად იქნება?

— ვა, აბა რა ვიცი?! არაფერი რო არ უთქვამს?! — მხრები აიჩეჩა გოგიამ.

— მუშაობს სადმე? — შეეკითხა მურადი.

— ვინა, ჩემი ბიჭი? — გაუკვირდა გოგიას. — რას მუშაობს? რაც მარილის ქარხანა დაიხურა, ვინღა მუშაობს?! ან შინა გორაობს, ან საბილიარდოში გდია დღე და ღამე... შინ დავტოვე, კაცო, აბა, ავიდეთ!

— ვიყავით უკვე, არ არის... საბილიარდო ახლოა?

— ჰოო, მაგრამ ახლა დაკეტილია ჯერა. ხუთზე აღებს რობიზონა... აეე შაუხვევ თუ არა, პირველ სართულზეა... და რაშია საქმე, რო, არ მეტყვით, ხალხო? — ვერ მიმხვდარიყო, რა იყო მის თავს, გოგია.

— მიდი, მიდი, დაურეკე ბესოს, ჩამოვიდეს და დავახვიოთ, რა! თუ ძმა ხარ... — მხარზე ხელი დაჰკრა ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა მურადს.

— სად გამოვიჭყლიტე, ჩემი დედა!.. — შეიკურთხა მურადი.

— ჩაგხდიან... ასიანი! — „ანუგეშა“ ჯუმბერმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პამელა ანდერსონი

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი?!

სკანდალებით სახელგანთქმული, ორმოც წელს მიტანებული ქერათმანი ლამაზმანი, ქმარს, კიდ როკს ქორწინებიდან 4 თვეში შორდება.

ორიოდე კვირის წინ, პამელა ანდერსონმა და კიდ როკმა ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მიმართეს. თვითმხილველნი ირწმუნებიან, რომ ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში, წყვილი მშვიდად ცხოვრობდა და მათ ურთიერთობაში ქარიშხლის მოახლოებას არაფერი მოასწავებდა. ცოლ-ქმრის ჩხუბს ყველა კარგა ხანია მიეჩვია. ერთმანეთს მრავალჯერ დაშორდნენ, მაგრამ განხეთქილება იურიდიულად ჯერ არასდროს გაუფორმებიათ. პამელა და კიდი ერთმანეთს გამოსწორებისა და შერიგების შანსს მუდამ უტოვებდნენ. ასე იყო მაშინაც, როდესაც პორნოფილმების მწარმოებელმა კომპანიამ Red Light District-მა ინტერნეტის ქსელით ვიდეოფირი გაავრცელა, რომელზეც კიდ როკი 4 სტრიპტიზის მოცეკვავე ქალთან ერთად არის გადაღებული. სამოყვარულო ვიდეოკამერით გაკეთებული, ორალური სექსის სცენებით მდიდარი 45-წუთიანი ჩანაწერი Red Light District-ის ხელმძღვანელმა დევიდ ჯოზეფმა მესამე პირისაგან კაპიკებად შეისყიდა („ძლივს მოვახერხე, რომ გამყიდველს ფირი უფასოდ არ გადმოეცა“, — განაცხადა მოგვიანებით დევიდმა). ჩანაწერი პამელასა და კიდის ნიშნობამდე სამი წლით ადრე, 1999 წელს არის გადაღებული, მაგრამ ანდერსონმა ქმარს მაინც საშინელი სცენა მოუწყო. მერე რა; რომ „უმანკო ანგელოზი“ თავადაც არ არის; მერე რა, რომ პამელასა და მისი ყოფილი ქმრის, Motle Crue-ს მუსიკოსის ტომი ლის home video მთელმა მსოფლიომ იხილა. მოდელის მეგობრები იხსენებენ, რომ „პამელამ კიდის ახსნა-განმარტებების მოსმენა არ ისურვა და სატრფო სახლიდან გააგდო, რადგან 1998 წელს კიდი უკვე პამელას თაყვანისმცემელი იყო და თუ მაშინ უღალატა, ახლა მით უმეტეს, ველარ ენდობა“. ორიოდე თვის შემდეგ, პამელა და კიდი ისევ შერიგდნენ. წყვილის ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე, ეს სკანდალი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი... პამელამ და კიდმა ერთმანეთი 1998 წელს გაიცნეს და მას შემდეგ, ოთხჯერ დაშორდნენ! როგორც წესი, განხეთქილების მიზეზი მუდამ პამელაა. ერთ წლის წინ, ბრიტანული ავიაკომპანიის Virgin Airlines-ის შექმნის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე გვარიანად შეზარხოშებული ანდერსონი ფირმის მფლობელთან, რიჩარდ ბრენსონთან ერთად კარგად გაერთო. ყველა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებზეც პამელა მილიონერის წინაშე მკერდს იშიშვლებდა. ამასთან ერთად, წვეულების სტუმრები ირწმუნებოდნენ, რომ პამელამ თავყრილობა ცნობილ ნიუიორკელ ტრანსსექსუალთან, ამანდა ლეპოსთან ერთად დატოვა და უახლოეს სასტუმროს მიაშურა. კიდი, რომელიც ამ წვეულებას არ დასწრებია, გაშმაგდა და განაცხადა, რომ ამიერიდან პამელას სათოფეზეც კი არ გაეკარებოდა, მაგრამ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ წყვილი მაღალი საზოგადოების თავყრილობაზე ისე გამოცხადდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. „პემმა თავისი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა, მეც ვაპატიე. ბოლოს და ბოლოს, უფრთო ანგელოზი არც მე ვარ“, — განაცხადა „კეთილშობილმა“ კიდ როკმა.

პამელა და კიდი. სან-გროპე. 2006 წ.

მორიგი „განქორწინების“ მიზეზი ერთი უბრალო, ყოფითი ჩხუბი გახდა. პამელამ კიდს ფაიფურის მძიმე თეფში ესროლა. სამაგიეროდ, კიდმა სატრფოს პანღური ამოსცხო... რამდენიმე დღის შემდეგ კიდმა შერიგება მოისურვა, მაგრამ ჯასტინ ტიმბერლეიკის კონცერტზე, მოულოდნელად პამელა ფოტოგრაფების წინაშე ყოფილ ქმართან, ტომი ლისთან ერთად გამოჩნდა. „ვფიქრობ, ამის შემდეგ ჩვენი ურთიერთობის გაგრძელებამ აზრი დაკარგა“, — თქვა კიდმა. თითქოს ყველაფერი დასრულდა. მით უმეტეს, რომ პამელას და ტომ ლის ერთად ხედავდნენ: კომედიური ტრილერის „ძალიან საშიში კინო-3“-ის პრემიერაზე, ყოფილი ცოლ-ქმარი შვილებთან — 9 წლის ბრენდონთან და 8 წლის დილანთან ერთადაც კი მივიდა, მაგრამ... არავინ იცის, როგორ, მაგრამ პამელა და კიდი ისევ შერიგდნენ. ახლობლები საბოლოოდ დაიბნნენ. ზოგიერთებმა ისიც კი ივარაუდეს, რომ პამელამ, კიდმა და ტომი ლიმ ეშმაკური პიარკამპანია გაითამაშეს. პამელას ერთ-ერთმა მეგობარმა კი ჟურნალისტებს განუცხადა: „სისულელეა! პამელა, უბრალოდ არანორმალურია, არავინ იცის, მეორე წუთში რას მოიმოქმედებს“.

მესამე დაშორება ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. ერთმანეთს 3 თვე არ შეხვედრიან, მაგრამ საბოლოოდ (ისევ მოულოდნელად), შერიგდნენ და დაქორწინდნენ კიდეც. „როგორც ჩანს, ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, ამიტომ

ტომი ლისა და პამელა ანდერსონის ქორწინება, საზოგადოებას გრანდიოზული პორნოსკანდალით დაამახსოვრდა


პამელა ანდერსონი შვილებთან, ბრენდონთან და დილანთან ერთად

გადავწყვიტეთ, სისულელეების კეთებას თავი დავანებოთ!“ — განმარტა პამელამ. საქორწინო ცერემონია საფრანგეთის კურორტ სან-ტროპეში 29 ივლისს შედგა. „ახალგაზრდებმა“ იახტა დაიქირავეს და შეუღლება მეგობრების ვიწრო წრეში იზეიმეს. მოგვიანებით, ბევერლი-ჰილზზე და ნეშვილში კიდევ ორი ხმაურიანი ქორწილი გადაიხადეს. მაშინ ანდერსონმა ამ მხიარულ კვირას „მის ცხოვრებაში ყველაზე რომანტიკული კვირა“ უწოდა... ახლა კი, მისი თაყვანისმცემლები საგონებელში არიან ჩაცვენილნი: ნეტავ, ამჯერად ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ წყვილმა ოფიციალურად განქორწინება გადაწყვიტა? ურთიერთობის 8 წლის მანძილზე ხომ მათ ერთმანეთს ყველაფერი, ღალატიც კი აპატიეს? პამელა ანდერსონი განქორწინების მიზეზად „გადაუჭრელ წინააღმდეგობებს“ ასახელებს. არავინ იცის, თუ რა იფარება ამ ფორმულირების მიღმა. ანდერსონის აგენტმა ჯერჯერობით მხოლოდ ის განაცხადა, რომ სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მისმა კლიენტმა მიმართა: „პამელა ფიქრობს, რომ ქორწინების შემდეგ, კიდი ძალიან შეიცვალა და მასთან ერთად ცხოვრება აუტანელი შეიქნა“.

პრესაში ჯერჯერობით ერთადერთი ვერსია განიხილება. ამბობენ, თითქოს სკანდალურ ფილმში — „ბორატი“ — პამელას მონაწილეობამ კიდი გაამწარა და მან მეუღლეს განუცხადა, რომ „პამელას სამუშაო მის ქმარს ამცირებს“. საპასუხოდ კი პამელამ განქორწინება გადაწყვიტა. ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნოა — მით უმეტეს, თუ მათ ახლობლებს დავუჯერებთ, რომლებიც ამბობენ, რომ პამელას კინოროლები კიდს მუდამ ფეხებზე ეკიდა! „ვეჭვობ, რომ კიდი ბევრს სვამს და პამელას სცემს. ამას წინათ, თვალი ჰქნოდა ჩალურჯებული. პამელა ირწმუნებოდა, რომ წაიქცა, მაგრამ დაცემა ასეთ სილურჯეს არ იწვევს, ის აშკარად ნაცემი იყო!“ — განუცხადა ანდერსონის ერთ-ერთმა მეგობარმა ჟურნალ OK!-ის კორესპონდენტს. საგულისხმოა ისიც, რომ ნოემბრის დასაწყისში, 2 თვის ორსულ პამელას მუცელი მოეშალა. ამ უბედურების ოფიციალურ მიზეზად, ვარსკვლავის დაძაბული სამუშაო გრაფიკი და მრავალრიცხოვანი სტრესი დასახელდა, მაგრამ მსახიობის ახლობლები ირწმუნებიან, რომ ბავშვის დაკარგვის მიზეზი, სწორედ ის ცემა-ტყეპაა, რომლითაც კიდი ცოლს ხშირად უმასპინძლდებოდა. როგორც ჩანს, „გადაუჭრელ წინააღმდეგობებში“ ოჯახური ძალადობა იგულისხმება. თუ ეს სიმართლეა, კიდ როკს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. თუმცა, მისი ყოფილი მეუღლე ჯერჯერობით დუმს!

ტომი ლისთან და კიდ როკთან ქორწინებებს შორის, პამელა ანდერსონი მსახიობ სტეფან დორფსაც ხვდებოდა



პამელა ანდერსონი და კიდ როკი. 1998 წლიდან მოყოლებული, ყველაზე სკანდალური ვარსკვლავური წყვილი ერთმანეთს ოთხჯერ დაშორდა

„მხოლოდ ერთი კოცნა მინდა...“

თინა მეუღლესთან ერთად

ნიცაში მომხდარ საავტომობილო კატასტროფასთან დაკავშირებული ატეხილი ალიაქოთი პრესაში კვლავ არ ცხრება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, 25 დეკემბერს რუსი მილიარდერის სულეიმან ქერიმოვის უდიდესი სიჩქარით მიმავალი „ფერარი“ სანაპიროზე ხეს შეასკდა და ცეცხლი წაეკიდა. საჭესთან მჯდომმა ოლიგარქმა უმძიმესი ტრავმები და დამწვრობა მიიღო. დაშავებული, მარელის დამწვრობის ცენტრში ვერტმფრენით გადაიყვანეს. მალე პრესაში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ მანქანაში რუსეთში ცნობილი ტელეწამყვანი — თინა კანდელაკიც იჯდა. თინა მხოლოდ უმნიშვნელო ტრავმებით გადარჩა. თავდაპირველად, ტელეწამყვანმა ჭორების თავიდან აცილება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ ყბაყურა აქვს და სახლში წევს, შემდეგ კი მიხვდა, რომ თავის მართლება არ სჭირდებოდა. „დიახ, ნიცაში ვიყავი! მერე რა?“ ამჟამად, ავტოკატასტროფის კიდევ ერთი პიკანტური დეტალი გახმაურდა. ცნობილი გახდა, რომ ავტომობილის მართვის დროს, ბიზნესმენმა თინა კანდელაკის კოცნა მოისურვა, საკოცნელად გვერდზე გადაიხარა და ხეს შეასკდა. სულეიმან ქერიმოვის ერთ-ერთი მეგობარი, რომელიც დაზარალებულს ტელეფონით ელაპარაკა, ამ ეპიზოდის შესახებ საუბრობს: „ის საკოცნელად შებრუნდა, მაგრამ ავტომობილი 260 კმ/სთ სიჩქარით მიქროდა, ამიტომ ეს უბრალო კოცნა საბედისწერო აღმოჩნდა. სულეიმანმა ვერ შენიშნა, რომ მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა. საბედნიეროდ, ახლა ქერიმოვი თავს კარგად გრძნობს და იმედია, სწრაფად გამოჯანმრთელდება“.

სილვესტერ სტალონე საზოგადოებას მრბოლაში იწვევს

60 წლის სილვესტერ სტალონეს სურს, მთელ სამყაროს დაუმტკიცოს, რომ მის მსგავს, ნამდვილ მამაკაცებს წარმატებული კარიერის გაგრძელება იმ ასაკშიც კი ძალუძთ, როდესაც მათი თანატოლები პენსიაზე გადიან. მსახიობის მორიგი ნამუშევარი, ფილმი „როკი ბალბოა“ სწორედ ამ თეზისის მტკიცებულება უნდა გახდეს!

„ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, ისინი ჯან-ღონით, ენერგიითა და ამბიციებით აღსავსენი არიან, მაგრამ საზოგადოება მათ მაინც გვერდზე გადგომას აიძულებს. გადავწყვიტე, პრეცედენტი შევქმნა“, — განუცხადა მსახიობმა Reuter-ის წარმომადგენელს. კინოსურათი „როკი ბალბოა“ იმ სერიის მეექვსე სურათია, რომელიც 1976 წელს გახმაურებული ფილმით — „როკი“ დაიწყო. მაშინ სტალონემ საკუთარი სცენარის მიხედვით, მცირებიუჯეტიანი სურათის გადასაღებად, 1 მლნ დოლარი შეაგროვა. ფილმმა, რომლის სცენარით მსახიობმა ჰოლივუდის ვერც ერთი სტუდია ვერ მოხიბლა, ამერიკულ კინოგაქირავებაში 117 მილნ დოლარი (326 მლნ ინფლაციის გათვალისწინებით) შემოსავალი მოიტანა, „ოსკარი“ მოიპოვა და სილვესტერ სტალონე მსოფლიო დონის კინოვარსკვლავის რანგში აიყვანა. მსახიობი ფიქრობს, რომ მისი გმირის პოპულარობა ბავშვური, გულუბრყვილო სულისა და „მამაცი მებრძოლი სხეულის“ საოცარმა შერწყმამ განაპირობა. ახალ ფილმში მაყურებელი იხილავს სპორტსმენს, რომელსაც ძნელბედობის ჟამი უდგას, მაგრამ მასში საყვარელ პერსონაჟს ადვილად შეიცნობს. ■

მეთ დეიმონის საიდუმლო ქორწილი

როგორც იქნა, მეთ დეიმონმა ჟურნალისტებს მისი გასაიდუმლოებული ქორწილის შესახებ მოუთხრო. მეთ დეიმონმა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა და ლუსიანა ბაროსოზე ისე დაქორწინდა, რომ საზეიმო ცერემონიაზე პაპარაცები არსად ჩანდნენ. ამჯერად ვარსკვლავმა ჟურნალისტებს საიდუმლოებით მოცული ცერემონიის ზოგიერთი დეტალი ამცნო. „უკვე ბევრს ჭორაობდნენ იმის შესახებ, რომ ცოლს ვირთავ და არ გვინდოდა, რომ ცერემონიის დროს, სახლი ჟურნალისტთა ალყაში მოქცეულიყო. ამიტომ შევეცადეთ, ქორწილი უჩუმრად გადაგვეხადა“. მეთ დეიმონმა განაცხადა, რომ ცერემონიას ნიუ-იორკის მერი — მაიკლ ბლუმბერგი დაესწრო. „ჩვენთვის მისი სტუმრობა დიდი პატივი იყო. ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა“, — იხსენებს მსახიობი. ■

ნაომი კემპბელი დაპატიმრებას ისევ გადაურჩა

36 წლის ტოპმოდელმა ტელეარხის Sky News-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბრიტანეთის პროკურატურამ ნაომის მიერ ნარკოლოგზე თავდასხმის საქმე ბრალის წაყენების გარეშე დახურა. ნაომი კემპბელი 2006 წლის ოქტომბერში, ლონდონში, მას შემდეგ დააკავეს, რაც მასთან მომუშავე ნარკოლოგმა ქალმა პოლიციის განყოფილებას მიმართა. ქალს სახე მთლიანად დაკაწრული ჰქონდა. კემპბელი დააკავეს, მაგრამ გირაოს გადახდის შემდგომ, იმავე საღამოს გაათავისუფლეს. ნაომიმ Sky News-ის ჟურნალისტს უთხრა, რომ 2006 წელი მისთვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. მოდელი თანამშრომლებზე თავდასხმის ბრალდებით რამდენჯერმე დააკავეს, მაგრამ საქმე სასამართლომდე არ მისულა. კემპბელი ირწმუნება, რომ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებას თავი დაანება. ■

ნინო ლეჟავა:

„სოლარიუმში გარუჯვა მარტო საქართველოშია საზიანო“...

როცა ინტერვიუს შესათანხმებლად მსახიობ ნინო ლეჟავას დავუკავშირდი და ისიც ვუთხარი, რომ იმიჯზე უნდა გველაპარაკა, გაეცინა და მიპასუხა: სადღა მაქვს იმიჯი, 9 თვეა, ბავშვის აღზრდით ვარ დაკავებული და საკუთარი თავისთვის ნაკლებად ვიცლიო. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, მას ეს არ ამართლებს, რადგან ქალი და მით უმეტეს, მსახიობი ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს.

სოფო ჭონიშვილი

— როგორ იწყება თქვენთვის დილა?

— დილით საკუთარი თავისთვის ნამდვილად ვერ ვიცლი. შუადღეს, როცა პატარას დავაძინებ, მხოლოდ მაშინ ვზრუნავ საკუთარი თავის ფორმაში მოსაყვანად. ვცდილობ, მეუღლეს მოუწესრიგებელი — ხალათით და პიჟამათი არ დავხვდე.

— სასცენო გრიმს თვითონ იკეთებთ თუ სტილისტი გყავთ?

— გრიმიორები უფრო დიდ თეატრებში ჰყავთ, ჩვენთან, „სარდაფში“ ასეთი რამ არ ხდება. თუ რაიმე განსაკუთრებული როლი მაქვს, გრიმიორი შეიძლება იმ შემთხვევაში მოიწვიონ. ისე, გრიმს თვითონ ვიკეთებ და ხშირად, მეგობრებსაც ვეხმარები ხოლმე. ხატვა არ მეხერხება, მაგრამ რატომღაც, ეს საქმე კარგად გამომდის.

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებთ თუ მხოლოდ გამოსასვლელ დღეებში?

— ყოველთვის ვცდილობ, მაკიაჟი იშვი-

ათად გამოვიყენო, რადგან მიმაჩნია — რამდენად ხარისხიანც არ უნდა იყოს კოსმეტიკა, ის სახის კანისთვის მაინც საზიანოა. ამიტომ, მაკიაჟს მხოლოდ სცენაზე და ოფიციალური შეხვედრების დროს ვიკეთებ.

— სახის კანის მოვლის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი თუ გაქვთ?

— ნიღბები და მსგავსი რაღაცეები, არასდროს გამიკეთებია, რადგან ზედმეტი ყურადღებით საკუთარ კანს უფრო პრეტენზიულს ვხდით. სახის კრემებს მხოლოდ ზამთრის პერიოდში ვიყენებ, რადგან წლის ამ დროს კანი შრება და დატენიანება სჭირდება. სპექტაკლების შემდეგ, სახეს „МОЛОЧКО"-თი ვიწმენდ და შემდეგ მშრალი კანისთვის გათვალისწინებულ კრემს ვისვამ.

— ოდესმე თმის ნიღბები თუ გამოგიყენებიათ?

— ჩემი პატარა, საკეისრო კვეთით გავაჩინე და ნარკოზის გამო, თმის ცვენა დამეწყო. რა არ გამოვიყენე, მაგრამ არაფერმა მიშველა. შემდეგ მითხრეს, როცა ბავშვი 8 თვის გახდება, თმის ცვენა ბუნებრივად შეგიჩერდებაო. მართლაც ასე მოხდა. თუმცა, შემიძლია ძალიან კარგი ნიღბის რეცეპტი შემოგთავაზოთ: 1 ს/კ აბუსალათინის ზეთს დაამატეთ 1 ს/კ კონიაკი, ლიმონის წვენი და ერთი კვერცხის გული. ეს მასა 20 წუთის განმავლობაში თმაზე დაიდეთ.

— რომელი ფირმის კოსმეტიკას ანიჭებთ უპირატესობას?

— საერთოდ, უპირატესობას ძვირად ღირებულ კოსმეტიკას ვანიჭებ, მაგრამ ხანდახან, როცა იმდენი საშუალება არ მაქვს, რომ „ისი-პარის" ან „ვულე-ვუს" მაღაზიებში შევიდე და რაღაც შევიძინო, „ლანკომის" ან „გოლდენ-როუზის" კოსმეტიკას ვხმარობ.

— იმიჯის შეცვლას ხშირად ცდილობთ?

— იმიჯს უფრო ხშირად, ვარცხნილობით ვიცვლი. ყოველთვის ვცდილობ გრძელი თმა მქონდეს, რომ სხვადასხვანაირი „პრიჩოსკა" დავიყენო.

— თმის ფერს ხშირად იცვლით?

— არა. თმა არასოდეს შემიღებავს, მელირება მაქვს 3-ჯერ გაკეთებული. მივხვდი, რომ საღებავი, რამდენად ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს, თმას ანადგურებს. ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს — როდემდეც შევძლებ, ჩემი ბუნებრივი ფერი შევინარჩუნო.

— თუ გახსოვთ, პირველად მაკიაჟი როდის გაიკეთეთ?

— ქართულ ცეკვებზე დავდიოდი და როცა სუხიშვილების ანსამბლში გადავედი, მგონი, პირველად სრული გრიმი იქ გამიკეთეს. სკოლის პერიოდში კოსმეტიკა არასდროს გამომიყენებია. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში დავიწყე მაკიაჟის სისტემატურად კეთება, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ სისულელე იყო, დილის 9 საათზე ლექციაზე თვალებდახატული ჯდომა.

— ბავშვობაში დედის გარდერობი თუ გადმოგილაგებიათ?..

— დედის არა, მაგრამ დიდი ბებიის ტანსაცმელი ძალიან მომწონდა. მას ფეხის ზომაც პატარა ჰქონდა, მუსკომედიის თეატრის მთავარი მოდელიერ-მკერავი იყო. როცა სამსახურში წავიდოდა, მის ოთახში შევიპარებოდი და მთელ კარადას გადმოვაქოთებდი ხოლმე. ათასნაირი კოსტიუმი ჰქონდა, ვიცვამდი და სარკის წინ სხვადასხვა ფილმის ეპიზოდებს ვთამაშობდი. მახსოვს, „კლეოპატრა" ახალი ნანახი მქონდა; სახლში ერთი დიდი ტახტი გვქონდა, თავი ავხადე და შიგ ჩავწექი, ხელში სკიპტრის ნაცვლად დანა-ჩანგალი მეჭირა და იქ იმდენხანს ვიწექი — მკვდარი კლეოპატრას როლში, რომ ბოლოს, ჩამძინებია. ყოველთვის მინდოდა, გრძელი ნაწნავები მქონოდა, ამიტომ „რეიტუზს" ვიხურავდი თავზე და ძალიან ბედნიერი ვიყავი...

— სკოლის პერიოდში თუ გიფიქრიათ, თქვენი თანატოლებისაგან განსხვავებული იმიჯი გქონოდათ?

— დიდი ბედნიერება იყო, როცა სკოლაში თავისუფალი ჩაცმის საშუალება მოგვეცა. ყოველთვის წინა საღამოს ვამზადებდი იმას, რაც მეორე დღეს სკოლაში უნდა ჩამეცვა.

— თუ ყოფილხართ ოდესმე ისეთ დეპრესიულ მდგომარეობაში, როცა საკუთარ გარეგნობაზე აღარ გიფიქრიათ?

— განსაკუთრებული სტრესული მდგომარეობა, ამ ზაფხულს მქონდა — მამიდა დამეღუპა, რომელიც ჩემთვის დედაც იყო, მამაც და მეგობარიც. ამჟამად მის ბინაში ვცხოვრობ და ვცდილობ, სახლში ყველაფერი ისე იყოს, როგორც მის დროს. მამიდა ვერ იტანდა, ფორმაში რომ არ ვიყავი, უყვარდა, როცა საკუთარ თავზე ზრუნვას ბევრ დროს ვუთმობდი. სწორედ ამან გამომიყვანა მდგომარეობიდან, ვიფიქრე, მამიდას ასეთ მდგომარეობაში არ მოვეწონებოდი-მეთქი და მოვწესრიგდი.

— თუ გქონია ოდესმე იმის სურვილი, რომ საკუთარ გარეგნობაში რაიმე შეგეცვალა?

— ქრისტიანი ადამიანისთვის, ამაზე ფიქრი მკრეხელობაა. თუმცა, არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, რომელიც საკუთარ გარეგნობაში არაფერს შეცვლიდა. ყოველთვის მინდოდა, შედარებით მაღალი ვყოფილიყავი და უფრო სწორი ცხვირი მქონოდა. დღესდღეობით კი, არაფრის შეცვლის სურვილი აღარ მაქვს.

— როგორი დამოკიდებულება გაქვს სამკაულებთან?

— ოქროზე არ ვგიჟდები, მაგრამ როცა მიძღვნიან, უარს არასოდეს ვამბობ. ორი ბიჭი მყავს, შევინახავ და შემდეგ, მათ ცოლებს ვაჩუქებ. ძალიან მიყვარს ვერცხლის სამკაულები.

— თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი, რომელიც თქვენთვის უჩუქებიათ?

— ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი საქორწინო ბეჭედია. ასევე, მამიდის ნაჩუქარი ძვირფასი ნივთები, რომელთაც სათუთად ვინახავ და ვუფრთხილდები. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს საჩუქრის ფასს. ერთხელ, მეგობარმა აღდგომის დღესასწაულზე ბროწეულის წითელი ყვავილი მაჩუქა. ის ყვავილი ასანთის კოლოფში ჩავდე და დღემდე შენახული მაქვს.

— ფორმის შესანარჩუნებლად, სპორტულ დარბაზებში თუ დადიხართ?

— ვისაც გახდომა და ფორმის შენარჩუნება უნდა, ჩემთან მოვიდეს. ჩემი პატარა, უცებ ჩააყენებს ფორმაში *(იცინის)*. სპორტულ დარბაზებში მხოლოდ მაშინ დავდივარ, როცა დეპრესიულ მდგომარეობაში ვარ. ვარჯიშის დროს, დიდ შვებას ვგრძნობ.

— სოლარიუმზე რა აზრის ხართ?

— საზღვარგარეთ მეგობარი მყავს, რომელმაც მითხრა: გარუჯვა მარტო საქართველოში არის საზიანო, რადგან სოლარიუმის აპარატურას აქვს ისეთი ძვირად ღირებული ნათურები, რომელიც თვეში ერთხელ აუცილებლად უნდა გამოიცვალოსო. არა მგონია, საქართველოში ამას აკეთებდნენ. პირადად მე, ხელოვნური გარუჯვის მომხრე არა ვარ. ზედმეტი რაოდენობით, მზის სხივები ვნებს ადამიანს და ხელოვნური ულტრაიისფერი სხივები არა მგონია, სასარგებლო იყოს.

ჩემი პატარა, საკეისრო კვეთით გავაჩინე და ნარკოზის გამო, თმის ცვენა დამეწყო

გოგონა სულ რაღაც 12 წლის იყო, როცა დედამისი გარდაიცვალა და ობოლთა თავშესაფარში დააბინავეს. პანსიონის ბინადართა შავი უნიფორმის ასკეტიზმი, პირქუში, ყავისფერი კედლები, სამრეკლო, ეკლესიათა მძიმე ოქრო და ფარჩა — სწორედ ასეთ გამებში ჩამოყალიბდა ობლის შემოქმედებითი სული (ასე იტყვიან მოგვიანებით მისი მრავალრიცხოვანი ბიოგრაფები). „შავი — ეს ფერთა ფერია!“ — საჯაროდ წარმოთქვა მრავალი წლის შემდეგ მეამბოხე სულის პატრონმა შემოქმედმა. მისი ხაზების ნატიფი უბრალოება ყველაზე დიდ რევოლუციად იყო აღიარებული XX საუკუნის მოდის სამყაროში.

გაბრიელ შანელი — მაღალი მოდის სახლის (Maison Haute Couture) დამაარსებელი და თვით პარიზული მოდის სიმბოლო — 1883 წლის 19 აგვისტოს პროვინციულ ქალაქ სომიურში დაიბადა.

„მადმუაზელ მაკიაჟელი“, რომელმაც ქალის გათავისუფლება მოახერხა

რამდენ ასეთ ობოლს დაუღწევია თავი მიყრუებული ფრანგული პროვინციისათვის და პარიზის დიდებულებას ზიარებია რომელიმე მდიდარი ქარაფშუტას ლოგინის გავლით, — მათი ჩამოთვლაც კი გაჭირდება. გაბრიელ შანელის ცხოვრებაში ისტორიული (გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას) როლი შეასრულა ეტიენ ბალზანმა — მდიდარი ბურჟუაზიული ოჯახის ნაშიერმა. მან პირველმა აზიარა პანსიონის აღზრდილი პარიზული ცხოვრების მთელ სიამტკბილობას და დედაქალაქის „ოქროს ახალგაზრდობის“ უზრუნველ სამყაროს. ბალზანის ცხოვრება დაუსრულებელი დღეასწაულებისგან, შამპანურის, ნადირობისა და დოღზე თამაშისგან შედგებოდა. სწორედ იპოდრომზე მოახდინა 26 წლის გაბრიელ შანელმა თავისი პირველი მინირევოლუცია.

შანელმა გადწყვიტა, რომ მისი ლუბიუი პროვინციაში უნდა შემდგარიყო

იმ დროისთვის შანელს უკვე კოკოს ეძახდნენ. ერთ-ერთ წვეულებაზე ის, მამაკაცის მკაცრ კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა. მეორე დღეს კი, უკვე ინგლისელი გრუმის (დასავლეთ ევროპასა და რევოლუციამდელ რუსეთში: მსახური, რომელიც ცხენით ახლდა მხედარს ან ეკიპაჟის კოფოზე იჯდა) შარვალი ემოსა. ნაღები საზოგადოების ელეგანტური ქალბატონები შოკირებულნი და... მოხიბლულნი დარჩნენ, მაგრამ „რკინაბეტონის“ კორსეტებით დამხრჩვალმა, უსაშველოდ პომპეზური ვარცხნილობით დამძიმებულმა და ტლანქი კაბებით მაგრად ხელფეხშებორკილმა ქალბატონებმა თავიანთი გრძნობების გამოხატვა სათანადო ენერგიულობით ვერ შეძლეს. XX საუკუნის დასაწყისის საყოველთაოდ აღიარებული მოდა XX საუკუნის მოდის გაგრძელებას წარმოადგენდა. კოკო შანელმა ამას წერტილი დაუსვა, მაგრამ მის ტალანტს მხარდაჭერა სჭირდებოდა. ჰოდა, მიიღო კიდეც ასეთი მხარდაჭერა, — ოღონდ, რა თქმა უნდა, მამაკაცებისაგან. მისი მომდევნო „კომპანიონი“, ცნობილი ინგლისელი ბიზნესმენი არტურ კეპილი, არა მარტო კოკო შანელის დიდი სიყვარული გახლდათ, არამედ ის მატერიალურადაც დაეხმარა ქალს, გაეხსნა პირველი მოდური მაღაზია.

კოკო შანელმა იმით დაიწყო, რითიც ყველაზე ადვილი იყო საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოხატვა, საგანგებო უნარ-ჩვევებისა და დიდი საწყისი კაპიტალის უქონლობის შემთხვევაშიც კი, კერძოდ — შლაპებით. ტანსაცმელი თავიდან, მხოლოდ მისთვის იკერებოდა, მაგრამ ხელოვნისათვის წარმატების მიღწევა უშუალოდ პარიზში, იმ დროისთვის საოცრად რთული იყო და შანელმა გადაწყვიტა, რომ მისი დებიუტი პროვინციაში უნდა შემდგარიყო. 1913 წელს მან მოდის მაღაზია ქალაქ დოვილში გახსნა. კოკო შანელმა გაბედა, შლაპებიდან „კოფთებსა“ და ბლუზებზე გადასულიყო და სრულიად ახალი მასალა — ტრიკოტაჟი დანერგა. 1915 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა მორიგი მაღაზია — ახლა უკვე კურორტ ბიარიცში. იმ დროისათვის მოდელიერს უკვე ჩამოუყალიბდა საკუთარი სტილი: კოკო შანელი — ესაა „თავისუფალი XX საუკუნის თავისუფალი ქალი“, სულის შემხუთველი კორსეტებისგან, ფუშფუშა კაბებისა და სხვა უაზრობებისგან გამოხსნილი ქალი. ქალის სხეული ბორკილახსნილია, მოძრაობა — ბუნებრივი და მოხერხებული, ქვედატანების სიგრძე დამოკლდა, ქსოვილები — „ალერსიანი“ და „ნაზი“, — „ჯერსი“, რბილი კრეპი, რომლებიც სილუეტს მიჰყვება... კოკო შანელმა მაკრატლით შეუბრალებელი დარტყმა მიაყენა ქალის ძველ სამოსს. ცოტა მოგვიანებით, ფრანგი ლიტერატორი პოლ მორანი მას „XX საუკუნის გამანადგურებელ ანგელოზს“ უწოდებს. კოკო შანელი დაუნდობლად სპობდა, ანადგურებდა, არამოდურად აქცევდა ყველაფერს, რაც თავად არ მოსწონდა.

შანელის „მაკრატლის რევოლუციური დარტყმა“ მხოლოდ ქვედაბოლოებს როდი შეეხო. იგივე ბედი ეწია მათ მფლობელთა თავებსაც: თავები მსუბუქი გახდა, თმა — მოკლე. მისი მოკლედ გაკრეჭილი თავი, რომელიც მყისვე ლეგენდად იქცა, კოკო შანელის ლიბერალურ შეხედულებათა სიმბოლოდ იქცა.

1919 წელს — მათი ნაცნობობიდან სულ რაღაც 5 წლის შემდეგ, — ტრაგიკულად დაიღუპა არტურ კეპილი. კოკო

შანელი თავისუფალი და დამოუკიდებელია, როგორც არასდროს. „მადმუაზელი“ — უბრალო მიმართვიდან, ტიტულად გადაიქცა. „არავისი არაფერი არ უნდა გემართოს“ — აი, შანელის დევიზი. 1921 წელს, როცა Cambon-ის ქუჩაზე თავისი პარიზული მაღაზია გახსნა, ის არა უბრალოდ მდიდარი და ცნობილი, არამედ უკვე მსოფლიო მოდის წამყვანი ვარსკვლავი იყო, თანაც, ყველაფერ ამას მხოლოდ საკუთარი თავის წყალობით მიაღწია — საკუთარი ტალანტისა და თანდაყოლილი ალღოს რეალიზების შედეგად. ელეგანტურობის განსაზღვრის ალღოს მხრივ, კოკო შანელს მართლაც, ბადალი არ ჰყავდა. 1921 წელს მადმუაზელ კოკომ კიდევ ერთი — „დიდი რევოლუცია“ მოახდინა — მან შექმნა Chanel N5, ახალი საუკუნის „ახალი „ნიავი“, რომელიც ფორმების სისადავისა და უბრალოების იმავე ვნებებმა წარმოშვა, რომლებმაც მანამდე — მისი კოსტიუმები და ერთიანი მსუბუქი ქროლით გაფანტა იმდროინდელი მოდური სალონების დაგუბებული ამბრი. Chanel N5 დღემდე, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სუნამოდ რჩება: მას სუნამოების მსოფლიო ბაზრის 4,7% ეკუთვნის. მადმუაზელ შანელი კი სხვა ყველაფერთან ერთად, კიდევ ერთი ტიტულით — პირველი მოდელიერ-პარფიუმერი — შევიდა მოდის ისტორიაში.

შანელის მამაკაცები, არა მარტო და არა იმდენად მგზნებარე საყვარლები (და მით უმეტეს — სპონსორები) იყვნენ, რამდენადაც ახალი შთაბეჭდილებებისა და იდეების მიმწოდებელნი. დიდმა რუსმა თავადმა, დმიტრი პავლოვიჩმა (ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილმა) კოკო შანელი რუსეთის არისტოკრატიის წრეებში შეიყვანა და ამასთან, პარფიუმერი ერნესტ ბოც — Chanel N5-ის მომავალი შემქმნელი გააცნო. ცოტა მოგვიანებით, ვესტმინსტერის ჰერცოგმა — ინგლისის უმდიდრესმა კაცმა მას წმინდა ინგლისური კომფორტის გემო აგრძნობინა: დეკორის დახვეწილობას, გამძლე ქსოვილების სირბილესა და სითბოს, თავის საყვარელ ტვიდს, ზღვით მოგზაურობასა და ტროპიკული მზის სიყვარულს აზიარა. მოგზაურობიდან კოკო შანელი მზემოკიდებული დაბრუნდა და საფუძველი ჩაუყარა მოდას ნამზეურზე მთელი წლის განმავლობაში. იმავე დროს, მეგობარი მხატვრები და პოეტები მას არტისტული ბოჰემისა და ხელოვნების სამყაროსკენ იზიდავდნენ. ამ სამყაროთი ის სიკვდილამდე მოხიბლული დარჩა და ბევრიც გააკეთა მისთვის. კოკო შანელის, როგორც მეცენატის სხვა მრავალ ბენეფიციანტს შორის იყო სერგეი დიაგილევი და მთელი რუსული ბალეტის დასი. 30-იან წლებში კოკო შანელმა თეატრისა და კინოსთვის კოსტიუმების სერიაც კი შექმნა, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მეორე მსოფლიო ომის წინ, მისმა დიდებამ და აღიარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მას უკვე მთელ მსოფლიოში იცნობდნენ. შანელს არსად მოეძებნებოდა ბადალი. Cambon-ის ქუჩის სახელოსნოებში 4000-მდე კაცი შრომობდა. მთელ მსოფლიოში წელიწადში დაახლოებით 30000 მისი მოდელი იყიდებოდა. მაგრამ 1940 წელს გერმანელებმა საფრანგეთის ოკუპაცია მოახდინეს და მაშინვე დაიწყეს დიდი ხნის ნალოლიავები გეგმის — მოდის მსოფლიო დედაქალაქის — პარიზიდან ბერლინში გადატანის განხორციელება. კოკო შანელმა საკუთარი სავაჭრო ქსელი დახურა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ — სამუდამოდ. მაგრამ 1954 წელს, 71 წლის მადმუაზელ შანელმა ახალი მსოფლიო სენსაციის პროვოცირება მოახდინა — Cambon-ის ქუჩაზე დაბრუნდა და კვლავ მიჰყო ხელი დეფილეების მოწყობას, რომლებზეც თავის უცვლელ კოსტიუმებს წარმოადგენდა; მათ შორის კვლავ იყო: ქვედაბოლოები, შარვლები, „ჯერსი“, ტრიკო, ტვიდი... და ასე გრძელდებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე — 1971 წლის 10 იანვრამდე. კოკო შანელი ერთადერთი, სწორი სტილის ერთგული დარჩა — სტილის, რომელიც მოდის ვულგარული დონიდან art de vivre-ის — „სიცოცხლის ხელოვნების“ სიმაღლემდე ავიდა.

„შავი რევოლუცია“

თავის დროზე შანელის ყველაზე რადიკალური იდეები, დღესდღეობით ზედმიწევნით საყოველთაო და ჩვეულებრივია. შავი ფერი დიდი ხანია, პარიზის „უნიფორმად“ იქცა, რომლის სათავეშიც პატარა შავი კაბაა, სახელწოდებით — სექსი. ახლა შეუძლებელიც კია იმის წარმოდგენა, თუ რამდენად შოკის მომგვრელი იყო, მოდელიერის ეპოქაში ქალის თხემით ტერფამდე სამგლოვიარო ფერში გამოწყობა. მაზმუაზელ კოკოს მონდომების წყალობით, ხალხმა დაივიწყა ამ სიმბოლიკის შესახებ, — ისევე როგორც მანამდე დაივიწყა, რომ შარვალი ან ჟილეტი — წმინდა მამაკაცური სამოსის ნაწილი იყო. მაგრამ კოკო შანელი სულაც არ გახლდათ მამაკაცურად ჩაცმული ქალი. ის თვით ქალურობას განასახიერებდა. მის იდეებს მართლაც, ასაზრდოებდა მისი თანამგზავრი მამაკაცების გარდერობი, მაგრამ შანელი იღებდა მამაკაცის ტანსაცმლის არა ფუნქციურ, არამედ პრაქტიკულ მხარეს. შარვალი და ჟილეტი საოცრად ქალური აღმოჩნდა, შარვალსა და ჟილეტში გამოწყობილმა „XX საუკუნის ახალმა, გათავისუფლებულმა ქალმა“ პირველად მიიღო შესაძლებლობა ახლებურად, თავისუფლად ემოძრავა, ესუნთქა. კოკო შანელმა ქალის კაბა ყოველგვარი ზედმეტობისგან გაათავისუფლა. „მადმუაზელის მაკრატელმა“ კაბისგან მხოლოდ ჩონჩხი დატოვა, ოღონდ — მარგალიტის ღილებითა და მხარზე გადაგდებული ოქროს ძეწკვით მორთული. შანელის სტილი — ეს ხაზების დახვეწილი ელეგანტურობაა, რომელიც აქსესუარების მდიდრულობასთანაა შერწყმული (მოგონებები მძიმე ბავშვობაზე? ობლის ხალათი და ტაძრების მდიდრული მორთულობა?..) კოკო შანელის მემკვიდრე — კარლ ლაგერფელდი თავისი წინაპრის სტილს ერთი სიტყვით ახასიათებს — „მინიმალიზმი“. „კოკოს ყველაზე პოპულარული მოდელი? შემიძლია დაუყოვნებლივ, მეხსიერებით დაგიხატოთ, იმდენად მარტივია იგი. და სწორედ ეს კაბა გახდა იმდენად პოპულარული, რომ ამერიკელები მასზე ამბობდნენ — ის ისე იყიდებოდა, როგორც ავტომობილი „ფორდიო“ — არა ფასის, არამედ რაოდენობის ხაზგასასმელად: მაშინ ხომ დღეში 3-4 ათასი ცალი „ფორდი“ იყიდებოდა“...

კოკო შანელმა ქალის კაბა ყოველგვარი ზედმეტობისგან გაათავისუფლა

კოკო შანელი ამბობდა, რომ „მოდა იქმნება ერთი საინტერესო იდეით, რომელიც აუცილებლად მაშინვე უნდა დაიწვას“.

არავინ იცის, „დაიწვა“ თუ არა მისი შექმნის იდეა, მაგრამ ფაქტია, რომ პატარა შავი კაბა სწორედაც რომ ერთი საინტერესო იდეით შეიქმნა.

დასასრული შემდეგ ნომერში

დასამალი არ არის, რომ ყველა ქვეყნის სპეცსამსახურს უხდება ბინძური, სისხლიანი ოპერაციების ჩატარება. ამ ამოცანების შესასრულებლად, მათ სტრუქტურებში შექმნილია სპეციალური დანაყოფები, რომლებიც ჩვეულებრივ, რაიმე ნეიტრალურ სახელს არიან ამოფარებული, რადგანაც ოპერაციის მომზადება და ჩატარება მაქსიმალურად ფარულად უწევთ. გარდა ამისა, თვით ამ აქციების შედეგიც (მაგალითად, რომელიმე „მეგობარი“ ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწის მოულოდნელი გარდაცვალება „გულის შეტევით“, „შემთხვევითი ავტოავარიითა“ თუ „გაზით გაგუდვით“) ისე უნდა იყოს შენიღბული და ფარავდეს რეალურ კვალს, რომ სიმართლის დადგენა შეუძლებელი გახდეს.

პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე

ბესიკ ალადაშვილი

პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერაქტების ორგანიზების სფეროში საბჭოთა სპეცსამსახურები ყოველთვის ლიდერებად გვევლინებოდნენ და „ნოვატორული“ იდეებითაც გამოირჩეოდნენ. „ენკავედე-კაგებეს“ სისტემაში 1930-იანი წლებიდან მოქმედებდა საიდუმლო ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია — X, რომლის წიაღში დამზადებული მომწამვლელი ნივთიერებებით საბჭოთა ბელადები პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ანადგურებდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი წარმატებით განაგრძობს ამ ტრადიციას. ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომელიც 2004 წელს, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოხდა, როცა ყველაზე რეალური და, რაც მთავარია, პროდასავლური ორიენტაციის მქონე კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო დიოქსინით მოწამლეს. სამწუხაროდ, ეს დანაშაული ბოლომდე არ იქნა გამოძიებული და უკრაინელმა სამართალდამცველებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს სიმართლე.

გაცილებით დიდი რეზონანსი მოჰყვა ალექსანდრ ლიტვინენკოს საქმეს, რომლის სახელიც თითქმის მთელი თვეა არ ქრება მსოფლიო პრესის ფურცლებიდან. მისი სახელი ადრეც, პერიოდულად ჩნდებოდა რუსულ და სხვადასხვა ქვეყნის მასმედიაში. საბჭოთა „კაგებეს“ სამხედრო კონტრდაზვერვის, შემდგომ კი, რუსეთის „ფეესბეს“ პოდპოლკოვნიკი ლიტვინენკო ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, როდესაც 1998 წლის 20 მარტს, ცნობილ ბიზნესმენ-პოლიტიკოს ბორის ბერეზოვსკისთან მივიდა და აცნობა, რომ „ფეესბეს“ ხელმძღვანელობამ თავად ლიტვინენკოსა და კიდევ რამდენიმე თანამშრომელს მისი ლიკვიდაცია დაავალა. ამ ინფორმაციამ, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ, ხმაურიანი პრესკონფერენცია მოჰყვა, გრიგალ „კატრინასავით“ გადაუარა რუსულ და უცხოურ მასმედიას. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო?! — რუსეთის სპეცსამსახური გეგმავდა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის, წარსულში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის და დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის ლიკვიდაციას!..

სპეცსამსახურების ისტორიაში ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა კილერი მომავალ მსხვერპლთან გამოცხადდა და საიდუმლო გაუმხილა. მანამდე დიდი ხნით ადრე — 1954 წლის თებერვალში „კაგებეს“ კაპიტან ნიკოლაი ხოხლოვს, ანტისაბჭოთა გამოსვლებით ცნობილი ემიგრანტის, გიორგი ოკოლოვიჩის ლიკვიდაცია დაევალა. ოპერაციის ჩასატარებლად, ხოხლოვი დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა, მაგრამ შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, შინ ესტუმრა მომავალ მსხვერპლს და ყველაფერში გამოუტყდა. იმავე წლის 20 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე მან საჯაროდ ამხილა საბჭოთა კავშირი პოლიტიკური მკვლელობების ორგანიზებაში. ეს უკვე „კაგებეს“ პირდაპირი გამოწვევა იყო. საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელებმა ხოხლოვის ლიკვიდაციის საიდუმლო ბრძანება გასცეს. 1957 წლის 15 სექტემბერს, ფრანკფურტში გაქცეული „კაგებეს“ კაპიტანი ქიმიური ნივთიერება თალიუმით მოწამლეს. ხოხლოვიც ლიტვინენკოს ბედს გაიზიარებდა, რომ არა დროული სამედიცინო ჩარევა და მრავალთვიანი მკურნალობა აშშ-ის სამხედრო ჰოსპიტალში...

დავუბრუნდეთ ლიტვინენკოს საქმეს. მის მიერ გამოთქმული ბრალდების შემდეგ, რუსეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე კი აღძრა, მაგრამ 9 თვის მანძილზე, რომ იტყვიან, ხელიც არ გაუნძრევია. სწორედ ამის შემდეგ, 1998 წლის 20 ნოემბერს ბერეზოვსკიმ გაზეთ „კომერსანტის“ ფურცლებზე წერილით მიმართა „ფეესბეს“ მაშინდელ ახალდანიშნულ შეფს — ვლადიმერ პუტინს. ამ წერილის საპასუხოდ, მომავალმა პრეზიდენტმა ჯერ ლიტვინენკოზე, შემდეგ კი — თავად ბერეზოვსკიზე ნადირობა დაიწყო. 1999 წლის მარტში, ლიტვინენკოს სხვა საქმე „შეუკერეს“ და ლეფორტოვოს ციხეში უკრეს თავი. ის მხოლოდ 10 თვის შემდეგ გაათავისუფლეს, გაუსვლელობის ხელწერილით. ბუნებრივია, პროვოკაციები მის წინააღმდეგ არც შემდეგ შეწყვეტილა. ამის გამო, 2000 წლის ნოემბერში ის ფარულად გაემგზავრა ლონდონში და ბრიტანეთის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. იმ დღიდან დაიწყო ლიტვინენკოს ღია ბრძოლა რუსეთის სპეცსამსახურების წინააღმდეგ. 2001 წლის ზაფხულში მან გამოსცა წიგნი — „ფეესბე“ აფეთქებს მოსკოვს“, რომელსაც დიდი სკანდალი მოჰყვა მსოფლიოში, რადგანაც ლიტვინენკომ, 1998-2000 წლებში რუსეთში მომხდარ ტერაქტებში ქვეყნის ახალი პრეზიდენტი და რუსეთის სპეცსამსახურები დაადანაშაულა.

ყოველივე ამის შემდეგ, რუსეთის სპეცსამსახურებმა მასა და ჩეჩენ პოლიტიკურ დევნილებზე — იანდარბიევსა და ძაკაევზე, ისევე, როგორც ბერეზოვსკიზე „ნადირობის სეზონი“ გახსნილად გამოაცხადეს. მიზანსაც მიაღწიეს: პირველი მსხვერპლი — ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ზელიმხან იანდარბიევი 2004 წლის 13 თებერვალს, კატარის დედაქალაქ დოჰაში ააფეთქეს. შემდეგ, ალექსანდრე ლიტვინენკოს ჯერი დადგა. ის რადიოაქტიური ნივთიერება პოლონიუმ-210-ით მოწამლეს, რის შედეგადაც, 23 ნოემბერს გარდაიცვალა. მოგეხსენებათ, ბოლო წლებში რუსეთში არაერთი პოლიტიკური ფიგურა თუ ჟურნალისტი ჩამოიშორეს გზიდან. იანდარბიევის და ლიტვინენკოს მკვლელობამ კი, დასაბამი მისცა „გამოცხადებული სახელმწიფო ტერორის ქრონიკას“, რომელიც უკვე საზღვარგარეთ ხორციელდება.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მკვლელებზე ინდულგენცია უკვე თვით ქვეყნის კანონმდებლებმა გასცეს: გასულ ზაფხულს მათ

დიდი რეზონანსი მოჰყვა ალექსანდრ ლიტვინენკოს საქმეს

მიიღეს დადგენილება ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ოფიციალურად ანიჭებს სპეცსამსახურებსა და სისხლიანი საქმეების დიდოსტატებს უფლებას, რუსეთის ინტერესების დროშითა და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით გაუსწორდნენ სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულებს. ეს სანდალური გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის ნორმების სრულ

ლავრენტი ბერია

იგნორირებას წარმოადგენს, მაგრამ რუსი პოლიტიკოსები ამას არად დაგიდევენ. ისინი კვლავაც საბჭოთა კავშირს მისტირიან და „წითელი ტერორის“ სულისჩამდგმელ ფელიქს ძერჟინსკის აჩრდილზე ლოცულობენ. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს, ფაქტობრივად აღდგა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ შვიდი ათეული წლის მანძილზე დამკვიდრებული, პოლიტიკური მკვლელობების პრაქტიკა, რომელსაც თავის დროზე შეეწირნენ რეჟიმის პოლიტიკური ოპონენტები და საზღვარგარეთ გაქცეული, თავად სპეცსამსახურების აგენტები: კონოვალეცი, ტროცკი, კრივიცკი, მიხოელსი, ბანდერა, რებეტი, მარკოვი და სხვები. ლიკვიდაციის ოპერაციების ორგანიზატორებსა და უშუალო შემსრულებლებს (სერებრიანსკის, კოროტკოვს, სუდოპლატოვს, ეიტინგონს, მერკადერს, სტაშინსკის, კალუგინსა და სხვებს) ორდენებით აჯილდოებდნენ. „პერესტროიკის“ პერიოდში, ზოგიერთი „ლიკვიდატორის“ (მაგალითად, პაველ სუდოპლატოვის და ოლეგ კალუგინის) წინააღმდეგ, საბჭოთა პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის ინიციატორები დროულად „მოიყვანეს გონს“ — საქმე დახურეს და ეს მკვლელობები მხოლოდ „ისტორიულ ფაქტებად“ დარჩა. ასე რომ, სიმართლე კვლავ რუსეთის სპეცსამსახურების ბნელ სარდაფებში დამალულ არქივებშია ჩაკეტილი. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური და მემუარული ლიტერატურის წყალობით, გვაქვს საშუალება, მოგითხროთ ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობების შესახებ.

„კაგებეს“ ყველაზე გასაიდუმლოებულ ოპერატიულ დანაყოფს, ოფიციალურ დოკუმენტებში ლაბორატორია X-ად მოიხსენიებენ. ის, ლუბიანკის (საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ ცენტრალური ოფისის) ციხის მიდამოებში მდებარე უფერულ, პატარა შენობაშია მოთავსებული. ეს ლაბორატორია ათწლეულების მანძილზე, აკადემიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, „კარგად“ უთავსებდა სიკვდილმისჯილ პატიმრებზე ახალი ტოქსიკური ნივთიერებებისა და შხამების გამოცდას. ამ „ჰუმანური“ ამოცანის გადასაჭრელად, ლაბორატორიაში სპეცკამერებიც იყო განთავსებული. შენობის ამ დანაყოფში შესვლის უფლება, იქ მომუშავეთა გარდა, მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესა და მის პირველ მოადგილეს (რომლის უშუალო საკურატორო სფეროშიც ლაბორატორია შედიოდა) ჰქონდათ.

ყველაფერი კი, ძალზე ჩვეულებრივად დაიწყო: 1921 წელს, სოვნარკომის (სახალხო კომისართა საბჭოს — საბჭოთა მთავრობის) თავმჯდომარის ვლადიმირ ლენინის მითითებით, ბიოქიმიის ინსტიტუტში შეიქმნა ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია X. შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება „სპეცსაშუალებებით“ საიდუმლო მკვლელობების სერია.

ლაბორატორის პირველი ხელმძღვანელი — პროფესორი კაზაკოვი, როგორც „უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ჯაშუში“ და ბუხარინის თანამოაზრე, 1938 წელს დახვრიტეს. მანამდე ერთი წლით ადრე კი, მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც უკვე ახალი შეფის — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის, პროფესორ მაირანოვსკის ხელმძღვანელობით „ავთვისებიან სიმსივნეზე სხვადასხვა შხამისა და ტოქსიკური აირის ზემოქმედების“ თემატიკაზე მუშაობდა, უშუალოდ „ენკავედეს“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) დაქვემდებარებაში გადავიდა და ფორმალურად, „ოტო“-ს (ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილება, სადაც „უჩოკებს“ და ათასგვარ სხვა „მამაძაღლობას“ ამზადებდნენ) დაექვემდებარა. მაირანოვსკი ლაბორატორია X-ს 1937-დან 1951 წლამდე ხელმძვანელობდა. მასაც, წინამორბედივით, განგებამ ტრაგიკული ბედი არგუნა, რის შესახებაც ქვემოთ მოგიყვებით.

2004 წელს, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ, პროდასავლური ორიენტაციის მქონე კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო დიოქსინით მოწამლეს

ამ ლაბორატორიის შექმნის დღიდან, მის თანამშრომელთა მიერ დამზადებულ ტოქსიკურ ნივთიერებებს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მსხვერპლთა ზუსტ რაოდენობას ალბათ ვერასდროს დავადგენთ. მხოლოდ ყოფილი „ჩეკისტების“ (უპირველესად — გენერალ-ლეიტენანტ პაველ სუდოპლატოვის, რომელიც 14 წლის ასაკიდან თანამშრომლობდა „ჩეკასთან“ (საგანგებო კომისია — „კაგებეს“ წინამორბედი), თავად სჩადიოდა პოლიტიკურ მკვლელობებს, ხოლო შემდგომ, ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციებს და ბოლოს, „მრავლისმცოდნეობის“ გამო, 15 წლით ციხეში გამოამწყვდიეს) მოგონებები მაინც მწირ, მაგრამ ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდის.

სამხედრო ინჟინერი, წარმოშობით პოლონელი ებრაელი — აბრამ სამეტი, რომელიც 1939 წლიდან, საბჭოთა კავშირში იყო ინტერნირებული, ლავრენტი ბერიას მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა წყალქვეშა ნავების აკუსტიკური მოწყობლობების შექმნაზე. ომის შემდგომ, სამეტმა ისტორიულ სამშობლოში — პალესტინაში დაბრუნება მოინდომა. საბჭოთა ბელადს არაფრით არ სურდა ამის დაშვება და როცა ყველა არგუმენტი ამოიწურა, მაგრამ სამეტი თავისას არ იშლიდა, სტალინმა მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. ულიანოვსკის სამხედრო ქარხანაში მომუშავე სამეტთან უშიშროების აგენტი (ქარხნის პოლიკლინიკის ექიმი) „ჩანერგეს“, რომელიც ცოტა ხანში „დაუმეგობრდა“ ინჟინერს. სულ მალე, ულიანოვსკში თავად მაირანოვსკი ჩავიდა და ექიმ-აგენტთან ერთად, ქარხნის პერსონალის გეგმური პროფილაქტიკური შემოწმების დროს, ანტიინფექციური ინიექციები გააკეთა. რამდენიმე დღის შემდეგ, სამეტი მოულოდნელად გარდაიცვალა. ოფიციალური დიაგნოზი — „ინფარქტი“. სუდოპლატოვის ინფორმაციით, სამეტს ე.წ. კურარეს შხამი თავად ექიმმა გაუკეთა.

1946 წლის ზაფხულში უკრაინის ცეკას მაშინდელი პირველი მდივნის — ნიკიტა ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით, სტალინმა უკრაინის ნაციონალური მოძრაობის ლიდერის — შუმსკის ლიკვიდაციის სანქცია გასცა. ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შუმსკი პატიმრობიდან ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს და სარატოვში გადაასახლეს. მაგრამ იქაც არ ისვენებდა და სტალინს ულტიმატუმი წაუყენა: თუ უკრაინაში დაბრუნებისა და ცხოვრების უფლებას არ მომცემთ, თავს მოვიკლავო. ბელადი თურმე, ძალზე „შეწუხებულა“ და უშიშროების მინისტრს აბაკუმოვს დაავალა, „დახმარებოდნენ“ ავადმყოფ კაცს ჩანაფიქრის განხორციელებაში. სარატოვში პროფესორი მაირანოვსკი გაემგზავრა. სპეცაქციას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ: მინისტრის მოადგილე ოგოლცოვი და ცეკას პოლიტბიუროს წევრი კაგანოვიჩი. ლაბორატორია X-ში დამზადებულმა შხამმა, როგორც ყოველთვის, თავისი საქმე გააკეთა: 3დღის შემდეგ, შუმსკი „გულის უკმარისობისგან“ გარდაიცვალა.

გაგრძელება იქნება

ბოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-50

რეზო დილის შვიდი საათისთვის მივიდა ციხესთან. იმ დროისთვის ამანათების მიმღებ განყოფილებასთან უკვე იმყოფებოდა ოცამდე ადამიანი — მამაკაცები, ქალები და რამდენიმე ბავშვი, რომლებიც დედების სიახლოვეს ტრიალებდნენ. რეზომ სწრაფად გაარკვია, თუ ვინ იყო რიგში ბოლო, ჩანთები კედლის გასწვრივ დააწყო და საათს დახედა. ამანათების მიმღები განყოფილების გაღებამდე ორი საათი რჩებოდა.

დრო ნელა გადიოდა. თავის შესაქცევად რეზომ ჩანთიდან წინადღეს ნაყიდი გაზეთი ამოიღო და კითხვას შეუდგა. და სწორედ ამ დროს...

შავი მიკროავტობუსი მუხრუჭების წივილით შედგა ამანათების განყოფილების სიახლოვეს. მანქანიდან ნიღბოსანი და შეიარაღებული პოლიციელები გადმოცვივდნენ და კედელთან გამწკრივებული ადამიანებისკენ გაქანდნენ. მათი გამოჩენა იმდენად მოულოდნელი და შიშის მომგვრელი იყო, რომ ქალებმა და ბავშვებმა კივილი მორთეს. რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცმა კი გაქცევით უშველა თავს. თუმცა პოლიციელებს მათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ისინი სირბილით მიეჭრნენ რეზოს, გარს შემოეხვივნენ, შებოჭეს და სწრაფად გააქანეს მიკროავტობუსისკენ.

რეზო მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როდესაც მიკროავტობუსი ადგილიდან დაიძრა.

— ვინ ხართ?! რა გინდათ?! — ყვირილით ჰკითხა ნიღბოსნებს. მაგრამ მათ პასუხი არ გაუციათ. ამის ნაცვლად, თავდამსხმელებმა ხელები ზურგს უკან გადაუგრიხეს და მის ჩხრეკას შეუდგნენ. ჩხრეკისას ერთ-ერთმა ნიღბოსანმა რეზოს ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამოაცალა და წინა სავარძელზე მყოფ მამაკაცს უპატაკა:

— ისაა!..

— ვინ ხართ?! — ბრაზით გაიმეორა რეზომ.

წინა სავარძელზე მყოფი მამაკაცი შემობრუნდა, ნიღბოსანს პირადობის მოწმობა ჩამოართვა, რეზოს თვალი თვალში გაუყარა და ავად გამოცრა:

— ვერ ხვდები?

— ვხვდები: პოლიციელები ხართ!..

— ცდები. იუსტიციის სამინისტროდან ვართ!..

— იუსტიციის სამინისტრო?! — დაიბნა რეზო. — რა გინდათ ჩემგან?

— ამასაც მალე გაიგებ! — ჩაილაპარაკა მამაკაცმა და რეზოს ზურგი შეაქცია.

რეზოს კიდევ სურდა კითხვის დასმა, მაგრამ ველარ მოასწრო. მიკროავტობუსი გაჩერდა, ნიღბოსნებმა ძირს ჩამოიყვანეს და სირბილ-სირბილით წაიყვანეს შენობის შესასვლელისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალზე სწრაფად მოხდა, რეზომ მაინც იცნო შენობა. ეს იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

რამდენიმე წუთში რეზო საშუალო ზომის ოთახში შეიყვანეს და სკამზე დასვეს. იმავ წამს ნიღბოსნებმა მაგიდაზე მისი ჩანთები დადეს და მისი დაკითხვაც დაიწყო.

— სახელი, გვარი? — მკაცრი ტონით ჰკითხა მის პირისპირ მყოფმა მამაკაცმა.

— ჩემს პირადობის მოწმობაში ჩაიხედეთ! — ბრაზით უპასუხა რეზომ.

— სახელი, გვარი! — უცვლელი ტონით გაიმეორა მამაკაცმა.

— რეზო ჭელიძე.

— ეს შენი ჩანთებია? — განაგრძო მამაკაცმა.

— დიახ.

— რა დევს ჩანთებში?

— ეს ამანათია, — უპასუხა რეზომ.

— ვისთვის?

— ჩემი ძმისთვის.

— რა არის ამანათში?

— ამის საკითხავად დამიჭირეთ?.. — გაღიზიანდა რეზო. — ამის კითხვა „პერედაჩებთანაც“ შეგეძლოთ.

— თავს ნუ იშტერებ, ბიჭო! შენნაირი ახვარი ძალიან ბევრი მინახავს!.. — სკამიდან წამოიწია მამაკაცმა.

— ვინა ხართ და რა გინდათ ჩემგან?! — არ შეეპუა რეზო.

— შენ არ მიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მალე გამიცნობ და ჩემთან ახლოს ძალიან ბევრი დროის გატარება მოგიწევს... რამდენი ხანია, რაც ციხეზე მიდიმოდიხარ?

— მეორე კვირაა, — მექანიკურად უპასუხა რეზომ.

— მერე?.. ამდენ ხანში ჩემი სახელი არ გსმენია?.. მე რეჟიმის უფროსი ვარ, კანკავა!..

ამ გვარის გაგონებამ რეზოს თავზარი დასცა. მისთვის უკვე გასაგები გახდა, რომ მოულოდნელი აყვანა გიოს საქმეს უკავშირდებოდა. მხოლოდ ის იყო გაურკვეველი, თუ რატომ და რის საფუძველზე?

— ხვდები?.. — კანკავას არ გამოჰპარვია მისი დაბნეულობა.

— ვერაფერს ვხვდები, — უპასუხა რეზომ.

— მიგახვედრებ... — ჩაილაპარაკა კანკავამ, შემდეგ, ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

„ძმაო რეზო, რასაც გწერ, ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მიჭირს წამლის გარეშე. „ქსივაში“ არაფერს მოგწერ. შენ თვითონ მიხვდები, რა და რამდენი უნდა შემომიგზავნო. გზა იცი. შენი იმედი მაქვს. გამოუშვი, როგორც ადრე. ორი დღის შემდეგ ველი წამალს...“

კანკავამ კითხვა დაასრულა, რეზოს გაუსწორა მზერა და ჰკითხა:

— ესე იგი, გზა იცი, ახვარო?!

— რა გზა?! — გაოგნებული სახით ჰკითხა რეზომ.

— არ იცი?!

— არა!

— და ეს „ქსივაც“ არ წაგიკითხავს?

— არა!

კანკავამ ცივად ჩაიცინა, შემდეგ წინ გადაიხარა, ლამის სახე სახეზე მიადო რეზოს და ისე თქვა:

— შენი ძმის წინა „ქსივაც“ არ წაგიკითხავს?!

რეზომ დუმილით უპასუხა.

— წაგიკითხავს... წაგიკითხავს, ახვარო, და ამიტომაც მოხვედი დღეს ასე გაბედულად... ახლა კი, შენს „დაჩკას“ დავათვალიერებთ და ლაპარაკს შემდეგ გავაგრძელებთ!.. — კანკავა დამცინავი ღიმილით დაუბრუნდა სკამს და ნიღბოსნებს რაღაც ანიშნა.

მის ნიშანზე ერთ-ერთი მათგანი ოთახიდან გავიდა და რამდენიმე წამში, ორი ახალგაზრდა ქალის თანხლებით დაბრუნდა უკან.

— ეს მოქალაქეები ჩხრეკის დამსწრეები არიან... — თქვა რეჟიმის უფროსმა.

— რომელი ჩხრეკის?! — გაიოცა რეზომ.

— შენი ბარგი-ბარხანის, — ირონიულად ჩაილაპარაკა კანკავამ.

ნიღბოსნებმა ჩანთების შიგთავსი სწრაფად ამოალაგეს და მაგიდაზე დააწყვეს. ამასთან ერთად, კანკავა გულდასმით ათვალიერებდა ყოველ ფუთას და რეზოს კითხვებს უსვამდა.

— რა არის ეს?..

რეზოს ძალზე აღიზიანებდა კითხვები, მაგრამ ამ კოშმარის რაც შეიძლება მალე დასამთავრებლად, სხარტად პასუხობდა.

— ეს „ბორჯომია“... ესა — ჩაი.. ეს — ყავა... ტუალეტის ქაღალდი... თეთრეული...

— ეს რაღაა?.. — კანკავამ ინტერესით შეათვალიერა კეტჩუპის ქილა.

— ქილაზე წერია! — ბრაზით მიუგო რეზომ.

კანკავამ ირონიული მზერა ესროლა და ქილა გახსნა. რეზო მშვიდად ადევნებდა თვალს მის მოქმედებას. ქილა, რომელმაც კანკავა დაინტერესა, რეზოს წინადღეს ჰქონდა შეძენილი და მასში უჩვეულო არაფერი ეგულებოდა. მაგრამ მისთვის მოულოდნელად, თავსახურს ძუაზე მიმაგრებული პოლიეთილენის პარკი ამოჰყვა.

— რა არის ეს?! — მექანიკურად შესძახა ტომატის ფენით დაფარული პარკის ხილვაზე.

— ეს შენ უნდა გკითხოთ, — ჩაილა-

პარაკა კანკავამ და პარკი ფრთხილად გადაიტანა მაგიდაზე.

რეზოსა და ოთახში მყოფთა თანდასწრებით კანკავამ პარკი ჯიბის დანით გაჭრა. მაგიდაზე თეთრი ფერის ათამდე აბი გადმოყარა, რეზოს გამჭოლი მზერა მიაბჯინა და ჰკითხა:

— რა არის ეს, ჯიგარ?!

— არ ვიცი... — დაიბნა რეზო.

— არ იცი?.. — გაიკვირვა კანკავამ. — წეღან არ მითხარი, რომ ეს „პერედაჩა“ შენს ძმას მიუტანე?!

— ჰო. მაგრამ ამ პაკეტისა არაფერი ვიცი! — სწრაფად უპასუხა რეზომ.

— პროფესიონალურად მეტყველებ: „პაკეტი“ და ამბები, არა?.. — შენიშნა კანკავამ.

— მე არაფერი ვიცი ამ ტაბლეტების შესახებ! — ჯიუტად გაიმეორა რეზომ.

— ისე, შენ არც გეკითხები ამას. რა არის ეს ნაგავი, ექსპერტი დაადგენს. ახლა კი მხოლოდ ერთია რამაა მთავარი: სად ვიპოვეთ ეს პაკეტი?! რას იტყვი ამაზე?

— არაფერს!

— არაფერს?! — გაიკვირვა კანკავამ. — რას ამბობ, ბიჭო?! შენ თვალწინ არ ამოვიღეთ „დაჩკიდან“?!

რეზომ დუმილით უპასუხა.

— არაფერი გაქვს სათქმელი, — ჩაილაპარაკა კანკავამ, — და მეც აღარაფერი მაინტერესებს. დანარჩენს სხვები მიხედავენ. მე და შენ კი, ერთმანეთს სხვა ადგილას შევხვდებით!..

ვიდრე რეზო გაიაზრებდა, თუ რას გულისხმობდა კანკავა, ოთახში კიდევ ორი მამაკაცი შემოვიდა. ერთ-ერთი მათგანი მერაბ მესხი იყო, მეორე კი — მისი მარჯვენა ხელი კახა რევიშვილი.

— არ ელოდი ჩემს ნახვას?! — მესხი ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას და თვალებში ჩააცქერდა რეზოს.

რეზოს, რომელიც მართლაც, არაფრით ელოდა მასთან აქ შეხვედრას, არაფერი უპასუხია.

— არ ელოდი. გეგონა, რომ შენს ძმიკოზე გადაივლიდა ყველაფერი, მაგრამ... თურმე, ყველაფერი ისე არ ხდება ცხოვრებაში, როგორც შენ გეგმავ... — ამ სიტყვებთან ერთად, მესხმა მაგიდიდან ერთი აბი აიღო, თითებით მოსრისა, დაყნოსა და შემდეგ დაამატა: — მე უფრო ჭკვიანი მეგონე, ბიჭო!.. ასეთი შეცდომა როგორ დაუშვი?!

— რა შეცდომა?! — გამოფხიზლდა რეზო.

— წამალი რამ მოგატანინა ციხეში?

— რომელი წამალი?

— აი, ეს, — მესხმა მშვიდად მიუთითა მაგიდაზე გაფანტულ აბებზე.

— მე არ ვიცი, რაშია საქმე და ეს აბებიც არასოდეს მინახავს!.. — უპასუხა რეზომ.

— მაგარი ოჯახი ხართ. შენი ძმაც იმავეს ამტკიცებს, — ჩაიცინა მერაბმა.

— არ მინახავს!.. — ხმას აუწია რეზომ.

— ბიჭო, ის მაინც თქვი, ანალგინი ან ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებაო!.. ეს ნაგავი ორი მოწმის თვალწინ ამოიღეს შენი ჩანთიდან და შენ მაინც ამტკიცებ, ამ საქმის არაფერი ვიციო?!

— არ ვიცი!

— მე კი ვიცი და შემიძლია, ერთი რამ გითხრა!..

— რა?

— ის, რომ ეს სუბუტექსია, ძმაო!.. თუმცა, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს: ჯერ ექსპერტის დასკვნას დაველოდები და როდესაც ფაიზაღი ფაქტი მექნება, იმას გავაკეთებ, რასაც დაგპირდი... — მერაბმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — მაგრად შეგიდებ!..

რომანი ტელეფონით ლაპარაკობდა, როდესაც კაბინეტის კარი ნიკამ შემოაღო.

რომანმა სწრაფი მზერა ესროლა თანაშემწეს, შემდეგ საუბარი შეწყვიტა და

ჰკითხა:

— რა მოხდა, ბიჭო? მერაბმა რამე საწყენი ხომ არ გითხრა?

— მერაბი არ მინახავს, — უპასუხა ნიკამ.

— როგორ?.. — გაუკვირდა რომანს. — წასვლის წინ არ მითხარი: მერაბს და სხირტლაძეს უნდა შევხვდეო?

— ჰო, ვაპირებდი, მაგრამ მათზე უფრო საინტერესო ადამიანს შევხვდი, — ნიკა სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— ვის შეხვდი? — დაინტერესდა რომანი.

— ჭელიძის ადვოკატს.

— ძალიან სწრაფად იცვლი გადაწყვეტილებებს, ნიკა. აქედან სხირტლაძესთან შესახვედრად წახვედი და...

— ჭელიძის ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ მივხვდი, რომ სხირტლაძესთან ლაპარაკს აზრი აღარ ექნებოდა!.. — არ დაასრულებინა ნიკამ.

— მერაბს შეხვედროდი!..

ნიკამ სწრაფი მზერა ესროლა ხელმძღვანელს და შემდეგ ჰკითხა:

— რა ხდება, რომან?..

— რას გულისხმობ?

— საერთოდ, რა კაცია მერაბი და რა ინტერესები ამოძრავებს ამ საქმის მიმართ?

რომანმა პასუხის მაგივრად, უხმოდ გაშალა ხელები.

— არაფერი გაქვს სათქმელი? — გაიკვირვა ნიკამ.

— უბრალოდ, ვერ ვხვდები, რა გაინტერესებს? — კითხვითვე უპასუხა რომანმა.

— ჭელიძის ადვოკატმა ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტი გამაცნო...

— ნიკა, როდის დაღვინდები?.. — ხელი ჩაიქნია რომანმა. — ერთი ადვოკატი მაინც დამისახელე, რომელიც არ ცდილობს გამომძიებლის შებმას. ეს ხომ სამუშაოა... ჩვენ ვცდილობთ ვიღაც ახვრის ჩასმას, ადვოკატი კი — „სროკისგან“ დახსნას. და ჩვენც და ადვოკატიც ამაში ხელფასს ვიღებთ!..

— მე არ ვიძიებ ჭელიძის საქმეს... — შენიშნა ნიკამ.

— მაგრამ შენ გამომძიებელი ხარ, თანაც — დავითის შვილი და ამასთან ერთად... არიფი, რომელიც ინტერესით უსმენს ადვოკატს!..

— რომან, შენ ძალიან მაგონებ მერაბს!.. — მზერა გაუსწორა ნიკამ. — მე ხომ ძალიან ცოტას გთხოვ: უბრალოდ, მომისმინე.

— არ მოგისმენ!

— რატომ?

— გუშინ გაგაფრთხილე, რომ ეს შენი ბოლო ხუშტური იყო. როგორც ხედავ, მე თავდაუზოგავად ვმუშაობ. შენ კი, ჩემი დახმარების მაგივრად, დასდევ ისეთი ადამიანის ადვოკატს, რომელიც არაფრით უკავშირდება ჩვენს საქმეს...

— მომისმინე, მერაბ... გთხოვ... — გაიმეორა ნიკამ. — ეს მართლაც, სერიოზულია. ჭელიძის ადვოკატთან ერთად, მე მის ძმასაც ველაპარაკე!..

— წარმომიდგენია, როგორი გულის ამაჩუყებელი საუბარი გქონდათ, — ჩაიცინა რომანმა. — წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ისინი მერაბს ავსულად მოიხსენიებდნენ!

— დამცინი?! — იწყინა ნიკამ.

— არა. შენ დამცინი და ამასთან ერთად, საკუთარ თავს ძალიან სულელურ მდგომარეობაში აყენებ! — სერიოზული გამომეტყველება მიიღო რომანმა.

— რატომ? — დაიბნა ნიკა.

— იმიტომ. საერთოდ, აზრზე არა ხარ, ვის შეხვდი, რაზე ელაპარაკე და ვის დაცვას ცდილობ! თუ ასეთი მოწადინებული ხარ ნაბიჭვრების დაცვაში, შეგიძლია, ადვოკატობას მოჰკიდო ხელი.

— მე საქმეზე ვლაპარაკობ!..

— საქმეზე!.. — გამოაჯავრა რომანმა. — რომელ საქმეზე, ნიკა?.. რა გგონია, პირველად მესმის ნანა ბაქრაძის სახელი

თუ ადრე არ შევხვედრივართ ერთმანეთს?! ადვოკატზე ვერაფერს გეტყვი. ჭელიძისნაირი ნაბიჭვრების დაცვა და მათზე მაყუთის კეთება, მისი ხელობაა. მაგრამ მის ძმაზე კი, მართლაც, მაქვს სათქმელი!..

ნიკამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო რომანს.

— მოგეწონა რეზო ჭელიძე?.. — განაგრძო ჯგუფის უფროსმა.

— აქ მოწონება-არმოწონებაზე ლაპარაკი არ არის, — უპასუხა ნიკამ.

— ესე იგი, მოგეწონა, სხვანაირად, მისი და ბაქრაძის ნაამბობს ყურადღებას არ მიაქცევდი, — რომანმა პაუზა გააკეთა და დაამატა: — ისე კი, შენი ნაქები ჭელიძე დღეს დილით აიყვანეს!..

— რაზე?! — დაიძახა ნიკა.

— თავის ძმას წამალს უგზავნიდა ციხეში. აზრზე ხარ, რა „ნაგლია“?! „სპეცში“ „პერედაჩით“ გზავნიდა სუბუტექსს!..

— ვინ აიყვანა? მესხმა?.. — სწრაფად ჰკითხა ნიკამ.

— ბიჭო, შენ მესხი ჯეიმს ბონდი ან საქართველოს ნომერ პირველი „ოპერი“ ხომ არ გგონია?! — გაიკვირვა რომანმა. — რა ესაქმება მერაბს ორთაჭალის ციხეში?! იუსტიციას თავისი სამსახური აქვს. ჭელიძე იმათ აიყვანეს და რადგანაც მაგ საქმეს მერაბის ხალხი იძიებს, შემთხვევის ადგილზეც გამოიძახეს!..

— და ეს საქმეები გააერთიანეს? — ივარაუდა ნიკამ.

— ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ეს მხოლოდ რამდენიმე საათის წინ მოხდა, — პირდაპირ პასუხს მოერიდა რომანი.

— უბრალოდ, შენი აზრი მაინტერესებს.

— ამ შემთხვევაში, ჩემი და შენი აზრი არაფერს წყვეტს. ჩვენ ჩვენს მკვდარს მივხედოთ. იუსტიცია და მესხი თვითონ გაერკვევიან ჭელიძეების საქმეში. დღეს...

— უნდა წავიდე! — არ დაასრულებინა ნიკამ.

— სად? — მოიღრუბლა რომანი. — უამრავი საქმე გვაქვს. გრძელიძის კონტაქტები უნდა დავადგინოთ, ფურცელაძის ახლობლებს უნდა შევხვდეთ, კუტივაძის...

— დღის მეორე ნახევარში... გთხოვ — 3 საათი მაჩუქე და პირობას გაძლევ, რომ მთელი ღამე ვიმუშავებ.

— არა! — ცივად მოუჭრა რომანმა. მაგრამ ნიკას მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია: ვიდრე ის სიტყვას დაასრულებდა, კარი გაიხურა და სირბილ-სირბილით გაუყვა დერეფანს.

ნანამ, რომელიც ნიკამ ოფისში მოინახულა, მოკლედ აუხსნა მას რეზოს აყვანის მიზეზი. მისი თქმით, ყველაფერი გიოს გამოგზავნილ ბარათს მოჰყვა, რომლითაც ის „სპეცში“ წამლის შეგზავნას ითხოვდა. ბუნებრივია, რომ უმცროსმა ჭელიძემ ძმისთვის „ქსივის“ გადაცემა ნაცნობ ზედამხედველს სთხოვა, რომელმაც ერთხელ უკვე შეასრულა ასეთი დავალება. თავის მხრივ, ზედამხედველმა ბარათი საპატიმროს რეჟიმის ხელმძღვანელს უჩვენა, რაც მის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა. მართალია, ბარათში არაფერი იყო ნათქვამი სუბუტექსზე ან რომელიმე სხვა ნარკოტიკზე, მაგრამ წამლის ხსენებამ მაინც დააეჭვა კანკავა. ამიტომაც დაიგეგმა ოპერაცია. ზედამხედველს ბარათის, ადრესატისთვის გადაცემა უბრძანეს. ამასთან ერთად, რეზო ჭელიძეს მეთვალყურეობა დაუწესეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ზუსტად ორი დღის შემდეგ, როგორც ბარათშიც იყო მითითებული, ჭელიძე ამანათით ხელში მივიდა იზოლატორში. ოპერაციის შემდგომ ეტაპზე იუსტიციის სამინისტროს შესაბამისმა ქვედანაყოფმა ჭელიძე აიყვანა, მისი ამანათი გაჩხრიკა და კეტჩუპის ქილაში ექვსი აბი სუბუტექსი აღმოაჩინა.

— დანარჩენი დღესავით ნათელია, — მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო ნანამ, —

ჭელიძე დაუყონებლივ გადაიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში და მესხს გადააბარეს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოჰყვება ამას. 24 საათის შემდეგ, მას სასამართლოს წარუდგენენ და წინასწარ გამოძიებაში მისი დატოვების დადგენილებას მიიღებენ.

— თქვენ შეხვდით ჭელიძეს? — ჰკითხა ნიკამ.

— შევხვდი... ის გაოგნებულია. ამტკიცებს, რომ თვალით არ უნახავს არც ზედამხედველი და არც ბარათი და არც სუბუტექსი მიუტანია ციხეში... მე მჯერა მისი, მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოზე მეტყველებს. არსებობს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია ჭელიძისთვის ბარათის გადაცემა...

— ესე იგი, ასეთ ფაქტს მაინც ჰქონდა ადგილი, — ჩაურთო ნიკამ.

— ჰქონდა და ეს ჩემთვის ცნობილია. ამის შესახებ თავად ჭელიძემ მიამბო.

— მაპატიეთ, ქალბატონო ნანა... — გაუკვირდა ნიკას. — ახლახან თქვენ თქვით, რომ ჭელიძე კატეგორიულად უარყოფს ზედამხედველთან შეხვედრასა და ბარათის მიღებას...

— ასეთ ფაქტს რამდენიმე დღის წინ ჰქონდა ადგილი. იმავე ზედამხედველმა ჭელიძეს მართლაც გადასცა ბარათი. ამ ბარათით გიორგი ჭელიძე თავის ძმას, კანკავას მოსყიდვას სთხოვდა, რათა ის ძველ საკანში დაებრუნებინათ. ამის თაობაზე მე თავად რეზო ჭელიძემ მიამბო და უფრო მეტიც... ციხიდან გამოგზავნილი ბარათიც მიჩვენა. აქედან გამომდინარე, მე ვერ გამოვრიცხავ, რომ ჩანაწერი, რომელსაც იყენებს კანკავა, სწორედ იმ შეხვედრისას გაკეთდა.

— ჭელიძე ამ შეხვედრის ფაქტს აღიარებს?

— აღიარებს, — დაუდასტურა ნანამ.

— ესე იგი, თუ რეზო ჭელიძე არ ტყუის, მისი აყვანა წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული ოპერაცია იყო, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— მეც ასე ვფიქრობ.

— მაგრამ მაშინ, საიდან გაჩნდა ბარათი? თქვენ ფიქრობთ, რომ ის ყალბია?

— მთელი უბედურება ისაა, რომ ბარათი მართლაც, გიორგი ჭელიძის მიერაა დაწერილი. მე უკვე ველაპარაკე მას და მან დაადასტურა, რომ ასეთი შინაარსის ბარათი მართლაც დაწერა.

— ვერაფერს ვხვდები, — გაოცებული მზერა ესროლა ნიკამ. — გამოდის, რომ გიორგი ჭელიძე თავად მონაწილეობდა ამ პროვოკაციაში!.. საერთოდ, როგორი ბიჭია? ხომ არ დააშინეს?..

— არა. ის მოატყუეს.

— ვინ?

— როგორც მან ამიხსნა, ბარათის დაწერა თანამოსაკნემ სთხოვა. საერთოდ, ამ ამბავში გარკვეული სისტემურობა იკვეთება. მე კარგად ვიცნობ ციხეში არსებულ ვითარებას. პირველი უცნაურობა, მკაცრი რეჟიმის საკანში გიორგის მოხვედრა იყო. წესით, ის მეხუთე კორპუსის რომელიმე საკანში უნდა შეესახლებინათ, სადაც ციხეში პირველად მოხვედრილი პირები იმყოფებიან. ამის მაგივრად, რამდენჯერმე ნასამართლებ პირებთან შეასახლეს. როგორც გიორგიმ ამიხსნა, ეს სწორედ იმ პატიმრის უშუალო მონაწილეობით მოხდა, რომელმაც იმ ბარათის დაწერა სთხოვა. გარდა ამისა, გიორგის არ შეეძლო, ორიოდე დღეში ზედამხედველებთან კარგი ურთიერთობის დამყარება და ძმისთვის ბარათის გამოგზავნა. პირველ შემთხვევაში, ბარათის დაწერასა და ზედამხედველისთვის გადაცემაში სწორედ იგივე პატიმარი დაეხმარა. რაც შეეხება იმ საბედისწერო ბარათს, — გიოს თქმით, მისი დაწერა თანამოსაკნემ სთხოვა, ამის მიზეზად კი, დამწვარი ხელი დაუსახელა.

— ძმაო რეზო... შემდეგ კი — პროვოკაციული ტექსტი. ეს ხომ ძალიან მარტივია?!.

— მარტივია, მაგრამ ამის დადასტურებას ვერავინ შეძლებს. არსებობს ვიდეოჩანაწერი, ზედამხედველის ჩვენება, რომ რეზოს ორჯერ გადასცა ბარათი... ბარათის ექსპერტიზა არაფრის მომცემია: ნებისმიერი ექსპერტი დაასკვნის, რომ ის, გიორგი ჭელიძის დაწერილია. და ბოლოს — ამას ემატება რეზოს აყვანა და ამანათიდან ნარკოტიკის ამოღება. რა უნდა დავუპირისპირო ამას?.. ჭელიძეების უარი და ჩემი რწმენა?.. ეს ძალზე სუსტი არგუმენტია!..

— თანამოსაკნე?.. სად არის ჭელიძის თანამოსაკნე? რა ჰქვია იმ პიროვნებას?

— გიორგის თქმით, ეს იყო ვინმე ჯიბო იამანიძე, მაგრამ... — ნანამ უღონოდ ჩაიქნია ხელი.

— რა — მაგრამ? — ჩაეძია ნიკა.

— გიორგისთან საუბრის შემდეგ, მე კანკავას ამ პიროვნებასთან შეხვედრა მოვთხოვე და იცი, რა მიპასუხა?..

— რა?

— ოფიციალური მონაცემებით, გიორგი ჭელიძე საკანში მარტო იჯდა! ის დასჯილი იყო და სპეცგანყოფილებაში სწორედ სხვა პატიმრებისგან იზოლაციის მიზნით ჩასვეს... მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. მთელი უბედურება კი ისაა, რომ ჯიბო იამანიძე საერთოდ არ ირიცხება საპატიმროს სიაში! — უპასუხა ნანამ.

— თქვენ ამასაც საერთო გეგმის ნაწილად მიიჩნევთ?

— თავისთავად ცხადია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ასეთი გეგმა მხოლოდ ყველა ეტაპის იდეალურად დაგეგმვისა და განხორციელების შემთხვევაში თუ იქნებოდა ეფექტური. აქ ყველაფერი შავ ფონზე, შავი ძაფით შეიკერა. საკმარისი იქნებოდა, სხვა ფერის ძაფის გამოყენება და გეგმა მისი შემდგენლისთვის ხაფანგად გადაიქცეოდა. მაგრამ როგორც ვხედავთ, გეგმის ავტორს მართლაც, კარგად სცოდნია თავისი საქმე: გეგმამ „იმუშავა“ და თანაც ისე, რომ რაიმე ხელჩასაჭიდიც არ დამიტოვა.

ნიკა რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ მზერა გაუსწორა ნანას და ჰკითხა:

— არ გეწყინოთ, ქალბატონო ნანა, მაგრამ ყოველივე ეს ძალიან დაუჯერებლად ჟღერს. ვთქვათ, არსებობს ავსული კაცი, რომელმაც ასეთი გეგმა შეიმუშავა, მაგრამ ის ამას მარტო ვერ განახორციელებდა. ამაზე ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ ვფიქრობდი. თუ ეს ყველაფერი მართალია, გამოდის, რომ ამ გეგმას ერთად ახორციელებდა მრავალი ადამიანი: მესხი, მისი „ოპერები“ — გრძელიძე, ბრეგვაძე, რევიშვილი, გამომძიებელი სხირტლაძე, ადვოკატი შიოშვილი, ციხის რეჟიმის უფროსი კანკავა, ზედამხედველი, რომელიც ცრუჩვენებას იძლევა, ოპერატიული თანამშრომელი, რომელმაც ის ვიდეოჩანაწერი გააკეთა, უჩინარი კაცი იამანიძე და კიდევ მრავალი ადამიანი!.. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! ვთქვათ, მესხი მართლაც, ავსულია. მაგრამ რას უნდა გაშმაგებინა ამდენი ადამიანი ან რით უნდა დაეთანხმებინა მესხს ისინი ამ საქმეში მონაწილეობაზე?!

— ყველა ეს ადამიანი ერთი სისტემის ნაწილია, ნიკა, — პაუზის შემდეგ უპასუხა ნანამ.

— მეც იმ სისტემის ნაწილი ვარ!

— სისტემას უხილავი მხარეც აქვს. ნუ მიწყენ — შენ არ გაქვს შესაბამისი გამოცდილება. მე კი არაფერი მიკვირს.

— ადრეც გადაჭყრიხართ მსგავს შემთხვევებს?

— სიმართლე რომ გითხრა, ბევრი უდანაშაულოდ გასამართლებული მინახავს. ზოგი — წინასწარი განზრახვით, ზოგიც — ვიღაცის შეცდომის გამო აღმოჩნდა საპატიმროში. მაგრამ ასეთ საქმეს მართლაც, არასოდეს გადავყრივარ და სწორედ ეს მაშინებს, — ამოიოხრა ნანამ.

— გაშინებთ? — გაუკვირდა ნიკას.

— ჰო, მაშინებს, — დაუდასტურა ნანამ. — შენ წელან უამრავი ადამიანი ჩამოთვალე და გაოცებაც გამოთქვი, თუ როგორ შეძლო მერაბ მესხმა მათი თავის სასარგებლოდ გამოყენება. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მესხიც ისეთივე ჭანჭიკია ამ საქმეში, როგორიც ვახტანგ გორგაძე და ჯიბო იამანიძე არიან. მერწმუნე, ნიკა, მესხი ვერასოდეს შეძლებდა ამდენი ადამიანის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. მის უკან დიდი ძალაუფლების მქონე ადამიანები დგანან და მე შიშს მგვრის ასეთი ძალაუფლების მქონე და თანაც უხილავ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა.

— საქმეზე უარის თქმას აპირებთ?.. — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— სიმართლე რომ გითხრა, რეზოს აყვანამ მართლაც, გამიჩინა ასეთი სურვილი. მაგრამ მერე საკუთარი აზრის შემრცხვა. ღალატის ტოლფასად ჩავთვალე, საქმეზე უარის თქმა. თანაც, რეზოსთან საერთო ნაცნობები მაკავშირებენ. ამიტომაც, საქმეს ვერ მივატოვებ, თუმცა, წარმატების იმედიც აღარ მაქვს, — ნანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ ჰკითხა: — შენ რაღა გიზიდავს ამ საქმეში?

— არის ერთი გარემოება, რომელსაც ახსნა ვერ მოვუძებნე.

— რომელი გარემოება?

— ეს არ უკავშირდება საქმეს. გორგაძის სახელმა, რომლის მკვლელობაშიც ჭელიძეს ადანაშაულებენ, მხოლოდ ერთ, ნაკლებად მნიშვნელოვან ეპიზოდში გაიჟღერა. მაგრამ ჭელიძის დაკითხვის მოთხოვნამ რატომღაც, ძალიან გააღიზიანა მერაბ მესხი. იმ დღეს კი, კიდევ ერთი უცნაურობის მომსწრე გავხდი. თქვენ შორს იდექით და ვერ გაიგონებდით, მაგრამ მე არ გამომრჩენია მესხის მუქარა: ის რეზო ჭელიძეს დაემუქრა, რომ ამ დღეს სანანებლად გაუხდიდა. რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით და მე მართლა ვერ გამოვრიცხავ, რომ ჭელიძე მესხის მონაწილეობის გარეშე აღმოჩნდა საკანში.

— მერედა, რას აპირებ? — ჰკითხა ნანამ.

— ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია. უბრალოდ, ჩემს ხელმძღვანელთან ერთად, ძიებას გავაგრძელებ. ვნახოთ, იქნებ, ძიებამ თვითონ მიმიყვანოს მერაბთან... თქვენ რას აპირებთ?

— შენგან განსხვავებით, მე უკვე მიღებული მაქვს გადაწყვეტილება: საქმეს არ მივატოვებ, მაგრამ კარგი დამხმარის გარეშე მაინც ვერ გავბედავ მუშაობას. მე უკვე ვთხოვე დახმარება ერთ ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე ნიჭიერ და ენერგიულ ადვოკატს, — ნანამ საათს გახედა და დაამატა: — სხვათა შორის, ის რამდენიმე წუთში მოვა.

— მაშინ, მე ხელს აღარ შეგიშლით. იმედია, მაცნობებთ, თუ რაიმე ახალს შეიტყობთ.

— გაცნობებ...

— თქვენთან კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, — განაგრძო ნიკამ, — უახლოეს მომავალში, სხირტლაძისგან მაინც მივიღებ ჭელიძესთან შეხვედრის ნებართვას და მინდა, რომ თქვენც დაესწროთ მის დაკითხვას.

— დავესწრები... თანაც, ეს ხომ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა.

— მაშინ, კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ნანა, — ნიკა ღიმილით დაემშვიდობა ადვოკატს და ადგა. მაგრამ ვიდრე კაბინეტიდან გავიდოდა, კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა ქალმა შემოაბიჯა.

— ანა?! — ნიკამ გაოცებული მზერა ესროლა ქალს.

— ნიკა! — სიხარულით შესძახა ანამ და შინაურულად გადაეხვია.

— თქვენ რა, ერთმანეთს იცნობთ? — გაკვირვებული სახით იკითხა ნანამ.

— ვიცნობთ... — სწრაფად დაუდასტურა ანამ. — ჩვენ ხომ 10 წელი გავატარეთ ერთ სკოლაში, ერთ კლასში და ერთ მერხთან...

— რას აკეთებ აქ? — ისევ ანას მიუბრუნდა ნიკა.

— ნანამ ერთ საქმეში დახმარება მთხოვა და...

— ესე იგი... — ნანას გახედა ნიკამ.

— მართალი ხარ, — თავი დაუქნია მან, — სწორედ ეს არის ის ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე ნიჭიერი და ენერგიული ადვოკატი — ანა მდივანი, ვისი დახმარების იმედიც მაქვს...

— რამდენიმე წუთით თუ დამითმობთ თქვენს თანაშემწეს... — მცირე პაუზის შემდეგ სთხოვა ნიკამ და როგორც კი მისი თანხმობა მიიღო, ანას მკლავში მოჰკიდა ხელი, დერეფანში გაიყვანა და სწრაფად ალაპარაკდა:

— მე დამნაშავე ვარ, ანა... ამდენი ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც უნდა მენახე და ბოდიში მომეხადა... იმ ბოდიშის გარდაც, ბევრი სათქმელი დამიგროვდა, მაგრამ ახლა ესეც არ არის საქმე... აქ ვერაფერს გეტყვი... მხოლოდ ერთს გთხოვ: მომეცი ყველაფრის თქმის საშუალება...

— რისი შეცვლა გინდა, ნიკა?

— არ ვიცი... მაგრამ მაინც უნდა გითხრა...

— არ გეწყინოს... მგონი... — პაუზის შემდეგ დაიწყო ანამ, მაგრამ ვიდრე დაასრულებდა, კაბინეტიდან ნანა გამოვარდა და შეშფოთებული ხმით წამოიძახა:

— ანა! სასწრაფოდ უნდა წავიდეთ იზოლატორში: ჩემთან შეხვედრის შემდეგ, გიორგი ჭელიძე საკანში დაბრუნდა და ვენები გადაიჭრა!!!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვილობიდან მმარხველი ღვთაებრივი ყრმა, გაქვავებული გოგონა და უკვალოდ გამქრალი ჭრილობები

მართლმადიდებელ ეკლესიაში მრავალ წმინდა მამას უმოღვაწია, მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთა სახელებიც განსაკუთრებით გაბრწყინდა. ერთ-ერთი მათგანია მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი, წმინდა ნიკოლოზი, საკვირველმოქმედი, რომელსაც წმინდა ეკლესია წელიწადში ორჯერ — 19 დეკემბერს და 22 მაისს იხსენიებს.

წმინდა ნიკოლოზი დაიბადა IV საუკუნის დასაწყისში, მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, ლუკიის მხარის ქალაქ პათარში. მის სახელს უამრავი სასწაული უკავშირდება, ამიტომაც იწოდება საკვირველმოქმედ მამად; ამჯერად სწორედ წმინდა ნიკოლოზის სასწაულების შესახებ მოგითხრობთ...

შორენა მერკვილაძე

წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება თავიდანვე სასწაულებით დაიწყო: იშვა თუ არა ღვთაებრივი ყრმა, სნეულებისგან განიკურნა დედამისი ნონა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე მძიმე სენი ტანჯავდა. თვითონ ჩვილი ნიკოლოზი დაბადებიდანვე მარხულობდა — ოთხშაბათობით და პარასკეობით დედის რძეს პირს არ აკარებდა; როდესაც ნათლავდნენ, 3 საათის განმავლობაში, ფეხზე იდგა ნათლისღების ემბაზში, ისე, რომ ხელიც არავის შეუშველებია...

ერთხელ წმინდა ნიკოლოზი პალესტინაში გაემგზავრა, სიწმინდეების მოსალოცად და თაყვანსაცემად. გემზე წმინდა მამამ თვალნათლივ იხილა, რომ ხომალდზე ბოროტი სული ასულიყო და გემის დაღუპვას ლამობდა. მალე ცა მოიქუფრა და საშინელი გრიგალი ამოვარდა, ზღვაც აღელდა. მოულოდნელად ანძიდან ერთი მეზღვაური ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა. ნიკოლოზმა ლოცვა აღავლინა, როდესაც ღირსი მამა ლოცულობდა, სტიქია დაცხრა და სიმშვიდემ დაისადგურა. შემდეგ მძიმედ დაშავებული მეზღვაურისთვის იწყო ლოცვა. წმინდანის ლოცვამ კიდევ ერთი სასწაული მოახდინა — მეზღვაური სრულიად საღ-სალამათი წამოდგა ფეხზე.

მოხდა ისე, რომ მირონ-ლუკია შიმშილობამ მოიცვა. შიმშილით დაოსებული ადამიანები იხოცებოდნენ. ამ პერიოდში ერთ იტალიელი ვაჭარი ხომალდით დატვირთული გემით მიემგზავრებოდა. მას სიზმრისეული ჩვენებით, წმინდა ნიკოლოზი გამოეცხადა, ხელში ოქროს მონეტები ჩაუდო და სთხოვა — თავისი ხორბლით დატვირთული გემი მირონ-ლუკიის ნავსადგურში შეეყვანა და იქაური მცხოვრებლებისთვის გადაეცა. გამოღვიძებულ ვაჭარს ხელში მართლაც, ეჭირა ოქროს მონეტები და მანაც სიხარულით შეასრულა წმინდანის თხოვნა. ასე იხსნა წმინდა მღვდელმთავარმა მირონ-ლუკიის მკვიდრნი შიმშილისგან.

წმინდა ნიკოლოზის სახელი განსაკუთრებით განადიდა შემდეგმა სასწაულმა: ერთხელ, ქალაქის მმართველმა, სამი უდანაშაულო კაცის სიკვდილით დასჯა განიზრახა. როდესაც ჯალათებმა სასჯელის აღსასრულებლად მახვილი აღმართეს, მათთან სულიწმიდის მადლით გაძლიერებული ნიკოლოზი მიიჭრა, ხელიდან მახვილები გამოსტაცა და მიწას დაანარცხა, გამგებელი კი უკეთურებაში ამხილა. გამგებელმა შეინანა თავისი შეცოდება და შენდობა სთხოვა წმინდანს. ამ ამბავს იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ფრიგიაში წარმოგზავნილი მხედართმთავრები შეესწრნენ.

მალე ეს მხედართმთავრები ცრუბრალდებით დაასმინეს იმპერატორთან, რომელმაც სიკვდილი მიუსაჯა. სასჯელის აღსრულებამდე სამივე საპყრობილეში ჩააგდეს. ისინი გულმხურვალედ ლოცულობდნენ და მთავარეპისკოპოს ნიკოლოზს შესთხოვდნენ თანადგომას. წმინდა ნიკოლოზი იმპერატორ კონსტანტინე დიდს გამოეცხადა და უბრძანა, გაეთავისუფლებინა უსამართლოდ სიკვდილმისჯილნი. კონსტანტინე მყისვე დაჰყვა მღვდელმთავრის ნებას, მხედართმთავრები საპყრობილიდან გამოუშვა და სასიკვდილო განაჩენი მოუხსნა.

კიდევ ერთი სასწაული, რომელიც წმინდა ნიკოლოზის სახელს უკავშირდება, 1956 წელს მოხდა ქალაქ კუიბიშევში. მისმა მკვიდრმა ზოიამ გადაწყვიტა, ახალ წელს მეგობრებთან ერთად შეხვედროდა. მას მორწმუნე დედა ჰყავდა, რომელმაც ურჩია — რადგან შობის მარხვაა, ზედმეტი გართობისგან თავი შეიკავეო. ქალიშვილმა არ დაუჯერა. მოსაღამოვდა თუ არა, დედა ეკლესიაში წავიდა. ზოიასთან კი, მეგობრები შეიკრიბნენ. არ გამოჩნდა მხოლოდ მისი საქმრო, ნიკოლოზი. ახალგაზრდები დაწყვილდნენ და ცეკვა დაიწყეს. კენტად დარჩენილმა ზოიამ ოთახში დაბრძანებული, წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ხატი აიღო და განაცხადა: რაკი ჩემი ნიკოლოზი არ მოვიდა, წმინდა ნიკოლოზთან ერთად ვიცეკვებო. მეგობრებმა ურჩიეს, ხელი აეღო მკრეხელურ მოსაზრებაზე: თუ ღმერთი არსებობს, დაე, დამსაჯოსო! — უპასუხა მათ საქმროზე განაწყენებულმა ზოიამ და ხატით ხელში ცეკვა დაიწყო. მოულოდნელად საშინელი ხმაური ატყდა და ოთახი თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა. მალე ყველამ იხილა უძრავად მყოფი ზოია, რომელსაც წმინდა ნიკოლოზის ხატი ჰქონდა გულზე მიკრული. იგი გაქვავებული და ცივი იყო.

გოგონას სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. დამტკიცდა, რომ გული ჩვეულებრივად უცემდა. ექიმებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, მაგრამ ვერასგზით მოახერხეს მისი გონზე მოყვანა.

სახლს, სადაც გაქვავებული გოგონა იდგა, მცველები იცავდნენ. მათ ღამღამობით გარკვევით ესმოდა ხმა: „ილოცე დედა, ილოცე“. ზოიას დედა მართლაც, გულმხურვალედ ლოცულობდა ცოდვილი ქალიშვილისათვის, უფლისა და წმინდა ნიკოლოზის წინაშე შესთხოვდა, შემწედ გახდომოდნენ მას. პატრიარქსაც სთხოვეს, ელოცა ზოიას შესაწყალებლად: ვინც დასაჯა, თავად შეიწყალებსო, — ბრძანა პატრიარქმა.

შობის დღესასწაულზე მღვდელმონაზონმა სერაფიმემ (გლინის უდაბნოში მოღვაწე მამამ), წყალკურთხევის პარაკლისი აღასრულა და ოთახი აკურთხა. შემდეგ, გოგონას წმინდა ნიკოლოზის ხატი გამოართვა და განაცხადა: „ახლა უნდა დაველოდოთ ნიშანს, რომელსაც უფალი აღდგომა დღეს მოგვცემს“.

მართლაც, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, გოგონა გამოცოცხლდა. კუნთებიც დაურბილდა. მანამდე კი, როგორც სახლის მცველმა დარაჯებმა თქვეს, ზოიასთან შესვლა რამდენჯერმე ითხოვა სათნო სახის მოხუცმა. კეთილსახიერი მოხუცი პირველად, ხარების დღესასწაულის წინ მივიდა მცველებთან და სახლში შესვლის ნება სთხოვა. მცველებმა უარით გაისტუმრეს. მეორე დღესაც მივიდა, მაგრამ სხვა მცველებისგანაც უარი მიიღო. მესამედ, ხარების დღესასწაულის დღეს მივიდა. ამჯერად აღარ დაუკავებიათ და სახლში შესვლის ნება დართეს. მოხუცს გამოსვლა შეაგვიანდა. მცველები მის გამოსაყვანად ოთახში შევიდნენ, მაგრამ მისი კვალიც კი ვერსად იპოვეს. მოხუცი თავად წმინდა ნიკოლოზი იყო...

უკრაინაში წმინდა ნიკოლოზმა ასეთი სასწაული ჰქმნა: ნიკოლოზობის დღესასწაულზე ერთ-ერთი ოჯახი სადღესასწაულო წირვაზე დასასწრებად ტაძარში წავიდა. გზად მდინარე უნდა გადაეცურათ. ცოლ-ქმარი ნავში ჩაჯდა, მათ თან ჩვილი ჰყავდათ. მოულოდნელად ბავშვი ამოძრავდა და მდინარეში ჩავარდა. მთელი ღამე ამაოდ ეძებდნენ ცხედარს. დამწუხრებულმა მშობლებმა ტაძარს მიაშურეს, რათა ლოცვით შესწეოდნენ ჩვილის სულს.

ტაძარში მისულებს იქ მხოლოდ დარაჯი დახვდათ. ტაძრის კარი დაკეტილი იყო. ცოლ-ქმარმა დარაჯს კარის გაღება სთხოვა. ტაძარში შესულებს, ჩვილის ტირილის ხმა მოესმათ. ხმა იმ ადგილიდან მოდიოდა, სადაც წმინდა ნიკოლოზის ხატი იყო დაბრძანებული, ხატის წინ კი, მათი შვილი იწვა.

წმინდა ნიკოლოზის სახელს კიდევ უამრავი სასწაული უკავშირდება. წმინდანის ძალითა და მადლით, საქართველოშიც მრავალი სასწაული მომხდარა. ცხადია, ყველა მათგანს ვერ მოგითხრობთ. მხოლოდ ერთ-ერთი სასწაულის შესახებ გიამბობთ, რომელიც ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის გარდაცვლილი წინამძღვრის, დეკანოზ გრიგოლის სახელზე გამოცემულ წიგნშია მოთხრობილი: ნიკოლოზობის დღესასწაულზე, ტაძრის მახლობლად მცხოვრები ბავშვები ავტოფარეხის სახურავზე თამაშობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ჩამოვარდა და გონება დაკარგა. მისი მოსულიერება ვერაფრით მოახერხეს. ბავშვი სახლში შეიყვანეს და დააწვინეს. ის მოულოდნელად წამოდგა, წმინდა ხატებთან მივიდა და მადლობა შესწირა უფალს. მაგრამ შემდეგ კვლავ დაკარგა გონება. მოგვიანებით, კვლავ მოსულიერდა. ბავშვს სახე დაზიანებული ჰქონდა და ღრმა ჭრილობებიც რამდენიმე ადგილას აჩნდა. შეუძლოდ მყოფი ბავშვი მშობლებმა წმინდა ნიკოლოზის ტაძარში წაიყვანეს სადღესასწაულო წირვაზე დასასწრებად. ღვთისმსახურების მიმდინარეობისას, ბავშვის დედას სიხარულის შეძახილი აღმოხდა: ბიჭუნას ჭრილობები უკვალოდ გაჰქრობოდა... ■

„როცა დადიხარ, მიწას უყურე, თავს ზემოთ ნუ ასწევო! ასეც დავდიოდი...“ — იხსენებს ქალბატონი ია ხოზუა და უნებლიეთ გახსენდება მისი ეკრანული სახე — თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“ ნათამაშები, გედიას დედის როლი... ბევრი იტყვის — მსახიობის პროფესიას მოკრძალება არ უხდება, კარიერის გაკეთებაში შეუშლის ხელსო, — და მართალიც იქნება. მაგრამ სად წაუხვალ ბუნებას, ბედს, აღზრდას?.. და თუ მოკრძალება, დღეს ესოდენ დეფიციტური შინაგანი ინტელიგენტურობა მართლაც, ბედისწერად გექცა, მაშინ, იმითლა უნდა დაიმედო თავი — კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. ია ხობუას მიერ სცენასა თუ ეკრანზე ნათქვამსაც ჰყოლია ღირსეული გამგონენ...

მას განსაკუთრებით სამი ქალაქი უყვარს: ბათუმი, სადაც დაიბადა, სოხუმი, სადაც გაიზარდა და უამრავი ქართველი და აფხაზი მეგობარი ჰყავდა და, რაღა თქმა უნდა, თბილისი...

სუფლიორის ნიჭარაში დანახული ურჩი შვილი და იატაკის ხეხვით დაწყებული სასცენო კარიერა

ნინო ჩხეიძე

— მამა სოხუმის თეატრის, ქართული დასის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. მეც თეატრის კულისებში გავიზარდე. თეატრი ისეთი რამაა, ერთხელ თუ შეიყვარე, ვერასდროს უღალატებ! თეატრი ბავშვობიდან მიყვარდა და სხვა პროფესიაზე არც მიოცნებია. მაგრამ მამამ კატეგორიულად ამიკრძალა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება, მითხრა — დამიმტკიცე, რომ განათლებული გოგო ხარ, ჯერ სხვა უმაღლესში ჩააბარე და შემდეგ, მსახიობობის უფლებასაც მოგცემო.

აფხაზეთისა და საქართველოს სახალხო არტისტი აკაკი ბოკუჩავა საოცრად ლამაზი კაცი იყო, მას მუდამ შეყვარებული კაცის როლებს სთავაზობდნენ. დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, ბატონი აკაკის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ: შალვა დადიანი, დიმიტრი გულია და სხვები. ქალბატონი ია მამას ყოველთვის განსაკუთრებული მოკრძალებით იხსენიებს.

— მამის სიტყვა ჩემთვის კანონი იყო. მე და ჩემი მეგობარი იზოლდა ზვამბაია მოსკოვში გავემგზავრეთ. ჩავედით. ქალაქს არ ვიცნობდით, სანამ გავერკვიეთ, ყველა სასწავლებელში მისაღები გამოცდები უკვე დასრულებული იყო და შემთხვევით აღმოვჩნდით საბიბლიოთეკო ინსტიტუტში. უპრობლემოდ ჩაგვრიცხეს. სწავლა მხოლოდ იანვრამდე შევძელით, ზამთრის პირობებისთვის მზად არ ვიყავით. გავყიდეთ ზაფხულის კაბები და სოხუმში დავბრუნდით.

— როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება?

— რა თქმა უნდა, თეატრში მივედი და დავიწყე სუფლიორ-მთარგმნელად მუშაობა. მამას ვუმალავდი, მაგრამ როდემდე უნდა დამემალა?!. ერთხელ სწორედ შილერის „ვერაგობა და სიყვარულს“ ვთარგმნიდი, სადაც მამა თამაშობდა და უეცრად თვალი მომკრა, მაგრამ როლში ისე იყო შეჭრილი, მექანიკურად წამოიძახა: „აქ რას აკეთებს?“ მეც, შეშინებულმა, მისი სიტყვები პირდაპირ ვთარგმნე ანუ როგორც მთავარი გმირის რეპლიკა: что она здесь делает?..

— თუ გახსოვთ თეატრალური ინსტიტუტის მისაღები გამოცდები — ლექსი, მოთხრობა, ეტიუდი? ემზადებოდით?

— ეს ჩემთვის ისედაც სისხლხორცეული იყო, მაგრამ თავისთავად ცხადია, მომზადება საჭირო იყო. უნდა შემერჩია ნაწარმოებები. ჩამოვედი თბილისში. კონსულტაციებისთვის ბუხუტი ზაქარიაძესთან დავდიოდით აბიტურიენტები — ის ხომ უკვე ცნობილი მსახიობი იყო!.. ჩემთვის პრობლემას კიდევ ის წარმოადგენდა, რომ რუსული სკოლა მქონდა დამთავრებული და შესაბამისად, რუსული აქცენტით ვლაპარაკობდი... ბუხუტმა შემირჩია ილიას „მწყემსი ქალი ვარ“; ავარჩიე იგავ-არაკი

რეზო ხობუა ფილმში „მაცი ხვიგია“

სოსო ჯაჭვლიანთან ერთად ფილმში „ნატვრის ხე“

და შევალე თეატრალური ინსტიტუტის კარი. ინსტიტუტის რექტორი მაშინ ილია თავაძე გახლდათ, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ლილი იოსელიანი, ეთერ გუგუშვილი, მალიკო მრევლიშვილი... კიდევ ვინ ჩამოვთვალო? ერთი სიტყვით, კორიფეები!.. უკვე თვალში მოსახვედრი აბიტურიენტები იყვნენ ბელა მირიანაშვილი, გურანდა გაბუნია... მე ერთი პროვინციელი გოგონა გახლდით, რომელმაც არ იცოდა, რა პერსპექტივა ჰქონდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, რომ მოკვდებოდა და მაინც ჩააბარებდა თეატრალურ ინსტიტუტში... პირველი ეტიუდი შოთა გაბელაიასთან მქონდა. მისაღებ გამოცდას სამსახიობო ფაკულტეტის კათედრა სრული შემადგენლობით ესწრებოდა. ეტიუდის მიხედვით, იატაკი უნდა მომეწმინდა, გაბელაია კი თავზე მადგა და მაკვირდებოდა. მიღებული დავალების თანახმად, მას უნდა გავპარვოდი... იატაკის წმენდის დროს, მესმის დოდო ალექსიძის სიტყვები — **она в жизни полы не мыла!** ძალიან გავბრაზდი. დავიკაპიწე ხელები, გავიხადე ფეხსაცმელი და ისეთი მონდომებით დავიწყე იატაკის ხეხვა, რომ ბევრ დიასახლისს შეშურდებოდა... მერე უკვე დავიწყე გაპრანჭვა, ლექსიც და იგავიც პრანჭვით წავიკითხე. ჰოდა, ჩავირიცხე!..

— **მაშინაც ლამაზი იყავით და ახლაც ლამაზი ბრძანდებით. საინტერესოა, როგორი იყო პრანჭია ია ბოკუჩავა?..**

— არა, არა, არ ვიყავი პრანჭია. ნუ მეუბნები, რომ ლამაზი ვარ....

— **ახლა ვრწმუნდები, თქვენ არ იცით საკუთარი თავის ფასი..**

— (*ეცინება*). იცით, მამაჩემი როგორ მზრდიდა?.. როცა დადიხარ, მიწას უყურე, თავს ზემოთ ნუ ასწევო! ასეც დავდიოდი... ძალზე ტკბილად მაგონდება სტუდქალაქი. ჩემ გარდა, თეატრალურიდან იქ არავინ ცხოვრობდა. მინდა, ერთი ამბავი გავიხსენო, რომელიც პირველსავე საზაფხულო არდადეგებზე ჩემს შინ დაბრუნებას უკავშირდება. გზის ფული არ მქონდა. მივედი ინსტიტუტში და კათედრაზე ასისტენტებს ვეხმარებოდი. ეთერ გუგუშვილმა დამინახა და მკითხა: **ты почему не уехала, денег нет?** ამოიღო ფული და მომცა... სიხარულით გავემგზავრე ჩემს საყვარელ სოხუმში. დავბრუნდი და, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი ეთერისთვის ფულის დაბრუნება ვცადე, მაგრამ არ გამომართვა და მითხრა: **когда станешь большой актрисой, тогда и вернешь.**

ქალბატონი იას საეკრანო დებიუტი მთავარ როლში, ტაშკენტში, ფილმში „საიათის ზარები“ შედგა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რუსთაველის თეატრში გაანაწილეს. თითქმის მზად ჰქონდა როლი „ესპანელ მღვდელში“. როცა სცენაზე გავიდა, დარბაზის სიდიდეს ვერ შეეგუა, კამერული სიტუაცია უფრო ახლოს იყო მის ბუნებასთან... ჰქონდა მიწვევები ქუთაისის, სოხუმის თეატრებიდან. გული მაინც მარჯანიშვილისკენ მიუწევდა. ეს ოცნებაც ახდა: თეატრმა — მსახიობი, მსახიობმა კი — თეატრი იპოვა. აკაკი დვალიშვილმა ერთხელ შესთავაზა — ია, „მარჯანიშვილში“ ხომ არ წამოხვიდოდიო?.. რა თქმა უნდა — „წავიდოდა“. წავოდოდა კი არა — გაფრინდა!..

— Куда ты, Ия — გაუკვირდა დოდო ალექსიძეს. მე კი ძალინ მინდოდა ქალბატონი სესილია თაყაიშვილის გვერდით ყოფნა...

ორ ქალბატონს განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს — ვერიკოს და სესილიას. პირველი როლიც სესილია თაყაიშვილმა აათვისებინა...

— **ქალბატონო ია, თქვენ მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდით სპექტაკლში — „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ და თენგიზ აბულაძის ფილმში „ნატვრის ხე“. სპექტაკლის რეჟისორმა, იური კაკულიამ ყველა როლზე საოცარად ზუსტად შეარჩია მსახიობი. საინტერესოა, რომ თქვენ მიერ განსახირებული პერსონაჟისთვის უპირველესი, ოჯახია და მერე, სხვა ყველაფერი...**

პასუხის მიღებამდე უკვე ვიცოდი, რასაც მეტყოდა: ის ხომ მეუღლეს აღმერთებდა, მის გვერდით თავს მუდმივად დაცულად გრძნობდა — არა მარტო იმიტომ, რომ მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 8 წელი იყო, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ რეზო ხობუა თხემით ტერფამდე, ჭეშმარიტი ვაჟკაცი გახლდათ.

მათი პირველი შეხვედრა მარჯანიშვილის თეატრში, გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ შედგა. ამ სპექტაკლში ია ბოკუჩავა მერის, ხოლო რეზო ხობუა — სოფლის მასწავლებელს ასახიერებდა. რეპეტიციების განრიგი იმგვარად იყო შედგენილი, რომ მათი შეხვედრა სპექტაკლზე მუშაობის ბოლოს — მხოლოდ გენერალურ რეპეტიციაზე მოხდა. იმ დღეს კი, ბატონ რეზოს დანახვისთანავე შეჰყვარებია ახალგაზრდა მსახიობი გოგონა. მათი სიყვარული ხანმოკლე, მაგრამ დაუსრულებელი აღმოჩნდა... ძალიან ვცდილობ, მხოლოდ საკუთარ თავზე ისაუბროს. არ გამოდის: თავისი ცხოვრების ყველა მომენტს მეუღლეს უკავშირებს, რომლის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახში რვა მოხუცსა და ორ მცირეწლოვან შვილს უვლიდა...

— რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ სცენა სიგიჟემდე მიყვარს (არ გამამხილო, დღესაც მესიზმრება), პირველ ყოვლისა, ოჯახზე ვზრუნავდი.

— **იმ ერთი შემთხვევის გარდა, თუ გადაკვეთილა თქვენ შემოქმედებითი გზები? ბატონი რეზო თქვენ სასცენო პარტნიორი თუ ყოფილა? და თუ გაგიჭირდებოდათ მის გვერდით თამაში?**

— არა. არც სცენაზე და არც ფილმში პარტნიორები აღარ ვყოფილვართ. არ გამიჭირდებოდა. მაგრამ ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობის გამო, მას ან უფროსი ძმა, ან მამა უნდა განესახიერებინა: მე ძალზე ახალგაზრდულად გამოვიყურებოდი... ისე, როცა რეზო თამაშობდა, მე კულისებიდან ვადევნებდი თვალყურს. იმავეს აკეთებდა რეზო ჩემ მიმართ.

მოულოდნელობებით იყო სავსე მისი შემოქმედებითი ცხოვრება. თამამად შეუძლია ილაპარაკოს წარუმატებელ როლებზეც. მაგალითად, „ჰამლეტში“ ოფელიას სახე უკვე მომზადებული ჰქონდა, მაგრამ უეცრად, დედოფლის როლი მისცეს. ძალიან გაუკვირდა და ვერ გაითავისა: „არ შემეძლო, ოთარისთვის (მეღვინეთუხუცესი, რომელიც ჰამლეტს ასახიერებდა. — ავტ.) *მიმემართა სიტყვებით — „შვილო ჩემო“... მაინც ბევრი როლი ითამაშა. ბევრზეც უარი უთქვამს. გადაღებებზე შორს — ექსპედიციაში ვერ მიდიოდა: სახლში ხომ მოხუცები და შვილები ელოდებოდნენ, ყველაფერი მის მხრებზე გადადიოდა. არასოდეს დაუწუწუნია. იუმორი, მეგობრების ყურადღება და ოპტიმიზმი, — ეს მისი ცხოვრების თანმდევია.*

გიორგი ხობუა ფილმში „ძნელი დასაწყისი“

— ქალბატონო ია, ამას წინათ, ერთ ადამიანთან გახსენეთ და მან თქვენი შვილი — ხათუნა გაიხსენა, ფილმში „მონანიება“. ძალიან გამიკვირდა: წესითა და რიგით, თითქოს არ უნდა გახსენებოდა — ამას ხომ როლსაც ვერ დავარქმევთ, სახლის აივანზე პიონერი გოგონა ლექსს კითხულობს, მისი ხმაც კი არ ისმის... ხათუნა მინახავს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლში — „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“. საოცრად ნიჭიერი მსახიობი იყო და სახასიათო პერსონაჟების განსახიერების მიღმა, შეინიშნებოდა მისი გაცილებით ფართო შესაძლებლობები, სამსახიობო მონაცემები. შესაძლოა, მასში ტრაგიკოსიც კი იყო... თუ განიცადეთ თეატრიდან მისი ასე მოულოდნელად წასვლა?

— ძალიან, რა თქმა უნდა. ის ძალზე ნიჭიერია. ვერ შეძლო საკუთარი მონაცემების სცენური რეალიზება და ყველაფერი ყოფაში გადმოიტანა: ჩემზე გაცილებით დიდი ოპტიმისტი და იუმორით გამორჩეული ადამიანია... ოჯახის წინაშე პასუხიმგებლობაც ვგონებ, ჩემზე მეტად აქვს განვითარებული. ამიტომაც არ შედგა მისი სამსახიობო კარიერა. მე და გიორგიმ კი, „ნატვრის ხეში“ ერთად ვითამაშეთ: ის, პატარა გოგლას განასახიერებს, მე — გედიას დედას... ძალიან მიყვარს მის მიერ განსახიერებული ზაზა ნაკაშიძე ფილმში „თეთრი ბაირაღები“.

ქალბატონი ია წარსულ დროში თითქმის არ საუბრობს, ყველაფერი მისთვის დღეს ხდება — ისიც კი, რაც მრავალი წლის წინ მოხდა, მაგრამ უბრალო მოგონებად მაინც არ ქცეულა. ასეთ მოვლენებს შორის, რუსთავის თეატრის შექმნა და იქ გატარებული წლები და როლებია...

მათი ოჯახი — თეატრალური დინასტიაა, შვილების ნათლიებიც კი თეატრალები არიან... მაინც ადრე ჩამოშორდა სცენას. ოჯახს, შვილებს, მოხუცებსა და შვილიშვილებს ვერ უღალატა... არა, გული ნამდვილად არ სწყდება. ისე, ხანდახან ესიზმრება სცენა და გადასაღები მოედანი. დღევანდელ მოწოლილ დარდს დიდი იუმორით უმკლავდება, არც ავადმყოფობას ეპუება და სამზარეულოშიც რძალთან შეხმატკბილებულად, ჩვეულებრივად ფუსფუსებს.

...ცოცხლობს და კვლავ უყვარს „ის ერთადერთი“ რეზო ხობუა და თეატრი — მთლიან ცნებად გაერთიანებული!..

ერთხელ, დიდმა სესილიამ დიდხანს უსიტყვოდ უყურა ია ხობუას და ცრემლმორეულმა უთხრა — შენ, შენი ცხოვრებით რეზო ხობუას ცოცხალი ძეგლი დაუდგიო...

P.S.*ქალბატონ იას ოთხი შვილიშვილი ჰყავს. უმცროსი — რეზო ხობუა ფარულად მიმხელს, რომ მსახიობობაზე ოცნებობს, მაგრამ პროფესიას „შორიდან უვლის“ და მეგობრებთან ერთად, ჯერ მხოლოდ სამოყვარულო კლიპებს იღებს...*

„თინეიჯერობის ასაკში, რა თქმა უნდა, ბიჭებზე ვფიქრობდი, მაგრამ მათზე ჩაციკლული არასდროს ვყოფილვარ“, — მითხრა ჯგუფ „ენსის“ ყოფილმა წევრმა, პროფესიით დიპლომატმა ნათია ნებიერიძემ, რომელიც თავს ერთნაირად კარგად გრძნობს სცენაზეც და პოდიუმზეც. რამდენიმე დღის წინ, ის გერმანიის ქალაქ მანჰაიმიდან დაბრუნდა, სადაც კონკურსში — „მის დედოფალი“ მონაწილეობდა და საქართველოში „მის ელეგანტის“ ტიტულით დაბრუნდა.

ვინ ბაღდაჭჩინა ესოფლიოს „მის ელეგანტი“, ჩოქელიც ფუმფულა სათამაშოებით ეჩთოვა...

ლიკა ქაჩაია

— თინეიჯერობის ასაკი ძალიან კარგად მახსენდება. ეს ის პერიოდია, როცა ცხოვრება ხალისიანია, არაფერი გადარდებს და თავშიც გიქრის.

— შენ როგორი თინეიჯერი იყავი?

— ალბათ, მაშინ ძალიან ენერგიული (თუმცა, ახლაც ასეთი ვარ) ვიყავი. ყველაფერს არასერიოზულად, რაღაც სხვანაირად ვუყურებდი. მეგონა, რომ ყველაფერი ზღაპრულად იყო და ასეც გაგრძელდებოდა, ბავშვივით ვაზროვნებდი და არა ჩამოყალიბებული ქალივით.

— ამით რისი თქმა გინდა?

— დღეს მოზარდები სულ სხვანაირები, რაღაცნაირად, დაქალებულ-დაკაცებულები არიან, დიდებივით, ნაადრევად დაბერებულებივით იქცევიან და აზროვნებენ, მათ ისე ვერ მიუდგები, როგორც ბავშვებს.

— კიდევ რითი განსხვავდებიან დღევანდელი მოზარდები შენი თაობის თინეიჯერებისგან?

— ესენი უფრო უკომპლექსოები, თამამები არიან. მართალია, რაღაც დოზით უკომპლექსოები ჩვენც ვიყავით, მაგრამ ასეთი — არა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— აქტიური ბავშვი ვიყავი, სხვებისგან ყოველთვის გამოვირჩეოდი. როცა რაიმე ღონისძიება ტარდებოდა, ყოველთვის ნათიას გაიძახოდნენ.

— და რა ნიშნებზე სწავლობდი?

— მეშვიდე კლასამდე ძალიან კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მერე...

— აურეე?

— არა, არ ამირევია. უბრალოდ, მეშვიდე კლასამდე უფრო მონდომებით ვამზადებდი გაკვეთილებს.

— და მერე, რამ შეგიშალა ამაში ხელი?

— უამრავ რაღაცაზე დავდიოდი — სიმღერაზე, ბალეტზე, პოდიუმზე და ა.შ. ამიტომ, წიგნების წასაკითხად ნაკლები დრო მრჩებოდა. ზოგ საგანში ხუთიანი მყავდა, ზოგში — ოთხიანი, შიგადაშიგ კი, ცუდი ნიშნები ყველას აქვს მიღებული *(იცინის).*

— ის, რასაც მოსწავლეობის პერიოდში სწავლობდი, ყველაფერი გამოგადგა?

— მგონი, კი. ძალიან მიყვარდა ბალეტი, მაგრამ შრომატევადი იყო, საშინლად ვიღლებოდი და სხვას ვერაფერს ვახერხებდი. ამიტომ გადავწყვიტე, მისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ხელოვნების ეს დარგი დღესაც ძალიან მიყვარს. შეიძლება ითქვას, რომ ბალეტის ფანი ვარ. სამაგიეროდ, მეტი დრო მქონდა პოდიუმსა და სიმღერის წრეზე სასიარულოდ.

— „შტალოზე“ არ მიდიოდი ხოლმე?

— ჩვენს სკოლაში საშინელი სიმკაცრე იყო, გვყავდა დირექტორი, რომლისაც ყველას ეშინოდა. ამასთანავე, სკოლის შემოსასვლელში 2-3 დარაჯი იდგა და ძალიანაც რომ გნდომოდა, გარეთ ვერ გახვიდოდი. თუმცა, ათასში ერთხელ, გაპარვას მაინც ვახერხებდით.

— და სად მიდიოდით?

— აღარ მახსოვს *(იცინის)*...

— ის თუ გახსოვს, მასწავლებლებს აბრაზებდი თუ არა?

— ცელქი და მოუსვენარი კი ვიყავი, მაგრამ ვიღაცის, მით უმეტეს, მასწავლებლის გამწარების სურვილი არასდროს გამჩენია.

— დავივიწყოთ, კლასიდან არასდროს არავის გაუგდიხარ?

— კი, როგორ არა. მახსოვს, ერთხელ მე და ჩემი დაქალი მთელი გაკვეთილის განმავლობაში ვლაპარაკობდით. მასწავლებელმა რომ ვერ გაგვაჩერა, ძალიან გაბრაზდა და კლასიდან ორივე გაგვყარა.

— ამ ასაკში გოგონების ძირითადი საჭირაო თემა — ბიჭებია?

— მგონი, კი. თინეიჯერობის ასაკში იწყებ გაპრანჭვას, ბიჭებს სულ სხვა თვალით უყურებ, მაგრამ მათზე ჩაციკლული არასდროს ვყოფილვარ.

— შეყვარებული გყავდა?

— *(ფიქრობს)* არა, არ მყოლია.

— არც თაყვანისმცემლები?

— *(იცინის).* ბევრი „პაკლონიკი“ მყავდა, მაგრამ მათ ჩემ გამო არასდროს უჩხუბიათ...

— რადგან ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა, ალბათ, ზოგიერთ მეგობარ გოგოს შენი შურდა კიდეც, არა?

— ასეთი მეგობრები არ მყავდა და რომც მყოლოდა, მათ თავიდან მოვიცილებდი, მათთან ურთიერთობას აღარ გავაგრძელებდი...

— მითხარი, ბიჭებზე ჩაციკლული არ ვიყავიო. რა იგულისხმე?

— შეიძლება, ბიჭებზე ვფიქრობდი, მაგრამ სხვა რაღაცეებითაც ვერთობოდი. მაგალითად, ძალიან მიყვარდა სათამაშოები და დღესაც მიყვარს, როცა ფუმფულა ძაღლებს ან რაღაცებს მჩუქნიან. ახლა სათამაშოები ვის რად უნდა?! სულ სხვა რაღაცები აინტერესებთ. ხანდახან, თინეიჯერების ლაპარაკს ყურს რომ მოვკრავ, ლამის გავგიჟდე, მართლაც, ძალიან

„მის დედოფლის“ ტიტული კუბელმა მოდელმა მოიპოვა, მე მსოფლიოს „მის ელეგანტი“ გავხდი

უკომპლექსოები არიან.

— როგორ ფიქრობ, ეს უკომპლექსობა კარგია თუ ცუდი?

— ასე ვიტყოდი — კარგი ნამდვილად არ არის.

— ეი. ცუდი თაობაა?

— ყოველ შემთხვევაში, არც ძალიან კარგები არიან (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ, გამონაკლისებიც არიან).

— მათი ჩაცმის სტილზე რას იტყვი?

— ყველას ერთნაირი სტილი აქვს, სხვებისგან არაფრით განსხვავდებიან. თითოეული მათგანი ცდილობს, გვერდით მდგომს მიჰბაძოს და ეს გამოსდის კიდეც.

— შენ თუ ცდილობდი, ამ ასაკში სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავი?

— როგორ არა. ყოველთვის მქონდა ჩემი სტილი. არ ვიცვამდი ისეთ სამოსს, რომელიც მასობრივი იყო ანუ სხვებს არ ვბაძავდი. მართალია, ერთ დროს, როცა დახეული ჯინსი მოდაში იყო, ის მეც მეცვა, მაგრამ სხვათა მსგავსად, არასდროს მომნდომებია სვირინგის გაკეთება ან ცხვირის გახვრეტა.

— როგორ ფიქრობ, რით განსხვავდებიან უცხოელი თინეიჯერები ქართველებისგან?

— არაფრით. ის კი არა და, მგონი, ერთნაირები არიან... თინეიჯერი ყველგან თინეიჯერი და თავქარიანია.

— ნათია, ამ ასაკში მშობლები რას გიკრძალავდნენ?

— ბევრ რამეს. მაგალითად, ღამით სიარულს. რაც არ უნდა ყოფილიყო, საღამოს 11 საათზე მაინც შინ უნდა ვყოფილიყავი ან თვითონ მომყვებოდნენ... ვფიქრობ, რომ ასეთი აკრძალვები საჭირო იყო, რადგან ამ ასაკში შეიძლება, ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელიც ცხოვრებას დაგიმახინჯებს. თუმცა, ჩემს ცხოვრებაში ამის საშიშროებაც არ ყოფილა.

— ეს აკრძალვები არასდროს გაგიპროტესტებია?

— არა, რადგან მომწონდა, როცა მშობლები ყურადღებას მაქცევდნენ. ისინი ჩემთვის დროს ნებისმიერ მომენტში გამონახავდნენ...

— ნათია, მომღერალი უფრო ხარ თუ მოდელი?

— ალბათ, უფრო, მომღერალი ვარ, თუმცა, ორივე სფერო ძალიან მომწონს... ისე, სიმღერას და მოდელობას ერთმანეთს ძალიან კარგად ვუთავსებ.

— ჯგუფი „ენსი“ რატომ დაიშალა?

— 6 თვეა, რაც ჩვენი ჯგუფი დაიშალა. მე, სოფომ და ეკამ ჩვენი კარიერის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაგრძელება გადავწყვიტეთ. ეკა კონსერვატორიაში მღერის, სოფო — ფეხმძიმედაა, მეორე შვილს ელოდება.

— შენ კი, სოლო კარიერის დაწყება გადაწყვიტე — ახლახან სიმღერა ჩაწერე და კლიპიც გადაიღე, არა?

— მართალი ხარ. მაგრამ ამის გარდა, ჩაწერილი მაქვს კიდევ რამდენიმე ახალი სიმღერა, რომელთაგან ერთ-ერთზე უახლოეს მომავალში კლიპსაც გადავიღებ.

— მოდი, ახლა იმ წარმატებებზეც ვისაუბროთ, რომლებიც შენი გარეგნული მონაცემებით მოიპოვე.

— სიამოვნებით. 1999 წელს, „მის მოდელი“ გავხდი, 2000 წელს — „მის საუკუნე“, მერე კი — „მის თბილისიც“ ვიყავი; ამის შემდეგ ძალიან დიდი პაუზა მქონდა და ახლა, მსოფლიოს „მის ელეგანტის“ ტიტულიც მოვიპოვე.

— კონკურსზე — „მის დედოფალი“ ვინ მიგიწვია?

— საქართველოში „სილამაზის კონკურსის“ ფედერაციის პრეზიდენტის, გია ნადირაძის სურვილი იყო, რომ ამ კონკურსში მიმეღო მონაწილეობა და ის დაჟინებით მთხოვდა, ამ წინადადებაზე უარი არ მეთქვა. მართალია, გერმანიაში გამგზავრების დიდი სურვილი არ მქონდა, მაგრამ მან ჩემი სურათები და რაღაც მონაცემები საზღვარგარეთ მაინც გაგზავნა. იქიდან კი, სულ მალე, ოფიციალური მიწვევა მომივიდა.

— კონკურსში მონაწილეობის სურვილი რატომ არ გქონდა?

— გერმანიაში გამგზავრებამდე ორი კვირა იყო დარჩენილი, მე კი, არც კაბები მქონდა და არც კონკურსისთვის ვიყავი მზად. მაგრამ დიზაინერმა ნანა შუკვანმა პრობლემა დაახლოებით 10 დღეში მომიგვარა და არაჩვეულებრივი კოსტიუმები შემიკერა. კონკურსზე 7 კაბით წავედი, რომელთა შორის, ერთი ნაციონალური, დანარჩენი კი — საღამოს კაბები გახლდათ. ასე რომ, გამგზავრების წინ სანერვიულო აღარაფერი მქონდა და გერმანიაში საუკეთესო განწყობილებით გავემგზავრე.

— დახმარება მაინცდამაინც ნანა შუკვანს რატომ სთხოვე?

— ნანა დედაჩემის მეგობარია, მე კი, მის შვილებთან ვმეგობრობ და დიდი ხანია, რაც მასთან ვთანამშრომლობ კიდეც. ამასთანავე, მისი კოლექცია ძალიან მომწონს... სხვათა შორის, ნაციონალურ კაბას, რომელიც კონკურსზე წავიღე, იქ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება ხვდა წილად.

— კონკურსში რამდენი ქვეყნის მოდელი მონაწილეობდა?

— გერმანიაში 65 ქვეყნის წარმომადგენელი ჩავიდა, მათ შორის კი, მხოლოდ 15 კონკურსანტი შეირჩა. „მის დედოფლის“ ტიტული კუბელმა მოდელმა მოიპოვა, მე მსოფლიოს „მის ელეგანტი“ გავხდი.

— ალბათ, დატვირთული გრაფიკი გქონდათ, არა?

— 2 კვირის მანძილზე დავდიოდით გადაღებებზე, ვმონაწილეობდით სხვადასხვა სარეკლამო რგოლის გადაღებაში და ა.შ. აქედან გამომდინარე, მართლაც, დაძაბული გრაფიკი გვქონდა. ძალიან ვიღლებოდი.

— ასეთი გრაფიკით მუშაობა არ გაგიჭირდა?

— ხომ იცი, გერმანია როგორი ქვეყანაა — 1 წუთიც რომ დაიგვიანო, ამას არავინ გაპატიებს. კონკურსზე დაგვიანების გამო, 3 გოგო, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გაუშვეს... მათთვის დაგვიანების მიზეზი არ არსებობს, რაც არ უნდა ცუდად იყო, დათქმულ ადგილას დროზე უნდა მიხვიდე.

— ეი. სომკცრეც იყო?

— აბა, რა! ქუჩაში ვერ გავდიოდით, ყველგან დაცვა დაგვყვებოდა... 12 დეკემბერს, როცა კონკურსის ფინალი ჩატარდა, სცენაზე ნაციონალური კაბებით და საცურაო კოსტიუმებით გავედით, რის შემდეგაც, მსოფლიოს „მის ელეგანტის“ ტიტული მომანიჭეს.

— რა კრიტერიუმების მიხედვით მოგენიჭა ეს ტიტული?

— არ ვიცი, ეს ჩემთვის ნამდვილად არ უთქვამთ და არც ჟიურისთვის მიკითხავს ამის თაობაზე. იქ 2 კვირა ვიყავი და მთელი ამ დროის მანძილზე, ორგანიზატორებისგან რაღაც განსაკუთრებულ ყურადღებას, სითბოს ვგრძნობდი. ალბათ, მათ მოვეწონე და ჩემში რაღაც ელეგანტური შენიშნეს *(იცინის).*

— როგორც ვიცი, კონკურსის შემდეგ გამართულ წვეულებაზე იმღერე კიდეც...

— კი, ინგლისურენოვანი სიმღერა შევასრულე, რომელმაც იქ მოწვეული სტუმრების გულწრფელი მოწონება დაიმსახურა...

— დაბოლოს, „მის ელეგანტი“ თინეიჯერებს რას ურჩევს?

— იყვნენ ისეთები, როგორებიც შინაგანად არიან, ნუ მიჰბაძავენ ვილაცებს და დაიმახსოვრონ, რომ ახლა აქვთ ოქროს ასაკი, რომელიც არასდროს დაუბრუნდებათ. შეეცადონ, დრო სწორად და მაქსიმალურად გამოიყენონ. თითოეულ მათგანს წარმატებას ვუსურვებ!

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

MK

„დიტო, სხვა ბიჭებს რას უთმობ, რქებს და ჩლიქებს?..“

თამუნიკა, *17 წლის:*

„დიტო, ახლა წავიკითხე შენი ინტერვიუ და აღფრთოვანებული დავრჩი შენი აზროვნებით. ძალიან ლამაზი სულის ადამიანი ყოფილხარ და მიხარია, რომ შენნაირი ვაჟკაცები კიდევ არსებობენ. წარმატებებს გისურვებ ცხოვრებაში! მინდა, იცოდე, რომ ჩემი სახით, ყოველთვის გეყოლება ერთგული გულშემატკივარი. გაიხარე. უფალი გფარავდეს!“

დიტო ძისიშვილი:

— **გაიხარეეე!..**

ეკა, *22 წლის:*

„დიტუნა, გენაცვალე თვალების დაჭყეტაში, დედუნა. რას იჯიჯგნიდი, შვილო, მკერდს, ტატუა თუ „ნაკოლკა“ ან თუნდაც, სვირინგი რომ „ამოგიქარგავს“?.. წარმატებებს გისურვებ!“

— **ტატუ კი არა, „ნაკოლკაა“.**

ანი, *21 წლის:*

„დიტო, როგორ ხარ? მე ანი ვარ, კონსერვატორიიდან (ანი, ნანუკა, ბაია). ძალიან გამიხარდა შენი წარმატება „ჯეოსტარში“. მეტსაც იმსახურებდი, მაგრამ არა უშავს, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გაქვს. მთელ საქართველოს უყვარხარ. აბა, შენ იცი“.

— **პაწკუ, ჩემი სიცოცხლე ხარ.**

ფიქრია, *18 წლის:*

„დიტო, ძალიან მაგარი ადამიანი ხარ. შენ „გბალელშჩიკობდი“ „ჯეოსტარში“ და გული დამწყდა, რომ გამოგაგდეს, რადგან ყველას შენ სჯობდი. გისურვებ წარმატებებს!“

— **გაიხარე, შენა.**

გადარეული, *13 წლის:*

„აუფ!.. დიტო და ძველი ბიჭი? — ამას კი არ ველოდი. რა ვიცი, „ჯეოსტარში“ შენთვის ძველბიჭური არაფერი შემინიშნავს! თუმცა, ვის რას გაუგებ? მეც მყავს ერთი ასეთი კლასელი, ვითომ ძველი ბიჭი, რომელსაც უაზრო ქცევები აქვს: ჯერ ერთი, პირველი გაკვეთილიდან უკანასკნელამდე, თავის სკამს არის „მისვარკული“ და იქიდან, რომც გინდოდეს, ვერ „აახევ“, მერე, 2 წუთით ადგება, იტყვის 2 სიტყვას, იმასაც სამადლოდ გადმოაგდებს „ორღობეში“ და ეგ არის, სულ მოხრილი და ჯიბეში ხელებჩაწყობილი დადის... მაგრამ იცი, რა, ჩვენი კლასი ერთი დიიიდი „ასათიანია“, სადაც თავი სხვადასხვა სენშეყრილმა ავადმყოფებმა მოვიყარეთ. მიკვირს, ყველა ერთად, ერთ დღეს, ერთ დროს, ერთი და იმავე ადგილას როგორ მოვხვდით?.. ისე, ხალხნო, ოჯახში გაიკითხ-გამოიკითხეთ, თუ გიჟი ან გადარეული ვინმე გყავთ, მას ჩვენს კლასში აუცილებლად მიიღებენ“.

— **გენაცვალე შენაც... ასეც ხდება, ისეც ხდება, რას გაუგებ ამ ცხოვრებას?!**

გამოხმაურება

ნინო, *13 წლის:*

„მეც ხევსური ვარ, შატილიდან. რაც მაგრები ვართ, ხევსურები ვართ! წარმატებებს გისურვებ! მაგარი ხარ. ისე, გოგო, რომელიც გიყვარს, მარი ხუცურაული ხომ არ არის?“

— **არა...**

ანი, *15 წლის:*

„დიტო, ყველაზე მაგარი ხარ. ორშაბათს მაგრად „დავიგრუზე“, მაგრამ იცოდე, შენ გამარჯვებული, ხალხის რჩეული ხარ. ისე, მეც დავდივარ სიმღერაზე ერთ ცნობილ ადამიანთან (სახელს ვერ ვიტყვი) და ვაპირებ, მომღერალი გავხდე. მეც თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარებ. ყველაფერს გავაკეთებ მიზნის მისაღწევად. როგორ ფიქრობ, საქართველოში მსახიობობა და მომღერლობა ღირს? მაგრად მიყვარხარ და წარმატებებს გისურვებ! გკოცნი“.

— **მიზანი დისახე, იშრომე და რაღაცას აუცილებლად მიაღწევ ოღონდ ჩემსავით, ხანდახან სიზარმაცემ არ დაგრთოს ხელი. მსახიობობა და მომღერლობა კი, საქართველოში, მით უმეტეს, XXI საუკუნის დასაწყისში ნამდვილად ღირს.**

თეო, *22 წლის:*

„დიტ, ჩემო თვალებსატუსავ, ძალიან საყვარელი ხარ. რას გრძნობ, როცა უამრავი გოგოს ოცნების ობიექტად იქეცი? აკი, ერთ კაცზე 11 ქალი მოდისო?.. სხვა ბიჭებს რას უთმობ, რქებს და ჩლიქებს?“

— **მე რა შუაში ვარ, ეს რა ჩემი ბრალია?! ისე, ბევრი ძმაკაცი მყავს და ზოგიერთებს მათ დავუთმობ. შემიძლია, მაჭანკლობაც დავიწყო (იცინის).**

ქრისტინა, *17 წლის:*

„დიტო, ძალიან მომწონხარ და მინდა, გაგიცნო. თუ ჩემს გაცნობას ისურვებ, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი. გკოცნი“.

— **ცოტა დრო მომეცი, რა!..**

მარი *(ახმეტა), 18 წლის:*

„დიტო, როგორ ხარ? მინდა, გითხრა, რომ უმაგრესი და უსაყვარლესი პიროვნება ხარ. არ მეგონა, პროექტს შენ თუ დატოვებდი. ძალიან მაინტერესებს, ახლო მომავალში რა გეგმები გაქვს? სიხარული ადამიანი ხარ და ასე გააგრძელე. გეხუტუნე, სიხარულო. გკოცნი და მიყვარხარ“.

— **ახლო მომავალში ახმეტაში, თუშებთან ვაპირებ ჩამოსვლას...**

ნუცა, *17 წლის:*

„პრივეტ“, დიტო. ძალიან მინდა, შენი გაცნობა. მაგარი ადამიანი ხარ და ვგიჟდები შენზე... რა უნდა გკითხო, იცი?.. 10 დეკემბერს ბათუმში ხომ არ იყავი? და კიდევ, მკერდზე რა გაწერია?“

— **მკერდზე დედის სახელი — „მედეა“ მაწერია. 10 დეკემბერს ბათუმში ნამდვილად არ ვყოფილვარ.**

უცნობი, *16 წლის:*

„დიტო, პირველად რომ იმღერე და გარმონიც „ააკვნესე“, ტანში გამაჟრიალა, სისხლი ამიდუღდა და გამოვაცხადე: ეს ბიჭი მიყვარს-მეთქი. მას მერე ყველა ნაცნობს ვთხოვ, შენი ნომერი გამიგოს, ისინი კი მეუბნებიან — გაგიფრენიაო. გენაცვალე, თვალების პრაწვაში. შემეხმიანე, რა!“

— **შეგეხმიანები.**

სოფო, *17 წლის:*

„დიტო, მაგარი კაცი ხარ, მაგრამ მაყურებელმა შენი ნიჭი ვერ დააფასა. „ჯეოსტარიდან“ რომ გავარდი, ტირილით მოვკვდი. მაინც შენ ხარ გამარჯვებული, მთავარი — ნიჭი და ხმაა და არ ხალხის SMS-ბი. მიყვარხარ, გკოცნი“.

— **გაიხარე.**

თათა, *17 წლის:*

„დიტოჩკა, ძალიან მიყვარხარ და გული დამწყდა, რომ ვერ გაიმარჯვე. კასპში ნათესავები მართლა გყავს? და კიდევ, ვინ არის მედეა, რომელიც გულზე გაწერია?.. იმედი მაქვს, ოდესმე შენი გაცნობის ბედნიერება მექნება. წარმატებებს გისურვებ! მიყვარხარ“.

— **მკერდზე დედის სახელი მაწერია. კასპში ჩემი ალალი ბიძაშვილები, დედაჩემის ძმისშვილები ცხოვრობენ.**

თეო, *19 წლის:*

„ვერ ვიტან აცუნდრუკებულ გოგონებს და არ მეგონა, მათსავით თუ მოვიქცეოდი, მაგრამ დიტოს „თუშურმა“, რაღაც შორეული და მტკივნეული გამახსენა, ამ ადამიანმა თითქმის მივიწყებული იარა განმიახლა. დიტო, გთხოვ, როცა მაგ სიმღერას კიდევ იმღერებ, არ დამივიწყო და ერთხელ მეც მომიძღვენი, მე კი ჩავთვლი, რომ ცხოვრება გრძელდება“.

— **იცოდე, ეს სიმღერა სადაც არ უნდა მოისმინო, იფიქრე, რომ შენ გიძღვნი...**

გოგო, *15 წლის:*

„დიტოს მინდა მივმართო. გენაცვალეეეეე! სიცოცხლე ხარ. შენ გამო ვუყურებდი „ჯეოსტარს“ და მაგარი „გამიტყდა“, პროექტი რომ დატოვე. მპა, მპა, მპა“.

— **მადლობა.**

პატარა, *15 წლის:*

„დიტო, ძალიან მაგარი ხარ. „ჯეოსტარში“ შენ „გბალელშჩიკობდი“, რადგან კარგად მღერი და ამ ცხოვრებაში ბევრს მიაღწევ“.

— **ვნახოთ, ვნახოთ...**

ჭინკა *(მარტყოფი), 15 წლის:*

„სალამი, დიტო. ძალიან გამიხარდა, „გზაში“ შენი ინტერვიუ რომ წავიკითხე. შენ საყვარელი და ნიჭიერი ადამიანი ხარ. გისურვებ წარმატებებს და დიდ, ლამაზ სიყვარულს (ისეთს, როგორიც მე ვიპოვე, ანტოს სახით). უფალი გფარავდეს!“

— **ბედნიერებას გისურვებ და როცა გაიგებ, რომ მეც ვიპოვე ასეთი სიყვარული, როგორმე შემეხმიანე და ბედნიერება მისურვე.**

ნათია, *16 წლის:*

„გაიხარე, დიტო! ძალიან მაგარი ხარ. მიყვარხარ, სიხარულო. ისე, „კეფაზე წითელი ხალი ხომ არა გაქვს?..“ მეც ძალიან მიყვარს საპირფარეშოში წიგნის კითხვა, აბაზანაში „კონცერტის“ გამართვა და ქუჩაშიც მიცეკვია... წარმატებებს გისურვებ და არ დაიკარგო, თავს ნუ მოგვანატრებ“.

ნდობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომ-ბარათებითაც

დასაწყისი იხ. გვ. 27

— კარგი, არ დავიკარგები. კეფაზე ხალი და ისიც წითელი, ნამდვილად არ მაქვს.

ბუბუ, *17 წლის:*

„დიტო, სიმართლე გითხრა, აზრზე არა ვარ, ვინ ხარ, მაგრამ მაინც, წარმატებებს გისურვებ! ბიჭი ხარ და რჩევა მინდა გკითხო. ათენიდან თბილისში რაღაც ნომრებზე ვამესიჯებ, იმ მიზნით, რომ მეგობრები შევიძინო (მალე საქართველოში ვბრუნდები, მანდ კი, ცოტა მეგობარი მყავს). როგორ ფიქრობ, კარგად ვიქცევი? ერთ დღეს შენ რომ მოგივიდეს ასეთი მესიჯი: რა გქვია? — და გოგოს სახელი იყოს მითითებული, უპასუხებ? და კიდევ, რა შთაბეჭდილება დაგრჩებოდა გოგოზე, რომელიც გაცნობას გთხოვს?“

— თავიდან არ ვუპასუხებდი... ძალიან გთხოვ, საბერძნეთიდან მესიჯს ნუ მომწერ, რომ ჩამოხვალ, მერე დამეკონტაქტე.

თამუნა, *20 წლის:*

— დიტო, ბარბარობას გილოცავ! ძალიან „გამიტყდა“, პროექტიდან რომ გამოვარდი. ახლა შეგიძლია, რა დროსაც გინდა, მაშინ დამირეკო, გამაღვიძო და მიმღერო, აღარ გავბრაზდები. იმედია, მიცანი“.

— გენაცვალე, შენ... ისე, ხომ არ გაგაღვიძე?..

სალომე, *18 წლის:*

„აუ, დიტო, ხმა გაქვს ისეთი, რომ როცა გისმენ, სულ მბურძგლავს, ოღონდ — სიამოვნებისგან. ძალიან მაგარი ხარ და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ! მალე ისეთი წარმატებული მენახე, როგორიც შენ გაგიხარდება. კარგად იყავი“.

— შენთან ერთად...

უცნობი, *16 წლის:*

„აუ, ე.ი. დიტოს, შეყვარებული ჰყავს?.. თუ „პროსტა“, ისეთ პონტშია?.. რა უბედური ვარ, რა, არაფერში მიმართლებს, ამიტომაც ზოგჯერ, თავის მოკვლაზე ვფიქრობ“.

— თავი ჯერ არ მოიკლა, ჯერ-ჯერობით არავინ მიყვარს.

ელე, *13 წლის:*

„დიტო, ძალიან საყვარელი და ნიჭიერი ადამიანი ხარ. აბა, ერთი თვალები დაჭყიტეეე... როგორ აკეთებ ამას, მეც მასწავლე, რა. მაგარი ხარ, მაგრამ თავში არ აგივარდეს“.

— რომ გიცნობდე, ამ ბოლო სიტყვებისთვის ძალიან გაგიბრაზდებოდი, დაგილრიალებდი... თვალების დაჭყეტას კი (რა თქმა უნდა, თუ სადმე შეგხვდები), აუცილებლად გასწავლი.

ნაცნობი, *16 წლის:*

„დიტო, მაგარი ჯიგარი ხარ, დიდ პატივს გცემ. ახალგორიდან გიცნობ, მაგრამ ახლა გავიგე, რომ ჩემს ბიძაშვილთან — მიშკასთან კარგად ხარ... დიტო, რატომ „გიბლოკავდნენ“ ზარებს? ძალიან გთხოვ, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიმესიჯე“.

— არავინ და არავის ზარებს არ უბლოკავდა. სხვათა შორის, შენ დღეს მესიჯს რომ მწერ, ეს „ჯეოსტარის“ დამსახურებაა.

თუში, *17 წლის:*

„დიტო, მაგარი ხარ და თუშურ სიმღერებსაც კარგად ასრულებ. თუშები შენ გგულშემატკივრობდით“.

— შენ გენაცვალე, თუშეთო...

■

ჰოდა, ერთი ბიჭი შემიყვარდა, ის ჩემი სიყვარულის ღირსი არ იყო, რადგან მომახალა, შენნაირი ღორები არ მიზიდავენო, ძალიან, მეტკინა გული და „მწარე“ დიეტაზე დავჯექი. ძალიან ლამაზი სახე მქონდა, უბრალოდ, სიმსუქნე მიშლიდა ხელს: 92 კილო ვიყავი და 5 თვეში 40 კილო დავიკელი. გარეთ რომ გავედი, ვერავინ მიცნო. ვგრძნობდი, როგორ მაყოლებდნენ კაცები აღფრთოვანებულ მზერას. ჩემი ძველი შეყვარებული ახლაც დამდევს კუდში და მიმტკიცებს, მიყვარხარო, მაგრამ ნურას უკაცრავად! მინდა, ყველამ ჩემი სულიერი სამყარო დააფასოს და არა ლამაზი სხეული. სულიერი სილამაზე გერჩივნოთ, ხალხოოო... ჭიჭე“.

„მიზანსაც მივაღწიე და გამოცდაც ჩავაბარე და ამაში ჩემი გარეგნობა დამეხმარა. ლექტორს, რომელიც ჩემზე 20 წლით მაინცაა უფროსი, „დავევასე“ და სულ „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი“ გამომიშვა აუდიტორიიდან. კურსზე ყველას — ვისაც მისი საგანი რჩებოდა, ჩემი ხათრით დაუწერა ნიშნები. ერთ დღეს ჩემი დაქალი შევიდა ჩათვლაზე და რომ გამოვიდა, გაოგნებული იყო. — გოგო, იცი, შენზე რა მითხრა? ჩემი ტოლი რომ იყოს, ცოლად მოვიყვანდიო. ხედავთ, რა არ ხდება?“.

„გიმესიჯებ, დილაა თუ ბინდია,/ ფული არ მაქვს, 6 თეთრი „მიგდია“,/ „გზის“ ფურცლებზე თუ „გამჩითავ“, მადლია,/ დაილოცოს „გზავნილების“ ნათლია“.

„ჩემთვის მიზნის მიღწევა ის იყო, რომ ჩემი მესიჯი ამდენი ჩალიჩის შემდეგ, „გზავნილებში“ როგორც იქნა, ვნახე, მაგრამ რად გინდა? პირველი და უკანასკნელი იყო. იმის მერე აღარ მიბეჭდავ, მაგრამ არა უშავს, გადავიტან. შენ იყავი კარგად, მარუსია! გკოცნი, სოფო“.

„მარი, რა იყო, ასეთი რა დაგიშავე? იქნებ ჩემი ნომერი გძულს? ძალიან მიყვარს „გზა“, მაგრამ თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, აღარ დაგიმესიჯებ“.

„მარი, როცა გწერდი, მიყვარხარ-მეთქი, მესიჯს არ მიბეჭდავდი. მძულხარ-მეთქი, მოგწერე თუ არა, მაშინვე დამიბეჭდე. აი, ასე მივაღწიე მიზანს. მანა“.

„ახლაც მეცინება, როცა მახსენდება, როგორ გავიცანი ჩემი შეყვარებული. ერთად ვსწავლობდით, მაგრამ გვიან შევამჩნიე და მერე სულ კუდში დავდევდი. იმდენი ვდიე, ბოლოს თვითონ ამიხსნა სიყვარული. მაგარი ვარ, რა!“

„ჩემი და ჩემი ბოიფრენდის მიზანი ვალების გასტუმრება იყო. ჰოდა, გავისტუმრეთ კიდეც, ათასობით „ლარები“. იცით, როგორ? ერთმანეთს გვერდით დავუდექით და დაუღალავად ვიშრომეთ. ახლა ისევ ვაგრძელებთ შრომას და უფლის ნებით, იქნებ, ბინაც ვიყიდოთ. არადა, იცით, რა ახალგაზრდები ვართ? თამუნა“.

„ერთ 27 წლის ტიპს საქმეები გავურჩიე, მაგრად ვეჩხუბე და ამის მერე ბაბუაჩემი სამსახურში მიიღო. ჰოდა, ეს ტიპი შემიყვარდა. ლევან, მიყვარხარ! შენი ტუტუცი ბავშვი“.

„მიზნის მისაღწევად რას არ ვიგონებდი,/ ზღაპარს სასარგებლოდ გამოვიგონებდი,/ გამოვიგონებდი, ისე ვაფორმებდი,/ ზოგჯერ მეც მჯეროდა, ზოგჯერ მეც მჯეროდა,/ სიხარულისგან გული სულ მღეროდა,/ ახლა მომბეზრდა და მინდა შევიცვალო,/ ტყუილებისაგან ლამის შევიშალო. „სტიქია“.

„მიმაჩნია, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ჰოდა, იმისათვის, რომ ჩემი უმკაცრესი რექტორის გული მომეგო და ნიშანი დაეწერა, მისი ბიჭის შებმა დავიწყე. გარეგნობა ხელს მიწყობდა და ეს ბიჭი ერთ კვირაში „მზად“ იყო. 4 წლის განმავლობაში, არა მარტო ამ კაცთან, არავისთან არაფერი გამჭირვებია. მერე კი... მერე, ჩემო კარგო, ისე მოვაწყვე საქმე, რომ ამ ბიჭს ეეჭვიანა. ჩემმა გულმა „ცილისწამებას“ ვერ გაუძლო და დავშორდით. ახლა ძალიან კარგად ვარ და ჩემი საყვარელი ადამიანისგან ბავშვს ველოდები. ნატუკა“.

„მეც მომინდა „გზავნილებში“/ მხიარული გართობა/ და მეც მიზნად დავისახე/ ხალხო, თქვენი გაცნობა. „წარღვნა“.

„წინა ახალ წელს ჩემი ბებო ნამცხვარს აცხობდა და ცომში პატარა მძივი ჩავაგდე. ის მძივი სწორედ მე შემხვდა. და იცით, რა ჩავიფიქრე? ჩემი უბნელი იკა მომწონდა და მინდოდა, ის ბიჭი ჩემი შეყვარებული გამხდარიყო. დღეს თავდავიწყებით ვუყვარვარ. აბა?!“

„ჩემი დაქალის ოცნება გერმანიაში წასვლა იყო. ამისათვის უნივერსიტეტში ჩააბარა. სწავლა რომ დაამთავრა, გერმანიაში წასვლა გადაწყვიტა. მშობლებს უამრავი ფული დაახარჯვინა და გაემგზავრა კიდეც. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ 1 თვეში უკან დაბრუნდა. ვეკო“.

„მარი, ძვირფასო, ერთი პაწაწუნა სათხოვარი მაქვს შენთან. 7 დეკემბერს ძმა ჩამომივიდა „ვოვას რუსეთიდან“, დეპორტით. ცოლი უნდა მოიყვანოს. მარო, შენს „გზავნილებს“ გაფიცებ, გამოგვყევი რძლად. ოოო, რა მული ვიქნები! სულ ხელისგულზე გატარებთ მთელი კვარაცხელიები. კობა ხაბაზივით ბიჭია და ვერ დაიწუნებ. დამიბეჭდე, თორემ გიჩქმეტ“.

„მე შემოვევლე თქვენს ჟურნალს,/ სახელწოდებით „გზა“/ ყველა ვაგზავნით მესიჯებს,/ ხუთშაბათს არის მზად./ ზოგი გულს ვიფხანთ, ზოგი კი,/ გულისტკივილით გწერთ,/ ზოგნი ისეთებს გწერენ, რომ/ ფეხს არ ადგამენ მწერს“.

„შენ გაიხარე, მარი, ჩემი მესიჯი სწორედ მაშინ „გამოიჯგიმება“ ხოლმე „გზის“ ფურცლებზე, როცა ყველაზე ნაკლებად მოველი. მოკლედ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირაა. მიზანსაც მაშინ ვაღწევ, როცა უკვე აღარ ვიბრძვი და ხელიც კი ჩაქნეული მაქვს. შენი არშემდგარი კოლეგა, გიჟი გოგო“.

„ჩემს ახლანდელ ქმარს ცოლად რომ მოვეყვანე, ლოგინში ჩავუწექი. მეტი რა უნდა მექნა მიზნის მისაღწევად? ახლა კი ვნანობ, მაგრამ რაღა დროს? მარუსია“.

„მარიკუნაააა, გამაგებინე, როგორ მიაღწიე იმას, რომ ამდენი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე? მეც მარიკუნა ვარ, მაგრამ ჩემი გამომძიებლის გული ვერ მოვიგე. ბატონო გამომძიებელო, დაზარალებული მაშინ დამიძახე, როდესაც შეგახრამუნებ. „ვოტ!“

„მიზანს დედაჩემმა მიაღწია, რადგან თავის არჩეულ სასიძოზე მზე და მთვარე ამოსდის, მე კი მძულს. ის ჩემს გრძნობებს ყურადღებას არ აქცევს. შაბათს ქორწილი მაქვს და იმას არავინ ფიქრობს, რომ ეს ქორწინება უბედურებას მომიტანს. სხვა მიყვარს. დათო, მიყვარხარ, ჩემო პატარავ. თათია“.

„ჰაიტ! ხევსური მოვიდა! მივესალმები ყვე-

ლას! ხევსურებს და სვანებს გაუმარჯოს! პატარა ხევსური“.

„სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მიზანს სიჯიუტით ვაღწევ ხოლმე. ხშირად ცუდ დღეში ვვარდები, მაგრამ საბოლოოდ, არ ვნანობ. ჩემმა ოჯახმა არც კი იცოდა, რომ პატრულში მუშაობის დასაწყებად, საბუთები შევიტანე. დედა ამას არ დაუშვებდა. ყოველთვის ასეა, ერთი დიდი მიზანი მქონდა ცხოვრებაში. ამ მიზანს „ლონდრე“ ჰქვია. ჩვენი ბოლო შეხვედრისას მასაც ვუთხარი, რომ ჩემი მიუღწეველი მწვერვალი ხარ-მეთქი. მარი, ახლა იტყვი, ჩემი მკითხველები ყველა თემას სიყვარულით ამთავრებენო, მაგრამ აბა, რა ვქნათ, როცა სიყვარული ის ღერძია, რომელზეც კაცობრიობა ბრუნავს და თანაც, ვერტიკალურია და ბრუნვადი“.

„34 წლის ქალი გადავირიე და ახლა ვარ შეყვარებული. პირველად 14 წლისას შემიყვარდა, მაგრამ სხვამ მომიტაცა. შვილებიც შემეძინა, მაგრამ პირველი სიყვარული ვერ დავივიწყე. ჰოდა, გადავწყვიტე, დამებრუნებინა. მესიჯებს ვუგზავნიდი და ხან ოლიკო ვიყავი, ხან — კატო. ხან, ვითომ შემეშალა... ასე გრძელდებოდა 6 თვე. როგორც იქნა, მისგან პასუხს ველირსე. „ქალბატონო ოლიკო, ჩემთან მესიჯების წერას, გირჩევნია, დაჯდე და ქმარ-შვილს წინდები მოუქსოვოო“. ამ სიტყვებმა ფარ-ხმალი ვერ დამაყრევინა და იმდენს მივაღწიე, რომ დღეს უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი. ქმარს გავცილდი, მე და ჩემი შვილები ცალკე ვცხოვრობთ. ჩემი სიყვარულიც ჩემ გვერდით არის და ბედნიერიც ვარ. ოლიკო“.

„კორპორაცია „მონატრება“ გიგზავნით მილიონ ლამაზ, სათითაოდ შეფუთულ, ეკოლოგიურად სუფთა, ლიცენზირებულ კოცნას. „გზავნილები“ მაგარია. ციცქნა“.

„ტელეფონით ბიჭი გავიცანი და პაემანზეც დავთანხმდი. საგულდაგულოდ გამოვიპრანჭე, მაგრამ გზაში ქუსლი მომტყდა და დავრჩი ბიჭის გარეშე. კუსკი“.

„ერთდროულად 2 გოგოს ვემესიჯები, ეკას და ლალის. ეკამ სასიყვარულო მესიჯი გამომიგზავნა. მომეწონა და ლალის გადავუგზავნე. იმან პასუხი მომწერა და ახლა მისი პასუხი გადავუგზავნე ეკას. ასე ვაგრძელებ, აგერ უკვე ერთი კვირაა. თანაც, წარმატებით. ზურა, აბაშა“.

„მარიი, გაიხარე, რომ ჩემთვის დრო და ფურცელზე ადგილი გამონახე. არა, ძმაო, სვანებს რომ საბლატაო აქვთ, ტყუილია! სვანებო, მარი ხელისგულზე უნდა ატაროთ! რაც შეეხება მიზნის მიღწევას, გეტყვით, რომ ჩემს დეიდაშვილს ერთი ბიჭი გადაეკიდა და უმტკიცებდა, მიყვარხარო. მერე, ის ბიჭი მეც სიყვარულს მეფიცებოდა. ჰოდა, აღმოჩნდა მგლის ორმოში. ახლა არის ხაფანგში გაბმული, ვირთხასავით და ჭკუას სწავლობს. თუ რა მოუვა „ვირთხას“, აუცილებლად დაგიმესიჯებთ“.

„ეეჰ, ვერანაირ მიზანს ვერ მივაღწიე. 6 წელი ვისწავლე და მაინც ჩემს რაიონში, ქათმისა და კვერცხის ქურდებს დავდევ. ათასში ერთხელ ხდება, რომ თხილის ქურდი გამოერიოს. არადა, რა მიზნები მქონდა! შერლოკ ჰოლმსი... ერკიულ პუარო... აფსუს!“

„მიყვარდა ბიჭი. მიზნის მისაღწევად, რას არ ვაკეთებდი და იცით, რას მივაღწიე? ახლა იმ ბიჭის ძმის ცოლი ვარ. ამაგამა“

„მიზანს მაშინ მივაღწევ, როცა „გზავნილებში“ ჩემს მესიჯს ვიხილავ. საინტერესოა, რას ფიქრობს „კიბორჩხალას“ ცოლი მაშინ, როცა „მორიელთან“ ერთად სიყვარულის მორევში იძირება? მძულს „მორიელი“! სამაგიეროდ, მიყვარს მარი ჯაფარიძე და „გზა“.

„მარი, შენ ალბათ არავინ გყვარებია, თორემ ჩემს ტკივილს ოდნავ მაინც მიიტანდი გულთან. ცოტა ხნის წინ, ჩემი საყვარელი ადამიანი გათხოვდა და ძალიან ვიტანჯები. ჩემი ცხოვრება დასრულდა. მთაწმინდელო თაკო, მიყვარხარ, მენატრები და სიკვდილი მინდა“.

„მეც მიყვარდა, გონებისა და ქალიშვილობის დაკარგვამდე. მან კი იცით, რა მითხრა? — შენნაირი ძალიან ბევრია და ყველას ცოლად ხომ ვერ მოვიყვანო? მას შემდეგ, 8 წელი გავიდა. მე გავთხოვდი. ის კი მძულს. მინდა, რომ მატლები დაეხვიოს, მოკვდეს და მის ორმოცამდე შავები ჩავიცვა. მეტის ღირსი არ არის. დამიბეჭდეთ, და

გული მომაფხანინეთ, რა იქნება? თათო“.

„მარი, იქამდე ნუ მიიყვან საქმეს, რომ თავი მოვიკლა. შენ გამო გადახრები დამეწყო, შენ კიდევ მესიჯს არ მიბეჭდავ. წავალ „გზის“ რედაქციაში და „გზავნილებს“ მოვსპობ. ასე მივაღწევ მიზანს. დიფსი“.

„ერთი მამაკაცი მიყვარს. ის 44 წლისაა, მე კი 36-ის. ახლა ველოდებით, როდის მოუკვდება დედა, რომ ვიქორწინოთ“.

„მარი, წუწუნით იმდენს მივაღწიე, რომ დაიკომ მობილური მაჩუქა დაბადების დღეზე და ახლა შენ მესიჯს გიგზავნი“.

„მიზანს ვერ მივაღწიე და ახალსამგორელ ლაშა გოგოლაურს თავი ვერ შევაყვარე, მაგრამ ინტერესით კვდება, ისე აინტერესებს ჩემი ვინაობა. დაიტანჯე და გაიგე, რომ ჯიპის გარეშე შენი ფასი — ნულია. თავში არაფერი აგივარდეს. პატარა სვანი“.

„მე ვერასოდეს ვაღწევ მიზანს და სხვის მესიჯებს რომ წავიკითხავ, იქნებ ვისწავლო, როგორ მოვიქცე. უიღბლო ეკა“.

„ერთხელ, იმისათვის, რომ მწიფე მსხალი მომეწყვიტა, ძველი საქათმის სახურავზე აძრომამ მომინია. მსხალს მივწვდი, ოღონდ, ქათმებსაც ვესტუმრე, რადგან „კრიშამ“ ვერ გამიძლო. დიანა“.

„მარი, იმედია, ამ მესიჯს დამიბეჭდავ. 2 მესიჯი გამოვგზავნე, მაგრამ გზაში დაიკარგა. ალბათ მისამართი კარგად ვერ მივასწავლე. მინდა, მარტყოფელ თათკას ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება“.

„ეჰ, მიზანს კი მივაღწიე და სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, მაგრამ ახლა ქიმიაში ქულებს ვერ ვაგროვებ და თუ კათედრის გამგემ მოწყალე თვალით არ გადმომხედა, ზარ-ზეიმით ჩარიცხული სტუდენტი, შესაძლოა, ასევე ზარ-ზეიმით „უკან გამომრიცხონ“. ისე, ღირსი ვარ. ძალიან ვიზარმაცე. ოჰ, ვინ მოიგონა ეს 51%-იანი ბარიერი?“

„მე და ლენას დიდი ხანია გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ერთხელ ვიღაც გამოჩნდა და ლენას თავი შეაყვარა. ყველაფერი ვიღონე სიყვარულის გადასარჩენად, ერთხელ ოთახშიც კი გამოვკეტე, მაგრამ ფანჯრიდან გადაძვრა და გაიპარა. შმაგი“.

ჰედლაინები

„მარი, მომე მაიას ნომერი რა, კაცი არა ხარ? გული მიმდის მოლოდინით. მარტოხელა“.

„გამარჯობა ყველას! ინსტიტუტში ერთი ბიჭი მომწონდა. დიდი არაფერი, მაგრამ სულ არარაობას ჯობდა“.

„მინდა ჭია ვიყო და მაკარონში ვცხოვრობდე. იქ თბილა და საჭმელიც არ მომაკლდებოდა“.

ვიდრე მომდევნო კვირის თემას გეტყოდეთ, მინდა, ერთი საყურადღებო მესიჯი გაგაცნოთ.

„ეჰ, მარი, მარი, შენც ხარ, რა! უკვე ნერვებს მიშლი. გიგზავნი და გიგზავნი მესიჯებს, მაგრამ რა?! გეფიცები, უკვე გადავწყვიტე და შენი „ოპოზიცია“ ანუ შალვა ნათელაშვილის ვარიანტი ვხდები. ხალხო, შემომიერთდით! მარის „მესიჯების რევოლუცია“ მოვუწყოთ და გადავაყენოთ, ეს დიქტატორი!“

სიმართლე რომ გითხრათ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ვინმე დიქტატორს მიწოდებდა და ჩემს გადაყენებას მოინდომებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. მე კი იმედი მაქვს, გავიმარჯვებ, რადგან „მძიმე არტილერია“ — სვანების სახით და „საგზავნილებო“ უმრავლესობა — კმაყოფილი მკითხველების სახით ჩემკენაა და ოპოზიციის მიერ ნასროლი თეთრი ხელთათმანი ვერაფერს დაგვაკლებს. თანაც, მომდევნო ნომრის თემა ისეთია, რომ ვის ეცლება საოპოზიციოდ? მაშ ასე, მომდევნო „გზავნილების“ თემაა — უპასუხო კითხვები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8 (77) 45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com მიამბეთ, რა დარჩა თქვენთვის ბურუსით მოცული და რის პასუხს ელით დღემდე? ასევე, შეგიძლიათ, გაუგზავნოთ ნატვრები თქვენს ახლობელ ადამიანებს. იქნებ, „გზავნილებში“ დაბეჭდილი ნატვრა წაიკითხონ და სურვილი გაუჩნდეთ, რომ ოცნება აგისრულონ? შობა-ახალი წელი ხომ კარზეა მომდგარი და როგორც ამბობენ, ყველაზე მეტი ნატვრა სწორედ ამ დროს ახდება ხოლმე. გისურვებთ წარმატებებს! მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

„ამდენ კოცნას გაუძლებ?“

თქვენგან რამდენიმე სასაყვედურო მესიჯი მივიღე იმის თაობაზე, რომ ფასიანი SMS-ი არ გამოვაქვეყნე. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი ტექსტი (გარდა უცენზურო და შეურაცხმყოფელი შინაარსის ტექსტისა), აუცილებლად გამოქვეყნდება. „გზავნილებისგან“ განსხვავებით, ამ რუბრიკაში ყველა მესიჯი დაიბეჭდ-ება. უბრალოდ, ყურადღებით უნდა წაიკითხოთ გამოგზავნის წესი. მობილური ტელეფონის „ესემეს“ ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა „გზა“, შემდეგ გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ სასურველი ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ მესიჯი გაცილებით დიდია, ის შუაზე წყდება და ხშირად, აზრის გამოტანა შეუძლებელია. თუ თქვენ გაცილებით დიდი ტექსტის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

ვეძებ დათო კოდალაშვილს, იგივე, „წოპეს“. მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება და უკვე 5 წელია ვეძებ. ალბათ ემახსოვრება, ხელი რომ ჰქონდა თაბაშირში, სად იყო მაშინ დასასვენებლად და ისიც ემახსოვრება, იქ რომ გოგონები გაიცნო. ერთ-ერთი მათგანი ვარ. დათო, გთხოვ, დამირეკე, ნომერი მარისთანაა. „პატარა“.

გთხოვთ, გიგა ჯიქიას მოძებნაში დამეხმაროთ. 3 წლის წინ ერთად ვიყავით შვეიცარიაში. ჩვენ საქართველოში დავბრუნდით, ის კი გერმანიაში გაემგზავრა.

მინდა, გავიცნო ქართველი მეგობარი გოგო. შეგიძლიათ, ეს ნომერი გამოაქვეყნოთ. ვარ სალონიკში. გამომეხმაურონ 19-21 წლის გოგონები. 30.69.92.59.38.30.

მე თეონა ვარ და ათენიდან გიმესიჯებთ. ვარ 24 წლის. მინდა, წესიერი და პატიოსანი ბიჭი გავიცნო (ვისაც აქ წამოსვლის სურვილი ექნება).

ვარ 32 წლის. აქ ჩემზე რაც უნდა დავწერო, მაინც არავინ დაიჯერებს. თუ კარგი, თბილისელი გოგონა გამომეხმაურება, რომლის გარეგნობა და ცხოვრების სტილი ჩემს გემოვნებაში ჩაჯდება, ვფიქრობ, არ ინანებს. „321“.

ჯინა, გილოცავ ოქროს დაბადების დღეს. 20 დეკემბერს 20 წლის ხდები. შორს მყოფი დედა და მამა. საბერძნეთი.

პოეტობის ნიჭის ნატამალიც არ გაგაჩნია, „ჯიგარო გოგო“. შენი საქმე ასეა: მინდა, ვიყო პოეტი! არ გაგიგია? — არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო? ეს რომ გაგეგო, არც თავს შეიწუხებდი და არც ამდენ ხალხს შეაწუხებდი.

7თვის გათხოვილ და ფეხმძიმე გოგონას ჩემი ნომერი მიეცით...

ქეთი-19, სიამოვნებით გაგიცნობ, გოჩა.

დამეხმარეთ ერთი ადამიანის პოვნაში. ვეძებ ნუგზარ ვლადიმერს ძე გოცირიძეს. თუ ვინმე იცნობს, შემეხმიანეთ.

იყო დრო — ვუყვარდი, იყო დრო — მიყვარდა! ისე, რომ ოჯახიც კი შევქმენით, რომელიც 2 წლის წინ დაინგრა. იყო და არა იყო რა... ახლა ჩემი შვილი მილამაზებს ცხოვრებას. თათა.

„პრივეტ“. მარი, მიეცი ჩემი ნომერი ყველას, ვისაც ჩემთან დაკავშირება უნდა და ჩემი გაცნობის სურვილი ექნება. გელი, მშვენიერო! შუმახერა.

გაუმარჯოს ყველას! ნახეთ, რა მაგარი სიყვარულისა და გაცნობის ტალღა აგორდა მესიჯების მეშვეობით! აი, ეგ მომწონს! ასე გააგრძელეთ, გაიხარეთ! სვანუკა.

გინდა, ვიმეგობროთ? იდეალური არაფერი მხიბლავს. ნუ შეეცდები, შენი პოზიტივები დამანახვო. იყავი ბუნებრივი და გამილიმე. 25 წლის ვარ. შემოიარე ჩემს სამყაროში. თამუნა.

ვეხმაურები ქეთი-19-ს. იქნებ, ჩემში პოვო ის მეგობარი, რომელიც ცხოვრებას გაგილამაზებს? თუ გული ჩემკენ გამოგიწევს, შემეხმიანე. მოუთმენლად გელი.

„არაადამიანო“, ვინ ხარ? დამაბნიე. ეგ სიტუაცია არ მეცნობა, არავის გავუმწარებივარ. ჩემი ნომერი მარის გამოართვი და ამიხსენი, ვინ ხარ. „პრინცესა“.

ცდუნებას ვერ გავუძელი და ახლა გიმესიჯებთ. მარი, მაგრად გავბრაზდები, თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებ. „ბერი“.

მაპატიე, რომ შეგიყვარე მარტო, ეული/ მაპატიე, რომ გიწოდე ჩემი რჩეული. თიკუნია.

ვეხმაურები მამაკაცს, რომელიც არის 33/172/78, მახო, მსურს გაგიცნო. ვარ 32/160/50, სიმპათიური ნატალი.

ვეხმაურები 33 წლის მახოს. მარი, მომწერე მისი ნომერი. ნატალი.

პირველად ვამესიჯებ. მინდა, ვიპოვო ბიჭი, ვინც შეძლებს, გიჟური და თბილი სიყვარული მაჩუქოს. თუ შენი თავის იმედი გაქვს, გელი. ნომერი მარისთანაა. „გადარეული-17“.

ლამაზებო, კოპწიებო, პაწაწინა ფისოებო, იცით, ბიჭები გოგოში რას ვეძებთ და რა გვიზიდავს? — აქტიურობა, უღალატო გული და სექსუალურობა. მე პირადად ასე ვარ. „ბაჩ-ესემესკა“.

პრინცეს! პრინცეს! პრინცეს! პრინცეეეს! არ გესმის ჩემი, ხომ? მაშ, გაგიცნობ, თუ გესმის ჩემი. „ბაჩ-ესემესკა“.

ვეხმაურები ყველა ლამაზ მანდილოსანს, ვისაც უყვარს ღამის ქალაქი და ღამის ქალაქში მანქანით სეირნობა, რალი და გართობა. მსურველები გამომეხმაურეთ.

მარი, ახლა მოვედი „მუღამზე“. მაგრად მომინდა ოცნების გოგოს გაცნობა. ლევანიკო. თუ ვინმეს სურვილი ექნება, აქ ვარ, რა!

ლამაზმა გოგონებმა დამიმესიჯეთ. მიყვარს ქალები და რა ვქნა? იკა.

მე ის „ჩვეულებრივი გოგო“ ვარ, „გზის“ ბოლო ნომერში ლექსი რომ მომიძღვნეს. ნუ მოვკლავთ მაგ კაცს ლოდინით, მომეცი მისი ნომერი, გთხოოო

ეჰ, ვინ გაუგებს ცხოვრებას,/ პარადოქსია წამლები,/ როდის მოგცემს და წაგართმევს,/ არავინ არის გამგები. „სტიქია“.

მინდა ვუთხრა კრიტიკოსებს,/ კაცია და გუნებაო,/ უკან დაგხევთ ცხოვრებაში,/ ფეხის გადაბრუნებაო. „სტიქია“.

გამოცანა: მოვალეობა თვალის და პირის,/ ვიღაცა ყვირის, ვიღაცა ტირის,/ მათ არ იციან ამაგი ვირის,/ აღარ აწუხებთ ვარამი ჭირის. ვისზეა საუბარი? „სტიქია“.

ახლა, როცა ამ მესიჯს გწერთ,/ შუაღამე ფერმკრთალდება,/ „გზავნილების“ გადამკიდეს,/ ღამე თავზე მათენდება. მარი, გაიხარე, ლექსები რომ დამიბეჭდე. „ბერი“.

წარღვნა დაიწყო, ატყდა ქაოსი,/ კიდობანია თქვენი სამოსი,/ თუ მინდა, ცეცხლად გამოვალ,/ ვეღარ გიშველით მაშველი,/ ისე დაგწვავთ და დაგადნობთ,/ აღარ გექნებათ საშველი. „წარღვნა“.

ვარ მხიარული, თაფლისფერთვალება გოგო. გავიცნობ 16-17 წლის ბიჭს. ჯერ სიყვარული არ მწვევია. ჩემი ნომერი კარგ ბიჭს მიეცით.

გამარჯობა. ვარ 37 წლის. მოდით, ვიმესიჯოთ, ოღონდ, ჩემზე უმცროსები ანუ ბავშვები ნუ შეწუხდებიან. „ზრდილობიანი გოგო“.

გამარჯობა, მე კახა ვარ, 20 წლის. მიყვარს მშვიდი და თავდაჯერებული მანდილოსნები. აუცილებელია, იყოს მომხიბვლელი და ინტელექტუალური. მინდა, გამომეხმაურო.

ვეხმაურები „პუსკას“, რომელიც ეძებს 27-33 წლის მამაკაცს. გამომეხმაურე, არ ინანებ, ვარ 29 წლის. „უცნობი“.

სიყვარულისთვის დაბადებული,/ ალბათ გიჟი ვარ, ამ საგიჟეთში,/ მე უშენობა ძალიან მიჭირს...

ვარ 25 წლის, შავგვრემანი, 178 სმ სიმაღლის მამაკაცი (ვმუშაობ). სამეგობროდ გავიცნობ 20-25 წლამდე მხიარულ და მოსიყვარულე მანდილოსანს. „ზიკო“.

ტელეფონით გავიცანი გურამ თავართქილაძე. შეხვედრაზე შევთანხმდით. მე შორიდან დავინახე, მას კი არ დავუნახავვარ. ახლა ისევ ვმესიჯობთ. მაპატია, შევეჩვიე. „ნებიერა“.

ვიღაცა გვანცა კანდელაკს ეძებს, გოთუაზე. ჩემი ძმა, ის გოგო ძმაკაცის დაიკოა. ასე ძალიან თუ გიყვარს, მოდი გოთუაზე და გაგიცნობთ. „მონასტრის ბიჭი“.

ეჰ, მარი, ეს რა დამემართა? „დათო-27“-მა იმ დროს დამირეკა, როცა ქმარი გვერდით მყავდა. სხვაგან მოხვდითმეთქი — ვუთხარი. ისე დავიბენი, დამავიწყდა, რომ ქმარმა ქართული არ იცის. ანი.

„სტიქია“, მაგარი ხარ, მაგრამ ყველა მიყვარხართ. „ხევსური“.

სიგიჟემდე მიყვარს ერთი კაცი. მართლა კაცი, ჩემი სიცოცხლე. რომ შემეძლოს, მთელ სამყაროს ფერხთით გავუგებდი. ამ კაცსაც ვუყვარვარ. მეტი რაღაა, ბედნიერება?

ვეხმაურები „მისის რაულს“. მეც „რეალის“ გადარეული ფანი ვარ და შენი გაცნობა მომინდა. თუ შენც გაქვს სურვილი, ჩემი ნომერი მარის გამოართვი. გიო.

გამარჯობა. ვეხმაურები მახოს. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი და თუ ღმერთის ნება იქნება, მართლა შევქმნით სიყვარულით სავსე ოჯახს. ვარ 30/167/62. მაიკო.

ახლანდელი ბიჭები, შეხეთ, რასა შვრებიან,/ გახეხილი ჯინსებითა, რესტორანში შედიან.

აბა, ვინ გამიცნობს?

ვეხმაურები ქეთი-19-ს. ვარ 25 წლის გიო. მარი, მიეცი ჩემი ნომერი.

„სტიქია“, მაგარი კაცი ხარ. გკოცნით ყველას, ნანუკა.

ვიცოდი, მჯეროდა, არ შემიყვარებდი,/ ვიცოდი, ეს გრძნობა დაღუპვას მიქადდა,/ ცხოვრების თანამგზავრს მაინც არ ვეძებდი,/ რადგან გულს შენს მეტი არავინ უყვარდა.

მარი, გამარჯობა. მშვენიერი სიახლეა, მოწყენილობის საშველად. მადლობელი დაგრჩები, „პუსკას“, „ნინუცა-22“-ის და „ქეთი-19“-ის ნომერს თუ მომცემ.

ვეხმაურები „პუსკას“. ვარ 28 წლის, უცოლო. ჩემი ნომერი მარისთან არის. ველი თქვენს გამოხმაურებას. პატივისცემით, მუდამ თქვენი ჯაბა.

გწერთ ჩემს მეგობარზე, მისივე მობილურიდან. ის არის 36 წლის, შესანიშნავი გარეგნობის, საქმიანი გოგონა. მინდა, ვინმემ იპოვოს (რომ გამიგოს, მომკლავს). მარი, თუ ვინმე დაინტერესდება, მიეცი ეს ნომერი, იქნებ, ბედი გაეხსნას. წარმატებას გისურვებთ!

დაჩოქება ხომ ცოდვილთათვის მოუგონიათ,/ მუხლზე დაცემით ყველას ცოდვა ეპატიება,/ თუ სიყვარული სამოთხეში ცოდვად ითვლება,/ მეც ცოდვილი ვარ, მაპატიეთ, დამიჩოქია.

არასოდეს მქონია სურვილი, რომ თქვენთვის მომეწერა. რატომ? იმიტომ, რომ შეყვარებული მყავდა და ბედნიერი ვიყავი. ახლა? ახლა კი უბედური ვარ.

ვარ 30/190, სიმპათიური, მხიარული, ერთი სიტყვით, კარგი ტიპი. მყავს ოჯახი, მაგრამ მინდა, მყავდეს მეგობარი, რომელიც გამიგებს და შემიყვარებს.

აი, ასეთი, როგორიც მე ვარ/ მხოლოდ ერთია და ისიც მე ვარ/ ცუდი არა, უფრო კარგი ვარ... არ გინდათ, გამიცნოთ? სოფო.

შენ წახვალ ჩემგან და მერე, ჩუმად იტირებს გული,/ ნუთუ, უშენოდ ისევ მოვა ეს გაზაფხული? ეძღვნება ჩემს აუხდენელ სიყვარულს, მაქსიმას, ნახალოვკაში. ნ.

მიყვარხარ, მაგრამ ჩუ, ჩუ, არ თქვა/ გულში დამალე და არსად გამოქვა/ მიყვარხარ ძლიერ, ჩურჩულით გეტყვი/ ამ სიყვარულზე უარს ნუ მეტყვი. რატომ ვარ ასეთი უბედური?

10. 1000. 100000. 1000000 ამდენ კოცნას გაუძლებ? ეძღვნება 15 წლის თამთას. გამეცნობი? იქნებ, შევეწყოთ ერთმანეთს.

ვეხმაურები მაკოს (მაგრამ მე რა ვქნა?). მაკო, თუ ჩემი გაცნობის სურვილი გაქვს, მომწერე. დანარჩენს მერე გეტყვი. პაატა.

ქვეყნად ვერაფრის დანახვას შეძლებ,/ თუ სიყვარულის არა გაქვს ნიჭი,/ ამ სიჩუმეში ვოცნებობ შენზე,/ რადგან უშენოდ გაძლება მიჭირს./ მოგესალმებით, ჩემო კარგებო... რამე რომ გისურვოთ,/ იქნებ, თქვენ სულ არ გსურდეთ,/ მე გისურვებთ, რაც კი გსურდეთ,/ ყველაფერი აგისრულდეთ. თქვენი შავგვრემანი „ფერია“.

ვარ 16 წლის ბიჭი. მინდა, შენი გაცნობა. მგონი, გამოვნახავთ საერთო ენას და ერთმანეთს გავუგებთ. ვეხმაურები 15 წლის გოგოს.

მომწყინდა ერთფეროვანი ცხოვრება. სულში საშინელ ტკივილს ვგრძნობ. მინდა, კიდევ შევძლო ვინმეს შეყვარება, მაგრამ არ გამომდის. მიშველეთ! ლილუ.

მოდით, მაჩუქეთ თქვენი თვალები,/ გულს უთქვენობით ნუ დამიტანჯავთ,/ თუ სადმე წრფელი გული არსებობს,/ სწორედ იმ გულით, მე თქვენ მიყვარხართ. „პრინცესა“.

ვეხმაურები გოგოს, რომელსაც ქერა და ცისფერთვალება ბიჭის გაცნობა უნდა. ვარ 34 წლის, სამხედრო. ბაჩო. დამიკავშირდი, ლამაზო.

თქვენთან პირველად ვამესიჯებ. ვარ 22 წლის, მაღალი, დაკუნთული ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. „ტაისონა“.

ვარ კარგი იუმორის მქონე, მაღალი, შავგვრემანი, სუსტი, 184 სმ სიმაღლის. გამომეხმაურეთ.

„მისის რაულ“, „მისტერ გონსალესის“ გაცნობა არ გინდა? წლოვანებას თუ მეტყვი, კარგს იზამ.

გამარჯობააა! ხალხო, არსებობს ქვეყანაზე ადამიანი, რომელიც არ იტყუება? მე ჯერ ასეთი ადამიანი არ შემხვედრია. თუ თქვენ სხვანაირად ფიქრობთ, შემეხმიანეთ.

მინდა, ჩემს შეყვარებულს მივულოცო დაბადების დღე და მომავალი ახალი წელი. მიყვარხარ, ჩემო სუნთქვავ და ვნებავ. უშენოდ ვერ გავძლებ. გკოცნი იმდენს, რომ ლოყები გაგიწითლდეს. გიოლიკუნა.

მე არ ვარ ევა, მაგრამ ვარ ქალი,/ შენს თვალში ალბათ, ესეც ნაკლია,/ გაჩენის დღიდან მაქვს შენი ვალი,/ შენ ხომ ჩემ გამო, ნეკნი გაკლია. ნინუცა.

მარი, მიყვარხარ!

ბაჩო, მე ის გოგო ვარ, რომ მოგწერე, „ესემეს“-მეგობარი მჭირდება-მეთქი. ძალიან გამიხარდება, თუ მომწერ. შენი გაცნობა იმიტომ მინდა, რომ გული გადაგიშალო. „უიღბლო“.

მოვალ, მოგიტან სითბოს კონებად,/ დაგვრჩება ორივეს მოსაგონებლად,/ მოვალ და ბინას შენთან დავიდებ,/ თუ კი გამიგებ, თუ კი გამიგებ... 19 წლის „მონატრებული ფერია“.

ალბათ გავგიჟდები, „კასრო“ რომ მართლა წავიდეს საქართველოდან. მიყვარს სიგიჟემდე. მის გარეშე როგორ უნდა გავძლო, არ ვიცი. მიყვარხარ! თეუშკი.

ახლა კი იმის შესახებ, როგორ უნდა გაიგოთ იმ ადამიანის ტელეფონის ნომერი, რომელთანაც დაკონტაქტება გსურთ: უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61, მითხრათ მისი სახელი და ჩაიწეროთ სასურველი ნომერი (სამწუხაროდ, მესიჯს ვერ გამოგიგზავნით). გისურვებთ წარმატებას! ნახვამდის.

ბროწეული მინანქარში — რობერტ სტურუას

სერგო ფარაჯანოვის სახელობის საერთაშორისო ფონდმა „თბილისი და ფარაჯანოვი“, გასულ კვირას, რუსთაველის თეატრში დიდი ღონისძიება მოაწყო, რომელზეც „სერგო ფარაჯანოვის სახელობის საერთაშორისო პრიზით“ რეჟისორი რობერტ სტურუა და თეატრის მხატვარი — გოგი ალექსი-მესხიშვილი დააჯილდოეს. ისინი ბატონ სერგოს ახლოს იცნობდნენ, მასთან მეგობრობდნენ. ცნობილია, რომ კინოხელოვნებაში ფარაჯანოვი მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ, მისი ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება ქალაქ თბილისს. ჰოდა, 1996 წელს დაარსებული ფონდი, როგორც მისი პრეზიდენტი, მანანა ჭყონია აღნიშნავს, ფარაჯანოვის შემოქმედების პოპულარიზაციასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მის გატანას ემსახურება.

რობერტ სტურუა:

— ჩემთვის ფარაჯანოვი ძვირფასი ხელოვანია, ის დიდებული ადამიანი გახლდათ. სერგო დედაჩემთან ერთად სკოლაში, ხოლო მამიდაჩემთან ერთად (რომელიც კიევში იყო გათხოვილი), თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა. მას ხშირად ვხვდებოდი როგორც თბილისში, ასევე, კიევშიც. მისი სახელობის ჯილდო კიდევ ერთი რელიკვიაა იმ ძველი თბილისისა, რომელიც ნელ-ნელა ქრება. თბილისში დავიბადე, დედა სოლოლაკელი იყო, ამიტომ ნამდვილი ძველი თბილისი ჩემთვის ნაცნობია. სხვათა შორის, ახლაც ძველ თბილისში ვცხოვრობ და ვხედავ, რომ მისი იერი თანდათანობით ქრება, რასაც ძალიან განვიცდი. ამ ჯილდოს, იმ რელიკვიებს შორის შევინახავ, რომელთაც სათუთად ვინახავ, რადგან მინდა, მან ჩემი საყვარელი ქალაქის ძველი ხიბლი გამახსენოს ხოლმე.

ფონდს — „თბილისი და ფარაჯანოვი“ გადაწყვეტილი აქვს, რომ პრიზით, რომელიც მომინანქრებული ბროწეულია, ქართველი შემოქმედები პერიოდულად დაჯილდოოს. ■

განათლების რეფორმა — გოგა ჩანადირის თვალით...

ის, რომ გოგა ჩანადირმა, როგორც ფოტოხელოვანმა საზოგადოებაში უკვე დამკვიდრა სახელი, ცნობილი ფაქტია. ხელოვანი გამუდმებით აწყობს გამოფენებს და დამთვალიერებლებს ყოველთვის საინტერესო ნამუშევრებს აწვდის. გოგას აქვს თავისებური ხედვა და მასშტაბურად აზროვნებს. ამჯერად, მის ფოტოებს გალერეა „უნივერსმა“ უმასპინძლა. ამ გამოფენას ავტორმა „ახალი ფერები განათლებაში“ — უწოდა. წარმოდგენილი იყო მისი რამდენიმე თვის ნამუშევარი. ეს პირველი მცდელობაა იმისა, რომ ფოტოგრაფის მიერ ყოფილიყო აღქმული და დანახული განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები, რეფორმა. გოგას, საქართველოს მასშტაბით ასობით სკოლა აქვს მოვლილი. „ყოველ ფოტოს თავისი ისტორია და ყველა პერსონაჟს თავისი სათქმელი აქვს. ფოტომინაწერები კადრებთან ერთად დაიბადა. 200-მდე ფოტოდან, მხოლოდ 50 გამოვიტანე. აქ ყველაზე ლამაზი პერსონაჟები, მაინც ბავშვები არიან. ამ გამოფენას სწორედ მათ ვუძღვნი“, — ამბობს გოგა ჩანადირი.

გალერეაში უამრავი ადამიანი მოვიდა, მათ შორის, განათლების მინისტრი, კახა ლომაია, რომელიც გოგასთან ერთად, ამ ყველაფრის თანაორგანიზატორიც იყო. ■

დათო გომართელი ამპლუას იცვლის

17 დეკემბრს, ბარბარობას, „სითი ქლაბში“ მისულ სტუმრებს უჩვეულო სანახაობაზე მოუწიათ დასწრება. მათ დათო გომართელი არა მარტო მომღერლის, არამედ დიჯეის ამპლუაშიც იხილეს. დათო ამისთვის ორი დღის განმავლობაში ემზადებოდა, კონსულტაციები დიჯეებთან გაიარა, შესაბამისი სამოსითაც შეიმოსა — სპორტულ-თავისუფალ სტილში, გულზე ზვიგენის კბილი დაიკიდა, მხარზე ზურგჩანთა მოიკიდა და „სითი ქლაბს“ ეწვია. მან თავისი გემოვნებით შერჩეული მუსიკალური ნამუშევრების მიქსი მოასმენინა დამსწრეთ, რომელთა შორის, პოლიტიკოსებიც იყვნენ: მარიკა ვერულაშვილი და გია ცაგარეიშვილი. დათომ დიჯეის როლი ისე გაითავისა, რომ ცოტა ხანში, შეიძლება, ამ სფეროში გადაინაცვლოს. სულ ბოლოს, სიმღერას მაინც ვერ უღალატა და რამდენიმე მისი ცნობილი ჰიტიც ააჟღერა. მან იქ მყოფებს ერთი ძველი ტრადიციაც შეახსენა, რომელიც ბარბარობის დღესასწაულს უკავშირდება და ბარბარობის ღამეს, წვეულების გასათხოვარი ორგანიზატორები — თაკო და ნინა ახალი ცოცხებით დაასაჩუქრა — იქნებ, 2007 წელს მაინც გათხოვდნენო. ■

იტალიური ჭალები და ავეჯი ქართველი VIP მომხმარებლებისთვისაა

კომპანია GFM-მა თბილისელები ავეჯის სალონის — „არედოლუჩეს“ პრეზენტაციაზე მიიწვია. „არედოლუჩე“ იტალიაში ცნობილი ჭაღების მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ავეჯის მწარმოებელ კომპანიებთან, ქარხნებთან. მას მარტო ვიწრო ინტერესები არ აქვს და თავის ფირმაში დიზაინსტუდიებს, სამშენებლო კომპანიებს აერთიანებს. „არედოლუჩეს“ სალონი საქართველოში სწორედ 16 დეკემბერს გაიხსნა, პრეზენტაციაზე ქართველებს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი იტალიიდან ეწვია... ჩვენთან „არედოლუჩეს“ ანა გურაშვილი ხელმძღვანელობს, რომელიც ქართველებს ჰპირდება, რომ მათ მაღაზია-სალონში იტალიელი დიზაინერიც იმუშავებს და ნებისმიერ მსურველს ბინის ორიგინალურ დიზაინს შესთავაზებს. მათ იქვე შეეძლებათ შეიძინონ საოჯახო, საოფისე ავეჯი და სხვადასხვა საჭირო ნივთი. ყველაფერი მაინც VIP მომხმარებელზეა გათვლილი... პრეზენტაციაზე გათამაშდა რამდენიმე პრიზი და ის ოთხ ადამიანს ერგო: სვაროვსკის თვლებით გაწყობილი ჭაღი, ორი ბარ-გლობუსი და სამშვენისი. სალონის პირველი კლიენტიც, რომელმაც რაღაც ნივთი შეიძინა, სპეციალური პრიზით დაჯილდოდეს. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: მზია თოთლაძე, აჩიკო მეფარიძე, მარინა სალუქვაძე. უკრავდა კაკო ვაშალომიძის ჯაზბენდი და ცეკვავდა პანტომიმის თეატრის მსახიობი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ა-ლა-ფურშეტით დასრულდა და ბოლოს, ტორტიც გაიჭრა.

Wreli kiTxvebi

მიშა მესხი: „თუ ვინმემ შემაგინა, თავ-ყბას დავუნგრევ...“

— როგორ ხარ?

— ახლა მეგობრებთან ერთად ვარ და თავს კარგად ვგრძნობ. ისე, „გლობალურად“ რომ ვთქვა, როგორც ჩემი სამშობლოა, მეც ისე ვარ, რა!

— თუ იცი, რა ხდება ვაკეში ანუ შენს უბანში?

— მგონი, ყველაფერი ნორმალურად არის.

— ყოველთვის იცი, რა ხდება შენს უბანში? აკონტროლებ სიტუაციას?

— ხან — კი, ხან — არა. საერთოდ, ცნობისმოყვარე ტიპი არ ვარ, რომ მაინცდამაინც ვინტერესდებოდე რაღაც-რაღაცებით.

— ქუჩაში, ბირჟაზე დგომას რაიმე დადებითი თუ აქვს?

— მგონი, არაფერს იძლევა. ისე, ბავშვობაში ქუჩაში დგომის ეტაპი თითქმის ყველა ბიჭს აქვს გავლილი და მათ შორის, მეც. ცხოვრებაში მგლური წესები მოქმედებს, ამიტომ საჭიროა, რომ რაღაც-რაღაცები ერთმანეთისგან გაარჩიო და მგლური წესებისგან თავი დაიცვა. ქუჩა გეხმარება თეთრისა და შავის ერთმანეთისგან გარჩევაში. ცხოვრებას სწავლობ, რა!

— შენ მგლური წესებით არ ცხოვრობ?

— არა, უაზრობაა. ერთმანეთი გვიყვარდეს, ამას რა სჯობია?!

— სახელი „მიშა“ შენთვის კომფორტულია?

— სახელი „მიშა“ ჩემთვის ყველაფერია. თან, ბევრ კარგ ადამიანს ჰქვია ეს სახელი. ამასთან, ჩემს წინაპრებს — მამას, ბაბუას ერქვათ, მაგარი სახელია. სახლში უფრო, მიხოს მეძახიან, ხან — მიშას, რადგან მამაჩემს მიშიკოთი მიმართავდნენ.

— სადაური ხარ?

— ქართველი, მაგრამ სოფელი არსად მაქვს. როგორც ქართველს, პირში თქმა მიყვარს. ამან ბევრი უსიამოვნება მომიტანა...

— თავგადასავლებიც გიყვარს?

— მაგრად. ისეთი ტიპი ვარ, რომ სულ რაღაცას „ვეჯახები“ ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხოეთში მივდივარ.

— ერთ-ერთ სამშენებლო ფირმას ხშირად რეკლამას უკეთებ. ბუნებით მშენებელი ხარ?

— (*იცინის*) არა, მშენებელი არა ვარ. ბავშვობაში ქვიშისგან გვირაბები გამყავდა, რაღაცებს ვჩალიჩობდი და ეგ არის, რა...

— ბურთს ფეხი პირველად როდის დაარტყი?

— დარტყმის რა გითხრა და სერიოზულად თამაში 14 წლის ასაკში დავიწყე.

— არ გიფიქრია იმაზე, ბურთი ოთხკუთხედი რომ ყოფილიყო?

— მაშინ „კუბიკის“ ფორმის იქნებოდა და ვეღარ გაგორდებოდა.

— რატომ წვიმს?

— იმიტომ, რომ ღმერთის ნებაა. ასეა ქვეყანა მოწყობილი. ისე, იმიტომ წვიმს, რომ ქრის... როგორი პასუხია?

— მაგარი. შენ ისიც გეცოდინება, თოვლი რა ფერისაა?

— ხან — როგორი, ხან — როგორი, თუ სველია, მაშინ... ჰოოო (*იცინის*).

— ზამთარში საზამთრო „ასწორებს“?

— თუ მისაწვდომია — კი, ისე, „ორბიტი“ საზამთროს გემოთი უფრო „ასწორებს“.

— ზაფხულში რა „ასწორებს?“

— ჩაქაფული...

— ცხვრის ხორცის თუ ხბოსი?

— პატარა ბატკნის.

— უცნობი კლიპში აღარ გიღებს?

— ამ თემაზე არ გვისაუბრია. ისე, დღეს ვიყავი რადიო „უცნობში“ და მე, ლევანმა (დობორჯგინიძე), თაკომ და ნინომ ერთად ჩავწერეთ სიმღერა.

— მსახიობობით ოცნება აიხდინე?

— აბსოლუტურად დავკმაყოფილდი. ბავშვობის ოცნება ამიხდა — კინოში გადამიღეს.

— ბილწსიტყვაობას წონასწორობიდან გამოჰყავხარ?

— თუ ვინმემ შემაგინა, თავ-ყბას დავუნგრევ. ისე, გააჩნია, ვინ შემაგინებს. თუ უცნობი ადამიანია, არ დავინდობ!

— აბა, რამე სტრიქონი წაგვიკითხე ლექსიდან?

— „საქართველოში იბადებოდნენ და მერე მუდამ წუხდნენ ამაზე, ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს, ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“.

— თუ გახსოვს, ვისი ლექსია?

— ლადო ასათიანის.

— ყოჩაღ! სულ ბოლოს, რას გვეტყვი?

— ახალი წელი მოდის, ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელობა მინდა ყველას გისურვოთ, საქართველოს კი — წინსვლა და წარმატებები. ღმერთი გვფარავდეს!

— ამინ!

ბარბარობის დღესასწაულზე თათა ვარდანაშვილს ჩვენება დაებედა

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, პარფიუმერიულმა ფირმა „ორიფლეიმ ჯორჯიამ“ ქართველი საზოგადოება თავის 6 წლის იუბილეზე მიიწვია, სადაც წარმოდგენილი იყო ახალი კოსმეტიკური სერია და დიზაინერ თათა ვარდანაშვილის

საღამოს სტუმარი გიული ალასანია

საახალწლო კოლექცია. მათ ერთობლივი ღონისძიება წინასაახალწლოდ მოაწყვეს და ბარბარობის დღესასწაულს დაამთხვიეს. სასტუმროში მისულ სტუმრებს „ორიფლეიმის“ პროდუქციის გასინჯვის, სხეულზე სახალისო ტატუების გაკეთების და გათამაშების შედეგად, პრიზების მიღების საშუალება ჰქონდათ, რამაც პუბლიკა დიდად გამოაცოცხლა... რაც შეეხება პოდიუმს, იქ დამსწრე საზოგადოებამ მოდელებად ქართველი მსახიობები იხილა: ნანკა კალატოზიშვილი, ეკა ნიჟარაძე, გიორგი ყიფშიძე, მიშა მესხი, ეკა ანდრონიკაშვილი... დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა გარდა იმისა, რომ საკუთარი ახალი ფეხსაცმელების კოლექცია წარმოადგინა, თავადვე იკისრა იმ კოსტიუმების ავტორობა (აქცენტი კორსეტებზე იყო გაკეთებული), რომელიც პოდიუმზე გამოსულ მსახიობებს უნდა ჩაეცვათ (კოსტიუმები ბაკურ ბაკურაძის სალონში შეიკერა). დიზაინერმა სულ 37 წყვილი ფეხსაცმელი წარმოადგინა და მისმა ნამუშევარმა მოწონება დაიმსახურა. ჩვენებაზე ჭარბობდა ოქროსფერი, ამიტომ საღამოს ბრჭყვიალება არ მოჰკლებია. ასე რომ, „ორიფლეიმს“ წელს იუბილის აღნიშვნა, თათა ვარდანაშვილს კი, ჩვენების მოწყობა დაებედა.

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(21- 27 დეკემბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

წლის ბოლოს, მოგეცემათ საშუალება დაასრულოთ ძველი საქმეები, მოაგვაროთ უსიამოვნებები სასამართლო და საგადასახადო უწყებებთან, გაარკვიოთ ურთიერთობები მოწინააღმდეგეებთან და შეურიგდეთ ახლობელ, საყვარელ ადამიანებს.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, აგრეთვე, ახალი საქმიანი პროექტების წამოსაწყებად. კარგია, თუ დასვენების დღეებს მხოლოდ საყვარელ ადამიანს დაუთმობთ.

ᲢᲧᲣᲘ 21.05-21.06

ეს კვირა ხელსაყრელი იქნება ახალი საქმიანობის წამოსაწყებად, სამუშაო ადგილის შესაცვლელად და დამსახურებული ჯილდოს მისაღებად. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, თქვენი ყოველი ჩანაფიქრი ადვილად განხორციელდება.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

თქვენი აქტიურობა მომავალი წარმატების საწინდარია, ამიტომ ნუ დაკმაყოფილდებით მიღწეულით, გააგრძელეთ ხელშეკრულებების დადება, ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი გეგმების განხილვა პარტნიორებთან.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

გარშემო მყოფთა უარყოფითი დამოკიდებულება ვერაფერს გავნებთ. ის კი არადა, გავლენიანი პირების მფარველობით, შეძლებთ ახალი, პერსპექტიული სამსახურის პოვნას, დაწინაურებას და დასახული გეგმების განხორციელებას.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

თქვენ გაგიჩნდებათ ინტერესი საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ, უარს არც გართობაზე იტყვით და გაწყვეტილი კავშირების აღდგენასაც შეეცდებით. ეს დღეები შესანიშნავი იქნება სასიყვარულო ურთიერთობებისა და რომანტიკული შეხვედრებისთვის.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

თქვენ თანაბრად დაუთმობთ დროს სამსახურებრივ მოვალეობებსა და მეგობრულ, თუ სასიყვარულო ურთიერთობებს. შაბათ-კვირა მეგობრებთან გაატარეთ და შეეცადეთ, პრობლემებზე აღარ იფიქროთ.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

თავი შეიკავეთ აქტიური ქმედებებისგან და დიდი სიფრთხილით მოეკიდეთ ნებისმიერ ახალ იდეასა თუ შემოთავაზებას.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲗ 23.11-21.12

ამ პერიოდში დადებული ხელშეკრულებები ძალზე სარფიანი გამოდგება. თამამად შეგიძლიათ დაამყაროთ ახალი საქმიანი ურთიერთობები. კვირის ბოლოს კი, შეეცადეთ, ზედმეტად არ იაქტიუროთ.

ᲗᲔᲗᲘᲡ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

მოვლენების განვითარებას წინასწარ განჭვრეტთ, რის შედეგადაც, გარშემო მყოფებს ფრიად სასარგებლო რჩევებს მისცემთ. თუმცა, თავშეკავება გმართებთ, რათა ახლობლებთან და მეგობრებთან უთანხმოება არ მოგივიდეთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

დროსა და სახსრებს უქმად ნუ დახარჯავთ, რადგან ძალიან მალე, ვითარება შეიცვლება, თქვენ გაუთვალისწინებელ პრობლემას წააწყდებით, რაც მეტწილად, ჯანმრთელობის გაუარესებასთან იქნება დაკავშირებული.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ნუ შეგეშინდებათ ახალი შემოთავაზებების, იმოქმედეთ გაბედულად. ამ კვირას შეძლებთ სოციალური სტატუსის, რეპუტაციის და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



Honda NSX-ის პროტოტიპი

2007 წლის 7 იანვარს, დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე კონცეპტუალური მოდელის — Acura Advanced Sports Car Concept — პრეზენტაცია შედგება. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ის არსებითად, მომავალ სუპერკარ Honda NSX-ის პროტოტიპი იქნება. ამასთან, გამორიცხული არაა, რომ ამერიკაში სწორედ Acura-ს მარკით გაიყიდოს. აღნიშნული კონცეპტის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომავალ ავტომობილს ძარას აგრესიული დიზაინი აქვს. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ის ახალი 10-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი აღიჭურვოს, რომელსაც შემდგომში, სერიულ ვერსია NSX-საც დაურთავენ. სხვა ინფორმაცია ხსენებული კონცეპტუალური მოდელის შესახებ ჯერჯერობით არ ვრცელდება. Honda NSX-ის სერიული ვერსია ბაზარზე 2008 წელს გამოჩნდება. ■

Chevrolet Malibu-ს დაუგეგმავი ინტერნეტპრეზენტაცია

დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონის ორგანიზატორებმა, რომლებიც ღონისძიებას 2007 წლის იანვრის დასაწყისში გახსნიან, თავიანთ საიტზე შემთხვევით, სრულიად ახალი მანქანის — Chevrolet Malibu-ს ფოტოები გამოაქვეყნეს. საიტის ადმინისტრაციამ შეცდომა მალევე გამოასწორა, თუმცა, ერთ-ერთი სურათი მაინც გავრცელდა. ამ ფოტოს მიხედვით, Malibu ახალ მსუბუქ ავტომობილად იქცევა, რომლის დიზაინიც საფირმო სტილშია შესრულებული. ამ მოდელს, კანზასში მდებარე GM-ის ქარხანაში ააწყობენ. მოსამზადებელი სამუშაოები სწორედ ამჟამად სრულდება. სიახლის გაყიდვა 2007 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ■

ალუმინ-პლასტიკატის Rinspeed Exasis



შვეიცარიულმა კომპანიამ — Rinspeed — ახალი კონცეპტუალური ავტომობილის — Exasis-ის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. მისი პრეზენტაცია 2007 წლის გაზაფხულზე ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონზე შედგება. მის განსაკუთრებულ მახასიათებლად მიაჩნიათ ძარა, რომელიც ალუმინის კარკასისა და გამჭვირვალე პლასტიკური მასალისგანაა დამზადებული. Rinspeed Exsasis ორადგილიანი კომპაქტური სპორტკარია, რომელშიც მგზავრი მძღოლის უკან ჯდება. შემქნელთა თქმით, ამ ავტომობილით მგზავრობისას, მომხმარებელს უჩვეულო გარემოს, მანქანის გამჭვირვალე ძირიც შეუქმნის. ამის გამო, მძღოლს ფრენის შეგრძნება გაუჩნდება, — მიიჩნევენ Rinspeed-ის სპეციალისტები. ალუმინისა და პლასტიკის გამოყენების შედეგად, ავტომობილი ძალზე მსუბუქი გამოვიდა — დაახლოებით 750 კგ-ს იწონის. ის ორცილინდრიანი, 0,75 კუბმეტრი მოცულობისა და 150 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე აგრეგატით დაკომპლექტდება. ასეთი ძრავასთვის საწვავად ეთანოლი გამოიყენება, რომელსაც მცენარეული მასის გადამუშავების შედეგად იღებენ. კომპანიის ინჟინერთა გათვლით, Exasis-ის მაქსიმალური სიჩქარე 210 კმ/სთ იქნება, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 4,8 წმ-ში განავითარებს. ■

Mitsubishi Lancer Evolution-ის მეათე თაობა

დეტროიტის საავტომობილო ავტოსალონზე იაპონელები Mitsubishi Lancer Evolution-ის ახალი, რიგით მეათე თაობის სერიულისწინა მოდელს წარმოადგენენ. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, მანქანა ახალი შასის ბაზაზე აიწყობა, რომელსაც Lancer-ის ბოლო თაობას დაესესხა. სავარაუდოდ, ის ახალი 2,4 ლ მოცულობის ძრავათი აღიჭურვება. სხვა ინფორმაციით, მას

Evo IX-ის მოდერნიზებულ, ორლიტრიან აგრეგატს დაუყენებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, აგრეგატის სიმძლავრე 280 ცხ.ძ-მდე იქნება. ახალი Mitsubishi Lancer-ის გაყიდვა 2007 წლის დასასრულსა და 2008 წლის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი. არც ისაა გამორიცხული, რომ მოგვიანებით, ზოგიერთ ბაზარზე, ექსტრემალური ვერსია — Ralliart გამოჩნდეს, რომელსაც გაცილებით ძლიერი ძრავა ექნება. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

სერ ალექსი — უღვთო ტირანი თუ უბრალოდ, საუკეთესო მწვრთნელი?!

მწვრთნელობა სპორტში ერთ-ერთი ურთულესი პროფესიაა, განსაკუთრებით კი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თითოეული არადამაკმაყოფილებლად დასრულებული მატჩი მწვრთნელს შეიძლება, თანამდებობის დატოვების ფასად დაუჯდეს. ამიტომ, იგი ყოველთვის „ნემსებზე ზის“ და თავისი კლუბის ხელმძღვანელობისგან მუდმივად „დარტყმის“ მოლოდინშია.

საფეხბურთო კანონების ცვლილებების დინამიკურობის შედეგად, დღეს მწვრთნელებს გაცილებით უფრო ხშირად ათავისუფლებენ პოსტიდან, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინ. რა თქმა უნდა, წარმატების მიღწევა ფეხბურთის ნებისმიერ სპეციალისტს სურს, მაგრამ ამას ყველა როდი აღწევს. ერთი კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე თუნდაც მხოლოდ 5 წლის განმავლობაში ყოფნა, უკვე დიდი მიღწევაა. აი, ალექს ფერგიუსონი კი, უკვე 20 წელია, რაც მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს უდგას სათავეში. ეს მთელი ეპოქაა, რომლის მანძილზეც, „მანჩესტერ იუნაიტედში“ თითქმის ყველაფერი შეიცვალა. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ „გემის კაპიტანი“! ვინ არის ეს კევიღეჭია, წითელცხვირა შოტლანდიელი, რომელიც წლების განმავლობაში, არა მარტო პოსტის შენარჩუნებას, არამედ დიდი წარმატებების მიღწევასაც ახერხებდა?..

ალექსი რეხვიაშვილი

დღეს პროფესიონალი ფეხბურთელები ფულს ღამისაა, უკვე სკოლის ასაკიდან გამოიმუშავებენ. გასული საუკუნის 50-იან წლებში კი, ბრიტანეთის კუნძულებზე პროფესიონალებად უფრო გვიანდელ ასაკში ყალიბდებოდნენ. გამონაკლისი არც ფერგიუსონი ყოფილა, რომელიც გლაზგოს გარეუბან გოვანაში, პროტესტანტების ოჯახში დაიბადა. 23 წლამდე იგი ფეხბურთს მხოლოდ მოყვარულის რანგში თამაშობდა. ასპარეზობდა ცენტრფორვარდის პოზიციაზე და თავით თამაშით გამოირჩეოდა, გოლები იშვიათად, მაგრამ სტაბილურად გაჰქონდა. მისი მონაცემები „დანფერმლაინის“ სელექციონერებმა შეაფასეს და 1964 წლის აგვისტოში ალექსმა პროფესიონალური ფეხბურთის სამყაროში შეაბიჯა, რომელმაც 35 წლის შემდეგ მას რაინდის ტიტული მოუტანა.

სეზონში ფერგიუსონს 15-20 გოლი გაჰქონდა, რის შედეგადაც მან ძველი ოცნება აისრულა და „რეინჯერსში“ აღმოჩნდა. ამ კლუბის მატჩებს ხომ ბავშვობის ასაკში, „აიბროკსის“ ძველი აგურით ნაშენი კედლებიდან ადევნებდა თვალს. სატრანსფერო თანხა, რომელმაც 65 ათასი გირვანქა სტერლინგი შეადგინა, იმდროინდელი შოტლანდიისთვის სარეკორდო გახლდათ. თუმცა ეს მოთამაშე ალექს ფერგიუსონისთვის პირველი და უკანასკნელი ტრანსფერი აღმოჩნდა. მომავალი უდიდესი მწვრთნელი, დიდი ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა. „რეინჯერსში“ ის ვერ გახდა ძირითადი თავდამსხმელი. მთელი სეზონის განმავლობაში, ალექსს 10-15 გოლი გაჰქონდა, რაც ნამდვილად არ იყო საკმარისი, რადგან იმხანად კარგი ფორვარდისაგან ერთი ჩემპიონატის განმავლობაში, როგორც წესი, საშუალოდ 30 გოლის გატანას მოითხოვდნენ. გადამწყვეტი მომენტი 1969 წელს, შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალური მატჩისას დადგა: ალექსმა ორი სერიოზული საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, რის გამოც იგი „განტევების ვაცად“ აქციეს და „ფოლკირკს“ მიჰყიდეს.

როგორც ფერგიუსონი ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, სწორედ მაშინ გადაწყვიტა მან მწვრთნელობა. მიუხედავად ამისა, კიდევ 5 წლის განმავლობაში რჩებოდა მოთამაშედ, თუმცა პარალელურად სწავლობდა კიდეც. აქტიური სპორტული კარიერის დასრულებისთანავე, მას შოტლანდიის მეორე ლიგის გუნდის, „ისტ სტირლინგშირის“ თავკაცობა მიანდვეს.

„სასწაულები ხდება, მაგრამ არა ჩვენთვის“, — ეს პესიმისტური ფრაზა ფერგიუსონის შესახებ ნამდვილად არ არის ნათქვამი. დიდი ადამიანების ცხოვრებაში ერთი შეხედვით, უჩვეულო მოვლენებს მართლაც აქვს ადგილი. როდესაც გუნდში მწვრთნელი იცვლება, იგი, როგორც წესი, პირველ მატჩებში წარმატებებს აღწევს — ეს ახალი მწვრთნელის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლინებაა, საკუთარი თავის წარმოჩენის, ფეხბურთელებისათვის პროფესიონალიზმის დამტკიცების დიდი სურვილი. მაგრამ რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფერგიუსონის მწვრთნელობით, დებიუტში ყველა კლუბი აგებდა! ასე იყო პირველ გუნდშიც: სატურნირო ცხრილში, ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა გუნდმა, სეზონის მიწურულს ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგო და ლიგიდან გავარდნას გადაურჩა. ამის გამო, ფერგიუსონი „სენტ-მირენში“ მიიწვიეს. დებიუტი ალექსმა ახალ კლუბშიც ჩააგდო, მაგრამ ორი წლის შემდეგ, გუნდი უმაღლეს ეშელონში გადაიყვანა. ამის შემდეგ, შოტლანდიელმა მწვრთნელმა თავისი აუტანელი ხასიათი პირველად გამოავლინა, როდესაც კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოება მოუვიდა. მაშინ ფერგიუსონმა საკუთარი უფლებების გაზრდა მოითხოვა, რისთვისაც ის კლუბიდან საერთოდ დაითხოვეს. მაგრამ უმუშევრად დიდხანს არ დარჩენილა, მასთან კონტრაქტი უმალვე გააფორმა „აბერდინის“ ხელმძღვანელობამ. იმ მომენტიდან დაიწყო კიდეც ალექსის დიდი სამწვრთნელო ერა.

„მთავარია მიზანი, საშუალება მოიძებნება“, — ეს ფერგიუსონის მთავარი სამწვრთნელო პრინციპია. აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი მისი ავტობიოგრაფიიდან: „რატომ ვეპყრობი ყოველ მატჩს ასეთი დიდი ყურადღებით? იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია ერთხელ გამარჯვება. ამის შემდგომ ადვილია ფეხბურთელებისათვის იმის შთაგონება, რომ თუ დღეს ვიყავით საუკეთესონი, უფრო უკეთესები ვიქნებით ხვალ“.

1980 წელს ალექს ფერგიუსონმა „აბერდინს“ შოტლანდიის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ერთი წლის შემდეგ კი, ალექსსა და კომპანიას აღარაფერი მოუგია. „სწორედ 1981 წელს შევიგნე, თუ რა რთულია მიღწეული წარმატების განმეორება, — წერს სერ ალექსი, — თუ ჩემპიონი გახდი, ფრთხილად იყავი: შენს გუნდს უკვე ველარ იტანენ, მის გამარჯვებას შემთხვევითობად მიიჩნევენ და ყველაფერს აკეთებენ, რათა მარცხი იწვნიო. შენ კი, საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობ, ამის გაკეთება ყოველ მატჩში გიხდება“.

მეტი „უნაყოფო“ სეზონი ფერგიუსონს „აბერდინში“ აღარ ჰქონია. ზედიზედ სამჯერ მან შოტლანდიის თასი დაისაკუთრა, ხოლო 1984 და 1985 წლებში, საჩემპიონო ოქროსაც დაეუფლა. აღმასვლის მწვერვალად 1983 წლის მაისი იქცა, როდესაც თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში „აბერდინმა“ — არც მეტი, არც ნაკლები, — მადრიდის „რეალი“ გაანადგურა. უკვე სუპერთასის გათამაშებაში კი, ალექსის გუნდის „მსხვერპლი“ ლევერკუზენის „ბაიერი“ აღმოჩნდა.

ფერგიუსონი გრძნობდა, რომ მის სამწვრთნელო ტალანტს უფრო მეტი გასაქანი ესაჭიროებოდა. სწორედ იმხანად, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩის მსვლელობისას, გულის შეტევით პირდაპირ სათადარიგოთა სკამზე გარდაიცვალა შოტლანდიის ნაკრების თავკაცი, ჯონ სტინი. მისი პოსტის დაკავებაზე ალექსს უარი არ უთქვამს. საჭირო იყო ნაკრების მომზადება 1986 წლის მუნდიალისათვის. თუმცა ფერგიუსონმა მალე შეიგნო, რომ სანაკრებო მოღვაწეობა მისი სტიქია არ

იყო. „მე თხემით ტერფამდე, საკლუბო მწვრთნელი ვარ. ყოველდღიური მუშაობა მჭირდება, თითოეული წვრილმანის კურსში უნდა ვიყო. ნაკრებში კი, მხოლოდ ერთი რამ გაინტერესებს: ფორმაშია თუ არა ესა თუ ის მოთამაშე. წელიწადში მხოლოდ 7-8 კვირა გიწევს მუშაობა. არა, ეს ჩემი საქმე ნამდვილად არ არის“, — დასძენს სერ ალექსი.

მსოფლიო ჩემპიონატზე შოტლანდიის ნაკრების წარუმატებლობას ფერგიუსონის პოპულარობისთვის ზიანი არ მიუყენებია. მას „ბარსელონაში,“ „არსენალში,“ „რეინჯერსსა“ და „ტოტენჰემში“ იწვევდნენ. მაგრამ შოტლანდიელმა არჩევანი „მანჩესტერ იუნაიტედზე“ შეაჩერა.

მაშინდელი „მანჩესტერი“ ამჟამინდელს სულაც არ ჰგავდა. ეს დღეს ღირს კლუბი მილიარდ დოლარზე მეტი, 1986 წელს კი, იგი ჩვეულებრივი, საშუალო დონის გუნდი იყო. უფრო მეტიც, კლუბს ვალები ჰქონდა: სწორედ ამ მიზეზით გადააყენეს მაშინდელი მწვრთნელი, რონ ატკინსონი.

ფერგიუსონის ხელმძღვანელობით ჩატარებული პირველი მატჩი „მანჩესტერმა“ „ოქსფორდ იუნაიტედთან“ წააგო (0:2). შოტლანდიელი უმალვე მიხვდა, რომ მისი გუნდის შემადგენლობას გაძლიერება ესაჭიროებოდა. მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინა ეს, დიდი ფულის გარეშე? ფერგიუსონმა ერთადერთი სწორი გამოსავალი მოძებნა: აქცენტი საბავშვო სკოლაზე გადაიტანა.

„დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ კარგი სკოლის გარეშე, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეუძლებელია. თუ ყოველწლიურად, ბავშვთა სკოლის მიერ აღზრდილი თუნდაც ერთი ფეხბურთელი არ შეავსებს შემადგენლობას, მიიჩნიეთ, რომ ეს წელიწადი დაკარგეთ, თუნდაც ჩემპიონატში გამარჯვებას მიაღწიოთ. ამაში რამდენიმე წლის შემდეგ რწმუნდები და იძულებული ხდები, ვინმე ისეთ თანხად შეიძინო, რომლითაც ბავშვთა სკოლა, წელში გამართული, მთელი 10 წლის განმავლობაში, უპრობლემოდ იმუშავებდა. საქმე მხოლოდ ფინანსებში როდია — საკუთარი სკოლის კედლებში აღზრდილი, ნებისმიერ თამაშში ერთი პროცენტით უფრო მეტს გაიღებს, ვიდრე გარედან მოწვეული ფეხბურთელი. ასეთია ჩემი მოსაზრება“.

„მანჩესტერთან“ ერთად პირველი ტიტული ფერგიუსონმა 1990 წელს მოიპოვა, როდესაც ინგლისის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა. გუნდს შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავდა: ალექსს ყოველთვის შეეძლო საჭირო ფეხბურთელების შერჩევა, მიწვევა და მათი საუკეთესო თვისებების მაქსიმალურად გამოვლენა. ამას მოჰყვა გამარჯვება თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში 1991 წელს, ხოლო „მანჩესტერის“ სკოლამ იმ პერიოდისთვის პირველი „ნაყოფი“ უკვე გამოიღო — იქიდან ძირითადი გუნდის შემადგენლობაში დენის ირვინი და რაიან გიგზი მოხვდნენ.

„როგორ ვეძებ მოთამაშეებს? ძალიან მარტივად — ვაკვირდები, როგორ თამაშობენ ისინი, რამდენად იხარჯებიან თითოეულ მატჩში. ის, ვინც ფეხებს ზოგავს, ჩემს გუნდში ვერ მოხვდება. და კიდევ, ფეხბურთელს თვალებში ვაკვირდები — იქ ყველაფერი წერია. თუ მას ჩემთან მუშაობა სურს, ისეთი დონის თამაშს მივაღწევინებ, როგორზეც არც უოცნებია. მაგრამ მთავარი, გუნდური ინტერესია. თუ ფეხბურთელი ოდნავ მაინც შეეცდება „საბნის თავისკენ გადაქაჩვას“ — ის უმალვე სხვა კლუბში აღმოჩნდება. თუ მე — კლუბში პირველი კაცი — ამას არ ვაკეთებ, მიმაჩნია, რომ ამის უფლება არც სხვას აქვს“, — აცხადებს „მანჩესტერის“ თავკაცი.

წლების განმავლობაში, არაერთ დიდ ფერხბურთელს გაუფუჭდა ფერგიუსონთან ურთიერთობა: ნორმან უაიტსაიდს, პოლ ინსს, ენდი კოულს, იაპ სტამს, ფაბიენ ბარტეზს, დევიდ ბექჰემს, რუდ ვან ნისტელროის. სულ სხვა ურთიერთობა ჰქონდა და აქვს შოტლანდიელს ერიკ კანტონასთან, ტედი შერინგემთან, როი კინთან, რაიან გიგზთან, პოლ სქოულზთან, რიო ფერდინანდთან და უეინ რუნისთან. პირველ შემთხვევაში, ფეხბურთელები, მინდორზე ან მის ფარგლებს გარეთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ღალატობდნენ მწვრთნელს, თანაც — არც ერთი მათგანი შეცდომას არ აღიარებდა. მეორე ჩამონათვალში მოხვედრილ მოთამაშეებს ცხოვრებაშიც და მოედანზეც არაერთი შეცდომა დაუშვიათ, თუმცა ისინი რჩევას ყოველთვის ბოსს ეკითხებოდნენ. სტამმა, ბარტეზმა და ბექჰემმა შეიძლება თქვან, რომ ფერგიუსონი უღვთო ტირანია, რომელიც შეცდომას არასოდეს გაპატიებს. კანტონა, კინი და ფერდინანდი კი ამაზე უპასუხებენ: სერ ალექსი მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელია, რადგან ყველაზე რთულ წუთებშიც კი, მას სწორი გადაწყვეტილების მიღება და ფეხბურთელის კარიერის გადარჩენა შეუძლია. თუმცა ერთ რამეში ყველა ერთსულოვანია: ალექსის გარეშე ვერც ერთი ზემოთ ხსენებული ვარსკვლავი ვერ იქცეოდა იმად, ვინც ამჟამად არის.

ალექს ფერგიუსონი მკაცრი რეალისტია, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც თანამედროვე ფეხბურთის კანონებს შეეგუა. თუ საჭიროა, იგი გასახდელში თავის მოთამაშეს ბუცით თავსაც გაუტეხს. ასეთი მეთოდით შოტლანდიელს არაერთი მოთამაშე „მოუყვანია ჭკუაზე“, უამრავი თინეიჯერი დაუვაჟკაცებია, რომელიც ამჟამად უმაღლეს დონეზე, ნამდვილ „მამაკაცურ ფეხბურთს“ უჩვენებს. „ფეხბურთელისთვის ყველაფერს გავაკეთებ, თუ ის განვითარების სურვილს გამოავლენს. შრომა და ისევ შრომა — აი, ჩემი დევიზი. როდესაც „სენტ მირენში“ მივედი, უმაღლეს ლიგაში მის გადაყვანაზე არ ვოცნებობდი. „აბერდინში“ არასოდეს მიოცნებია ტიტულების მოგებაზე. როდესაც „მანჩესტერში“ მოვედი, ჩემპიონთა ლიგის დაუფლებაზე ან თუნდაც, კლუბში მთელი 20 წლით დარჩენაზე ფიქრიც არ შემეძლო. მუხლჩაუხრელად ვშრომობდი და საკუთარი ოცნებების ტყვედ არ ვქცეულვარ. არც ამჟამად ვოცნებობ 70 წლის ასაკამდე „მანჩესტერში“ დარჩენაზე. მე უბრალოდ ვშრომობ“.

ფერგიუსონი დღემდე ამაყობს იმით, რომ მის გუნდში უდიდესი ოსტატები თამაშობდნენ. იგი მზადაა, ყველას უამბოს, თუ როგორ შეიძინა უფასოდ „ლიდსისგან“ ერიკ კანტონა. გაიხსენებს, თუ როგორ დასცინოდნენ მას, როდესაც სანწვრთნელ ბაზაზე ჯერ კიდევ თინეიჯერის ასაკში მყოფი, ოლეგუნარ სულშერი მიიყვანა, სწორედ ის ნორვეგიელი, რომელმაც 1999 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, „ოქროს გოლი“ გაუტანა „ბაიერნს“. ამის შემდეგ ფერგიუსონს, რაინდის წოდება მიანიჭეს. როგორ დაარწმუნა დუაიტ იორკი იმაში, რომ მას საკლუბო ინტერესები პირადულზე მაღლა უნდა დაეყენებინა, როგორ არ მიაქცია ყურადღება დანიელი გოლიათის, პეტერ შმეიხელის ზურგის ტრავმას, როგორ გადაიხადა ორ ადგილზე ფეხმოტეხილ რუდ ვან ნისტელროიში 19 მილიონი გირვანქა სტერლინგი...

არსებობს სამი ფეხბურთელი, რომელთა ხილვაც სერ ალექსს თავის გუნდში ყოველთვის სურდა, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. ესენი არიან: პოლ გასკოინი, ალან შირერი და რონალდინიო. თუმცა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის შეძენის შანსი ფერგიუსონს კვლავაც აქვს, თუ რა თქმა უნდა, თავად რონალდინიო ინებებს „ბარსელონიდან“ „მანჩესტერში“ გადასვლას. „რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამი ფეხბურთელიდან თითოეული, ჩემთან კიდევ უფრო კარგად ითამაშებდა. როგორ, უფრო უკეთესად? მომეცით რონალდინიო და თავად ნახავთ“, — ამბობს ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტი, რომელიც ალბათ „მანჩესტერთან“ ერთად დიდ გამარჯვებებს კიდევ მიაღწევს. 65 წლის სერ ალექსი ხომ უფრო ენერგიულად გამოიყურება, ვიდრე მასზე გაცილებით ახალგაზრდა მწვრთნელები.

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ხართ თუ არა კეთილი?

ადამიანები რომ სხვადასხვანაირები არიან, ეს სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. ერთნი იმდენად კეთილები არიან, რომ პირველსავე შემხვედრს უკანასკნელ ლუკმას გაუყოფენ, მეორენი კი, იმდენად ძუნწები, რომ ზამთარში თოვლსაც არ გაიმეტებენ ახლობლისთვის. რომელ კატეგორიას განეკუთვნებით თქვენ? ყოველთვის კეთილი და ყურადღებიანი ხართ თუ არა ირგვლივ მყოფების მიმართ?

თუკი ამ კითხვებზე პასუხი გაინტერესებთ, გულწრფელად უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს და პასუხსაც უსათუოდ მიიღებთ.

1) ვთქვათ, რაღაც გარკვეული თანხა გაგიჩნდათ. შეძლებთ თუ არა ეს თანხა მთლიანად მეგობრებისა და ახლობლებისათვის შეძენილ საჩუქრებში დახარჯოთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

2) ვთქვათ, ამხანაგი საკუთარი უსიამოვნებების შესახებ გიყვებათ; აგრძნობინებთ თუ არა მას, რომ მისი პირადი პრობლემები ნაკლებად გაინტერესებთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

3) ვთქვათ, თქვენი პარტნიორი ძალზე სუსტად თამაშობს ჭადრაკს, ზოგჯერ მაინც თუ დაუთმობთ პარტიას, რათა ამგვარი საქციელით ასიამოვნოთ მას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

4) ხშირად ეუბნებით თუ არა ირგვლივ მყოფებს ქათინაურებს და სასიამოვნო რამეებს, რათა ამით უბრალოდ ხასიათი გამოუკეთოთ მათ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

5) გიყვართ თუ არა ბოროტად გახუმრება?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

6) წყენის გულში ჩადება ხომ არ გახასიათებთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

7) შეგიძლიათ თუ არა მოთმინებით მოისმინოთ ისეთი რამეც კი, რაც საერთოდ არ გაინტერესებთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

8) გაქვთ თუ არა თქვენი ნიჭის პრაქტიკულად გამოყენების უნარი?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

9) როცა რაიმეს თამაშობთ და აგებთ, თამაშს თავს ხომ არ ანებებთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

10) თუკი საკუთარ სიმართლეში იმდენად დარწმუნებული ხართ, რომ ოდნავადაც არ გეპარებათ ეჭვი, ოპონენტის არგუმენტების მოსმენაზე უარს ხომ არ ამბობთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

11) ხალისით უსრულებთ თუ არა ვინმეს ამა თუ იმ თხოვნას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

12) ირგვლივ მყოფთა გასამხიარულებლად, ვინმეს მასხრად აგდების ჩვევა ხომ არ გაქვთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

ტესტის შედეგები:

9-12 ქულა: თქვენ საოცრად თავაზიანი და კეთილი ადამიანი ბრძანდებით, ირგვლივ მყოფებთან კარგი ურთიერთობები გაქვთ და მათ სიმპათიებსაც იმსახურებთ. სავარაუდოა, რომ ბევრი მეგობარი გეყოლებათ. გირჩევთ, ერთი რამე გაითვალისწინოთ: იყავით კეთილი, მაგრამ ზომიერების გრძნობას ნუ დაივიწყებთ. ნუ ეცდებით, რომ განურჩევლად ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გქონდეთ, რამეთუ ყველას გულის მოგება შეუძლებელია და თანაც, ზოგიერთი ასეთ მოპყრობას სულაც არ იმსახურებს.

4-8 ქულა: ვერ ვიტყვით, რომ თქვენ ყოველთვის და ყველას მიმართ სიკეთითა და კეთილგანწყობილებით გამოირჩევით. მიუხედავად იმისა, რომ სიკეთის ქმნის საოცარი უნარით ხართ დაჯილდოებული, სიკეთეს ყველას როდი უკეთებთ. ზოგიერთისთვის თქვენ ყველაფერზე წახვალთ და უკან არაფერზე დაიხევთ, მაგრამ თქვენთან ურთიერთობა საკმაოდ უსიამოვნოა მათთვის, ვინც არ მოგწონთ. ეს არცთუ ისე ცუდი თვისებაა, ოღონდ, უნდა ეცადოთ, რომ შედარებით თანასწორად მოექცეთ ირგვლივ მყოფებს, რათა ვინმე არ გაანაწყენოთ.

0-3 ქულა: ახირებული და მძიმე ხასიათის გამო, თქვენთან ურთიერთობა ზოგჯერ ძალზე ახლობელ ადამიანებსაც კი უჭირთ. აკეთეთ უფრო მეტი სიკეთე, იყავით კეთილგანწყობილი და მეგობრებიც გაგიმრავლდებათ. მეგობრობა ხომ კეთილი ურთიერთობების გარეშე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	1	9	7	5	3	2	8	6
3	7	6	2	8	1	9	4	5
8	2	5	9	6	4	1	3	7
9	8	1	6	3	7	4	5	2
5	3	7	4	9	2	6	1	8
6	4	2	8	1	5	3	7	9
2	9	4	3	7	8	5	6	1
7	5	3	1	2	6	8	9	4
1	6	8	5	4	9	7	2	3

5	2	4	8	9	3	1	7	6
8	1	9	6	7	4	3	2	5
3	7	6	5	1	2	9	8	4
6	8	7	4	3	1	2	5	9
4	9	2	7	5	6	8	3	1
1	3	5	9	2	8	6	4	7
9	6	3	2	4	7	5	1	8
2	4	8	1	6	5	7	9	3
7	5	1	3	8	9	4	6	2

4	2	8	6	1	7	9	5	3
3	9	6	2	4	5	7	8	1
5	1	7	8	3	9	2	4	6
2	8	3	9	5	1	6	7	4
6	4	9	7	2	3	8	1	5
7	5	1	4	6	8	3	9	2
1	7	4	3	9	6	5	2	8
8	3	2	5	7	4	1	6	9
9	6	5	1	8	2	4	3	7

* მარტივი

	4		8		6	5		
3	9				1		4	
	1		3			7	8	
	5	7		8	4			3
		4	6			9		
8					3	4	1	
	2	5			8		7	
	8		2				9	4
		3	1		9		2	

** საშუალო

7	3				4			5
		5	7				3	
1				8				6
3		6		9			7	
		4				8		
	9			5		6		1
9				3				8
	5				2	3		
6			1				5	7

*** რთული

		9	7					
2							9	
		1	5					4
	3			1		4		
1			9					8
		2					3	
6					3	5		
	5							7
					5	2		

1. ლერმონტოვის პოემა
2. ვაზის სარი
3. ისტორიული მხარე საქართველოში
4. დიდი ტალღა
5. ამერიკის შტატი
6. თვლემა
7. ბოსტნეული
8. თავადის ტიტული ინდოეთში
9. რძის ნაწარმი
10. ტროა
11. ქერის პური
12. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია
13. მრალი, ზნეობა
14. ქალაქი საქართველოში
15. ფალიაშვილის ოპერა
16. ნაპოლეონის მარშალი
17. მიწაყრილი მდინარის გასწვრივ
18. ავტორი მოთხრობისა „ქუჯანა“
19. ღორების ჯოგი
20. ადამიანთა უწესრიგო გროვა
21. ფუტკრის ოჯახი
22. სქელი მურაბა
23. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია
24. უნარი, მოხერხება
25. მუს. ნოტი
26. ბგერის გრაფიკული ნიშანი
27. ესპანელი ფეხბურთელი
28. პორტუგალიის დედაქალაქი
29. ქართული რაგბი
30. ძვ. ბერძენი დრამატურგი
31. ქართველი ფეხბურთელი
32. უშფოთველი ცხოვრება
33. ღმერთი
34. დაუკოდავი მამალი ცხვარი
35. ქალაქი საფრანგეთში
36. მინერესტორანი
37. კალმანის ოპერა
38. წყვეტილი მცენარეების ტბოვანი ტყეები
39. ნადირობის ქალღმერთი რომ. მით.
40. სიკო დოლიძის ფილმი
41. მშვილდის ბაწარი
42. ლაოსის ფულის ერთეული
43. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
44. ევროპული ქვეყნის დედაქალაქი
45. იტალიური დეკორატული ხელოვნება
46. ფრანგი ფერმწერი
47. აზიური ქვეყანა
48. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი

ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. მეზალიანსი; 2. ზოზინი; 3. პლედი; 4. ივერია; 5. საუნა; 6. ნაცია; 7. სვირინგი; 8. რეზიდენცია; 9. ფარაონი; 10. სიბილა; 11. აირი; 12. ფური; 13. შაორი; 14. ოლე; 15. ვალსი; 16. დანი; 17. ნეკი; 18. გულიაში; 19. სირჩა; 20. რონალდო; 21. მაკაო; 22. ბოგდიხანი; 23. კოპრა; 24. პიროგა; 25. ენოლოგი; 26. ბინტი; 27. რიგა; 28. გონდოლა; 29. კარკასი; 30. კანავარო; 31. ნეპალი; 32. ტურა; 33. დევი; 34. ჩერო; 35. ლიანა; 36. ვიზა; 37. ორატორი; 38. ცვილი; 39. ბზა; 40. ტყე; 41. ლანცეტი; 42. არტერია; 43. იავა; 44. ტინქტურა.

სურათზე: მარია შარაპოვა; დიმა ბილანი.

ბრიტანელი ქალბატონები ყაზახური ცხენების გამო გაშიშვლდნენ

მწვანე სალათის ფოთლებისგან შექმნილ ბიკინიში გამოწყობილმა, ცხოველთა უფლებების დამცველმა ორმა ბრიტანელმა ქალბატონმა სცადა ყაზახი მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ ცხენის ხორცის საკვებად გამოყენება მიუღებელია.

ცხოველთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ (PETA) გახმაურებული ფილმის — „ბორატის“ პერსონაჟის სავარაუდო სამშობლოს მკვიდრთ მიმართა თხოვნით: კვების რაციონიდან ცხენის ხორცი ამოიღონ. „მაშინ, როდესაც ბორატი თავის სამშობლოს დასცინის, ჩვენ ვცდილობთ, ამ ქვეყანას გავაგებინოთ, რომ ხორცის ჭამაზე უარის თქმა — საუკეთესო რამაა, რაც შეიძლება, საკუთარი თავისა და ცხოველებისთვის გავაკეთოთ“, — განაცხადა ერთ-ერთმა აქტივისტმა, 35 წლის ივონა ტეილორმა. თითქმის ყველა ტრადიციული ყაზახური კერძი ხორცისგან მზადდება. ცხენის ხორცის სოსისი და მოხარშული ცხვრის თავი, ამ ქვეყანაში დელიკატესს წარმოადგენს. PETA-ს ნახევრად გაყინული აქტივისტებისადმი, ყაზახეთის უდიდესი ქალაქის მოსახლეობამ განსხვავებული დამოკიდებულება გამოხატა. „იმის მოთხოვნა, რომ ბავშვებმა მხოლოდ ბალახი მიირთვან — არანორმალურია“, — თქვა სკოლის პედაგოგმა ტურსუნაიმ. ალმა-ათის ქუჩებში ნახევრად შიშველი ბრიტანელი ქალების ხილვამ, პენსიონერ ქალს, მარია ამანტაევას სულის სიმები შეურხია. მან გულწრფელად აღიარა, რომ პროტესტი მართლაც, საფუძვლიანია: ხორცის ფასმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, მაგრამ ამ ფაქტმა ყაზახები არ უნდა შეაშინოს. „ყაზახები ხორცს საუკუნეების განმავლობაში მიირთმევდნენ და 90-100 წელი ცოცხლობდნენ. რატომ არიან ახლანდელი მამაკაცები სუსტები? იმიტომ, რომ ისინი ცოტა ხორცს მიირთმევენ, — ამბობს მარია ამანტაევა. ■

ბრიტანეთის ხელისუფლებას პოლონიუმ-210-ის ხსენება აშინებს

დიდ ბრიტანეთში თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანია შეჩერდა, რადგან მასში ნახსენებია პოლონიუმ-210, რომელსაც სიგარეტის კვამლი შეიცავს. ლიტვინენკოს გარდაცვალების შემდგომ, ამ მომაკვდინებელი არგუმენტით მოსახლეობის დაშინება ხელისუფლებას მიუღებლად მიაჩნია. სარეკლამო კამპანია, რომლის ბიუჯეტი 5,5 მლნ დოლარია, რადიოსა და ტელევიზიაში დაიწყო. მისი მიზანია, მოსახლეობამ და განსაკუთრებით, მწეველებმა შეიტყონ, თუ რა რაოდენობის ტოქსინებს შეიცავს თამბაქო. ამგვარი კამპანიის წამოწყების მიზეზი კიბოს დაავადებათა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გახდა, რომელიც ცხადყოფს, რომ ბრიტანელებმა არაფერი იციან ქიმიკატების იმ „კოქტეილის“ შესახებ, რომელსაც თამბაქოს კვამლი შეიცავს. ამიტომ რეკლამაში აღნიშნულია, რომ სიგარეტი „მდიდარია“ ისეთი ნივთიერებებით, როგორიცაა დარიშხანი, კადმიუმი, ბენზოლი, ფორმალდეჰიდი და პოლონიუმ-210. მაგრამ „ლიტვინენკოს საქმის“ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე, ჯანდაცვის წარმომადგენლებმა მიუღებლად მიიჩნიეს პირდაპირ ეთერში ამ რადიოაქტიური იზოტოპის ხსენება. თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიის პროექტის ხელმძღვანელი ალექს მარკჰემი ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ ინფორმაციის გავრცელებას მაინც აპირებს. „მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ ეს ინფორმაცია საზოგადოებამდე მივიტანოთ, რადგან სიგარეტის მოწევის მიზეზით, ბრიტანეთში ყოველდღიურად 300 ადამიანი კვდება. ამას რაიმე უნდა მოვუხერხოთ“, — ამბობს ალექს მარკჰემი.

ბრიტანეთის ჯანდაცვის სისტემას თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებათა მკურნალობა, წელიწადში 3 მილიარდი დოლარი უჯდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ამ დაავადებებით ყოველ წელს 114.000 მწეველი იღუპება. ■

დევიდ ბექჰემი – ჰომოსექსუალთა სამიზნე

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი პირდაპირ გაცოფდა, როდესაც ჰომოსექსუალთა საიტმა ის კალენდარი გამოსცა, რომელზეც ფეხბურთელის შიშველი ორეულია გამოსახული. 2007 წლის კალენდარს „ცნობილი ადამიანები — შინამოსამსახურეთა როლში“ (Celebrity Hunk Around the house) ეწოდება. მის ფურცლებს შიშველი მამაკაცების ფოტოსურათები ამშვენებს, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ვარსკვლავებს — დევიდ ბექჰემს, ბრედ პიტს, პრინც უილიამსა და

სხვებს, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კალენდარი დახლებიდან დაიტაცეს. ცნობილი გახდა, რომ ბექჰემის ყოფილი კოლეგები, ინგლისის ნაკრების წევრები ამ ამბავმა ძალზე გაახალისა, მაგრამ თავად დევიდს სულაც არ ეხუმრება. კალენდრის გამოშვებამ ფეხბურთელი გააშწარა, რადგან ფოტოსურათზე იდიოტივით გამოიყურება. ბექჰემს არც ის ამბავი მოსწონს, რომ კალენდრის ავტორებმა მის ზურგზე ამოტვიფრული სვირინგი გადახატეს, რომელზეც დევიდის შვილების სახელები იკითხება“. ■

პატივცემულო მკითხველო!

როგორც თქვენ მიერ შევსებულმა გამოკითხვის ანკეტებმა ცხადყო, დიდი უმრავლესობა, რომანისა და დეტექტივის აქტიური მკითხველი ბრძანდება, რაც გვახარებს. მაგრამ გვსურს, ამ სფეროში თქვენს შეხედულებებს უფრო ახლოს გავეცნოთ, ამიტომ გთხოვთ, გვიპასუხოთ: რომელ ნაწარმოებს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ. არ დაიზაროთ, აკრიბეთ ტელეფონის ნომერი — 37-50-03 ან 37-75-33 და გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ზაზა ვაჩნაძის „ველური წაბლის ხეივნისა“ და გოჩა მანველიძის „თეთრი სიკვდილის“ შესახებ. თქვენს მოსაზრებებსა და შენიშვნებს ჩვენი ავტორები ამ ნაწარმოებებშიც გაითვალისწინებენ და „გზის“ ფურცლებზე მომავალში დასაბეჭდად მზადების დროსაც მიიღებენ მხედველობაში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ფოტოკუიიოზები





საშობაო აქცია 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე

Premier

by Dead Sea Premier

მკვდარი ზღვის ყოველდღიური და სამკურნალო კოსმეტიკა

b 122/45

1 + 1

იყიდე ერთი სასურველი და მიიღე საჩუქრად განსხვავებული

Il. Premier - თქვენი ხანის მომხიბვლელობა

www.il-premier.ge

GTC ვეკუას ქ. №3 II სართული

სახალხო აფთიაქი

მარჯანიშვილის ქ. №16

GOODWILL ფარნავაზ მეფის გამზირი № 1